
საქართველო ბი... ბაჯაღლო და თბ... – შიგ ჩასმული ბადახში
ფასი 1,50 ლარი
30 ივნისი – 6 ივლისი
№26
გვ. 74
რატომ ელოდებოდა ზურა ყიფშიძე ქალიშვილის გაცოფებას და ვისი სიყვარული დაჰყვებათ ლენუკა და გიორგი ყიფშიძეებს გენეტიკურად
გვ. 75
როგორ გადაურჩა ისრაელის ციხეში ექვსი წლით პატიმრობას ნიკა არაბიძე და როგორ გადარია მისმა ნამღერმა თბილისში სტუმრად ჩამოსული ლეონიდ აგუტინი
გვ. 69
რას ნანობს ყველაზე მეტად სოფო გელოვანი და ვისი დახმარებით ისრულებს ის ბავშვობის ოცნებას
გვ. 18
რატომ დაშორდა ანიტა რაჭველიშვილი მეუღლეს და როგორ შეავსო „თავადმა იგორმა" მისი კალენდარი 2019 წლის ჩათვლით
გვ. 47
სად შეხვდა მიშა სულუხია ვენეციის პრინცს და რა სკანდალში გაეხვია ის
გვ. 14
შესთავაზებს თუ არა ნანუკა ჟორჟოლიანი თანაწამყვანობას თავის ორეულს, მანანა უზილავას
გვ. 23
რატომ არ არის მარკუს მეტრეველი მზად ახალი ოჯახის შესაქმნელად და ვინ ზრუნავს მასზე მთელი სიცოცხლის განმავლობაში
როგორ უმზადებდა ჰოლივუდის მსახიობებს მენიუს ჯემიკო სოლომნიშვილი და როგორ გახდა ის მანჰეტენზე 4 რესტორნის მენეჯერი
გვ. 22
მარხვის მადლმა გაგაძლიეროთ!

# „საქართველოს ბანკის უნივერსიტეტმა“ მაგისტრატურაში, ბიზნესის ადმინისტრირებაზე აბიტურიენტების მიღება დაიწყო

## გაიარეთ რეგისტრაცია www.mba.edu.ge-ზე და, დასავლურ განათლებასთან ერთად, მიიღეთ სწავლის სრული დაფინანსების შესაძლებლობა

„საქართველოს ბანკის უნივერსიტეტმა“ (MBA) მაგისტრატურაში, ბიზნესის ადმინისტრირებაზე აბიტურიენტების მიღება დაიწყო.

**აკაკი ხელაძე** (*„საქართველოს ბანკის უნივერსიტეტის“ რექტორი*): თავდაპირველად, მინდა აღვნიშნო, რომ უნივერსიტეტის მიზანია, ხელი შეუწყოს ქვეყანაში ფინანსური განათლების სფეროში მაღალი სტანდარტების დამკვიდრებას და საშუალება მისცეს ნებისმიერ მსურველს, დაეუფლოს ფინანსურ ცოდნას მისთვის სასურველ დონეზე. „საქართველოს ბანკის უნივერსიტეტი“ მაგისტრატურაში, ბიზნესის ადმინისტრირებაზე, ფინანსების დარგში წელს, სექტემბერში, 50 აბიტურიენტს მიიღებს. „საქართველოს ბანკის უნივერსიტეტი“ სტუდენტებს არაერთ უპირატესობას აძლევს, მათ შორისაა კარიერული წინსვლა და უკეთესი პირობებით დასაქმების პერსპექტივა; პრაქტიკისა და თეორიის საუკეთესო ბალანსი და რეალური კონტაქტების დამყარების შესაძლებლობა წარმატებულ ადამიანებთან.



„საქართველოს ბანკის უნივერსიტეტის“ მაგისტრატურაში ბიზნესის ადმინისტრირებაზე ჩარიცხული 50 სტუდენტიდან 10 საუკეთესო მიიღებს 100-პროცენტიან დაფინანსებას „საქართველოს ბანკისგან“. შემდეგი 20 სტუდენტი კი სწავლის საფასურის დაფარვას დაიწყებს სწავლის დასრულებიდან 1 წელიწადში და გადასახადი გადანაწილდება 4 წელზე. „საქართველოს ბანკის უნივერსიტეტში“ სწავლის პერიოდში სტუდენტები გაივლიან პრაქტიკას წამყვან კომპანიებში და ექნებათ შესაძლებლობა, ჩაერთონ რეალური ბიზნესის წარმართვის პროცესში. სტუდენტები ისწავლიან 2013-2014 წლებში შექმნილი უახლესი სასწავლო მასალებით, რომელიც უფასოდ გადაეცემათ. დამატებით კი ყველა სტუდენტს საშუალება მიეცემა დაესწროს უნივერსიტეტის ტრენინგცენტრის ტრენინგებს შემდეგ მიმართულებებში: დროის მართვა, ლიდერობა, გაყიდვები, მოლაპარაკების წარმოება, პრეზენტაციის ტექნიკა და სხვა. უნივერსიტეტში მიღებული უნიკალური პრაქტიკული გამოცდილება და თანამედროვე თეორიული ცოდნა თითოეულ სტუდენტს მისცემს რეალურ შანსს, დასაქმდეს ბიზნესის ინდუსტრიაში და მიაღწიოს კარიერულ წინსვლას.

„საქართველოს ბანკის უნივერსიტეტის“ მაგისტრატურაში ბიზნესის ადმინისტრირებაზე რეგისტრაციისთვის, სტუდენტებს შუძლიათ, ეწვიონ:

www. mba. edu.ge

**სოფი ლორია**

# დეველოპერულმა კომპანია „m$^2$-მა" სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის, ვაჟა-ფშაველას გამზირის ადაპტაცია დააფინანსა

დეველოპერული კომპანია „m$^2$" დაარსების დღიდან საქართველოში ამკვიდრებს ხარისხიან, კომფორტულ, ხელმისაწვდომ ცხოვრების სტანდარტს. ასევე, გამოირჩევა ნოვატორული მიდგომებითა და საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი პროექტებით. სწორედ კომპანიის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა უმნიშვნელოვანესი პროექტი სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, „m$^2$-მა" დააფინანსა ვაჟა-ფშაველას გამზირზე ტროტუარებისა და გადასასვლელების რეკონსტრუქცია და ჯამში, გამზირი 180 პანდუსით აღიჭურვება. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს უკვე შეეძლებათ, დამოუკიდებლად გადაადგილდნენ და თავი საზოგადოების სრულუფლებიან წევრად იგრძნონ. განხორციელება შესაძლებელი გახდა სოციალური პროექტის, „სიცოცხლის ხის" კოორდინაციისა და ჯგუფი „სოცკოდექსის" ინიციატივის შედეგად. ჯგუფი „სოცკოდექსი" 2012 წელს დაფუძნდა და მიზნად ისახავს სოციალური პრობლემის იდენტიფიცირებას და მათი აღმოფხვრისთვის შესაბამისი გზების შემუშავებას. „სოცკოდექსი" პროექტ „შეზღუდვების გარეშე" ფარგლებში ტექნიკურად აღჭურველებს ვაჟა-ფშაველას გამზირის პანდუსებით აღჭურვას. გამზირზე დამონტაჟებული პანდუსები აკმაყოფილებს ევროსტანდარტებს (დახრილობის კუთხე 5-დან 8 გრადუსამდე). შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის ადაპტირებული გარემოს შექმნისთვის პროექტს მიენიჭა ზრუნვისა და კეთილი საქმის კეთების სიმბოლო – „სიცოცხლის ხე".



**ირაკლი ბურდილაძე** ***(კომპანია „m$^2$-ის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე):*** მინდა, აღვნიშნო, რომ კომპანია „m$^2$-ის" მიზანია, იზრუნოს იმაზე, რომ ნებისმიერ ადამიანს შეუქმნას კომფორტული, ჯანსაღი და უსაფრთხო გარემო, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, გარემოსთან ადაპტაციისთვის. ამ პროექტით ჩვენ მხარს ვუჭერთ ყველა ახალ წამოწყებას, რომელიც ხელს უწყობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს კომფორტულად იგრძნონ თავი ნებისმიერ გარემოში და არ იყვნენ სხვაზე დამოკიდებულები. ჩვენ, ასევე, ყველა სამშენებლო პროექტის დაგეგმვისას ვითვალისწინებთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მოთხოვნილებებს და შესაბამისად ვგეგმავთ გარემოს, შენობაში თუ შენობის გარეთ.

**თორნიკე ბურული** ***(სოციალური პროექტის, „სიცოცხლის ხის" დირექტორი):*** მოხარული ვარ, რომ „სიცოცხლის ხე" ვაჟა-ფშაველას გამზირზე გამოჩნდა. 183 პანდუსს ვაკეთებთ „სოცკოდექსთან" ერთად, კომპანია „m$^2$-ის" დაფინანსებით. ვაჟა-ფშაველას გამზირი სრულიად ადაპტირებული გახდება და ეტლით მოსარგებლეებს მარტივად შეეძლებათ, ამ გარემოში გადაადგილება. ვამაყობთ, რომ ამ წამოწყებას ჩვენ დავუჭირეთ მხარი და ერთობლივი ძალებით, დღეს ეს გარემო ყველასთვის ხელმისაწვდომი გავხადეთ, თუმცა ამ ეტაპზე არ გავჩერდებით. შემდეგი პროექტი რუსთაველის გამზირის ადაპტირება იქნება. უკვე დავიწყეთ ერთ-ერთ არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად ამ თემაზე მუშაობა. „სიცოცხლის ხე" ჩნდება იქ, სადაც შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანებს ყველაზე მეტად სჭირდებათ გვერდში დგომა. ჩვენი მიზანია, საზოგადოებას ვაჩვენოთ, რომ შეზღუდული შესაძლებლობები მართლაც არ არსებობს.



**სოფი ლორია**


## ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები"

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47




**განყოფილებები**

პოლიტიკა: რედაქტორი – **ნინო ხაჩიძე**, ჟურნალისტი – **თამუნა სამადაშვილი**
საზოგადოება და კულტურა: **გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე**
რელიგია: **ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე, რევაზ ტომარაძე**
კრიმინალი და სამართალი: **ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე**

დაიჯესტი: **ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი**
მედიცინა: **ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე**
სპორტი: **ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე**
სტილისტ-რედაქტორი: **თამრიკო ზამთარაძე**
სტილისტი: **ნანა წერეთელი**
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: **თამუნა ახობაძე**
ოპერატორი: **მაია კარანაძე**
ფოტოკორესპონდენტები: **თეზუკა კვეზერელი, ლექსო ხარიტონაშვილი**
მხატვრები: **ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე**

დირექტორი: **გუგა ახობაძე**
ოფისმენეჯერი: **ინგა კერვალიშვილი**
იურისტი: **ქეთი უტიაშვილი**
მთავარი ეკონომისტი: **ნანა ბირჩაძე**
კომერციული მენეჯერი: **მარინა მჟავანაძე**
ვებ-გვერდის მოდერატორი: **საბა კარანაძე**
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: **სოფი ლორია**
სარეკლამო სამსახური: **სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა, ხატია ჟღენტი**
მარკეტინგის მენეჯერი: **ლევან მენთეშაშვილი**

ტელ: **239-25-52;** 599 10-15-20 239-23-52

სარეკლამო სამსახური: **593 38-75-61; 239-23-53**

დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი"
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში"

ვებ-გვერდი: **www.tbiliselebi.ge**
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com

# ევროპისთვის შელერებულები

## ანუ ევრაზიელთა „შავი პარასკევი“

ბევრი ველოდეთ თუ ცოტა, **გასულ კვირას ასოცირების შეთანხმებას ხელიც მოვაწერეთ და ევროპელობისთვის კიდევ ერთხელ გავემზადეთ**, თუმცა საერთო **სიხარულს გამონაკლისებიც ახლდა**: კერძოდ, **რაკი ევრაზიული კავშირის ჩვენებურ მოტრფიალეებს** 27-ში **„შავი პარასკევი“ გაუთენდათ,** მათმა ლიდერმა **არჩილ ჭყოიძემ შეგვახსენა, რომ „რეალურად ეს ხელშეკრულება არაფრის მომცემია** (რამეთუ **მზე კვლავაც ჩრდილოეთიდან ამოდის** – )“. არაფრის მომცემი კი იმიტომ ყოფილა, რომ ბ-ნ **ჭყოიძეს შეუსწავლია იმ ქვეყნების მდგომარეობა, რომლებსაც ასოცირების შეთანხმებაზე ათეული წლების წინათ მოუწერიათ ხელი**. შეუსწავლია და დაუდგენია, რომ ამ საქმიდან არაფერი გამოვა, იმიტომ რომ, რუსული ბაზარი ევროკავშირულს სჯობია.



თუმცა იქვე დასძენს, რომ **„ეს დაძაბავს სიტუაციას რუსეთთან** (ნეტავ, მეტი რაღა უნდა დაძაბოს?!). უკვე გააკეთა ლავროვმა განცხადება, **ლავროვის გარდა კი ყველაზე საშიში და სახიფათო ის არის, რაც ოსეთის თვითაღიარებულმა ხელისუფლებამ განაცხადა** (ოსეთიო?!), **რომ ისინი აპირებენ ჩაატარონ რეფერენდუმი და შეუერთდნენ რუსეთს**.“

ასეა თუ ისე, ბ-ნი **ჭყოიძე აანონსებს, რომ სექტემბერში დიდი აქციის ჩატარებას აპირებენ** (ქორწილი არ გამომაპაროთ!) **დასავლეთის საწინააღმდეგოს**. მომყავს ციტატა: „სადაც დავაფიქსირებთ ჩვენს პოზიციას, რომ **აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნებისთვის, ეკონომიკის წინსვლისთვის აუცილებელია საქართველოს** არა რაღაც ასოცირების ხელმოწერები და ზღაპრად მოჩვენებული რაღაც ნატოს და ევროკავშირთან გაწევრიანება, არამედ **გაწევრიანება ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში, რომელიც შეიქმნება 2015 წელს** (მააშ!).“

ჩვენ არ ვიცით, **რატომ არ უნდა** ბ-ნ **ჭყოიძეს ხარისხიანი პროდუქციის მირთმევა, უზრუნველყოფილი და დაცული ახალგაზრდობა და სიბერე** (და უამრავი სხვა რამეც), თუმცა ვიცით, რომ **ჩვენს მეწარმეებს, ჩვენთვის რძის პროდუქტებს მცენარეული ცხიმისგან რომ ამზადებენ** (ანუ მათ მიერ დამზადებული რძის პროდუქტი რძის პროდუქტები არ არის), **ევროპულ ბაზარზე ეს** (და არა მხოლოდ ეს) **აღარ გაუვათ**. –

# „კატაობის“ მოყვარულები

## როგორ „მოუკვდა“ მეზობელს „ძროხა“

„რაი ნოვოსტი“ იუწყება, რომ **რფ-ს მთავრობა 2014 წელს ვერ დააბრუნებს არასახელმწიფო საპენსიო ფონდში დაგროვებულ 243 მილიარდ რუბლს**. რფ-ის მოქალაქეებისთვის **ეს სამწუხარო ინფორმაცია ფინანსთა მინისტრმა ანტონ სილუანოვმა გაავრცელა** (ასეო, ისეო, **თქვენი დიდი ხათრი მაქვს, მაგრამ არაო, რადგან ეს 243 მილიარდი რუბლი ყირიმს მოხმარდაო**).



როგორც აღმოჩნდა, ის, რაც **რუსეთის მოქალაქეებმა თავიანთი არასახელმწიფო საპენსიო ფონდისთვის დააგროვეს, ყირიმისა და სევასტოპოლის განვითარებას** და იქ განსახორციელებელ სოციალურ-ეკონომიკურ პროგრამებს **მოხმარდება**.

მეტიც, **რფ-ის ფინანსთა მინისტრი გაკვირვებულია, საერთოდაც, რატომ მოითხოვენ მისგან ამ თანხის მოქალაქეებისთვის დაბრუნებას**, როდესაც ყირიმი ასაღორძინებელია. –

მეორე მხრივ, თუ **რფ-ს მოქალაქეების უკრაინისთვის ყირიმ-სევასტოპოლის წართმევით გამოწვეულ აღტკინება-აღტაცებას გავიხსენებთ**, სავსებით **ლოგიკური და სამართლიანია მათი საპენსიო დანაზოგების ყირიმისკენ მიმართვა, ოკუპანტური პრინციპით: „**Любишь кататься (ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სხვისი მიწებს მიტაცება), люби и саночки носить (პენსიის გარეშე დარჩენა)“.

# ორჯერ კვერდაკრულები

## „ეს ლამაზი მინდორ-ველი ჩემია“...

ჯერჯერობით **საქართველოში უცხოელებისთვის 50 000 ჰექტრამდე მიწაა მიყიდული** და, ძირითადად, **ყიდვა-გაყიდვის ეს აქტები 2012 წელს განხორციელდა**, იმ მარტივი მიზეზით, რომ **სწორედ 2012-ში დანიის, საქართველოში მიწის ყიდვის მსურველმა, მოქალაქემ საკონსტიტუციო სასამართლოში იჩივლა**, ჩემი **უფლებები ირღვევაო**. ჩვენებურმა **საკონსტიტუციო სასამართლომაც კვერი დაუკრა**.



ამის, ანუ **კვერდაკვრის მიუხედავადაც, კანონმდებლებმა 2015 წლამდე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გასხვისებაზე მორატორიუმი დააწესეს**, თუმცა ამჯერად **ქართულ სასამართლოს** ჩვენებურმა **„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ მიმართა, მიეცით გზა ფართო სასოფლო-სამეურნეო მიწების გასხვისებასო.** სასამართლომ **კვერი ამჯერადაც დაუკრა**, არ დაჩაგროთ საქართველოში მიწის შეძენის მსურველი უცხოელებიო.

მეორე მხრივ, **თუ ამ ჩვენს ქვეყანაში დაუმუშავებელი მიწის რაოდენობას გავიხსენებთ, ლოგიკურია მისი მიყიდვა მათთვის, ვისაც დამუშავების სურვილი აქვს.** მაგრამ, თუ იმასაც დავუმატებთ, რომ პრობლემა მთლად მიწის დამუშავების სურვილი არ არის, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ამ უადგილო სწრაფვას უფლებების დაცვისკენ, რბილად რომ ვთქვათ, **ცუდი სუნი ასდის**.



ასდის, ვინაიდან, მაგალითად, **„დანიაში საკმაოდ შეზღუდულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გაყიდვა, განსაზღვრულია ზღვარი და არავის აქვს უფლება, იყიდოს 24 ჰექტარზე მეტი. თუ მეტი უნდა, სჭირდება ნებართვები მთავრობისგან.** ეს წესი ვრცელდება ადგილობრივებზეც და უცხოელებზეც. ოღონდ, უცხოელმა ძალიან ბევრ მოთხოვნას უნდა უპასუხოს: უნდა ჰქონდეს აგრარული განათლება, უნდა იყოს ფერმერი და 5 წლის განმავლობაში მაინც უნდა ეწეოდეს ფერმერობას მიწის ყიდვამდე, უნდა ჰქონდეს სოფლად ცხოვრებისა და შრომითი საქმიანობის გამოცდილება და შესაბამისი კაპიტალი.“

მაგალითად, **ავსტრიაში** უცხოელთა მიერ მიწის შეძენა რეგულირდება მიწების ცალკეული კანონებით. **უცხოელი უძრავი ქონების შეძენისთვის საჭიროებს ნებართვას.** ნებართვა კი გაიცემა, თუ ავსტრიის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ინტერესები არ შეილახება და, რაც მთავარია, უცხოელი ავსტრიის ტერიტორიაზე მინიმუმ 10 წელი ლეგალურად, კანონიერად უნდა იმყოფებოდეს. თუ უცხოელს ნაყოფიერი სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენა სურს ავსტრიაში, ის, ზემოთ მოცემულ ნებართვასთან ერთად, საჭიროებს დამატებით ნებართვას, რომელიც გაიცემა სპეციალური კომისიის მიერ. დაახლოებით იგივე რეგულირებაა ავსტრიის მიწების სხვა კანონმდებლობებითაც.

უფრო მკაცრი რეგულაციებია ევროკავშირის დანარჩენ ქვეყნებში, შესაბამისად, სრულიად გაუგებარია, **რატომ არ ითხოვს „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ სასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვისების ნორმების ევროკავშირულ ნორმებთან დაახლოებას** – ვითომ იმიტომ, რომ **ამაში გრანტის გამცემი ბუნებაში არ არსებობს?!** –

# უმადურები

**ამა წლის აგვისტოდან რფ-ში** კანონის ის ნორმა უნდა ამოქმედდეს**,** რის თანახმადაც, **ორმაგი მოქალაქეობა იკრძალება** და **თუ მოქალაქე სახელმწიფოს დაუმალავს, რომ სხვა ქვეყნის მოქალაქეცაა, დაისჯება**. კერძოდ, **სასჯელი ადმინისტრაციულით** – 500-1 000 რუბლის ჯარიმა – **იწყება** და და **სისხლის სამართლებრივით სრულდება** – ჯარიმა 200 000 რუბლამდე და 400 საათი სავალდებულო შრომა.

**ამ ფაქტმა ფრიად შეაშფოთა ჩვენებური**




**სეპარატისტები**, ვინაიდან სეპარატისტულ **აფხაზეთში მოქალაქეს დამატებით მხოლოდ რუსეთის მოქალაქეობის უფლება აქვს** და, **რაკი აფხაზეთი რფ-ს კმაყოფაზეა, იქაურთა აბსოლუტური უმრავლესობა ორმაგ მოქალაქეობას ფლობს**. თუმცა **შიშობენ, რომ საინფორმაციო ვაკუუმის გამო, მათ შესაძლოა შესაბამის ორგანოებს ვერ აცნობონ ეს ინფო** და ამიტომაც კანონის სანქციების მსხვერპლად იქცნენ. ასე მაგალითად, **აფხაზ-**

## შენ რომ ჩემთვის უფასოდ არ გიმკურნალიაო?!

**ეთის 52 000 პენსიონერი სოჭის ერთ-ერთ საერთო საცხოვრებელშია რეგისტრირებული** (რომ შეძლოს რუსული პენსიის მიღება), **რომლის მისამართიც უცნობია**. შესაბამისად, ისინი, უბრალოდ, ვერავის მიმართავენ მეორე მოქალაქეობის შესახებ ამბის მისაწოდებლად.

თუმცა მხოლოდ ეს არ უშფოთებს გულსა და სულს ჩვენს სეპარატისტ პარლამენტარებს: **რფ-ისგან მხოლოდ ბიუჯეტის შევსებას არ სჯერდებიან და ჯანმრთელობის უფასო დაზღვევასაც ითხოვენ**. რაკი **ენგურს იქით ქართველები ნებისმიერ აფხაზს უფასო მაღალტექნოლოგიურ სამედიცინო მომსახურებას სთავაზობენ** და უწევენ, **ჩვენ კი არ ვიცით, მკურნალობის პროცესში რა იდეოლოგიურ სამუშაოს ატარებენ ავადმყოფ აფხაზებთან**, ამის აღსაკვეთად ალტერნატიული **უფასო სამედიცინო მომსახურება გვჭირდებაო**.

სჭირდებათ, რადგან **რფ-ის ტერიტორიაზე რფ-ის მოქალაქე აფხაზებს მკურნალობენ, როგორც უცხოელებს** – მხოლოდ ფასიანად, **აფხაზეთის სამედიცინო დაწესებულებებში კი სამედიცინო მომსახურების სისტემა, ფაქტობრივად, არ არსებობს**.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ რფ-მ განაცხადა, მხოლოდ იმ ავადმყოფ აფხაზებს ვუმკურნალებთ, ვინც რფ-შია რეგისტრირებულიო, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, **ენგურს გადაღმა მყოფთა უმადურობა აშკარაა.** –

# თაღლითობა ქართულ-მეწარმულად

## ევროკავშირის გასაღები

ჩვეულებისამებრ, **საზოგადოებრივი აზრი ორად გაიყო**: ერთნი **გულით მიესალმებიან ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერას**, მეორენი – ვაი რომ, გადაგვეკეტება რუსული ბაზარი, ევროპულზე დამკვიდრება კი რთულზე რთულიაო (**თუმცა იოლი ფაფის ჭამაა, ისიც, თუ გააგრილებ** – ).

**სკეპტიკოსნი მოსთქვამენ**, რომ **ქართველ მეწარმეებს გაუჭირდებათ ევროკავშირის ნორმების დაკმაყოფილება** (ბუნებრივია, გაუჭირდებათ, რადგან, მაგალითად, **ქართულ ბაზარზე თეთრ ფქვილს სალებავს შეურევენ და რუხ, დიეტურ პურად გაასაღებენ** ან **პროდუქტს მცენარეული ცხიმისგან დაამზადებენ და რძის პროდუქტად შემოგვასაღებენ**, პრინციპით, ყველაფერი გენიალური – მარტივია!).



სამწუხაროდ, რადგან **ჩვენებურ მეწარმეთა დიდი ნაწილი ოსტატურად ფლობს და იყენებს თაღლითურ ილეთებს, რასაც მსხვილი სუპერმარკეტების არანაკლებ დახვეწილი თაღლითური სქემები ემატება**, უფლებადამცავი ორგანიზაციები მომხმარებელს აფრთხილებენ: თუ **ამა თუ იმ სუპერმარკეტში ამა თუ იმ პროდუქტზე გამოცხადებული სპეციალური დაბალი ფასი**, როგორც წესი, **სალაროსთან მაღალი აღმოჩნდება** (იმ იმედით, რომ მყიდველი ვერ მიხვდება ფასში 20-50-თეთრიან სხვაობას), **თქვენ გაქვთ პატრულის გამოძახებისა და სუპერმარკეტის პასუხისმგებელი პირის თაღლითობაში მხილების უფლება.**

# გამძლეობის ასამაღლებლად

## უპრეცედენტოდ დაიმედებულები

მართალია, **ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას ხელი გამოვკარით**, ახლა ჯერი ჩვენზეა, **კვლავ განაგრძობენ ჩვენი მეწარმეები თაღლითობასა და უხარისხო პროდუქციის წარმოებას თუ მაღალ-მაღალ სტანდარტებსაც შეეთამაშებიან**, მაგრამ, სამაგიეროდ, **თითქმის დაზუსტებითაა ცნობილი, რომ სექტემბერში „მაფს“ არ მოგვცემენ. –**

**არ მოგვცემენ**, თუმცა **გვაიმედებენ**, კერძოდ, როგორც ალიანსის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ჯეიმს **აპატურაი განმარტავს** (სხვათა შორის, „ფეისბუქზე“), **„უელსის სამიტზე ჩვენ წარმოვადგენთ უპრეცედენტო პაკეტს, რომლითაც საქართველო ალიანსს უფრო ღრმად და მნიშვნელოვნად დაუახლოვდება**, ვიდრე ეს ოდესმე ყოფილა „ნატოს“ არაწევრი ქვეყნების შემთხვევაში.“

იქვე შეგვაგულიანა, რომ **„საქართველო უახლოვდება „ნატოს“, შესაძლოა, არა გიგანტური ნაბიჯით, მაგრამ – სტაბილური ტემპებით**“ – .

ბ-ნი **აპატურაის პრელუდია-შეძახილი გენმდივანმა რასმუსენმაც გაამყარა** (ამჯერად „ნატოს“ მინისტერიალის საზეიმო გახსნისას): „ჩვენ მხარდაჭერას ვუცხადებთ ასპირანტ ქვეყნებს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ინტეგრირების პროცესში და ამ პროცესს ვერც ერთი ქვეყანა ვერ შეაჩერებს. **აღსანიშნავია საქართველო, რომელსაც ალიანსთან თანამშრომლობის ახალ, ძირითად პაკეტს ვთავაზობთ.“**

თუ გავითვალისწინებთ, რომ **„მაფზე“უკეთესი წინა ხელისუფლების დროს მოვიპოვეთ**, ახლა კი, თუ ზემოჩამოთვლილ პატიოსან გვამებს ვერწმუნებით, **უკეთესზე უკეთესს გვიმზადებენ** (გაძლიერებულ თანამშრომლობასო), სავარაუდოდ, **არაჟანს უნდა მივეძალოთ, რომ ღირსეულად გავუძლოთ** (გაძლიერებულ პარტნიორობას, რასაკვირველია).

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი
ინფიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია



50-კაციან ჯგუფში დამჭირდა „ჰამლეტის" ხსენება. ერთმა სტუდენტმა იცოდა მხოლოდ ჰამლეტის არსებობა და სწორედ ის ერთი იღიმებოდა უხერხულად და არა დანარჩენები

**2006-სა და 2011 წლების წიგნიერების საერთაშორისო კვლევაში, რომლის მიზანიც 9-10 წლის მოზარდების კითხვის უნარისა და მასთან დაკავშირებული ფაქტორების შესწავლა იყო და რომელშიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 173 სკოლა და 4796 მოსწავლე გახლდათ ჩართული, ჩვენმა მოსწავლეებმა საშუალოზე დაბალი შედეგი აჩვენეს (ჩვენ შემდეგ აზერბაიჯანი, ირანი, ყატარი, ომანი და მაროკოა, მოწინავე პოზიციებზეა რუსეთი). მეორე მხრივ, 9-10 წლის ასაკში მოსწავლეების კითხვის უნარის დაბალ დონეს განათლების რეფორმას ვერ დავაბრალებთ (იმ უბრალო მიზეზით, რომ რეფორმის შედეგი მხოლოდ განათლების ყველა საფეხურის გავლის შემდეგ ჩანს), სავარაუდოა, რომ უწიგნურობის პრობლემას სხვა – საზოგადოებრივი საფუძველიც აქვს. რატომ დაიწია განათლების საერთო დონემ თითქმის ყველა ასაკობრივ ჯგუფში და რა სავალალო შედეგს უნდა ელოდოს ქვეყანა, თუ დროულად არ გადაწყვეტს ამ პრობლემას, – თემას ფსიქოლოგ რამაზ საყვარელიძესთან ერთად განვიხილავთ.**

# რატომ აღარ არის მოდური განათლებულობა, რატომ არ გამოირჩევა ცოდნის დონით, ვისაც ფულის შოვნა შეუძლია და რატომ იქცა მსოფლიო ახალგაზრდების იდეალად მარიფათიანობა

**– ჩემი აზრით, განათლების რეფორმას ნაკლებად უკავშირდება ეს მაჩვენებელი, ვინაიდან განათლების მიღების საწყის ეტაპზევე ავლენენ ჩვენი ბავშვები განვითარების დაბალ დონეს. რა არის ამის მიზეზი: საზოგადოების განათლების საერთო დონე შემცირდა; განათლება აღარ განიხილება საზოგადოებაში, როგორც მნიშვნელოვანი რამ?**

– საყურადღებო მომენტზე გააკეთეთ აქცენტი, იმ თვალსაზრისით, რომ, როდესაც ვსაუბრობთ განათლების დაბალ დონეზე, როგორც წესი, თვალი გაგვირბის განათლების სისტემისკენ, მაგრამ ეს შედეგი ავლენს უფრო დიდ პრობლემას. ის ავლენს ეგრეთ წოდებული საოჯახო განათლების პრობლემას. საოჯახო განათლება, ალბათ, ის საფუძველია, რომლის გარეშეც, იდეალური განათლების სისტემაც რომ გქონდეს, მაინც ვერ მოუვლი ამ პრობლემას შესაბამისი მასშტაბით. იმიტომ რომ, 11-12 წლამდე ბავშვი ოჯახზეა ორიენტირებული. ოჯახია მისი ეტალონი, ოჯახის მიერ მიწოდებული იდეალებით ცხოვრობს და თუკი ოჯახმა ეს იდეალები ამ ათიოდე წელიწადში არ გაამყარა ბავშვში, მაშინ განათლების სისტემა მისთვის გამოდის, როგორც ტვირთი.

**– ჩემი შთაბეჭდილებით, ცოტაა მშობელი, რომელიც არ ეუბნებოდეს შვილს, რომ უნდა ისწავლოს. თუ მხოლოდ ლაპარაკი არ შველის, ბავშვი ცოცხალ მაგალითსაც უნდა ხედავდეს?**

– ნუ ვიმსჯელებთ იმაზე, რაც ჩვენი ვარაუდია. ჩვენ არ ვიცით, რას ეუბნებიან მშობლები შვილებს. მეორე – უამრავ რამეს და, რაც მთავარია, დამოკიდებულებებს ბავშვი სწავლობს არა ნათქვამით, არამედ – მიბაძვით. თუ ის არ უყურებს, რომ მშობელი კითხულობს, ანუ მშობელს აქვს სურვილი, ეზიაროს ინფორმაციას, ეს სურვილი ბავშვსაც არ გაუჩნდება, რამდენიც უნდა შეუძახონ. ამის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, ცხოვრების რა წესით ცხოვრობს მშობელი და ამით უნდა გაეცეს პასუხი კითხვას, რატომ არიან ჩვენი ბავშვები გაუნათლებლები. შევხედოთ ჩვენს ცხოვრებას: რესტორნებია უფრო მეტი საქართველოში თუ წიგნის მაღაზიები?!

**– წიგნის მაღაზია ერთიც არ დატოვეს რუსთაველის გამზირზე.**

– დატვირთულობა რესტორნის უფრო დიდია თუ იმ ცოტა წიგნის მაღაზიის?! ადამიანების მეტი რაოდენობა უფრო დიდი ხალისით რესტორნებშია, ვიდრე ბიბლიოთეკებში. იაკობ გოგებაშვილის სახელობის გენიალური ბიბლიოთეკაა თბილისში. შესანიშნავი ძველი ფსიქოლოგიური ლიტერატურა აქვთ. ჭაღარა ქალები დაფარფატებენ, გადაკრიალებულია იქაურობა, შესანიშნავად უვლიან, მაგრამ არავინ დადის იქ.

## იაპონიამ ორიენტაცია აიღო თითქმის სავალდებულო უმაღლეს განათლებაზე სწორედ იმიტომ, რომ მისი მუშა-პერსონალი ინტელექტუალური მუშა იყოს და არა მარტო კუნთების მუშა

**– ჩვენ აქტიურად ვსარგებლობდით ბიბლიოთეკებით, მათ შორის, იაკობ გოგებაშვილის სახელობის ბიბლიოთეკითაც. ახლა რატომ აღარ სჭირდებათ სტუდენტებს ბიბლიოთეკები?**

– ბიბლიოთეკა შეუძლებელია დღეს საჭირო იყოს სტუდენტისთვის, იმიტომ რომ, დღეს ლექტორი ითხოვს ინგლისურენოვან ლიტერატურას. ის ბიბლიოთეკა კი ჩამოყალიბდა რუსულენოვან პერიოდში. შესაბამისად, იქ შესანიშნავი რუსულენოვანი ლიტერატურაა. მაგრამ, რადგან ლექტორებსა და უნივერსიტეტს ორიენტაცია აქვთ ინგლისურენოვან ლიტერატურაზე, ძალაუნებურად, სტუდენტიც ეძებს ინგლისურენოვანს, მაგრამ ინგლისურენოვანი ლიტერატურა არ არსებობს საქართველოში.

**– რომ დაამატონ იმ ბიბლიოთეკებს და რუსულენოვანიც იყოს ლიტერატურა და ინგლისურენოვანიც?**

– ამას ზრუნვა უნდა. ის მოხუცი ქალბატონები ხომ ვერ დაამატებენ?!

**– ძალიან საინტერესო რამ მოხდა წინა ხელისუფლების დროს: პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 200 000 ლარი ბიბლიოთეკების ლიკვიდაციისთვის, ორიოდე წლის შემდეგ კი გამოიყო თანხა ბიბლიოთეკების შექმნისთვის.**

– სააკაშვილის ხელისუფლებამ შექმნა ეს პარადიგმა, რომ მხოლოდ ინგლისური ენა და არანაირი სხვა. ფაქტია, ჩვენ ისედაც მოვხვდით ისეთ ხაფანგში, საიდანაც აუცილებლად მივიღებთ გაუნათლებელ მომავალ თაობას.

**– იმიტომ რომ ინგლისურენოვანი ლიტერატურა არ გვაქვს, რუსულენოვანს არ და ვერ ვიყენებთ, ქართულენოვანი არ არსებობს?**

– ეს პროგნოზი ფრანგებმა გასული საუკუნის 90-იან წლებში გააკეთეს. და იმ მარტივი ლოგიკით, რაც თქვენ თქვით: ქვეყანას, სადაც ინგლისურენოვანი ლიტერატურა არ არის, რუსულზე ორიენტაცია მოხსნილია, სხვა გზა, რომ დარჩეს გაუნათლებელი, არ ექნება.

**– შეიძლება, ჩავთვალოთ, რომ ეს მიზანმიმართული პოლიტიკა იყო? თუ არ შემოიტან ინგლისურენოვან ლიტერატურას, მაშინ თარგმნე მაინც ქართულად, რაც რუსულად გაქვს, თუ საქმე ორიენტაციაშია?**

– ეს ის სირთულეა, რომელიც თუ არ გადაწყვიტე, აუცილებლად დაგაყენებს ფაქტის წინაშე, რომ შენი მომავალი თაობა იქნება გაუნ-

## ბაჩუკი



უცნობისთვისაც და ნაცნობისთვისაც, უბრალოდ, ბაჩუკი იყავი... თბილი, მზრუნველი, ყურადღებიანი... ამ ყველაფერთან ერთად შერწყმული პროფესიონალიზმი და უსაზღვრო გულისხმიერება... შენი იმქვეყნად წასვლა წარმოუდგენელი სისასტიკე და სრულიად ალოგიკური იყო... ბედისწერას არ ჰქონდა უფლება, ასე მოქცეოდა იმ უამრავ ადამიანს, რომელთათვისაც იმედი და ნუგეში იყავი... აღარ ხარ... წახვედი, მაგრამ ძველებურად უყვარხარ ყველას, ვინც თუნდაც ერთხელ მაინც შეგხვედრია. უყვარხარ მოწიწებით... უზომო პატივისცემით და ცრემლნარევი სევდით...

**მეგობრები**

ჟურნალი „თბილისელები" აცხადებს ჟურნალისტის ვაკანსიას.
*გასაუბრება* – ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.
**599-58-73-33.**

ათლებელი. მაგრამ ჩვენ ახდა ვლაპარაკობთ უმაღლესი განათლების საფეხურზე.

**– დიახ, ჩვენ გვაქვს 10 წლამდე და ცოტა უფროსი ასაკის ბავშვების განვითარებისთვის საჭირო ქართულენოვანი ლიტერატურა.**

– არაჩვეულებრივი ლიტერატურა გვაქვს. წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა წიგნის გამოფენაზე სწორედ საბავშვო ლიტერატურის სიუხვემ და ბევრიც ყიდულობდა, მაგრამ გამოფენაზე გაყიდული წიგნების რაოდენობა ვერ გადაფარავს გაუნათლებლობის იმ დიდ ლაქას, რომელიც დღეს ქართულ ცნობიერებას აქვს.

**– წლიდან წლამდე რომ განათლების დონე იკლებს, ამას ყოველგვარი კვლევების გარეშე ერთიან გამოცდებზე სხვადასხვა საგანში საშუალო ქულების კლების ტენდენციაც მოწმობს.**

– წელიწადში ათასამდე სტუდენტი გადის ჩემს ხელში. ამ თაობებში აშკარად არიან ბრწყინვალე სახეები, ბრწყინვალე გონების მქონე სტუდენტებიც, ზოგიერთს ბრწყინვალე განათლებაც აქვს, მაგრამ იქვე, მათ გვერდით, იმავე ჯგუფში დიდი ნაწილი საერთოდ არაფრით ინტერესდება და განათლების ძალიან დაბალი დონე აქვთ. 50-კაციან ჯგუფში დამჭირდა „ჰამლეტის“ ხსენება. ერთმა სტუდენტმა იცოდა მხოლოდ ჰამლეტის არსებობა.

**– გაგონილიც არ ჰქონდათ დანარჩენებს?!**

– ჩვენი ახალგაზრდობის განათლების ძირითადი წყარო ხომ ფილმები და თამაშებია?! „ჰამლეტი“ კი არც ფილმებშია და არც – თამაშებში. თავის დროზე ჩვენც რომ იგივე არ გვჭირდა, ამის მიზეზი იყო მოდა. თუ ესა და ეს წიგნი წაკითხული არ გქონდა, ეს ისეთივე სირცხვილად ითვლებოდა, როგორიც ტანსაცმლის მოდის ჩამორჩენა. დღეს ინტელექტუალური მოდა აღარ არსებობს. პირიქით, შეიძლება, სამარცხვინოც იყოს ინტელექტი. როდესაც აღმოჩნდა, რომ მხოლოდ იმ ერთ სტუდენტს ჰქონდა წიკითხული „ჰამლეტი“, მორცხვი გამომეტყველება იმ ერთ ბავშვს ჰქონდა და არა დანარჩენებს. ასე რომ, ჩვენი პრობლემა არა ბავშვებია, არამედ – საზოგადოება, რომლის არაინტელექტუალობის მსხვერპლი ბავშვებია. ეს პრობლემა საქართველოს ჰქონდა და გაიხსენეთ ლუარსაბ თათქარიძე, როგორც ტიპაჟი. მას განათლების დამფინანსებელი კი არ აკლია, არამედ განათლების მიღების სურვილი.

**– კონკრეტულად არ დავასახელებ, მაგრამ წინა ხელისუფლებაში ბევრი არაინტელექტუალი სახე იყო, როგორც პარლამენტარი თუ გუბერნატორი, ისე მინისტრი, რომელთა შემხედვარე მოზარდი ფიქრობდა: რატომ უნდა ვისწავლო, თუ საშუალოზე დაბალი ინტელექტი საკმარისია, რომ გავხდე წარმატებული?! ახლაც არ არის ხელისუფლებაში ინტელექტუალთა ცვენა.**

– მე ასე ვიტყოდი: განათლების ტვირთის ტარება ცოტა ვინმეს ეტყობა.

**– კი ბატონო. და ახლაც იმავეს ფიქრობს მოზარდი: რატომ უნდა ვისწავლო, თუ შემიძლია, რომ არ ვისწავლო და სულ სხვა უნარებია საჭირო, რომ ვიყო წარმატებული?**

– მე უფრო დავამძიმებ თქვენს მაგალითს. განათლების პრობლემა მსოფლიო პრობლემა გახდა. მეოცე საუკუნე განსაკუთრებით და ოცდამეერთე, მით უმეტეს, არის ბიზნესის წარმატების საუკუნე. ამ ეპოქაში საზოგადოებაში ყველაზე წარმატებულ და ძლიერ ფენად მიიჩნევა ხალხი, ვისაც შეუძლია ფულთან წარმატებით ურთიერთობა. და, როგორც სამწუხარო სტატისტიკა გვიჩვენებს, ძალიან ბევრი მათგანი ჩვენთანაც და უცხოეთშიც დიდი განათლებით არ გამოირჩევა.

**– სამაგიეროდ, არიან მარიფათიანები.**

– ძალიან სპეციფიკური უნარების ერთობლიობაა ბიზნესმენობა. ახალგაზრდები უყურებენ ამ ადამიანებს და მათთვის გაუგებარია, რატომ უნდა მოიკლას თავი ზოგადი განათლებისთვის, როდესაც შეუძლია, ვიწრო ბიზნესგანათლებით მიაღწიოს წარმატებას?!

**– მაგრამ ყველა ვერ იქნება ბიზნესმენი და არც ამდენი ფულია, რომ ყველამ იშოვოს?**

– მაგრამ ამაზე არ ფიქრობს ადამიანი. კონკურსი რის მიხედვით ეწყობა? იმიტომ ხომ არა, რომ ყველა იქნება დიპლომატი? იმიტომ რომ, ყველას აქვს სურვილი, გახდეს დიპლომატი. შესაბამისად, ახალგაზრდები ასეთ ადამიანებს ირჩევენ იდეალად. ამას რეპრეზენტაციული ჯგუფები ჰქვია, მაგრამ ტერმინებით არ გადავიტვირთოთ. რუსეთი ახსენეთ: რუსეთის სპეციფიკა სწორედ ისაა, რომ მას თავისი ინტელიგენცია მოაქვს, როგორც იდეალური ადამიანების ერთობლიობა.

**– დასავლეთი ორიენტირებულია ფულის შოვნაზე, მაგრამ იქ სახელმწიფოები აფინანსებენ არარენტაბელურ საგანმანათლებლო**

**განათლების პრობლემის გადაწყვეტას მინიმუმ 25-დან 30 წელი სჭირდება, ამიტომ ამის გადაწყვეტაში არც ერთი ხელისუფლება არ არის დაინტერესებული, რადგან ამ პერიოდის შემდეგ ისინი აღარ იქნებიან ხელისუფლებაში**

**მიმართულებებს. რაც უნდა მარიფათიანი იყო და ბევრი ფული იშოვო, თუ არ შექმნეს წამალი, რომელიც მოგარჩენს, მოკვდები უდროოდ და დაგრჩება ფული ოხრად. თუ არ განვითარდა მეცნიერება, ვერ იცხოვრებ კომფორტულად, ანუ ვერ დახარჯავ ნაშოვნ ფულს.**

– თქვენ პოლიტიკური რაკურსი მიეცით თემას. ჩვენ აქამდე ვლაპარაკობდით იმაზე, თუ რატომ შეიძლება, დაეკარგოს პიროვნებას სწავლის სურვილი. რაც შეეხება პოლიტიკას: „დისქავერი“, „ნეშენელ გეოგრაფიკი“ და მსგავსი შემცნებითი სატელევიზიო არხები სახელმწიფოს ხელდასმით წამოიწია წინ თავის დროზე, რადგან სახელმწიფომ ნახა, რომ თაობებმა შეიძლება, დაკარგონ ინტერესი საერთო განათლების მიმართ. რაც მთავარია: თავად სახელმწიფოს რაში სჭირდება ეს განათლება?!

**– რომ კარგი შეიარაღება ჰქონდეს, ცხოვრების კარგი პირობები შეუქმნას თავის მოქალაქეებს, რომ აჯობოს კონკურენტ სახელმწიფოებს.**

– მართალი ბრძანდებით, მაგრამ კიდევ ერთი ნიუანსის დამატებაა საჭირო: აღმოჩნდა, რომ ის იდეები, რომლითაც კარგ ტანკსა თუ მანქანას გააკეთებ, უჩნდება ზოგადი განათლების მქონე ადამიანს, ვიდრე ვიწრო განათლების მქონეს. მაგალითად, იაპონიამ ორიენტაცია აიღო თითქმის სავალდებულო უმაღლეს განათლებაზე სწორედ იმიტომ, რომ მისი მუშა-პერსონალი ინტელექტუალური მუშა იყოს და არა მარტო კუნთების მუშა.

**– იაპონიაში, თურმე, დამლაგებელს წერითი და ზეპირი გამოცდის ჩაბარება უწევს.**

– ანუ ინტელექტუალიზებულია თვითონ ეს პროფესია. თუ სახელმწიფო დაფიქრდება, დღეს არსებული გაუნათლებლობის მოდა ხელს არ აძლევს არავის, მათ შორის არც სახელმწიფოს, მაგრამ ამის ფიქრის ნიშნები არ გვეტყობა.

**– როგორ გავხადოთ მოდური განათლება?**

– მოდური რომ გახდეს, ამისთვის მკაფიო უნდა იყოს, რომ საჭიროა განათლება. მაგალითად, ბანკების ხელმძღვანელებს საკმაოდ საფუძვლიანი უმაღლესი განათლება აქვთ მიღებული, წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთ სერიოზულ ბიზნესს ხელს არ მოკიდებდნენ. საქართველოში უნდა შეიქმნას პირობები, რომ სერიოზული ბიზნესის ხელმძღვანელობა ან მასში თანამშრომლად ყოფნა საგანმანათლებლო ბაზის გარეშე შეუძლებელია. ეს პრაგმატიზმი შემდეგ აიძულებს ადამიანს, რომ განათლებაზე აიღოს ორიენტაცია. მეორე – მოდა უნდა შეიქნას და ამ მოდას ქმნიან წამყვანი სახეები.

**– მაგალითად, ერთ-ერთ წამყვან სახედ გვყავს ვარსკვლავი ნინა წკრიალაშვილი.**

– ეგ კიდევ სხვა რამის შედეგია. საქართველოში უბრალოდ მოისპო კრიტიკა: ერთი კინოკრიტიკოსი გვყავს: გიორგი გვახარია და ერთი თეატრალური კრიტიკოსი – დათო ბუხრიკიძე. განათლების პრობლემის გადაწყვეტას მინიმუმ 25-დან 30 წელი სჭირდება, ამიტომ ამის გადაწყვეტაში არც ერთი ხელისუფლება არ არის დაინტერესებული, რადგან ამ პერიოდის შემდეგ, ისინი აღარ იქნებიან ხელისუფლებაში.

**– არც სახელის დატოვება აინტერესებთ?**

– აი, მაგას უკვე კულტურის სხვანაირად აწყობა უნდა. ჩვენ გვქონდა კულტურა, რომელიც ამბობდა: „სჯობს, სახელისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსა“. მივამატებ, რომ ამას რუსთაველი ამბობდა. აი, ეს დღეს აღარ არსებობს. მაგალითად, ექვთიმე თაყაიშვილი სიღარიბეში ცხოვრობდა და ისე დაატარებდა ზურგით საქართველოს განძს, რომ ერთი ნივთის გაყიდვა თავში აზრად არ გაუვლია. კარგი გაგებით, სახელის მოხვეჭა იყო მისი მოტივი. მან არ იცოდა, გაიხსენებდა თუ არა შთამომავლობა, მაგრამ თვითონ ეამაყებოდა. ექვთიმე თითქმის ჩვენი თანამედროვეა და ამიტომ გავიხსენე. დღეს კი გვეუბნებიან, დიდი პრემიები და ხელფასი უნდა დაუნიშნო, რომ არ მოიპაროსო. მეორე – ჩვენ ბრმად გადმოგვაქვს ის, რაც სხვაგანაა. ეს დიდი ხანია, მოგვდევს, დავითისა და თამარის ეპოქის შემდეგ გვიდგას ეს პრობლემა. სულ სხვებზე გავხდით ორიენტირებულები. ასე რომ, პატარა ტვირთის აწევა არ გვიწევს და არ ვიცი, ავწევთ თუ არა.

**ნინო ხაჩიძე**


**გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები“**

***შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში***

„მაცნე“ – 214-39-06;
„პლანეტა“ – 251-75-21;
„ელვასერვისი“ – 238-80-02;
„ინფოსერვისი“ – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია“ – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია“ – 294-32-32

**ცნობილია, რომ ევრაზიული კავშირის იდეის მამის, ალექსანდრ დუგინის, აზრით, ოსებსა და აფხაზებს მეგრელებიც მიჰყვებიან და საქართველოს შემადგენლობიდან გავლენ. ისიც ცნობილია, რომ ჩრდილოური სპეცსამსახურები აქტიურად ამუშავებენ მეგრული და სვანური სეპარატიზმის იდეას სოციალურ ქსელებში, განსაკუთრებით, აფხაზი სეპარატისტების მონაწილეობით (თითქოს აფხაზეთიდან დევნილების 99,99 პროცენტი სწორედ მეგრული წარმოშობის ქართველი არ ყოფილიყოს). რატომ ხარჯავენ დროს ამ უტოპიური აზრების გავრცელებისთვის, ვის ყურებზეა გათვლილი მეგრელთა და სვანების არაქართველობის ვერსია და არის თუ არა იოტისოდენად პერსპექტიული მაინც? – ამ კითხვებზე პასუხის მიღებას პოლიტიკური პარტია „ევრაზიის“ აღმასრულებელი კომიტეტის ხელმძღვანელ და გეოპოლიტიკური ექსპერტიზის ცენტრის დირექტორისა და ალექსანდრ დუგინის მარჯვენა ხელისგან, ვალერი კოროვინისგან შევეცდებით.**

# საქართველოს დაშლის რა გეგმის განხორციელებას იმედოვნებენ ევრაზიული იდეის მამები და რატომ ელიან სამეგრელოს გასვლას ერთიანი ქართული სივრციდან

**– ბატონი დუგინი გამოთქვამს მოსაზრებას, აფხაზებსა და ოსებს მიჰყვებიან მეგრელებიცო. ვფიქრობ, თქვენ ეთანხმებით მას. რა გაძლევთ ასეთი დასკვნის გაკეთებისა და მეგრელების, როგორც არაქართველების, აფხაზ და ოს სეპარატისტებთან ერთ კონტექსტში მოაზრების საფუძველს?**

– ასეთი მსჯელობის საფუძველი არის საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ქართული ნაციონალური სახელმწიფოს შექმნის პროექტის გაგრძელება. სანამ საქართველოს ხელისუფლება დაიჟინებს, რომ საქართველო არის სახელმწიფო-ნაცია და მიჰყვება სახელმწიფოს მშენებლობის ამ ევროპულ კონცეფციას, ის ერთი მეორის მიყოლებით დაკარგავს ტერიტორიებს. რადგან ნაციონალური სახელმწიფოს მშენებლობა გულისხმობს უნიფიკაციას და სოციალურ ჰომოგენიზაციას. ეს პროცესი ყველგან და ყოველთვის, უპირველესად, ევროპაში დაკავშირებული იყო ისეთ მოვლენასთან, როგორიცაა ეთნოციდი. რაც, თავის მხრივ, დაკავშირებულია იდენტურობასთან. რომელიც, ჩემი აზრით, ნებისმიერი ადამიანისთვის არის მთავარი ღირებულება. იდენტურობა არის თითოეული ადამიანის არსებობის საზრისი, იდენტურობის დაკარგვა იმდენად მტკივნეული პროცესია, რომ ადამიანი მზადაა ნებისმიერი მსხვერპლისთვის ამის თავიდან ასაცილებლად. ქართული ნაციონალური სახელმწიფოს მშენებლობის პროექტი უკავშირდება საქართველოში მცხოვრები ყველა ეთნოსის გათქვეფას ქართულ სამოქალაქო საზოგადოებაში. ევროპაში ნაციონალური სახელმწიფოების შექმნას დასჭირდა 200-300 წელი, მაგრამ არა 20-30 წელი, რასაც ჩვენ ვხედავთ პოსტსაბჭოთა სივრცეში და, მათ შორის, საქართველოში.



ევროპაში ეთნოსები ჯერ იქცნენ ხალხად, შემდეგ ხალხები შეერწყნენ ერთმანეთს იმპერიებში, ბოლოს იმპერიები დაიშალნენ ნაციონალურ სახელმწიფოებად

**– დღევანდელი აფხაზები და მით უმეტეს, ოსები ქართველები არ არიან, მეგრელები მანამდეც კი, სანამ რუსეთი საერთოდ კავკასიაში გამოჩნდებოდა, თავს მიიჩნევდნენ ქართველებად, ისევე, როგორც ქართლელები, კახელები, სვანები, გურულები, რაჭველები... მათ არავინ აიძულებს გაქართველებას. ისინი უბრალოდ ქართველები არიან. თქვენ რატომ წუხდებით მათ ბედზე, როდესაც მათ არ აწუხებთ ეს პრობლემა?**

– თქვენს კითხვაში არის შინაგანი წინააღმდეგობა. მეგრელები არ არიან იმის წინააღმდეგნი, რომ იყვნენ ქართველები. თქვენ ჩამოთვალეთ რამდენიმე ეთნიკური ჯგუფი...

**– მე ყველა ქართველურ ჯგუფს ვგულისხმობდი, უბრალოდ ყველა არ ჩამომითვლია.**

– ანუ საქართველო პოლიეთნიკურია, ის შედგება მრავალი ეთნოსისგან. რა არის ქართველი? ეს არის პოლიეთნიკური ხალხი, ისევე, როგორც რუსები, რომელმაც მოახდინა სხვადასხვა ეთნოსის ინტეგრირება.

**– ყველა ხალხი ასე ჩამოყალიბდა თავის დროზე.**

– ყველა არა, მაგრამ უმეტესობა. ქართველობა არის კოლექტიური იდენტურობა. მაგრამ, თუ ადამიანი ამბობს, რომ მეგრელია, ესე იგი, ის მეგრელია; თუ ადამიანი ამბობს, რომ ქართველია, ის ქართველია, მას არ შეუძლია, იყოს ერთდროულად ქართველიც და მეგრელიც. მას შეუძლია თქვას, რომ ის მეგრელია ქართული ფესვებით, ან, ვთქვათ, რუსი კავკასიური ფესვებით, მაგრამ, თუ ადამიანი ამბობს, რომ ვარ მეგრელი, ესე იგი, ის არის არაქართველი, ანუ მეგრელი. ქართველი ხდება მაშინ, როდესაც ქართველობას აღიარებს დომინირებულად და უარს ამბობს მეგრულ იდენტობაზე. ის მაშინ ნებაყოფლობით ხდება ქართველი. მაგრამ, სანამ ადამიანები საქართველოს ტერიტორიაზე ამტკიცებენ, რომ არიან მეგრელები, ისინი რჩებიან ამ ტრადიციულ ეთნოსად.

**– თქვენ იცნობთ პირადად ასეთ ადამიანებს და რამდენი გეგულებათ საქართველოში, რომლებიც ამტკიცებენ, რომ არიან მეგრელები და არ არიან ქართველები?**

– ეს არ არის მნიშვნელოვანი.

**– როგორ არა, ეს ძალიან მნიშვნელოვანია.**

– პოლიეთნიკური ქართველები კოლექტიური სუბიექტია, აი, ნაციონალური სახელმწიფო საქართველოს კი ეს ხალხი გადაჰყავს სამოქალაქო საზოგადოებაში და ქართული პოლიტიკური ნაციის ნაწილი ხდება არა მხოლოდ ქართველი.

**– რა თქმა უნდა, საქართველოს სახელმწიფოს მოქალაქეა ყველა, ვინც ფლობს მის მოქალაქეობას.**

– ვინც მიიღო ქართული პასპორტი, ის უკვე საქართველოს მოქალაქეა, ის ეკუთვნის ქართულ ნაციონალურ სახელმწიფოს, ანუ არის ქართული პოლიტიკური ნაციის ნაწილი. ამიტომ ქართული პოლიტიკური ნაცია არ არის იგივე, რაც ქართველი ხალხი. ქართული ნაციონალური სახელმწიფო არის სამოქალაქო საზოგადოება, სადაც იდენტობასა და წარმოშობას არ აქვს მნიშვნელობა. ეს პროცესი ევროპაში თანმიმდევრულად ხდებოდა: ეთნოსები ჯერ იქცნენ ხალხად, შემდეგ ხალხები შეერწყნენ ერთმანეთს იმპერიებში, ბოლოს იმპერიები დაიშალნენ ნაციონალურ სახელმწიფოებად. ახლანდელ საქართველოში კი ტრადიციული ეთნოსები, ქართველი ხალხი და ქართული ნაციონალური სახელმწიფო თანაარსებობენ, რაც განსაზღვრავს ამ კონსტრუქციის არამდგრადობას.

**თუ ადამიანი ამბობს, რომ მეგრელია, ესე იგი, ის მეგრელია; თუ ადამიანი ამბობს, რომ ქართველია, ის ქართველია, მას არ შეუძლია, იყოს ერთდროულად ქართველიც და მეგრელიც**

**– არამდგრადი რატომაა?**

– საქართველოს ყველა მოქალაქეს ეუბნებიან, რომ ისინი ქართველები არიან.

**– არა, მათ ეუბნებიან, რომ ისინი არიან საქართველოს მოქალაქეები და ისინიც ამას ეთანხმებიან.**

– არა, მათ ეუბნებიან: ისინი ცხოვრობენ ქართულ ნაციონალურ სახელმწიფოში, ამიტომ ისინი უნდა გაქართველდნენ.

**– საიდან მოიტანეთ? ყველას აქვს თავისი კულტურული და რელიგიური წესები და დღესასწაულები.**

– ეს არის ნაციონალური სახელმწიფოს არსებობის პირობა, მაგრამ, თუ თქვენ ლაპარაკობთ მათი იდენტობის შენარჩუნებაზე, ეს სახელმწიფო-ნაცია კი არა, სახელმწიფო-იმპერიაა, რომელიც გულისხმობს სტრატეგიულ მრავალფეროვნებას.

**– რა მნიშვნელობა აქვს, რას დავარქმევთ, მთავარია, ადამიანების უფლებები არ ირღვევა.**

– როგორ არ ირღვევა, როდესაც ისინი, როგორც სუბიექტები, არ არსებობენ?!

**– როგორ არ არსებობენ?! ისინი საქართველოს მოქალაქეები არიან, აქვთ კულტურული, რელიგიური ცენტრები.**

– რომელ ნორმატიულ დოკუმენტში წერია, რომ მეგრელებსა თუ სხვა ხალხებს აქვთ განსხვავებული იურიდიული სტატუსი?

**– მეგრელებს რა განსხვავებული იურიდიული სტატუსი უნდა ჰქონდეთ?! ანუ მეგრელი და სომეხი, მეგრელი და რუსი, მეგრელი და ფრანგი ეს ერთი და იგივე გგონიათ?!**

– მათ არ აქვთ იურიდიული სტატუსი, ისინი არიან საქართველოს მოქალაქეები.

**– მეგრელებს არანაირი სტატუსი არ უნდათ, ეს თქვენ ამბობთ, რომ მათ უნდა ჰქონდეთ სტატუსი.**

– თქვენ გადაწყვიტეთ, რომ მათ არ უნდათ სტატუსი.

**– არა, ეს მათ გადაწყვიტეს.**

– როდესაც სახელმწიფო ამბობს, რომ თქვენ ხართ საქართველოს მოქალაქეები და არანაირი მეგრელები არ არსებობენ იურიდიულად, ის ახორციელებს ნაციონალური სახელმწიფოს პროექტს. თქვენ შეგიძლიათ, რამდენიც გინდათ, მიმტკიცოთ, რომ მეგრელებს არ უნდათ იყვნენ მეგრელები.

**– მე არ გიმტკიცებთ, მე ფაქტს გეუბნებით.**

– მაგრამ ეს ნიშნავს მეგრელების ძალისმიერ გაქართველებას, რაც მათ არ უნდათ, თუნდაც, ამის შესახებ ხმამაღლა არ ლაპარაკობდნენ. თუ სახელმწიფო დაიჟინებს, რომ მეგრელები უნდა გაქართველდნენ, ეს სივრცე გამოვა საქართველოს შემადგენლობიდან.

**– ყოფილხართ სამეგრელოში, გისაუბრიათ იქაურებთან?**

– მე კოსმოსშიც არ ვყოფილვარ. არც კოსმოსის მკვლევარები ყოფილან კოსმოსში.

**– კოსმოსი ერთია, მაგრამ ცოცხალი ად-**

# რა კარიერული გზა გაიარა დიმიტრი ქუმსიშვილმა „ქართუ ბანკიდან“ ეკონომიკის მინისტრის პირველ მოადგილეობამდე

ეკონომიკის მინისტრის პირველი მოადგილე დიმიტრი ქუმსიშვილი 1974 წელსაა დაბადებული. მან კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა დაამთავრა და 1992-1998 წლებში თსუ-ის ეკონომიკის ფაკულტეტზე სწავლობდა, სპეციალობით: აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტი. 2005-2007 წლებში კი „სერმა მენეჯმენტის სკოლაში“ გაიარა ბიზნესადმინისტრირების მაგისტრის პროგრამა.

მისი შრომითი ბიოგრაფია 1995 წელს იწყება „გაერთიანებულ ქართულ ბანკში“, სადაც მან წამყვან სპეციალისტად 1996 წლამდე იმუშავა, ვიდრე შპს „აუდიტკონსალტინგში" გადავიდოდა, სადაც 1997 წლამდე რევიზორად მუშაობდა. 1997-ში 1999-ის ჩათვლით „ქართუ ბანკის“ ხაზინის უფროსი იყო; 1999-2011 წლებში „ბანკ ქართუს“გენერალური დირექტორის პირველ მოადგილედ დააწინაურეს. 2010 წლიდან კი (2012 წლის ნოემბრამდე) შპს „გლობალ კონტაქტ კონსალტინგის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი გახდა. ამის პარალელურად, 2011-2012 წლებში ჰოლდინგ „პალიტრა მედიის“ ბიზნესგანვითარების დირექტორიც იყო. 2012 წლის ნოემბრამდე შპს „რეშენალ სოლუშენის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედაც იმუშავა და იმავე პერიოდში, დაწყებითი ბიზნესის და ინოვაციების საინვესტიციო ფონდის დირექტორადაც; ხოლო 2012 წლის 30 ოქტომბრიდან ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პირველ მოადგილედ დაინიშნა.

დიმიტრი ქუმსიშვილის მიერ ჩინოვნიკის ამპლუაში პირველად შევსებული დეკლარაცია 2012 წლით თარიღდება. ოჯახის წევრებად მიუთითა მეუღლე – ნატალია თევდორაშვილი და სამი შვილი: 1996 წელს დაბადებული იოსები, 2003 წელს დაბადებული ირაკლი და 2008 წელს დაბადებული ნინო.

დიმიტრი ქუმსიშვილის საკუთრებაა: საცხოვრებელი ბინა თბილისში, თამარ მეფის გამზირზე (ფართობი 24 კვ.მ); მეორე საცხოვრებელი ბინა იმავე მისამართზე (ფართობი 34 კვ.მ); საცხოვრებელი ბინა თბილისში, შარტავას ქუჩაზე (ფართობი 189 კვ.მ); საცხოვრებელი სახლი თბილისში, ლამისყანის ქუჩაზე (ფართობი 312 კვ.მ); მიწის ნაკვეთი ლამისყანის ქუჩაზე (ფართობი 451 კვ.მ).



ნატალია თევდორაშვილის საკუთრებაა საცხოვრებელი ბინა თბილისში, გიორგი ბრწყინვალის ქუჩაზე (ფართობი – 55 კვ.მ); მიწის 2 ნაკვეთი წყნეთში, ეგრეთ წოდებული ნუშის ბაღის ტერიტორიაზე (ფართობი 603 და 504 კვ.მ) და საცხოვრებელი ბინა თბილისში, ქავთარაძის ქუჩაზე (ფართობი 58 კვ. მ). იოსებ ქუმსიშვილს კი დიმიტრი ქუმსიშვილთან ერთად ეკუთვნის საცხოვრებელი ბინა თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე (ფართობი 40 კვ.მ).

დიმიტრი ქუმსიშვილს ჰყავს 2006 წლის ავტომანქანა „მერსედესი“, მის მეუღლეს კი იმავე ასაკის „ჰიუნდაი ტიუსონი“. ასევე, დიმიტრი ქუმსიშვილს აქვს „რიკო კრედიტის“ ორი, საერთო ჯამში, 20 000 აშშ დოლარის ღირებულების თამასუქი, „ქართუ ბანკში“ გახსნილ დეპოზიტზე 1 000 აშშ დოლარს ინახავს, „თი ბი სი ბანკში“ – 20 000 აშშ დოლარს. ნატალია თევდორაშვილსაც ორი დეპოზიტი აქვს, რომლებზეც 40 000 აშშ დოლარი და 4 000 ევრო ერიცხება.

2011 წლის განმავლობაში დიმიტრი ქუმსიშვილმა, როგორც „ქართუს“ გენერალური დირექტორის პირველმა მოადგილემ, 89 040 ლარი აიღო, ხოლო, როგორც „კვირის პალიტრის“ ბიზნესის განვითარების დირექტორმა, 5 000 ლარი. დიმიტრი ქუმსიშვილმა 2007 წელს „თი ბი სი ბანკიდან“ 110 000 აშშ დოლარის ოდენობის სესხი აიღო (2012 წლამდე), რომლის მომსახურებაც 2011-ში 13 207 აშშ დოლარი დაუჯდა. მას სხვა შემოსავლიც ჰქონდა: კერძოდ, ავტომანქანა 12 000 აშშ დოლარად გაასხვისა, სამაგიეროდ, 20 000 აშშ დოლარად ახალი ავტომანქანა შეიძინა, ხოლო აქციების რეალიზაციიდან 13 905 ლარი მიიღო. 2014 წლის დეკლარაციის უძრავ-მოძრავი ქონების ნაწილში ცვლილება არ არის. რაც შეეხება შემოსავლებს: 2013 წლის განმავლობაში დიმიტრი ქუმსიშვილმა, როგორც ეკონომიკის მინისტრის პირველმა მოადგილემ, 92 350 ლარი აიღო. თამასუქის სარგებელმა 4 528 ლარი შეადგინა, ხოლო შვილის, ირაკლი ქუმსიშვილს სწავლა 5 200 ლარი დაუჯდა. ასევე, როგორც შპს „რეშენად სოლუშენის“ პარტნიორმა, 8 700 ლარი აიღო.

**ნინო ხაჩიძე**

---

**ამიანები – მეორე.**

– მე ვმსჯელობ ეთნოსოციოლოგიური ლოგიკით. ვაანალიზებ ვითარებას.

**– არაქართველებს, როგორც წესი, არ ესმით, რომ, ვთქვათ, მე ვარ ქართლელი, ჩემი მეგობარი – გურული, მეორე მეგობარი – სვანი, მაგრამ ჩვენ ყველანი ვართ ქართველები. ეს მოცემულობა ერთდროულადაა ჩვენს ცნობიერებაში. შესაძლოა, რთული აღსაქმელია სხვისთვის, მაგრამ ქართველი იმიტომ ვარ, რომ ვარ, ვთქვათ, გურული და გურული იმიტომ ვარ, რომ ვარ ქართველი.**

– ეს რთული გასაგები არ არის. მაგრამ, როდესაც თქვენი ელიტები ამბობენ, რომ ისინი აშენებენ ქართულ ნაციონალურ სახელმწიფოს, მათ მხედველობაში აქვთ უნიფიკაცია, აღმოფხვრა ამ განსხვავებების. ისინი ამბობენ: მოდი, იყოს შერეული ქორწინებები.

**– თქვენ შერეულ ქორწინებებს უწოდებთ გურულის და კახელის, მეგრელისა და ქართლელის ქორწინებას?**

– დიახ.

**– რას ამბობთ?!**

– ან გურული ან უკრაინელი, გურული ან აზერბაიჯანელი.

**– მე ასე არ ვახარისხებ: ჩვენ ვამბობთ, ქართველისა და უკრაინელის შერეული ოჯახი და არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ის ქართველი გურულია თუ სვანი.**

– გასაგებია, მაგრამ, სანამ ადამიანი ახსენებს თავის წარმომავლობას, მას მხედველობაში აქვს თავისი ეთნიკური წარმომავლობა. ეს პოსტსაბჭოთა მემკვიდრეობაა, როდესაც მარქსისტისთვის სულერთი იყო ეთნიკური წარმომავლობა.

**– ჩვენ ვაგებთ ჩვენს ნაციონალობას არა მარქსის მოძღვრებაზე, არამედ იმაზე, რას გვეუბნებოდა ილია ჭავჭავაძე.**

– ნაციონალიზმი ეფუძნება მარქსიზმს, ეთნოსი ერთია, ხალხი – მეორე, პოლიტიკური ნაცია – მესამე. თქვენ კი ინერციით ყველას ქართველებს უწოდებთ.

**– ეს ინერცია არ არის, ეს ჩვენი განვითარების ნაყოფია. ჩვენი სახელმწიფო, ჩვენი ცნობიერება ასე ჩამოყალიბდა.**

– ჩემი აზრით, საქართველო არის მინი-იმპერია, ის თავის თავში მოიცავს ეთნიკურ და კულტურულ მრავალფეროვნებას და სტრატეგიულად აერთიანებს მრავალ ხალხსა და ეთნოსს ერთ სახელმწიფოში, ეს იმპერიული სახელმწიფოა, მაგრამ ნორმატიულად საქართველოში ნაცია-სახელმწიფოს აშენებენ; ეს კლავს ყველა ეთნიკურ თავისებურებას და ადამიანი, რომელიც ხვდება ამას, ცდილობს, შეინარჩუნოს თავისი იდენტობა და როცა საქმე ეხება მთელ ხალხს, ის ხალხი ამბობს, ჩვენ არ გვინდა ქართველობა.

**თუ სახელმწიფო დაიჟინებს, რომ მეგრელები უნდა გაქართველდნენ, ეს სივრცე გამოვა საქართველოს შემადგენლობიდან**

**– და თქვენ ფიქრობთ, რომ მეგრელები აპროტესტებენ ქართველობას?**

– დიახ და სწორედ ეს არის მამოძრავებელი ძალა, რომელიც გამოყოფს მეგრელებს საქართველოს შემადგენლობიდან.

**– სად ხედავთ თქვენ ამ სურვილს და მოძრაობას?**

– სანამ ქართული სახელმწიფო არ იჟინებს მეგრელების უნიფიკაციას, ისინი არიან საქართველოს შემადგენლობაში, მაგრამ ჯერჯერობით ქართული პოლიტიკური ელიტა თვალთმაქცობს, როცა ამბობს, რომ არ აშენებს ნაციონალურ სახელმწიფოს.

**– ჩრდილოეთ ოსეთში ოსური ენა ავტონომიის სახელმწიფო ენაა? შესაძლებელია ოსურ ენაზე განათლების სრული ციკლის მიღება?**

– არა სახელმწფიიო ენის სტატუსი არ აქვს ოსურს.

**– და როგორ ინარჩუნებენ ისინი თავიანთ იდენტობას ენის გარეშე? ვითარდება ოსური ენა ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიაში?**

– იქ არის ოსური სკოლები, თუმცა უმაღლეს სასწავლებლებში ოსურ ენაზე სწავლება არ არის.

**– ჩრდილოეთ ოსეთში ზოგიერთ სკოლაშია მეოთხე კლასამდე ოსურად სწავლა.**

– მეტი საჭირო არ არის, იმიტომ რომ ადამიანი სწავლობს ენას და შემდეგ იყენებს.

**– მეგრული ენა ყველამ იცის და მაშინ რა პრობლემაა?**

– კარგია. მაგრამ საქართველო არის სახელმწიფო-იმპერია.

**– რუსეთიც სახელმწიფო-იმპერიაა.**

– დიახ.

**– აბა, ჩვენ რატომ ვერ ვიქნებით სახელმწიფო-იმპერია?**

– თქვენც შეგიძლიათ, იყოთ. როგორც კი თქვენ ამბობთ, ვართ სახელმწიფო-იმპერია, თქვენ მაშინვე ყველა ხალხს იტრიალებთ თქვენკენ და უკვე მათ იციან, რომ მათი იდენტობა იქნება შენარჩუნებული. ნორმატიულად ყველა ხელისუფლება ამბობს, რომ აშენებს ქართულ ნაციონალურ სახელმწიფოს, რაც გულისხმობს ეტაპობრივ ჰომოგენიზაციას, ყველას გაერთგვაროვნებას.

**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი
0 9 0 2 2 0 0 2 0 0
SMS – 93094

დარეკვა
შეგიძლიათ
ნებისმიერი
ქსელიდან
ზარი ფასიანია

**მიჩნეულია, რომ ერეკლე მეორე რუსეთზე ორიენტირებული პოლიტიკოსია, რომლის არჩევანმაც განსაზღვრა საქართველოს ისტორიის 200-წლიანი მონაკვეთი, თუმცა, როგორც ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, ერეკლე მეორე არც რუსეთისადმი სიმპათიით გამოირჩეოდა, რუსეთის იმპერიის მოკავშირედ არჩევაც იძულებითი ნაბიჯი იყო და ის თვით გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმების შემდეგაც კი არ წყვეტდა სხვა მოკავშირეებისა და მფარველების აქტიურ ძიებას. საქართველოს ისტორიის ამ მეტად საინტერესო მონაკვეთს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორ, ისტორიკოს ვახტანგ გურულთან ერთად გავიხსენებთ.**

# რატომ გაცვალა ერეკლემ წარმატებული პროირანული ორიენტაცია პრორუსულზე, როდის მიხვდა, რომ რუსეთი დროს წელავდა და რუსეთის იმპერიის რა ტაქტიკას იმეორებს დღეს „ნატო“ საქართველოსთან მიმართებაში

**– წინა ნომერში ვისაუბრეთ, რომ ერეკლე და თეიმურაზი სინჯავდნენ ნიადაგს რუსეთთან. რუსეთი მათი ერთადერთი ორიენტირი იყო თუ ამის პარალელურად სხვა მიმართულებებითაც ზვერავდნენ სიტუაციას?**

– დავიწყოთ იმით, რომ ერეკლე მეორე არ ჩქარობდა რუსული ორიენტაციის გამჟღავნებას. ანუ არ სურდა, უარი ეთქვა პროირანულ ორიენტაციაზე და ცალსახად ეღიარებინა პრორუსული ორიენტაცია, რადგან ხედავდა ყველა საფრთხეს, რაც აქედან მომდინარეობდა.

**– კერძოდ?**

– ერეკლეს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მას ყველა საფრთხე ჰქონდა გააზრებული. პირველი საფრთხე: ირანისა და ოსმალეთის ძალიან მწვავე რეაქცია; ან ერთთან, ან მეორესთან, ან ორივესთან ერთად ერეკლეს გაურთულდებოდა ურთიერთობა. მეორე საფრთხე ის გახლდათ, რომ იყო კი რუსეთი რეალური ძალა, რომელიც ირანსა და ოსმალეთს ქართლ-კახეთის სამეფოს დაათმობინებდა?! ამაში ერეკლე განსაკუთრებით დააეჭვა მამამისის, ქართლის მეფის, თეიმურაზის წარუმატებელმა ელჩობამ რუსეთში 1760-1762 წლებში. თეიმურაზს რუსეთმა კარტი არ გაუხსნა და ერეკლემ იცოდა, რომ რუსეთის დათანხმებას შეიძლებოდა ათწლეულები დასჭირვებოდა, ამ ხნის განმავლობაში კი ვის იმედად უნდა ყოფილიყო?! ამიტომ, რადგან ირანში საგანგაშო ჯერ არაფერი ხდებოდა: ქერიმ-ხანი ირანს განაგებდა, ერეკლემ ლოდინის პოლიტიკა ამჯობინა, მაგრამ მოხდა ისეთი რამ, რის შემდეგაც ლოდინის პოლიტიკა უნდა დამთავრებულიყო. 1768 წელს რუსეთ-ოსმალეთის ომი დაიწყო. ქრისტიანული იმპერია რუსეთი ებრძვის ისლამურ იმპერია ოსმალეთს. ქრისტიანმა მეფემ ერეკლე მეორემ უნდა გამოხატოს თავისი პოზიცია იმ ომში.



ერეკლემ 1783 წლამდე კიდევ ბევრჯერ მისწერა რუსეთის იმპერატორს, მაგრამ მხოლოდ ყირიმის საკითხის დადგომის შემდეგ, 1782 წლის ბოლოს, ამოიღეს უჯრიდან მისი წერილები და ეკატერინემ თავისი პირობები წამოაყენა

**– ეს პოზიცია უნდა გამოეხატა იმიტომ, რომ ეს აუცილებელი იყო თუ უბრალოდ ერეკლეს მოსახერხებელი ვითარება შეექმნა საამისოდ?**

– უნდა გამოხატოს პოზიცია იმიტომ, რომ, თუ რუსეთმა გაიმარჯვა და ოსმალეთი დაამარცხა, რასაც პერსპექტივაში უნდა მოჰყვეს ოსმალეთის განდევნა სამხრეთ კავკასიიდან და ერეკლე რუსეთის მხარეს არ დადგება, გამარჯვებული რუსეთი მას დასჯის. მაგრამ ხომ შეიძლებოდა, ამ ომში ოსმალეთი დამარცხებულიყო? მაშინ ოსმალეთი დასჯიდა ერეკლეს პრორუსული ორიენტაციისთვის. ომი დაიწყო და ერეკლე მეორემ უნდა განსაზღვროს, ვის მხარეზე დადგეს. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ამ დროს ერეკლეს, ფაქტობრივად, არ ჰყავს საგარეო დაზვერვა. ჩვენი ელჩებიც, რომლებიც რუსეთის კარზე მიდი-მოდიოდნენ, ხომ არაპროფესიონალი დიპლომატები იყვნენ? მათ რუსული ენაც კი არ იცოდნენ კარგად და რა ინფორმაცია უნდა ჩამოეტანათ?! ერეკლე ლოგიკურად მსჯელობდა. იმიტომაც იყო ის ძალიან ჭკვიანი დიპლომატი, რომ ნული ინფორმაციიდან უმეტეს შემთხვევაში სწორ დასკვნებს აკეთებდა. ერთი სიტყვით, რუსეთ-ოსმალეთის ომი დაიწყო და რუსეთის იმპერიამ გადაწყვიტა ოსმალეთთან ომში ჩაება ქრისტიანული სახელმწიფოები და ხალხები. ეს უპირველესად ეხებოდა სამხრეთ კავკასიასა და ბალკანეთს. ომის დაწყებისთანავე იმერეთის მეფის, სოლომონ პირველის, ელჩი მაქსიმე ქუთათელი უკვე გზად იყო რუსეთისკენ, რადგან სოლომონი ოსმალეთის წინააღმდეგ ჯარს ითხოვდა. ასე რომ, იმერეთის ჩართვა ამ ომში რუსეთის ეჭვს არ იწვევდა.

**– ერეკლეს არ შეუთანხმა თავისი ელჩობა რუსეთში სოლომონმა?**

– არა. სოლომონი, ოსმალეთის ვასალი, ითხოვს დახმარებას ოსმალეთის წინააღმდეგ, მაგრამ ერეკლე არ არის ოსმალეთის ვასალი. ამიტომ მისი ამ ომში ჩაბმა ნიშნავს, რომ გაანაწყენებს ქერიმ-ხანს, ირანის მმართველს. რუსეთის საიმპერატორო კარზე პირდაპირ დადგა საკითხი: იმერეთის მეფე სოლომონს მივიმხრობთ, მაგრამ ერეკლე რუსეთის მხარეზე ომში არ ჩაებმება. თუმცა რუსი პოლიტიკოსებისგან მოულოდნელად, ერეკლე ჩაება ომში ოსმალეთთან.

**– მხოლოდ ირანის და ქერიმ-ხანის მოსალოდნელი დასუსტება იყო მიზეზი? ვახტანგს ხომ ძალიან ძვირად დაუჯდა ირანის წინააღმდეგ რუსეთთან შეკვრა?**

– ერეკლეს უფრო პრაგმატული გათვლა ჰქონდა, ვიდრე ვახტანგ მეექვსეს. ერეკლე ხედავდა, რომ სოლომონი ყოველგვარი პირობის გარეშე ებმება ომში ოსმალეთთან. თუ რუსეთმა წარმატებას მიაღწია და ჯარი გამოგზავნა სამხრეთ კავკასიაში, ეს ჯარი უპირველესად შევიდოდა მტკვრის ხეობაში, აწყურის, ხერთვისის, ახალციხისა და ახალქალაქის ციხეების წასართმევად ოსმალეთისთვის. თუ რუსეთი წარმატებას მოიპოვებდა, ვის მისცემდა ამ ტერიტორიას?!

**– ალბათ, სოლომონს.**

– რა თქმა უნდა და ერეკლე ამას ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაუშვებდა, რადგან მას მიაჩნდა და სწორადაც მიაჩნდა, რომ ეს ტერიტორია მუდამ ქართლის სამეფოში შედიოდა. მეორე – შემოვიდა რუსეთი, გაიმარჯვა რუსეთისა და იმერეთის ლაშქარმა და ვინ ხდებოდა პირველი კაცი ქართველ მეფეთა შორის? სოლომონ პირველი. ერეკლე ვერც ამას დაუშვებდა. ამ მიზეზების გამო იძულებული გახდა, ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმულიყო. ოსმალეთმაც იცოდა, რას გათვლიდა ერეკლე, ამიტომ ელჩები გამოუგზავნა და ნეიტრალიტეტი შესთავაზა. ერეკლემ დაიწყო მოლაპარაკება, მაგრამ როგორც კი რუსეთის წარმომადგენელი ჩამოვიდა და ერეკლეს რუსეთის გეგმები გააცნო, ერეკლემ ოსმალეთის ელჩები დააპატიმრა და თბილისიდან გააძევა. ოსმალეთის სულთნის პირადი შეურაცხყოფა იყო ელჩების გაძევება, რითაც ერეკლემ ყველა გზა გადაიჭრა ოსმალეთისკენ. ერეკლე ომში ჩაება და ყველა გეგმაში მიიღო მონაწილეობა.

**– ქერიმ-ხანმა არ იცოდა, რა მოძრაობებს აკეთებდა ერეკლე?**

– ყველაფერი იცოდა, მაგრამ ძალა აღარ ჰქონდა. მას რუსეთის მხარეზე დამდგარი ერეკლეს წანააღმდეგ ომი არ შეეძლო, ამას ყაჯრები გამოიყენებდნენ და საბოლოოდ მოუღებდნენ ბოლოს. 1769 წელს რუსეთის ჯარი უკვე მზად იყო გამოსაგზავნად გენერალ გოტლიბ კურტ ჰენრიხ ტოტლებენის მეთაურობით და

## გიას და ირაკლის გახსენება





თქვენ ჩვენი ტკივილი და მონატრება ხართ... უსასრულო სევდა და შეუმშრალი ცრემლი... გვენანებით... ძალიან გვიჭირს იმასთან შეგუება, რომ ვეღარასოდეს შემოაღებთ კარს და ვეღარ მოგვნუსხავთ იმ ჯადოსნური სითბოთი და სიყვარულით, რომელიც ახლა ძალიან გვაკლია... ჯერ კიდევ ვერ შევეგუეთ რეალობას, შეიძლება, იმიტომ, რომ მძიმე და მუქია ის... ცრემლიანი, ტკივილიანი და მონატრებით გაჯერებული... რამდენი თვე... წელი უნდა გავიდეს, რომ მშვიდად მივიღოთ ბედისწერის სასტიკი განაჩენი, რომელმაც თქვენი თავი წაგვართვა...

**„თბილისელები“**

რუსეთმა თავისი გეგმები ამ კაცის დანიშვნით გამოამჟღავნა. წარმოშობით პრუსიელი ტოტლებენი რუსეთ-პრუსიის 7-წლიან ომში პრუსიის სასარგებლოდ რუსეთში ღალატში ამხილეს, რისთვისაც სიკვდილი მიუსაჯეს, მაგრამ გადარჩა. ტოტლებენი დაკავშირებული იყო, სულ მცირე, ინგლისის დაზვერვასთან, თუ ოსმალეთის დაზვერვასთან არა. მოკლედ რომ ვთქვა, უმორალო კაცი იყო. ტოტლებენს ჰქონდა საიდუმლო დავალება: ერეკლე ტახტიდან უნდა ჩამოეგდო ან სამეფო გაეუქმებინა, ან რუსეთისთვის მისაღები ადამიანი უნდა დაესვა ტახტზე ვახტანგ მეექვსის შთამომავლებიდან. ერეკლემ ვერ გამოიძია ამ შეთქმულების საქმე, მაგრამ ის კი დანამდვილებითაააა ცნობილი, რომ ტოტლებენს ერეკლე უნდა ჩამოეგდო.

**– ერეკლე რატომ არ მოსწონდა რუსეთს, სოლომონსაც ასე ერჩოდნენ?**

– რუსეთს ერეკლესა და თეიმურაზის პროირანული პოლიტიკა რომ არ მოსწონდა, ეს ჯერ კიდევ 1761 წელს იგრძნო თეიმურაზმა ელჩობის დროს პეტერბურგში. ჩვენთან გავრცელებულია აზრი, რომ ერეკლე დედის მუცლიდან რუსოფილი იყო, არადა, ეს არ შეესაბამება სიმართლეს: ერეკლემ პროირანული ორიენტაციით მიიღო ტახტი და მთელი 30-35 წელი ქართლ-კახეთის სამეფოს გაძლიერება გამოიწვია პროირანულმა ორიენტაციამ. ასევე, გაკვეთილი იყო ერეკლესთვის, რომ პრორუსულმა ორიენტაციამ დაღუპა ვახტანგ მეექვსე. ამიტომ 1783 წელს ნუ ავიღებთ წყალგამყოფად, ერეკლე 1768-1769 წლებში რუსეთის საიმპერატორო კარისთვის არის პროირანული ორიენტაციის მეფე, რუსებმა ისიც კი განსაზღვრეს, თუ რატომ ჩაება ერეკლე ომში ოსმალეთის წინააღმდეგ. ამითაც კი ვერ დაინახეს მასში პრორუსული ორიენტაციის მეფე. თავისი ლოდინის პოლიტიკითაც ერეკლემ ძალიან გააბრაზა რუსეთი. რით დასტურდება დოკუმენტურად, რომ ერეკლე მიუღებელი იყო რუსეთის საიმპერატორო კარისთვის: ასპინძის ბრძოლაში წარმატების შემდეგ ერეკლემ გამარჯვება რუსეთის იმპერატორს მიულოცა, ელჩობა გაგზავნა და ნადავლის რაღაც ნაწილი სიმბოლურად გაატანა. როგორც წესი, ელჩობაში ერთი კახელი თავადი იყო, მეორე – ქართლელი. ეს ქართლელი თავადი გახლდათ ზაალ ორბელიანი, რომელიც მიღების შემდეგ გაინაპირეს რუსებმა და ერთ-ერთმა სენატორმა უთხრა, იმპერატორი ერეკლეს უწყრებაო. იმპერატორი კი იმიტომ უწყრებოდა ერეკლეს, რომ ასპინძის ბრძოლაში გამარჯვებით ერეკლემ იმპერატორის საიდუმლო გეგმები ჩაშალა. ზაალ ორბელიანმა მაშინვე უთხრა, თუ უწყრება, ტახტიდან გადააყენეთ, ან სოლომონს მიეცით ქართლ-კახეთი, ან ვინმე რუსი დასვითო.

**– რა ნაძირალა ყოფილა ზაალ ორბელიანი ამ მეორე შეთავაზების გამო?**

– ასეთი იყო ქართლის თავადების პოზიცია. თავის მხრივ, რუსეთი ქართლის ბაგრატიონებს აიმედებდა, მაგრამ არ ეხმარებოდა. მათ მიერ გაგზავნილი წერილების დედნებს ერეკლეს უგზავნიდა აქ, თარგმანებს რუსეთში იტოვებდა. ერეკლეს ზაალ ორბელიანის საუბარიც გამოუგზავნეს რუს სენატორთან. ამით აფრთხილებდნენ, მანამ იქნები ტახტზე, სანამ ჩვენ დაგიჭერთ მხარს, არადა მივცემთ გზას ქართლის ბაგრატიონებისა და ქართლის თავადების რისხვას, ამიტომ ერეკლე ამას ანგარიშს უწევდა. მას ტოტლებენის შეთქმულებაში მონაწილე სულ მცირე ორი ადამიანი უნდა დაესაჯა: ერთი დავით ქსნის ერისთავი, რომელიც აშკარად თანაუგრძნობდა ტოტლებენს და მეორე – ზაალ ორბელიანი, მაგრამ გამოძიება ბოლომდე ვერ მიიყვანა, რუსეთი არ აძლევდა ამის საშუალებას. ამის შემდეგ რუსეთი დაადგა საქართველოში მეხუთე კოლონის შექმნის გზას და ამოქმედდა რუსეთის სამხედრო და დიპლომატიური დაზვერვა რუსეთიდან ჩამოსული უამრავი მოგზაურის სახით...

**– ტრაქტატი რომ დაიდო, დაამთავრა ერეკლემ მფარველის ძიება?**

– ტრაქტატის დადების გადაწყვეტილება ერეკლემ 1770 წლის დეკემბერში და 1771 წლის იანვარში მიიღო. ქართლ-კახეთის სამეფო კარზე ორი დოკუმენტი შედგა, ამ დოკუმენტებში ერეკლემ ჩამოაყალიბა თავისი პირობები. 1770 წლის დეკემბერში მიმდინარეობს რუსეთ-ოსმალეთის ომი. ტოტლებენის ავანტიურა უკვე შემდგარია და ჩაშლილია და ერეკლემ ისიც იცის, რომ რუსეთი კავკასიაში თურმე ომს არ აპირებს. ერეკლეს გეგმები ჩაშლილია, მაგრამ ის

> **ქართლელ თავად ზაალ ორბელიანს ერთ-ერთმა სენატორმა უთხრა, იმპერატორი ერეკლეს უწყრებაო. ზაალ ორბელიანმა მაშინვე უთხრა, თუ უწყრება, ტახტიდან გადააყენეთ, ან სოლომონს მიეცით ქართლ-კახეთი, ან ვინმე რუსი დასვითო**

უკვე ჩაბმულია ოსმალეთთან ომში. რა დარჩენია ერეკლეს? უნდა წავიდეს ვა-ბანკზე, ჩაბარდეს რუსეთს და დააჩქაროს ის ხელშეკრულება, რომელსაც რუსეთი არ აჩქარებს.

**– „ნატოს“ ვარიანტია: ჯარი არ შემოჰყავს, არც წევრად გიღებს.**

– 1772 წელს ქართლ-კახეთის სამეფოს პირობა ჩაიტანეს რუსეთში, თუ მაისში არა, ივნისში, თუ ივნისში არა, ივლისში, ოსმალეთისა და ირანის დაზვერვას ხომ ეცოდინებოდა რაზე იყვნენ ანტონ პირველი და ლევან ბატონიშვილი პეტერბურგში?! მაგრამ ისინი ხმას არ იღებდნენ. ეკატერინე მეორემ ქართლ-კახეთის სამეფოს ეს პირობა უჯრაში ჩაკეტა და მხოლოდ 1782 წლის ბოლოსა და 1783 წლის დასაწყისში გაახსენდა. 10 წელი ირანისა და ოსმალეთის დაზვერვამ იცის, რომ ერეკლე ითხოვს რუსეთის მფარველობაში შესვლას, რუსეთი კი არ იღებს.

**– ძალიან ჰგავს თანამედროვეობას: 2008 წელს „ნატომ“ ბუქარესტის სამიტზე არ მოგვცა „მაფი“ და რუსეთმა 2008 წლის აგვისტოში ომი დაიწყო, რადგან ზუსტად იცოდა, რომ ჩვენ გვინდა „ნატოში“, მაგრამ ის არ დაგვეხმარება.**

– დიახ... ერეკლემ 1783 წლამდე კიდევ ბევრჯერ მისწერა რუსეთის იმპერატორს, მაგრამ მხოლოდ ყირიმის საკითხს დადგომის შემდეგ, 1782 წლის ბოლოს, ამოიღეს უჯრიდან მისი წერილები. მოკლედ, გეორგიევსკის ტრაქტატი დაიდო, როგორც დაიდო და ქართლ-კახეთი შევიდა რუსეთის მფარველობაში და არა ქვეშევრდომობაში. ერეკლემ ტრაქტატის შესრულებლობა მაშინვე იგრძნო და მას არასდროს შეუწყვეტია ევროპაში მფარველის ძიება. მაშინ ერთადერთი სახელმწიფო, რომელსაც ოსმალეთთან დაპირისპირება ჰქონდა, იყო ავსტრია. დაიწყო საიდუმლო დიპლომატიური მიმოწერა ავსტრიის იმპერატორსა და ერეკლეს შორის, რუსეთის დაზვერვამ ეს გაიგო, თუმცა მინისტრ ბურნაშოვს არ ჰქონდა ამის დამადასტურებელი საბუთი, მაგრამ ეკატერინეს წერდა: ერეკლე არ არის რუსული ორიენტაციის მეფე, ისევ ავსტრიის იმპერატორთან ცდილობს რაღაცის გარკვევასო. 1786 წელს ერეკლემ ორიენტაციის შეცვლა და გეორგიევსკის ტრაქტატის გაუქმება გადაწყვიტა, მაგრამ ვერ გაბედა. როგორც ჩანს, დარბაზმაც არ ურჩია. ამასობაში ავსტრიას გაუჭირდა ოსმალეთთან და რუსეთის დახმარება დასჭირდა. თავის გამოჩენის მიზნით, ავსტრიის საიმპერატორო კარმა ერეკლეს მთელი საიდუმლო მიმოწერა გაუგზავნა რუსეთის იმპერატორს. ასე რომ, ერეკლე არასდროს ყოფილა რუსეთისთვის მისაღები პიროვნება. მეტიც, ერეკლე, როგორც კავკასიაში ყველაზე პოპულარული პიროვნება, ყოველთვის ხელს უშლიდა რუსეთს გეგმების განხორციელებაში. ხომ შეეძლო რუსეთს 1795 წელს, როდესაც აღამახმად ხანმა მიწასთან გაასწორა თბილისი, გაეუქმებინა ქართლ-კახეთის სამეფო?! ერთადერთმა რამემ შეუშალა ხელი: კავკასიაში ყველაზე პოპულარული პიროვნება ერეკლე მეორე ცოცხალი იყო. ისინი ფიქრობდნენ: უკვე ავად არის, მალე მოკვდება, არ გავირთულოთ საქმე და მისი შთამომავლების პერიოდში იოლად მივაღწევთ მიზანსო. ასეც მოხდა...

**ნინო ხაჩიძე**


## მსოფლიოში ცნობილი, უძლიერესი პარაფსიქოლოგი – კოლხი წინასწარმეტყველი

*კოლხი ნათია ბავშვობიდან ხალხური მედიცინით კურნავს ხალხს. მას შეუძლია გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ, უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა, დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების გაცემა. ის გამოირჩევა მომავლის განჭვრეტის უნიკალური უნარით, რაც საკუთარ თავზე გამოვცადე და არაერთხელ.*



**მარიამ ფ-შვილი** *(34 წლის):* ცხოვრებაში ყველაფერი მქონდა, მშობლებმა განათლებაც მომცეს, სახლიც მიყიდეს, სამსახურიც კარგი მქონდა. თუმცა, 32 წლამდე გაუთხოვარი დავრჩი, ვერა და ვერ ავაწყვე პირადი ცხოვრება; ხშირად ქორწილამდე მისული ურთიერთობა ჩაშლილა. თურმე, საგვარეულო წყევლა ყოფილა ყველაფრის მიზეზი, ამაში მას მერე დავრწმუნდი, რაც მივედი ქალბატონ ნათიასთან და ბედიც გამეხსნა – ერთი წლის მერე ჩემს თანამშრომელს გავყევი ცოლად. ახლა ბიჭს ველოდებით. ბედნიერი ოჯახი გვაქვს. ულრმესი მადლობა ამ ღვთისნიერ ქალბატონს.

**მზია შ-ია** *(47 წლის, თბილისი):* ყოველთვის ბევრი თაყვანისმცემელი მყავდა, მაგრამ ვერ ვთხოვდებოდი, მას შემდეგ, რაც დაქალმა მიმიყვანა ნათიასთან, მან წამიკითხა ლოცვები, აურა გამისუფთავა, ბედიც გამეხსნა და ერთ წელიწადში გავთხოვდი. გამიკეთა დამცავი თილისმა, რომელიც მუდმივია. ახლა 2 შვილის დედა ვარ. ულრმესი მადლობა მას.

**თამაზ გ-ძე** *(60 წლის, მცხეთა):* 3 წლის წინ დავქვრივდი, დარდმა ბოლო მომიღო, ჩამივარდა აწყობილი ბიზნესი. შვილები ამერიკაში მყავს. შემთხვევით „თბილისელებში“ ვნახე კოლხი ნათიას სტატია და მაშინვე მოვედი. შეიძლება გაგეცინოთ, მაგრამ ნელ-ნელა მისი ლოცვის შემდეგ ფეხზე წამოვდექი, ჩემს ასაკში ცოლი შევირთე, ბიზნესიც ავაწყვე... დიდ მადლობას ვუხდი მას.

**ანა კ-ძე** *(30 წლის, თბილისი):* ნაღველი მაწუხებდა, ჯანმრთელობის პრობლემას ოჯახურიც დაემატა, ქმარმა მიმატოვა – 20 წლის გოგონას გამო. დავრჩი 2 შვილით უმუშევარი, ცარიელ-ტარიელი. დაქალმა მიმიყვანა კოლხ ნათიასთან და როგორც კი თილისმა გამიკეთა, მას მერე დაიწყო პრობლემებმა მოგვარება, ქმარიც მალევე დამიბრუნდა *(იცინის).* ახლა ნიუ-იორკში ვარ და აქედან ვუკავშირდები ხოლმე ნათიას, როცა დახმარება მჭირდება.

*ანონიმურობა დაცულია.*

**ტელ: 599-98-74-25; 514-45-18-81**
**Skype bulvarzelioni**

**ახლა ის სეზონია, როცა ყველა ცდილობს, პაპანაქება მზის სხივებს თავი დააღწიოს, დასასვენებლად წავიდეს და მთელი წლის დამღლელი მუშაობის შემდეგ, დაკარგული ძალები აღიდგინოს. მაგრამ, ცოტა თუ ფიქრობს იმაზე, რომ სწორედ ამ დროს იმატებს ეგრეთ წოდებული „საკურორტო დაავადებების“ რიცხვი. ნამზეურის დროს, შეიძლება, კანზე გაჩნდეს გამონაყარი, რომელიც დროთა განმავლობაში, შესაძლოა, დაჩირქდეს და უსიამოვნებები გამოიწვიოს. ასევე, ზაფხულში საგრძნობლად დიდია შემთხვევითი რომანების ალბათობა, ამ დროს განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენა გმართებთ, რათა დაინფიცირებას აარიდოთ თავი და შემდგომ, მთელი ცხოვრება, საშიში ვირუსის მატარებელი არ გახდეთ. ამ თემებთან დაკავშირებით კომენტარი და რჩევები ვთხოვეთ ვირუსული ინფექციების დეპარტამენტის ხელმძღვანელს, ბატონ ვახტანგ კვირკველიას. მან მეტად გასათვალისწინებელი და დასაფიქრებელი ინფორმაცია მოგვაწოდა.**

# როგორ დავიცვათ კურორტზე ყოფნისას თავი უსიამოვნო პრობლემებისგან, რომელიც თან ახლავს ზაფხულის მწველ მზეს, ზღვას, შემთხვევით სქესობრივ კონტაქტსა და უკონტროლო ქცევას

**ვახტანგ კვირკველია**: ყველა ცდილობს, ზაფხულში გვარიანად დაისვენოს და ძალები აღიდგინოს, რომ კურორტიდან დაბრუნებულმა საქმეს მეტი ენერგიით გაართვას თავი. დასამალი არაა, რომ კურორტზე ყოფნისას, ბევრი, არც გადამეტებულ სიამოვნებაზე ამბობს უარს. ამიტომ, საჭიროა, ყველამ იცოდეს, როგორ დაიცვას თავი იმ უსიამოვნო პრობლემებისგან, რომელიც თან ახლავს ზაფხულის მწველ მზეს, ზღვას, შემთხვევით სქესობრივ კონტაქტს და უკონტროლო ქცევას.

**– კონკრეტულად, რა უნდა გავითვალისწინოთ, რომ ზაფხულის პრობლემები ავიცილოთ თავიდან და კურორტიდან დაბრუნებულებმა თავი მშვიდად, უსაფრთხოდ ვიგრძნოთ?**

– მზიანი დღეები ყველას უყვარს. ბევრი ამ დროს არც ზღვაზე დასვენებაზე და შემთხვევით სექსზე ამბობს უარს, მაგრამ ამას, შესაძლოა, ძალიან ცუდი შედეგები მოჰყვეს. დიდი დოზით მზისგან დასხივება განსაკუთრებით საშიში და მავნებელია მათთვის, ვისაც თეთრი კანი აქვს. დიდი შანსია, ამ დროს განვითარდეს არა მარტო დამწვრობა, არამედ კანის ავთვისებიანი სიმსივნეც. მართალია, კანის სიმსივნე სხვადასხვაგვარია, მაგრამ, მელანინის ოთხმოცი პროცენტის გამომწვევი მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ ულტრაიისფერი გამოსხივებაა. ამიტომ, თუ გსურთ, მელანინის გადაჭარბებულმა გამოყოფამ საფრთხე არ შეგიქმნათ, გირჩევთ, ულტრაიისფერი სხივების ზედმეტად მიღებას მოერიდოთ.

**– რა მნიშვნელობა აქვს ამ მხრივ კანის ტიპს და, ზოგადად, როგორი ტიპის კანისთვისაა განსაკუთრებით საშიში მზეზე დიდხანს წოლა და რუჯი?**

– ადამიანის კანის ტიპს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს გარუჯვის დროს. ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩაატარეს კვლევა მელანომასთან დაკავშირებით. აღმოჩნდა, რომ დაავადებულთა უმრავლესობა თეთრი კანის მქონე იყო. მუქი კანის ფერის მქონე ადამიანებს კი, საფრთხე შედარებით ნაკლებად ემუქრებათ, თუმცა, უსაფრთხოების წესების დაცვა მზეზე ყოფნისას, მათაც უნდა დაიცვან. კვლევის საფუძველზე ასევე დადგინდა, რომ კანის კიბოს რისკ-ფაქტორი მემკვიდრეობითობასთანაცაა კავშირში. კერძოდ, ვისაც გენეტიკურად აქვს მიდრეკილება ავთვისებიანი დაავადებისადმი, მათ უფრო მეტი სიფრთხილე მართებთ მზესთან დაკავშირებით. მაქსიმალურად უნდა მოერიდონ მზის სხივებს და დიდხანს გარუჯვას. არსებობს მესამე რისკ-ფაქტორიც, კერძოდ, ისინი, ვისაც დიდხანს უხდებათ პაპანაქება სიცხეში ყოფნა და რეგულარულად აქვთ მზის დამწვრობა. მაგალითად, ისინი, ვინც ზღვაზე ყოფნისას არ უფრთხილდებიან კანს და მზის სხივების ქვეშ დიდხანს წოლით კანის დამწვრობას იღებენ. ასევე, რისკ-ფაქტორის ჯგუფში შედიან ღია ფერის თვალებიანი, ქერა, წითელთმიანი და ბევრხალიანი ადამიანებიც, რადგან ისინი უფრო მეტად არიან მიდრეკილნი ამ დაავადებისკენ.

**– ბევრი ხალი რატომ არის საშიში და რა კავშირი აქვს ამას მზის სხივების მავნე ზემოქმედებასთან?**

– ვისაც მელანომა აქვს განვითარებული, მათ სხეულზე ბევრი ხალი აღენიშნებათ. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვისაც ბევრი ხალი აქვს, ყველას საშიშროება ემუქრება. მაგრამ, ასეთი ადამიანებისთვის, გარუჯვა უფრო დიდი რისკია. ამიტომ, გავაფრთხილებ, რომ მეტი დაცვითი ზომები მართებთ სწორედ ზაფხულში. დღეს უკვე საიდუმლო აღარ არის, რომ კანის კიბოს დაახლოებით ოთხმოცი პროცენტის გამომწვევი მიზეზი მზის მწველი სხივებია. საერთოდ, ღმერთმა ყველა დაიფაროს და, სანამ, ფაქტის წინაშე არ დადგებიან, მანამდე საფრთხეს სერიოზულად არ აღიქვამენ. სხვათა შორის, ბევრი მეკითხება, თუ რატომ უკრძალავს მათ ექიმი ზღვაზე დასვენებას იმის გამო, რომ ბევრი ხალი აქვს ტანზე. რასაკვირველია, მე ზღვაზე დასვენებასა და გარუჯვას ვერავის ავუკრძალავ, მაგრამ, რეკომენდაციებს ნამდვილად მივცემ, რათა საფრთხესა და პრობლემებს ავარიდო. რაც შეეხება იმას, თუ რა კავშირი აქვს მზის სხივებთან ხალების რაოდენობას, გეტყვით, რომ, თუ მათი რაოდენობა თქვენს სხეულზე აღემატება ორმოცდაათს, უნდა მოერიდოთ გარუჯვას. განსაკუთრებით კი ისინი, ვისაც თეთრი კანი აქვთ. საფრთხეს მაშინ აიცილებთ თავიდან, თუ ზღვის სანაპიროზე დილით ადრე და გვიან საღამოს გახვალთ. დღის განმავლობაში კი მათთვის სანაპიროზე გასვლა და მზის მწველი სხივების ქვეშ წოლა, დაუშვებელი და საშიშია.



კურორტზე, ერთმა დაუფიქრებელმა ნაბიჯმა და წუთიერმა სიამოვნებამ, შესაძლოა, მთელი ცხოვრება გაგიმწაროთ

**– პირად საუბარში „საკურორტო დაავადებები“ ახსენეთ და, მათ შორის – შემთხვევითი სქესობრივი კავშირები. ამ დროს რომელი ვირუსული პათოლოგიით დასნებოვნების საფრთხე იმატებს?**

– დასასვენებლად ყოფნის დროს, უნდა მოერიდოთ შემთხვევით სქესობრივ ურთიერთობებს, რადგან ჩნდება ინფექციების გადადების საშიშროება, გენიტალიური ჰერპესი იქნება ეს თუ პაპილომავირუსი. სამწუხაროდ, არც ერთი არ ექვემდებარება განკურნებას და ეს წინასწარ უნდა იცოდეთ, სანამ თავს დაიავადებთ წუთიერი სიამოვნების გამო. გენიტალიური ჰერპესი სქესობრივი გზით გადადის. შესაძლოა, ადამიანმა მთელი ცხოვრება ატაროს ფარულად, მაგრამ არ იცოდეს მისი არსებობა. ამ დაავადებას შესწევს უნარი, ცხოვრების წესი შეგიცვალოთ, კერძოდ, ჩნდება ბუშტუკოვანი გამონაყარი კანზე, რომელიც მტკივნეულია, ახასიათებს წვა და ვიზუალურადაც ცუდი შესახედავია. ის იწვევს ნევროზს და არ იკურნება. პაპილომავირუსი კი ძალიან გავრცელებულია, თუმცა, მისი საწინააღმდეგო ანტივირუსული პრეპარატი არ არსებობს. მას ახასიათებს კანზე მეჭეჭის სახის და ასევე, სხვა გამონაყარის გაჩენაც. ამიტომ, ყველას ვაფრთხილებ, მსგავს პრობლემას რომ თავი აარიდოთ, ისე დაგეგმეთ დასვენება, გვერდით ჯანმრთელი, საიმედო, უსაფრთხო და მუდმივი პარტნიორი გყავდეთ, რათა დასვენების დროს არ ეძებოთ შემთხვევითი კონტაქტები. დამიჯერეთ, ერთმა დაუფიქრებელმა ნაბიჯმა, შესაძლოა, მთელი ცხოვრება გაგიმწაროთ. სხვათა შორის, ახალშობილთა გახშირებული სიკვდილიანობა, უმეტეს შემთხვევაში, სწორედ გართულებულ გენიტალიურ ჰერპესს უკავშირდება.

**– ეს დაავადება წყლიდან გადადის თუ მხოლოდ დაავადებულ ადამიანთან კონტაქტით?**

– ეს დაავადება წყლიდან არ გადადის, ის მხოლოდ დაავადებული ადამიანისგან გადაგედებათ. ასე რომ, თუ სექსი წყალში გექნებათ ან წყლის პირას, მაშინ ამ დაავადებას ბინძურ გარემოს ნუ დააბრალებთ. სამწუხაროდ, დამცავი საშუალებები ყველა ინფექციისგან ვერ იცავს ადამიანს. მაგალითად, შესაძლოა, პაპილომავირუსი კანიდან გადაგედოთ და ამ დროს პრეზერვატივი უსაფრთხო ვერ იქნება. მაგრამ, შიდსსა და სხვა სახიფათო ვირუსულ დაავადებას კი აიცილებთ თავიდან. ბევრს უკვირს, როცა ვამბობ, ვირუსულ პათოლოგიებს სეზონურობა ახასიათებს-მეთქი, მაგრამ, ფაქტია.

**– თუ შემთხვევითი სქესობრივი კონტაქტი მაინც შედგა, ამ დროს როგორ უნდა მიხვდეს ადამიანი, რომ დაავადდა?**

– თუ დასასვენებლად ყოფნისას შემთხვევითი სქესობრივი კონტაქტი დაამყარეთ, იქიდან დაბრუნებულმა, დაახლოებით ორი-სამი თვე, თავი უნდა შეიკავოთ, საყვარელ ადამიანთან ინტიმურ ურთიერთობაზე, რადგან ვირუსის ინკუბაციური პერიოდი სწორედ ამ დროს მოიცავს. მისი პირველი გამოვლინება კი თავის ტკივილი, მაღალი სიცხე და მტკივნეული გამონაყარია. ასევე, ადამიანს ეცვლება განწყობა, ხდება აგრესიული. თუ თავი ვერ შეიკავეთ და თქვენს მეუღლეს ან საყვარელ ადამიანს უღალატეთ კურორტზე ყოფნისას, სანამ მასთან სიამოვნებას მიეცემით, აუცილებლად ჩაიტარეთ გამოკვლევები და გამორიცხეთ ნებისმიერი ვირუსული დაავადების შესაძლებლობა.

**ნონა დათეშიძე**

# ქართული კომპანია „კამელინის“ კიდევ ერთი საერთაშორისო აღიარება - პრესტიჟული „ოქროს ჯილდო“ და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში განკურნებული ადამიანები

**კომპანია „კამელინმა“ კიდევ ერთი საერთაშორისო წარმატება და აღიარება მოიპოვა. 2014 წლის 26 მაისს ნიუ-იორკში, მანჰეტენის ცენტრში, სასტუმრო „მერიოტში“ საერთაშორისო ორგანიზაცია BID – Business Initiative Directions-ის მიერ (რომელიც 1986 წელს არის დაარსებული და დღემდე ერთ-ერთი წამყვანი კომპანიაა მთელ მსოფლიოში. ამ ჯილდოს მფლობელი კი არაერთი წარმატებული და ცნობილი კომპანიები არიან) გამართულ დაჯილდოების ცერემონიალზე, ფარმაცევტულ კომპანია „კამელინს“ ნომინაციაში – QUALITY SUMMIT „ოქროს ჯილდო“ მიენიჭა. რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს „კამელინის“ ხუთივე ფორმის სანდოობასა და მის მაღალ ხარისხზე, რადგან ეს კომპანია, გარდა იმისა, რომ ზრუნავს საკუთარი მომხმარებლის ჯანმრთელობაზე, მუდმივად ცდილობს, ტექნოლოგიების განახლებასა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებას. რა თქმა უნდა, ამ ნომინაციის მინიჭების დროს, ასევე, გათვალისწინებული იყო ის მიღწევები და საერთაშორისო მასშტაბით ჩატარებული სამეცნიერი-კლინიკური კვლევები, რომელსაც „კამელინი“ მუდმივად ახორციელებს. აქვე მინდა, შეგახსენოთ, რომ „კამელინი“ 100 პროცენტით ნატურალური, ეკოლოგიურად სუფთა პრეპარატია, არატოქსიკური, ჰიპოალერგიული, გააჩნია ანთების საწინააღმდეგო, მარეგენირებელი, ანტისეპტიკური, ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი. არის ძლიერი ანტიოქსიდანტი, არეგულირებს იმუნური სისტემის მუშაობას, აძლიერებს იმუნომოდულატორულ აქტივობას. კვლევების საფუძველზე და პრაქტიკიდან გამომდინარეც, უმძიმეს პაციენტებში კამელინოთერაპიით მკურნალობისას მეტწილად ხდება სიმსივნური პროცესების შეჩერება, საერთო მდგომარეობის გაუმჯობესება და შრომისუნარიანობის საგრძნობი მატება.**

**კობა გურიელიძე** ***(კომპანია „კამელინის“ აღმასრულებელი დირექტორი და სამეცნიერო პროექტების ხელმძღვანელი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი):*** საერთაშორისო ორგანიზაცია BID – **Business Initiative Directions** წლებია, აწყობს იმ კომპანიების დაჯილდოების ცერემონიალს, რომლებიც ხარისხსა და წარმოების მაღალ დონეზე არიან ორიენტირებული. ასევე, ითვალისწინებენ იმას, თუ რა წარმატებას აღწევ მოკლე დროში და რამდენად ინოვაციური ხარ. ოქროს ნომინაცია, ძალიან პრესტიჟულია და გვიხარია, რომ „კამელინი“ მისი მფლობელი გახდა. მათ გაითვალისწინეს ჩვენი კომპანიის წარმოების ხარისხი, ასევე, ის ინოვაციები, რომლითაც „კამელინი“ მუდმივად გამოირჩევა და ის სამეცნიერო-კლინიკური კვლევები, რომელსაც სხვადასხვა ქვეყანაში ვატარებთ. დახურული სისტემით ხდება ნომინაციაში გამარჯვებული კომპანიის გამოვლენა. შესაბამისად, ჩვენ ამის შესახებ არაფერი ვიცოდით. კომისია ამოწმებს კომპანიის საქმიანობას სხვადასხვა მიმართულებით და მხოლოდ შემდეგ იღებენ გადაწყვეტილებას. როგორც იცით, ჩვენ არაერთი საინტერესო კვლევა განვახორციელეთ უცხოეთში – კანადაში, ამერიკაში, ევროპაში. „კამელინი,“ გარდა იმისა, რომ ერთ-ერთი საუკეთესო პრეპარატია ონკოლოგიური მიმართულებით, ასევე იმუნური სისტემის გაძლიერების კუთხით არის ხარისხიანი, თანამედროვე ტექნოლოგიებით დამზადებული და აკმაყოფილებს ყველანაირ კრიტერიუმს. 22 მაისს მოგვივიდა ამ ორგანიზაციიდან წერილი, რომ ნიუ-იორკში 26 მაისს გაიმართებოდა **Quality Summit**. ღონისძიებას ვესწრებოდით მე, ასევე კომპანიის დამფუძნებელი, ქეთევან მაღლაკელიძე და კომპანიის გენერალური დირექტორი, ავთანდილ მახარობლიძე. სამიტს ესწრებოდნენ ძალიან ბევრი ქვეყანიდან სხვადასხვა წარმატებული, თავის ქვეყნებში წამყვანი კომპანიების წარმომადგენლები. ჩვენ ჯერ არ ვართ იმხელა კომპანია, არც ისეთი ფინანსური ბრუნვები გვაქვს, როგორც მათ, მაგრამ „კამელინი“ საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესოა. ასე რომ, სიდიდეს არ აქვს ამ შემთხვევაში მნიშვნელობა, მთავარია, კომპანია როგორ აწარმოებს ბიზნესს, რამდენად ხარისხიანი, ინოვაციურია. ასევე, აქცევენ ყურადღებას იმას, თუ სად გაქვს შვილობილი კომპანიები, სად ავითარებ ქსელს. „კამელინს“ თავისი შვილობილი კომპანია ამერიკაში აქვს, ასევე, ევროპაში, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდანაც ჩამოდიან ონკოლოგები. მაგალითად, ცოტა ხნის წინ ყირგიზეთიდან ჩამოვიდა მთავარი რადიოლოგი, რომელმაც წაიღო „კამელინის“ ხუთივე ფორმა და თავისი ინიციატივით დაარეგისტრირა ყირგიზეთში, დაიწყო პრეპარატის ექსპორტი და ხუთივე ფორმა უკვე სააფთიაქო ქსელშია. ბელორუსიაში, ყაზახეთში, ბულგარეთში, უკრაინაში მიმდინარეობს პრეპარატის რეგისტრაციის პროცესი, უბრალოდ, ამას გარკვეული დრო სჭირდება. მიუხედავად იმისა, რომ კომპანია „კამელინი“ ასე წარმატებულად განაგრძობს საქმიანობას, ამ ნომინაციაში გამარჯვება ჩვენთვის მაინც მოულოდნელი იყო. მოგვივიდა ოფიციალური წერილი, სადაც გვიდასტურებდნენ, რომ კომპანია „კამელინი“ თავისი ხარისხიანი საქმიანობისთვის, რომელიც მან განახორციელა 10 წლის განმავლობაში, ჯილდოვდება ოქროს ნომინაციით. უკვე შეგვიძლია, ამ კომპანიის ემბლემა დავიტანოთ ჩვენს ნაწარმზე, რადგან „კამელინი“, ფარმაცევტული მარკაა, რომელიც ხარისხთან და სანდოობასთან ასოცირდება და ამას ნამდვილად იმსახურებს. ეს გარკვეული სტიმულია ჩვენი კომპანიისთვის. ჩვენთვის სასიამოვნო და მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ ამდენ წარმატებულ კომპანიას შორის, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან იყვნენ წარმოდგენილი და რაც მთავარია, წარმოადგენდნენ სხვადასხვა, აბსოლუტურად განსხვავებულ სფეროს, გაისმა „კამელინისა“ და საქართველოს სახელი.

**– როგორც თქვენ ახსენეთ, უკვე არაერთი ქვეყნიდან ჩამოდიან და ითხოვენ მათ ქვეყანაში „კამელინის“ დარეგისტრირებას. ამას ყოველთვის წინ უძღვის ამ პრეპარატით მიღებული დადებითი შედეგები.**

– მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ქვეყანაში „კამელინი“ ჯერ არ არის დარეგისტრირებული, მომხმარებელი თავად გვიკავშირდება. იმ ქვეყნებში, სადაც არ არის „კამელინი“ დარეგისტრირებული პაციენტები საქართველოში მცხოვრები მეგობრების საშუალებით იძენენ მას. ასეთი ქვეყნებია ინგლისი, ავსტრია, რუსეთი და ბულგარეთი.




**– მიუხედავად „კამელინის“ სხვადასხვა სამკურნალო თვისებებისა, მისი მომხმარებლები უფრო მეტად ონკოლოგიური პაციენტები არიან.**

– დიახ, ასეა. მე ძირითადად კვლევებით ვარ დაკავებული, მაგრამ არაერთხელ გამიგია იმის შესახებ, როგორ ჩაიტარეს მძიმედ დაავადებულმა პაციენტებმა ქიმიოთერაპია, გაიკეთეს ოპერაცია და ბოლო შანსი მათთვის „კამელინი“ იყო. რა თქმა უნდა, ყოველთვის არ არის 100-პროცენტიანი შედეგი, მაგრამ ყველა, 100-ვე პროცენტში მძიმე ავადმყოფობის დროს, იყო მაჩვენებლების გაუმჯობესება და გარკვეულ შემთხვევებში, გამოჯანმრთელებაც – ამას სრული პასუხისმგებლობით ვამბობ. ერთ შემთხვევას გეტყვით: ბულგარეთში ერთ ადამიანს შვილი ჰყავდა ცუდად – „ჩავარდნილი“ იყო. არ ვიცი, როგორ გაიგო „კამელინის“ შესახებ, მაგრამ მან იყიდა და მოხდა სასწაული: ის ბავშვი ახლაც ფეხზეა, კარგად გრძნობს თავს. სწორედ ამ ფაქტის შემდეგ დაგვიკავშირდნენ ბულგარეთიდან და სურთ „კამელინის“ დარეგისტრირება. მინდა, აქვე აღვნიშნო, რომ „კამელინის“ მიღება პროფილაქტიკის მიზნითაც, არ არის ურიგო. შეიძლება, ადამიანს არაფერი სჭირს, მაგრამ იმუნიტეტის ამაღლების მიზნით, შეუძლია, წელიწადში ორჯერ ჩაიტაროს „კამელინით“ მკურნალობის კურსი: ერთი – გაზფხულზე, მეორე – ზამთრის დადგომისას. ასევე, კარგია მისი მიღება სიმსივნის პრევენციის მიზნითაც. ქიმიური პრეპარატები დამანგრევლად მოქმედებს ადამიანის ორგანიზმზე. „კამელინი“ კი აბსოლუტურად უვნებელია. არ აქვს გვერდითი მოვლენები, ბუნებრივი, თაფლისგან დამზადებული პრეპარატია და თავისუფლად შეიძლება, მისი მიღება პრევენციის მიზნითაც. საერთაშორისო კვლევებმაც ნათლად დაადასტურა, რომ „კამელინი“ ერთ-ერთი საუკეთესო იმუნომოდულატორია. ტყუილად არავინ დაგპატიჟებს ასეთ პრესტიჟულ დაჯილდოების ცერემონიალზე და არ მოგანიჭებს ოქროს ნომინაციას. ისევე როგორც არ მგონია, ტყუილად გახსნას ამერიკელმა ამერიკაში „კამელინის“ შვილობილი კომპანია, ასევე ევროპაში... ჩვენ წინ ბევრი გეგმა გვაქვს და რაც მთავარია, მინდა, ჩვენმა მომხმარებელმა იცოდეს, რომ, როდესაც იღებენ „კამელინს“, ამ პრეპარატს წინ უძღოდა კვალიფიციური და ხარისხიანი სამეცნიერო-კლინიკური კვლევები, რაც მათ ჯანმრთელობის გაუმჯობესებაში ნამდვილად დაეხმარება.

***P.S. მე ამ უნიკალურ და მაღალი სანდობით აღჭურვილ კომპანიას კიდევ ერთხელ ვულოცავ ასეთ მნიშვნელოვან წარმატებასა და აღიარებას. მჯერა, რომ ქართული პრეპარატი „კამელინი“ კიდევ ბევრ საერთშაროსო აღიარებას მოიპოვებს და რაც მთავარია, არაერთ ადამიანს დაუბრუნებს გამოჯანმრთელებისა და ცხოვრების იმედს. ვისაც გაქვთ „კამელინთან“ დაკავშირებული კითხვები ან გსურთ, კონსულტაცია, შეგიძლიათ, დარეკოთ ტელეფონის ნომრებზე: 599 33-10-89; 599 58-09-07; 599 23-03-33; 2-98-57-78; 2-71-04-80; 2-22-26-68; 2-93-20-87.***

**ნათია უტიაშვილი**

# შესთავაზებს თუ არა ნანუკა ჟორჟოლიანი თანაწამყვანობას თავის ორეულს, მანანა უბილავას

**სულ რამდენიმე დღის წინ, სოციალურ ქსელში, ნანუკა ჟორჟოლიანის „ფეისბუქგვერდზე” გავრცელდა ფოტოკოლაჟი, რომელმაც ყველას ყურადღება უმალ მიიპყრო. ფოტოზე თავად ნანუკაა და უწერია „ძაან!.. აბა, თუ მიხვდებით, ვინ არის?..” აღმოჩნდა, რომ ამ ფოტოებზე თვითონ კი არა, 51 წლის ვინმე მანანა უბილავაა. არადა, მსგავსება საოცარია. ჩვენ შევეცადეთ ნანუკას დავკავშირებოდით, ინტერვიუ ჩაგვეწერა და ამ ორი ადამინისთვის ფოტოც გადაგვეღო, მაგრამ მისი ნომერი გამორთულია. როგორც გავიგეთ ამჟამად საქართველოში არ იმყოფება. მან მხოლოდ „ფეისბუქით” პატარა კომენტარი გააკეთა ამასთან დაკავშირებით.**

**– ქალბატონო მანანა, როდის აღმოაჩინეთ, რომ ნანუკა ჟორჟოლიანს გავხართ?**

– პირადად მე, არასდროს მიმიქცევია ამისთვის ყურადღება, მაგრამ ჩემი მეგობრები მეუბნებოდნენ. ნანუკა ჟორჟოლიანს გავხარო. ჩემმა ერთ-ერთმა მეგობარმა, ლიკა კარტოზიამ, რომელიც ICR-ში მუშაობს, ეს მსგავსება შეამჩნია ჯერ კიდევ 90-იან წლებში, როდესაც სოხუმიდან ახალი ჩამოსულები ვიყავით. მაშინ ნანუკა ჯერ კიდევ დამწყები ჟურნალისტი იყო.

**– მოგვიყევით თქვენ შესახებ.**

– ამჟამად ვცხოვრობ აეროპორტის დასახლებაში. აქ ნუცუბიძის პლატოდან გადმოვედი, სადაც ოჯახთან ერთად ვცხოვრობდი. ოთხი წელია, ქმართან გაყრილი ვარ და აქ გადმოვედი საცხოვრებლად. ორი ვაჟი მყავს – 25 წლის და 19-ის. უფროსი დაოჯახებულია, უმცროსი კი პირველი კურსის სტუდენტია. ვმუშაობ აფხაზეთის გარემოს დაცვის სამმართველოში უფროს სპეციალისტად. 51 წლის ვარ (დავიბადე 1963 წლის 8 მარტს).



**– თავად მართლა არ დაფიქრებულხართ, რომ ასეთი მსგავსებაა თქვენს შორის, სანამ მეგობრები გეტყოდნენ?**

– მას შემდეგ, რაც ხშირად მიმეორებდნენ, რომ ძალიან ვგავდი, უკვე მეც ვამჩნევდი მსგავსებას და სიმართლე გითხრათ, ძალიან მსიამოვნებდა. ძალიან დიდ პატივს ვცემ ნანუკას. განსაკუთრებული მსგავსება ჩემსა და ნანუკას შორის მაშინ შევამჩნიე, როცა 2 მაისს დავდე ფოტო, რომელზეც დავაწერე: „ნანუკა ვარ ჟორჟოლიანი” (შეგიძლიათ, გადაამოწმოთ).

**– ესე იგი ეს პროვოკაცია თქვენგან წამოვიდა. ფოტოს დადების შემდეგ არ გაგჩენიათ სურვილი, შეხმიანებოდით და მისი რეაქცია გაგეგოთ, ან მანამდე შეხვედროდით და გაგეცნოთ ერთმანეთი?**

– არა, არასდროს მიფიქრია ნანუკასთან შეხმიანება. ჩემთვის ეს წარმოუდგენელი იყო

**განსაკუთრებული მსგავსება ჩემსა და ნანუკას შორის მაშინ შევამჩნიე, როდესაც 2 მაისს დავდე ფოტო, რომელზეც დავაწერე: „ნანუკა ვარ ჟორჟოლიანი”**

და ამიტომ მცდელობაც არ მქონია. რადგან ნანუკა ძალიან მესიმპათიურება, დალაიქებული მქონია ასეთი გვერდი: „ჩვენ გვიყვარს ნანუკა”. არ ვიცი, საიდან, მაგრამ რამდენიმე დღის წინ, ამ გვერდმა დადო ფოტოკოლაჟი, სადაც მე და ნანუკა ვიყავით შედარებული. ისინი წინასწარ დამეკონტაქტნენ „ჩატში” და მითხრეს, რომ სიურპრიზს მიმზადებდნენ. სიურპრიზი სწორედ ეს ფოტოკოლაჟი ყოფილა... ძალიან მესიამოვნა, მაგრამ წამითაც არ მიფიქრია, ამხელა გამოხმაურება თუ მოჰყვებოდა ამ ფოტოს დადებას.

**– აი, თქვენ ხომ უყურებთ ნანუკას ეკრანზე, ეკრანიდან ხედავთ მის ქცევებს, ისმენთ საუბრის მანერას, ჩანს ჩაცმის სტილი, მისი ხასიათი... ამ მხრივ, რა მსგავსებას ხედავთ?**

– ნანუკას მსაგვსად, მეც ემოციურად ვსაუბრობ, თუმცა ქცევებით არა მგონია, ვგავდე, არ დავკვირვებივარ ამას. მაგრამ, სხვებისგან მსმენია, რომ ძალიან პოზიტიური ადამიანი ვარ მათთვის და ნანუკაშიც ამ თვისებას ვხედავ. შეიძლება, ამიტომაც მესიმპათიურება ნანუკა. ხშირად აღნიშნავენ ამას ჩემი მეგობრები. ასევე, მახასიათებს ერთი უცნაური თვისება, რაც არ უნდა იყოს, ყველანაირ ემოციაზე ვწითლდები. იქნება ეს ბრაზი თუ სიხარული. რაც შეეხება ჩაცმის სტილს, უპირატესობას ვანიჭებს სპორტულ ჩაცმულობას და ძირითადად, ასე დავდივარ. კლასიკურს მხოლოდ ღონისძიებებზე ვიცვამ. დიახ, ჩემი ჩაცმულობის სტილიც მუდამ არეულია ფერებით და შავის გარდა, თითქმის ყველა ფერს ვიცვამ.

**– მიბაძვის სურვილი გქონიათ?**

– არა, არ გამჩენია იმის სურვილი, რომ ნანუკასთვის მიმებაძა. ალბათ, ეს განპირობებულია ჩემი ასაკიდან და ასევე, ვფიქრობ, ინდივიდუალიზმი ადამიანის საუკეთესო თვისებაა. ის მსგავსება, რაც ჩვენ შორისაა, ბუნებრივია და არა ხელოვნური.

**– მაგრამ ხომ შეიძლებოდა ამ სფეროში თქვენც გამხდარიყავით ასეთი ცნობილი ან მას გასჩენოდა იდეა, მისი თანაწამყვანი გამხდარიყავით, წარმომიდგენია, რა მაგარი იქნებოდა ორი ნანუკა.**

– არა, ვფიქრობ, რომ ამის ნიჭი და შესაძლებლობა არ გამაჩნია. არასოდეს გამიკეთებია მსგავსი საქმე და არა მგონია, გამომივიდეს, რაც არ უნდა ვეცადო. ამის ამბიცია რომ მქონდეს, შესაძლებლობაც უნდა გამაჩნდეს და ხელს მიწყობდეს, რაც, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, არ გამაჩნია.

**– ზოდიაქოს რა ნიშანი ხართ?**

– „თევზები”. რომანტიზმის განცდით და მეოცნებეობით ვგავარ ამ ნიშანს. თუმცა, ასეთი თვისებები ადრე უფრო გამაჩნდა, ახლა დალექილია და წლებთან ერთად გაქრა...

**– როცა ორი უცნობი ადამიანი ასე ჰგავს ერთმანეთს, ბუნებრივია, იქ გაჩნდეს რაღაც ეჭვებიც. თქვენც ხომ არ გაგიჩნდათ (ეს ისე, ხუმრობით)?**

– არა, არა. მამა ზუგდიდელი იყო, დედა – გალელი. ვცხოვრობდით სოხუმში. დღეს ცოცხალი არც ერთი არ არის. ჩვენს ოჯახს თბილისთან შეხება არასდროს ჰქონია, მხოლოდ ომის შემდეგ მოვხვდი თბილისში მეუღლის ოჯახთან ერთად. ასე რომ, ეს გამორიცხულია.

**– ნანუკა, როგორი იყო შენი რეაქცია როდესაც ეს ფოტოები ნახე და რეალურად, რა მსგავსება დაინახე შენსა და ქალბატონ მანანას შორის?**

**ნანუკა ჟორჟოლიანი:** მე და მარიამმა ერთად ვნახეთ და მარიამმა შეჰყვირა: დე,



როგორ გგავსო. დაკვირვებაც არ იყო საჭირო. ძალიან მგავს მართლა...

**– თუ გაგიჩნდა სურვილი, ახლოდან გაგეცნო, შეხვედროდი ან რამე მიგეწერა?**

– ასე, მიწერა არა... მაგრამ მაინტერესებს როგორია, რას ეუბნებიან, როცა მამსგავსებენ. მომიკითხეთ, თუ დაელაპარაკებით.

**ეკა პატარაია**

# ხშირად დასმული კითხვები და მათზე პასუხები

## 1. როგორ იმოქმედებს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაზე ხელმოწერა საქართველოს ეკონომიკურმდგომარეობაზე?

საქართველოს ნახავს მნიშვნელოვან სარგებელს ახალი სავაჭრო შესაძლებლობებითა და მსოფლიოს უდიდეს ბაზართან მარტივი წვდომით. გაიზრდება უცხოური ინვესტიციები, ქართული პროდუქციის ხარისხი, კონკურენტუნარიანობა და ექსპორტი. შედეგად შეიქმნება ახალი საწარმოები და სამუშაო ადგილები, აიწევს ცხოვრების დონე.

## 2. შეძლებენ თუ არა ქართული კომპანიები ევროკავშირის სტანდარტებისა და რეგულაციების დაკმაყოფილებას?

ევროკავშირის სტანდარტებზე გადასვლა განხორციელდება ეტაპობრივად, რამდენიმე წლის განმავლობაში. მწარმოებლების ხარჯები რეალურად იქნება ინვესტიცია უკეთესი პროდუქციის გამოსაშვებად, რაც მომავალში დამატებითი შემოსავლის წყაროდ იქცევა. ევროკავშირი დაეხმარება საქართველოს შესაბამისი რეფორმების განხორციელებაში.

## 3. გამოიწვევს თუ არა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება საქართველოდან შრომითი რესურსების გადინებას?

ასოცირების შეთანხმება ითვალისწინებს საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო მიმოსვლას მიგრაციასთან დაკავშირებულ სფეროებში რეფორმების განხორციელების შემდეგ. უვიზო მიმოსვლა არ აძლევს საქართველოს მოქალაქეს ევროკავშირის ქვეყნებში მუდმივი ბინადრობისა და დასაქმების უფლებას.

## 4. წარმოადგენს თუ არა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების გაფორმება საქართველოს ევროკავშირში გაერთიანების გარანტიას?

შეთანხმება ღიად ტოვებს და ამავე დროს არ გამორიცხავს საქართველოს ევროკავშირში გაერთიანების საკითხს. შეთანხმებაში აღიარებულია ქვეყნის ევროპული მისწრაფებები და არჩევანი. ხაზგასმულია, რომ საქართველო არის ევროპული ქვეყანა. შეთანხმება შეუქცევად ხასიათს აძლევს ქვეყნის ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესს.

## 5. როგორ იმოქმედებს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება საქართველოს კულტურულ იდენტობასა და ტრადიციებზე?

ევროკავშირის სიძლიერე და მიმზიდველობა სწორედ მის კულტურულ მრავალფეროვნებაშია. ევროკავშირი ეხმარება წევრ ქვეყნებს კულტურული თვითმყოფადობისა და ტრადიციების შენარჩუნებაში. შეთანხმება ხელს შეუწყობს ევროკავშირის ქვეყნებში ქართული კულტურული მიღწევებისა და უნიკალურობის პოპულარიზაციას.

## 6. უქმნის თუ არა საფრთხეს ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმება მართმადიდებლობას და დაკნინდება თუ არა ქართული ეკლესიის როლი?

შეთანხმება ეფუძნება საქართველოსა და ევროპის სხვა ქვეყნების ისეთ საერთო ისტორიულ და ქრისტიანულ ღირებულებებს, როგორიცაა შემწყნარებლობა, ადამიანის უფლებების პატივისცემა და თანასწორობა. ხსენებული საფრთხეები არ შექმნილა ევროკავშირის წევრ მართმადიდებლურ საბერძნეთში, კვიპროსში, რუმინეთსა და ბულგარეთში.

## 7. აიძულებს თუ არა საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება, დაუშვას ერთსქესიანთა ქორწინება?

ერთი სქესის ადამიანთა ქორწინება არ წარმოადგენს ასოცირების შეთანხმების ან ევროკავშირში გაწევრიანების მოთხოვნას. ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმრავლესობა არ ცნობს მსგავს ქორწინებას და მეტიც, ზოგიერთ ქვეყანაში ის კონსტიტუციით არის აკრძალული.

## 8. შეუშლის თუ არა ხელს საქართველოს, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება, ჰქონდეს თავისუფალი ვაჭრობა სხვა ქვეყნებთან?

საქართველოს რჩება შესაძლებლობა, თავად განსაზღვროს საკუთარი სავაჭრო პოლიტიკა. შეთანხმება აძლევს საქართველოს საშუალებას შეინარჩუნოს და განავრცოს თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობები სხვა ქვეყნებთან, მათ შორის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებთან.

## 9. ხომ არ გართულდება ევროკავშირის არა-წევრ ქვეყნებში ქართული პროდუქციის ექსპორტი?

ქართული კომპანიები, რომლებიც ევროკავშირის არა-წევრი ქვეყნების ბაზრისთვის აწარმოებენ პროდუქციას, ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის შემდეგაც შეძლებენ ექსპორტის დაუბრკოლებლად განხორციელებას.

## 10. ნიშნავს თუ არა ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების განხორციელება, ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნებაზე უარის თქმას?

შეთანხმების მიხედვით ევროკავშირი პატივს სცემს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. შეთანხმება ითვალისწინებს ევროკავშირის აქტიურ ჩართვას კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესში. შეთანხმება ვრცელდება საქართველოს მთელს ტერიტორიაზე და მისი გამოყენება ოკუპირებულ რეგიონებში დაიწყება მას შემდეგ, რაც საქართველოს მთავრობა შეძლებს ამ ტერიტორიებზე მის განხორციელებას.

**ქართველი წმინდანის, გრიგოლ ფერაძის ცხოვრების და მოწამეობრივი აღსასრულის შესახებ ძალიან ბევრი დაწერილა. მათ შორის, ვისაც მისი მოღვაწეობის კვლევაში დიდი წვლილი მიუძღვის, არის მისი ძმისშვილი, ბატონი რომანოზ ფერაძე – გამორჩეული ბუნების ადამიანი, რომელსაც წმინდანი ბიძის შესახებ დღემდე განსაკუთრებული ემოციები აქვს. შესაბამისად, მის მიერ მოყოლილი ისტორია კაცისა, რომელიც საქართველოსთვის იღვწოდა და სამშობლოში დაბრუნების უფლება ვერ მიიღო, ჩვენი მკითხველისთვის განსაკუთრებით საინტერესო უნდა იყოს.**

# ვინ არის გრიგოლ ფერაძის მემკვიდრე საქართველოში და რა ვერ აპატია წმინდანმა უფროს ძმას

**რომანოზ ფერაძე**: ძალიან პატარა ასაკში გავაცნობიერე, რომ ასეთი დიდი ადამიანის შთამომავალი ვიყავი. ეს გენეტიკური კავშირი ჩემში არასდროს გაწყვეტილა, უფროს შვილს მამის თხოვნით გრიგოლი დავარქვი. მამა ბევრს მიყვებოდა თავისი ძმის შესახებ. როცა გრიგოლზე საუბრობდა, მამას სახე და თვალები საოცრად გაუნათდებოდა ხოლმე. აღფრთოვანებული, ამაღლებულ განწყობაზე იყო ძმის გახსენებისას. მაშინ ბიძაჩემზე ხმამაღლა საუბარი იოლი არ იყო. თუმცა, ჩვენს ოჯახში მოსული სტუმრები – ჩემი თუ მამას მეგობრები, გრიგოლ ფერაძეზე ძალიან ბევრს ვსაუბრობდით. ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე, მამას ხშირად დავყავდი სიონში, სადაც წირვებს პატრიარქი ეფრემ მეორე ატარებდა. ჩამიკრავდა ხოლმე გულში მისი უწმინდესობა და მრავალგზის სინანულით მიმეორებდა: იცი, რა ბიძა გყავდა?! იცი, რა ბიძა გყავდა?! პატრიარქი და გრიგოლი სასულიერო სასწავლებელში თანაკლასელები იყვნენ, ერთმანეთთან ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. იმის მიუხედავად, რომ მამას თავისი ძმა ათეული წლები არ ენახა, სულ მასზე მოგონებებს დასტრიალებდა. ხშირად იხსენებდა, როგორი მძიმე იყო ოჯახისთვის, განსაკუთრებით კი ბებიასთვის გრიგოლის წასვლა უცხოეთში. ბებიას სურდა, რომ გრიგოლი საქართველოში დარჩენილიყო, ოჯახის ტრადიცია გაეგრძელებინა და მღვდლად კურთხეულიყო, მაგრამ ბიძაჩემმა თავისი არჩევანი გააკეთა. როცა ის ევროპაში ეკურთხა მღვდლად, ბებიას შეუთვლია მისთვის: რატომ დამაკარგინე შენი თავი, შენ ახლა აქ ვიღა ჩამოგიშვებსო.



გრიგოლ ფერაძე ოფიციალურად ფლობდა 16 ენას, არაოფიციალურად, უფრო მეტს

**– მისი საქართველოდან წასვლის შესახებ ბევრი ისტორიაა ცნობილი. თუმცა, თქვენგან, მისი ძმისშვილისა და მემკვიდრისგან, ყველაზე რეალურ ისტორიას მოვისმენთ.**

– გრიგოლ ფერაძე საქართველოდან 1921 წელს წავიდა. თუმცა, იქამდე მას ჰქონდა ძალიან საინტერესო ისტორია. გრიგოლის წინაპრები სასულიერო მოღვაწეები იყვნენ. მამამისი – რომანოზ ფერაძე სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, სწავლობდა გორში, ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიაში ვაჟა- ფშაველასთან ერთად. პედაგოგიური მოღვაწეობის შემდეგ, რომანოზი მღვდლად ეკურთხა. ის ჯერ იყო საქაშეთის ეკლესიის მღვდელი, შემდეგ კი წლების განმავლობაში გურჯაანის რაიონის სოფელ ბაკურციხის წმინდა გიორგის ეკლესიის წინამძღვარი. მას და მის მეუღლეს, მარიამ სამადალაშვილს სწორედ ბაკურციხეში შეეძინათ ვაჟი, რომელსაც გრიგოლ ხანძთელის პატივსაცემად, გრიგოლი დაარქვეს. რომანოზს და მარიამს სამი ვაჟი ჰყავდათ: უფროსი – არჩილი, გრიგოლი და მამაჩემი, ვასო. ქმრის გარდაცვალების შემდეგ, გრიგოლის დედა მცირეწლოვან შვილებთან ერთად, თბილისში გადავიდა საცხოვრებლად. აქ მას ძალიან უჭირდა. პატარა გრიგოლი ბიძამ, ყვარლის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის მოძღვარმა, თავისთან წაიყვანა, სადაც ის დარჩა სასკოლო ასაკამდე. მამის საქმის გასაგრძელებლად, გრიგოლი შეიყვანეს თბილისის სასულიერო სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ, გრიგოლი შევიდა სასულიერო სემინარიაში, სადაც გაეცნო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მდიდარ მემკვიდრეობას. სწავლის პერიოდში გრიგოლი იძლეოდა კერძო გაკვეთილებს, რათა მატერიალურად დახმარებოდა დედას. მან სემინარია დაამთავრა წარჩინებით, რაც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას დაემთხვა. საქართველო აღარ იყო რუსეთის კოლონია, შესაბამისად, გრიგოლმა ვერ შეძლო უფასოდ სწავლის გაგრძელება რუსეთის რომელიმე უნივერსიტეტში. 1918 წელს გრიგოლმა სწავლა დაიწყო ახლად დაარსებულ თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე, სადაც სწავლობდა ლიტერატურას და ისტორიას. ამ პერიოდში, დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით, გრიგოლი მოღვაწეობდა პედაგოგად გორის მაზრაში, სოფელ ხანდაკის სკოლაში. 1919-1921 წლებში გრიგოლი გაიწვიეს ჯარში. როდესაც საქართველოში შემოიჭრა წითელი არმია გრიგოლი და მისი ძმები სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგნენ. ისინი იარაღით ხელში ებრძოდნენ რუსულ იმპერიას. გრიგოლი თავის დღიურებში წერს, როგორ იყო მორწყული სისხლით თბილისის ქუჩები და როგორ ეძებდა ამ ქუჩებში უმცროს ძმას, რომელსაც მოგვიანებით, დაჭრილსა და ფეხამპუტირებულს მიაგნო დასავლეთ საქართველოს ლაზარეთში. ბოლშევიკების გამარჯვების შემდეგ, კორნელი კეკელიძემ გრიგოლი გაარიდა რეპრესიებს და გაგზავნა კახეთში, მანავის სოფლის მასწავლებლად. იმ პერიოდში ბოლშევიკების მიერ რწმენის მასობრივმა დევნამ ქართული ეკლესია დაღუპვის პირას მიიყვანა. პატრიარქმა ლეონიდემ კორნელი კეკელიძესთან ერთად გადაწყვიტა, სემინარიადამთავრებული, ყველაზე ნიჭიერი ახალგაზრდებისთვის თეოლოგიური განათლება მიეცათ. საქართველოს პატრიარქატის საბჭომ გადაწყვიტა, რომ გრიგოლ ფერაძე, პირველი ქართველი ახალგაზრდა გაეგზავნა ბერლინის უნივერსიტეტში თეოლოგიური განათლების მისაღებად. როგორც აღმოჩნდა, მაშინ გრიგოლმა სამუდამოდ დატოვა საქართველო.

**– აქედან იწყება მისი პოლონეთთან დაკავშირებული ისტორია, რაც მისი ცხოვრების გარდამტეხი ეტაპი იყო? ის ხომ პოლონეთს მეორე სამშობლოდ მიიჩნევდა.**

– პოლონეთამდე იყო მისი გერმანული ისტორია – გრიგოლს ძალიან ეხმარებოდა არტურ ლაისტი, რომელმაც სთხოვა დოქტორ იოჰან ლეპსიუსს, სტიპენდია დაენიშნა და დახმარება გაეწია გრიგოლისთვის. ბერლინის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, გრიგოლი ბონის უნივერსიტეტში

## ფაშისტებმა ქალღები მიუსიეს გრიგოლ ფერაძეს, რომლებმაც ის არ დაგლიჯეს

გადავიდა, სადაც თეოლოგიური და ფილოსოფიური ცოდნა გაიღრმავა – მიიღო ფილოსოფიის დოქტორის წოდება. ამის შემდეგ გაემგზავრა ინგლისში, ლონდონის ბრიტანეთის მუზეუმსა და ოქსფორდის ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერების შესასწავლად. მას ძალიან იზიდავდა სამეცნიერო საქმიანობა, თუმცა, იმავდროულად, ოცნებობდა სამშობლოში მართლმადიდებელი ეკლესიის მსახურებაზე. გრიგოლი უშედეგოდ ითხოვდა სამშობლოში დაბრუნებას. ამ თხოვნით მან სტალინსაც კი მისწერა წერილი, რომელიც უპასუხოდ დარჩა. ასე აღმოჩნდა ის სამშობლოდან გარიყული. ნაციზმის განვითარების შემდეგ, გრიგოლი საფრანგეთში გადავიდა, სადაც ქართული დიასპორა იყო. იქ ის მძიმედ დაავადდა – სიკვდილის პირას მყოფს ჰქონდა ხილვა, შებრუნებულიყო ღვთისმსახურებისკენ. პარიზში დააარსეს წმინდა ნინოს ეკლესია, რომლის პირველი მოძღვარიც გახლდათ გრიგოლ ფერაძე. მამა გრიგოლი ცდილობდა, გაეერთიანებინა სამშობლოდან დევნილი მრევლი ეკლესიის გარშემო. მისი ქადაგებები გამსჭვალული იყო უდიდესი სიბრძნით, ქრისტიანობის და სამშობლოს სიყვარულით, მჭერმეტყველებით. ის იყო ღვთისნიერი ადამიანი, რაც საკუთარი ცხოვრებით დაამტკიცა. თვითონ უჭირდა და სხვას უწვდიდა დახმარების ხელს, საოცრად კაცთმოყვარე იყო.

**– ჰქონდა მას კავშირი საქართველოში დარჩენილ ოჯახთან?**

– მას ჰქონდა კავშირი ოჯახის ყველა წევრთან, გარდა უფროსი ძმის, რომელიც ბოლშევიკურ არმიაში მსახურობდა, როგორც სამხედრო პირი. ამის გამო გრიგოლმა გაწყვიტა კავშირი უფროს ძმასთან. კავშირი არ გაუწყვეტია მამასთან, თუმცა სულ ცდილობდა, მისთვის ზიანი არ მიეყენებინა. ისინი ერთმანეთს ხშირად უგზავნიდნენ წერილებს, გრიგოლის მიერ გამოგზავნილი წერილები ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული. ბოლო წერილში, რომელიც 1932 წელს არის გამოგზავნილი, გრიგოლი უმცროს ძმას წერს: მეტს აღარ მოგწერ, რომ პრობლემები არ შეგიქმნაო. 1937 წლის რეპრესიებს მამა მაინც ვერ გადაურჩა. ის დააპატიმრეს, მაგრამ ხეიბარი იყო, მათთვის პრობლემას არ წარმოადგენდა და გაათავისუფლეს. 1933 წლიდან გრიგოლი პოლონეთში გადავიდა. ის მიიწვია სრულიად პოლონეთის მიტროპოლიტმა დიონისემ. ვარშავაშიც იყო დიდი ქართული დიასპორა, პოლონეთში ლეგენდებს ყვებოდნენ მასზე. გრიგოლი იყო დიდი მოქალაქე, მეცნიერი, მღვდელმოწამე. 42 წლის ასაკში დაიღუპა და ამდენი რამ მოასწრო. ის იყო ძალიან განათლებული და ერუდირებული. ოფიციალურად ფლობდა 16 ენას, არაოფიციალურად – უფრო მეტს. როცა პოლონეთში ჩავიდა, პოლონური არ იცოდა. ოთხ თვეში ისე ისწავლა ენა, რომ ლექციების წაკითხვა დაიწყო. ვიქტორ ნოზაძის სიტყვებით, რომელიც გახლდათ ცნობილი ქართველი მოღვაწე ევროპასა და არგენტინაში: ისეთი ფენომენები, როგორიც იყო



# ინტიმური საუბრები

### ჩემი შვილი ახლა უფრო მიყვარს

ამ წერილის მოწერა მეზობელმა გადამაწყვეტინა, რადგან, სხვანაირად ვერ მივაწვდენ ხმას ციხეში მყოფ ჩემს ერთადერთ შვილს. იმავე მეზობელმა მითხრა, რომ თქვენი ჟურნალი ციხეებშიც შეაქვთო და, იმედია, წაიკითხავს ჩემი ბიჭი ამ წერილს.

ცოლი საკმაოდ გვიან შევირთე, მაგრამ, ადრე დავქვრივდი და შვილი მარტომ გავზარდე. ცოლის შერთვაზე აღარ მიფიქრია – არ მინდოდა, ბავშვი დედინაცვლის ხელში ჩამეგდო. თავიდან კი მეხმარებოდნენ დედაჩემი და ჩემი და, მაგრამ, ისინიც რამდენიმე წელიწადში გარდაიცვალნენ და, ბავშვი, პრაქტიკულად, უქალოდ გაიზარდა. არ ვიცი, რა შემეშალა, რა გამომეპარა, მაგრამ, სკოლის დამთავრების შემდეგ ბიჭი ცუდ წრეში აღმოჩნდა და ამის გამო სულ უსიამოვნებებში იყო. როგორც ჩანს, რაღაც ვერ გავთვალე, რაღაცაში ხელი დავაკელი... თითქოს მკაცრი მამა ვიყავი, მაგრამ, ეტყობა, მაინც ზედმეტად ვანებივრებდი – ობოლია და ისედაც დაჩაგრულია-მეთქი. მოკლედ, როგორც იტყვიან, ბიჭი ხელიდან გამივარდა.

სტუდენტი რომ გახდა, პირველივე კურსზე, ვიღაც ნაძირლებმა აიყოლიეს – ბინის გასაქურდავად წაიყვანეს და პირველად მაშინ დაიჭირეს, მაგრამ, ისე მოხდა, რომ შედარებით მცირე ვადა მიუსაჯეს და მალე გამოვიდა. თითქოს ჭკუაზე იყო მოსული და სამსახურის ძებნა დაიწყო, მაგრამ, ნაციხარი არავინ მიიღო, იმის საშუალება კი არ გვქონდა, რომ თვითონ წამოეწყო რამე პატარა ბიზნესი. მოკლედ, სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. მერე ერთ ჩემს შორეულ ნათესავს ვთხოვე, თავისთან მოეწყო სამუშაოდ (თავისი ბიზნესი ჰქონდა), თუნდაც ყველაზე დაბალ თანამდებობაზე. დამთანხმდა და მიიღო. სამიოთხი წელი ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა. მართალია, დიდ ხელფასს არ აძლევდა, მაგრამ, რაც მთავარია, მთელი დღე დაკავებული იყო, თავისი ჯიბის ფულიც ჰქონდა და საჭმელიც მოჰქონდა სახლში. მე ინვალიდობის პენსიას ვიღებდი და, რაღაცნაირად გაგვქონდა თავი. მერე კი ზუსტად რა მოხდა, ახლაც არ ვიცი, მაგრამ, იმ ჩემს ნათესავს რაღაც აერია ბიზნესში, სამართალდამცავ ორგანოებთან პრობლემები შეექმნა და დასაჭერად გაუხდა საქმე. სწორედ მაშინ, ისე, რომ ჩემთვის არც ერთს არაფერი უკითხავს, დაუძახა თურმე ჩემს შვილს და უთხრა, ეს ყველაფერი შენს თავზე აიღე და ერთ თვეში გამოგიყვანო, თან დაამადლა – მე რომ აგიყვანე სამსახურში და რამდენიმე წელი წყნარად და უზრუნველად ცხოვრობდი, ვალს გადახდა უნდაო. ეს სულელიც დათანხმდა და იკისრა სხვისი დანაშაული, იმ ნათესავმა კი ხელები დაიბანა – თითიც აღარ გაანძრია ჩემი შვილის გამოსაყვანად. ის კი არა, ყველგან იმას ამბობდა, სისულელე ვქენი, ის ნაციხარი რომ მივიღე ჩემთან, სწორედ მაგან გამხვია შარშიო.



თავი დავიმცირე, მივედი და ვთხოვე, დაიხსენი ჩემი შვილი-მეთქი, მაგრამ, მეჩხუბა, გამლანძღა და გამომაგდო. საშინელ დღეში აღმოვჩნდი, ამას კი ისიც დაემატა, რომ სადარბაზოს კიბეზე ფეხი დამიცდა, ჩავგორდი და ორივე ფეხი მოვიტეხე. ისევ მეზობლებმა მომხედეს, სხვა პატრონი არც მყოლია. ახლა, როგორც იქნა, დავდექი ფეხზე, მაგრამ, ჯოხითა და ყავარჯნით მხოლოდ სახლში ვახერხებ სიარულს, გარეთ ჯერ კიდევ ვერ გავდივარ და არც ვიცი, როდის შევძლებ ამის გაკეთებას. სწორედ ამიტომ ვერ დავდივარ ჩემს ბიჭთან პაემნებზე. ერთადერთი, რასაც ვახერხებ, ისევ ჩემი კარის მეზობლის წყალობით, ჩემი პენსიიდან თვეში 50 ლარს ვუგზავნი – მე მეტი საშუალება არ მაქვს. ეს ჩემი მეზობელი კი, მართლაც რომ ღვთისნიერი ქალი, თვეში ერთხელ ან ორჯერ თეთრეულსა და ხილს შეუგზავნის ხოლმე (თავისი ხარჯით) და, მინდა, რომ ჩემმა ბიჭმა ეს იცოდეს.

ჩემო დაჩაგრულო ბიჭო! თუ ამ წერილს წაიკითხავ, იცოდე, რომ გელოდები და მანამდე არ მოვკვდები, სანამ სახლში დაბრუნებულს არ დაგინახავ. თუ შეგიძლია, მაპატიე, რომ ვერ დაგიცავი ბოროტი ადამიანებისგან. იცოდე, რომ მამაშენს ახლა ასჯერ უფრო მეტად უყვარხარ და სჯერა შენი.

**ნოდარი, 67 წლის.**

**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბავი და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ ისტორიები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@gmail.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

გრიგოლ ფერაძე, საუკუნეში ერთხელ შეიძლება დაიბადოსო. გრიგოლ ფერაძის მიერ, მისი წმინდა მიწაზე მოგზაურობის შედეგად, შეიქმნა უმნიშვნელოვანესი ნაშრომი. მარტო ეს ნაშრომიც კი საკმარისი იქნებოდა, რომ ის უდიდეს მეცნიერად ეცნოთ.

**– რა ინფორმაცია ჰქონდა მამას ძმის მოწამეობრივი გარდაცვალების შესახებ და როდის შეიტყვეთ ეს თქვენ?**

– მამამ, რა თქმა უნდა, არაფერი იცოდა ძმის მოწამეობრივი სიკვდილის შესახებ. როდესაც წერილებს პოლონეთში აგზავნიდა, მართლმადიდებლურ ეკლესიასა და საელჩოში, რომ ძმის ამბავი შეეტყო, ეს წერილები ადრესატამდეც კი არ მიდიოდა. წერილები ჩერდებოდა მოსკოვში, უშიშროებაში. მამას ვინ ჩაუშვებდა პოლონეთში, ისეთი რეჟიმი იყო ჩვენთან. მამას კი არა, მეც მქონდა ბარიერები. პროფესიით გეოლოგი ვარ, ერთ-ერთ ექსპედიციაში იყო თავისუფალი ადგილი და აფრიკაში არ გამიშვეს მხოლოდ იმის გამო, რომ გრიგოლ ფერაძის ძმისშვილი ვიყავი. მამასთვის მოგვიანებით, 70-იან წლებში გახდა ცნობილი, რომ გრიგოლ ფერაძე მოწამეობრივად დაიღუპა 1942 წელს, 6 დეკემბერს „ოსვენციმის” ბანაკში. ეს არის ძალიან ამაღელვებული ისტორია, რომლის რამდენიმე ვერსიაც არსებობს. ერთ-ერთი ვერსიით, გრიგოლმა ადგილი გაუცვალა მრავალშვილიან მამას, რომელსაც რიგითობის მიხედვით, გაზის კამერაში სიკვდილი მოუწია. გრიგოლმა მას უთხრა: შენ შვილები გყავს, მე – არა. ჩემი სიკვდილი ჯობია შენს სიკვდილსო. პოლონელები მაინც უფრო იმ ვერსიას იზიარებენ, რომელზედაც თავად მესაუბრნენ ჩემი მეორედ ჩასვლის დროს. ამ ვერსიის მიხედვით, საკონცენტრაციო ბანაკში ტყვეებმა პური მოიპარეს. ტყვეები გააშიშვლეს და დააყენეს პლატზე მოთხოვნით, რომ ელიარებინათ, ვინ მოიპარა პური. ყველას გადაასხეს ცივი წყალი და ათი წუთი რომ გაეჩერებინათ იქ, ყველა გაიყინებოდა. გრიგოლი რიგიდან წინ გამოვიდა და თვითონ დაიბრალა პურის მოპარვა, ასე გადაარჩინა 200 ადამიანი გაყინვით სიკვდილს. არსებობს ინფორმაცია, რომ ფაშისტებმა ძაღლები მიუსიეს გრიგოლს, რომლებმაც რატომღაც არ დაგლიჯეს ის. შემდეგ გადაასხეს ბენზინი და ცოცხლად დაწვეს. ტყვეებს კი უთხრეს: აჰა გათბითო.

**– როგორც ცნობილია, გრიგოლ ფერაძე „გესტაპოს“ ჯურღმულებში მოხვდა ქართველების დაბეზღების შემდეგ.**

– კი, გრიგოლი „გესტაპოში” დააბეზღა ქართველმა მდივანმა, პროგერმანულად განწყობილმა ადამიანმა – თითქოს გრიგოლი ბინაში ინახავდა საიდუმლო სალაროს ებრაელთა გადასარჩენად. მისი ბინიდან ამოიღეს თვითონ „გესტაპოს” მიერ ჩადებული უცხოური ვალუტა, რის საფუძველზეც, მოხდა გრიგოლის დაპატიმრება. გრიგოლი მოათავსეს ვარშავის პავიაკის ციხეში, სადაც ძალიან მძიმე დღეები გაატარა. სწორედ ამ ციხიდან გაუგზავნა მან წერილი მეგობარს, რომელიც, ფაქტობრივად, ანდერძი და წინასწარმეტყველური წერილი გახლდათ. ამ ანდერძიდანაც ჩანს, მისი ჰუმანური ხასიათი და კაცთმოყვარეობა. პავიაკის ციხიდან ის გადაიყვანეს „ოსვენციმის” საკონცენტრაციო ბანაკში, სადაც აღესრულა კიდეც მოწამეობრივად. მოგვიანებით, როცა „ოსვენციმის” ბანაკის მასალები მოხვდა საბჭოთა „კაგებეში”, ამ მასალებზე მუშაობა მოუხდა ბატონ რეზო თაბუკაშვილს. მან გადაიღო პირველი დოკუმენტური ფილმი. ბატონმა რეზომ მითხრა, როცა „კაგებეს” არქივებში ჩავედი და ვნახე „ოსვენციმის“ მასალები, იქიდან მაინცდამაინც 6 დეკემბრის მასალა იყო ამოხეულიო. „გესტაპომ” ასე გააქრო გრიგოლ ფერაძის ისტორია, თუმცა 80-იან წლებში უფრო გალღვა ყინული. დაიწყო პუბლიკაციების გამოქვეყნება გურამ შარაძის, ზურაბ ჭავჭავაძის ავტორობით. იმ პერიოდში პოლონეთის მართლმადიდებლური ეკლესია წერილს უგზავნიდა ჩვენს ეკლესიას, მამა გრიგოლის წმინდანად შერაცხვის შესაძლებლობის განხილვის შესახებ. მათი განცხადებით, უმჯობესი იყო, რომ გრიგოლ ფერაძე როგორც ქართველი, ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას შეერაცხა წმინდანად და პოლონურ ეკლესიას დაედასტურებინა ეს. გრიგოლ ფერაძის კანონიზაცია მოხდა მოგვიანებით, 1995 წლის 15 დეკემბერს.

**– გრიგოლ ფერაძის რა მემკვიდრეობას ფლობს თქვენი ოჯახი?**

– ჩვენ დაგვრჩა მისი რამდენიმე ნივთი, მათ შორის, გრიგოლის კუთვნილი ორი წიგნი: „საქართველო-სამოთხე” და ეფრემ მეორის ლექსთა კრებული, რომლებიც მამაჩემის ანდერძით ჩემს შვილს გადავეცი. ჩვენ გადმოგვეცა გრიგოლ ფერაძის ანაფორა, რომელიც პოლონურმა მხარემ გამოგზავნა და დაბრძანებულია საპატრიარქოში. გრიგოლის მემკვიდრეობას კვალდაკვალ მიჰყვებოდნენ მისი ყოფილი სტუდენტები. მათ შორის იყო მისი ბიოგრაფი – მამა ჰენრიკ პაბროცკი, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის გრიგოლ ფერაძის ცხოვრებისა და მისი სამეცნიერო მოღვაწეობის კვლევაში. მე ორჯერ ჩავედი პოლონეთში. ვნახე ყველა ის ადგილი, სადაც მოღვაწეობდა გრიგოლი, მათ შორის მარია მაგდალინელის ეკლესია, სადაც ის მსახურობდა. ძალიან მეამაყება, რომ პოლონელებმა დააფასეს ამ ადამიანის ღვაწლი. ვარშავაში დღეს არსებობს წმინდა გრიგოლ ფერაძის სახელობის ეკლესია. მე მივედი ვარშავის უნივერსიტეტში და ვნახე მისი აუდიტორია, ვნახე ის სახლი, სადაც გრიგოლი ცხოვრობდა. იმ ადგილების ნახვის შემდეგ, განსაკუთრებული ემოციები მაქვს, რასაც მთელი ეს წლები თან დავატარებ.

**თამუნა ნიჟარაძე**

**ანიტა რაჭველიშვილი გამოირჩევა არა მხოლოდ არაჩვეულებრივი, უძლიერესი ხმით, მაღალი პროფესიონალიზმით და საოცარი არტისტიზმით, არამედ ბევრი ადამიანური თვისებითაც. ამიტომაც, მასთან ურთიერთობა ყოველთვის განსაკუთრებულად სასიამოვნოა და ასევე, იმის მოსმენა, მსოფლიოში წარმატებული მომღერალი როგორ ცდილობს, ჩვენი ქვეყნისთვის, კულტურის განვითარებისთვის არაერთ მნიშვნელოვან პროექტში მიიღოს მონაწილეობა. ის ამჟამად, უფრო სწორად, უკვე დიდი ხანია, სხვა მუსიკოსებთან ერთად ცდილობს, გადაარჩინოს ევგენი მიქელაძის სახელობის მუსიკალური ცენტრი, რომელიც წლებია, საშინელ მდგომარეობაშია და იქ, კონცერტის ჩატარება კი არა, შესვლაც წარმოუდგენელია.**

# რატომ დაშორდა ანიტა რაჭველიშვილი მეუღლეს და როგორ შეავსო „თავადმა იგორმა“ მისი კალენდარი 2019 წლის ჩათვლით

**ანიტა რაჭველიშვილი:** რამდენიმე დღის წინ, ფოტოგრაფ ლევან ჭყონიასთან ერთად გვქონდა ფოტოსესია, რომელიც ისევ მიქელაძის სახელობის მუსიკალური ცენტრის დახმარების საკითხს ეხება, რადგან, მოგეხსენებათ, რა საშინელ მდგომარეობაშია. გაზაფხულზე დარბაზი ჩამოინგრა, შესვლა შეუძლებელია. ორკესტრი იძულებულია, რეპეტიციებზე აქეთ-იქით იაროს. ამიტომ, გავაკეთეთ ფოტოსესია ჩაბნელებული, დანგრეული დარბაზის ფონზე, ანუ პროტესტის სახე აქვს – ამ ცენტრს აუცილებლად სჭირდება დახმარება. აქციას ერქმევა „დავეხმაროთ მიქელაძის ცენტრს“. ის ტარდება ორგანიზაცია „ახალგაზრდები ახალგაზრდებისთვის“ სახელით, რომელიც პიანისტ დათუნა ალადაშვილის დაარსებულია. ერთ დღეს, როცა მე და დათუნა დარბაზში რეპეტიციისთვის შევედით, დათუნამ მითხრა: დადექი, მაგარი ფოტო გამოვაო და უცებ მოგვივიდა აზრად, ფოტოსესია გაგვეკეთებინა სხვა მუსიკოსებთან ერთად. მე და დათუნას დაგეგმილი გვაქვს კამერული მუსიკის ტურნე. ერთ-ერთი პირველი ქალაქი იქნება ბერლინი, შემდეგ – ნიუ-იორკი, სანკტ-პეტერბურგი. თუმცა, ამ ტურნეს პროგრამა გვინდა, პირველად ჯერ თბილისში დავუკრათ. სწორედ ამ კონცერტის დროს მოეწყობა მიქელაძის მუსიკალური ცენტრის დასახმარებლად გაკეთებული ფოტოების გამოფენა. თვითონ კონცერტი 1 ივლისს გაიმართება ფოიეში და ამით კიდევ ერთხელ გვინდა, გავუსვათ ხაზი იმას, რომ კონცერტი კი ტარდება, მაგრამ ვერ შევდივართ დარბაზში – ფოიეში ვართ, ძალიან ვიწროდ და ულამაზოდ. როგორც „ულამაზოდ“ ვატარებდით აქამდე კონცერტებს, რადგან დარბაზი დანგრეული იყო, ასე გავაგრძელებთ მანამდე, სანამ ხმა არ მივა მათ ყურამდე, ვისაც ეს ეხება, რომ ცენტრი უნდა გარემონტდეს. ჩემთვის, უპირველეს ყოვლისა, ძალიან მნიშვნელოვანია ნიკას და მისი ორკესტრის ბედი. ის ფაქტი, რომ საქართველოში არიან ძალიან კარგი მუსიკოსები და ფანტასტიკური ორკესტრი, რომელსაც არ ჰყავს პატრონი – სირცხვილია.



არასდროს ესწრება სპექტაკლს, მაგრამ დაწყებამდე და დამთავრებისას, აუცილებლად თეატრის შესასვლელთან დგას საჩუქრებით

**– როგორ შედგა შენი და დათუნას არაჩვეულებრივი ტანდემი?**

– დათუნა 2011 წელს მოვიდა ნიუ-იორკში ჩემს სპექტაკლზე. მაშინ გავიცანით ერთმანეთი და იმის მერე ვმეგობრობთ. წელს, ფაქტობრივად, 6 თვე ნიუ-იორკში ვიყავი, იქ გადავსახლდი, რადგან ძალიან ბევრი პროექტი მქონდა, „მეტროპოლიტენში“ სამთვიანი გასტროლების გარდაც. თავიდან ხუმრობით დავიწყეთ რაღაცეების კეთება: ის უკრავდა, მე ვმღეროდი. 13 აპრილს, დათუნას დაბადების დღეზე, დაგეგმილი იყო მისი პირველი დისკის პრეზენტაცია, ასევე, კონცერტი და მთხოვა: შენც იმღერეო. რა თქმა უნდა, სიამოვნებით დავთანხმდი, ფანტასტიკური კონცერტი გამოვიდა. დათუნამ არაჩვეულებრივად დაუკრა, საღამოს დიდი წარმატება მოჰყვა. კონცერტი ერთობლივი ორი ნომრით დავამთავრეთ, ეს იყო: თაქთაქიშვილის „მზეო თიბათვისა“ და სეგიდილია „კარმენიდან“, რაც კარგი ხუმრობა იყო. ბევრი ვიცინეთ, სეგიდილიას თემაზე ბევრი ვიმაიმუნეთ. კარგად გამოგვდის სცენაზე ერთად მუშაობა. ხალხი ხალისობს ამ სიტუაციით. ჩემი აგენტი ნიუ-იორკში დათუნას კონცერტზე იყო და აბსოლუტურ შოკში ჩავარდა ჩვენი ტანდემით, რაც ძალიან იშვიათია პიანისტსა და მომღერალს შორის. მით უმეტეს, იმ ფაქტს თუ გავითვალისწინებთ, რომ დათუნა არ არის კონცერტმაისტერი, ძალიან ძლიერი სოლისტია და სცენაზე, მუდმივად ყურადღების ცენტრშია. ამიტომ, ძალიან რთულია დათუნასნაირ პიანისტთან ითანამშრომლოს მომღერალმა. მაგრამ, ჩვენ იმდენად ბუნებრივად გამოგვივიდა ყველაფერი, გადავწყვიტეთ, კონცერტების დაგეგმვა დაგვეწყო.

**– სოციალურ ქსელებშიც გავრცელდა თქვენი ერთ-ერთი ნომრის ფრაგმენტი, რომელსაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი ესწრებოდა და დათუნას ძირს დავარდნილი ნოტებიც მიაწოდა. თქვენი პროფესიონალიზმი, იუმორის გრძნობა და შეხმატკბილებული მუშაობა ამ პატარა მონაკვეთშიც კარგად ჩანდა.**

– ეს იყო ბერლინში. სასიამოვნო საღამო გამოვიდა. მოულოდნელად გადმოვარდა ნოტები პულტიდან. ფურცლები სპეციალურად არ დავაწებეთ, რადგან ბოლო ორი გვერდი ჯერ მე უნდა მომესროლა: „ეს ხაბანერა ამომივიდა ყელში” და მერე დათუნას: „აჰა, არ გინდა, აი, მეც აღარ ვუკრავ.” მაგრამ, შემთხვევით ჩამოვარდა ერთი ფურცელი, ბატონი პრემიერ-მინისტრი კი ადგა და ჯენტლმენურად მოგვაწოდა – ჩვენც გადაგვარჩინა და სიტუაციაც.

**– ანუ, თქვენს კონცერტებზე ყველაფერია მოსალოდნელი?!**

– მზად იყავით ყველაფრისთვის, რადგან ისეთი რაღაცეები გვაქვს დაგეგმილი, დავშოკავთ ხალხს. ახლა ყოველდღიურად გავდივართ ძალიან დიდი პროგრამის რეპეტიციებს. აქედან მივდივართ სანკტ-პეტერბურგში, შემდეგ – ბერლინში, ნიუ-იორკში და კიდევ რამდენიმე ქალაქში ჩასვლა იგეგმება. აქამდე კამერული კონცერტების შესრულება არ დამიწყია, სულ ორკესტრებთან ვმუშაობდი, მომღერლისთვის კი აუცილებელია კამერული პროგრამა გააკეთოს და კონცერტმაისტერთან იმუშაოს. ისე დაემთხვა, რომ მე შემხვდა „ჯულიარდის“ ფანტასტიკური, წარმატებული პიანისტი. თუმცა, მას კონცერტმაისტერს მაინც ვერ დავარქმევ, რადგან, ალბათ, მოხვალ ჩვენს კონცერტზე და ნახავ, რომ ორი სოლისტი დგას სცენაზე. ნამდვილად გამიჭირდებოდა სუსტი პოტენციალის მქონე პიანისტთან თანამშრომლობა, რადგან სცენაზე ენერგია მჭირდება, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ხმა დიდია და კიდევ სხვა დეტალებს, სწორედ დათუნას ტიპის პარტნიორი მჭირდებოდა სცენაზე. ასე რომ, ის სულ შემთხვევით ვიპოვე. ისე, ნიკას შემთხვევაშიც ასე იყო. ჩამოვიდა მილანში სპექტაკლის სანახავად და შემდეგ დაიგეგმა ჩვენი ხანგრძლივი, დიდი თანამშრომლობა და მეგობრობა. ცოტა ხნის წინ ნიკა და ბენდი ნიუ-იორკში ჩამოვიდნენ. ფანტასტიური კონცერტი ჩავატარეთ, რომელსაც დღესაც ითხოვენ. აღფრთოვანებულები იყვნენ ქართველი მუსიკოსების ნიჭიერებით. სააგენტოში მოდიოდა მსმენელისგან მოთხოვნები: კიდევ გააკეთეთო. შემოდგომაზე ისევ ჩავატარებთ. თბილისშიც გვინდა, გავიმეოროთ ეს პროგრამა.

**– „მეტროპოლიტენის“ სამთვიანი გასტროლი ძალიან წარმატებული იყო.**

– „თავადმა იგორმა“ დიდი წარმატებით ჩაიარა. ჩერნიაკოვს ძალიან საინტერესო სპექტაკლი გამოუვიდა. პირდაპირი ტრანსალაცია იყო მთელ მსოფლიოში. კინოთეატრებში ახლაც პერიოდულად გადის სპექტაკლები და ძალიან ბედნიერი ვარ. ჩემი მეგობრები მწერენ ხოლმე: ვიყავით, ვნახეთ. ჩემი პარტია ძალიან ლამაზი გამოვიდა: ყაყაჩოების მინდორში ნახევრად გაშიშვლებული, გრძელთმიანი ქალი.

**– მახსოვს, მითხარი, ჩერნიაკოვი, იმედია, გაშიშვლებას არ მომთხოვს და თუ მომთხოვს, აუცილებლად გადავარწმუნებო.**

– არ დავთანხმდი, ამიტომაც მეცვა თხელი, კრემისფერი ღამის პერანგი, არსად არაფერი მიჩანდა. დამიგრძლეს თმა, ძალიან გრძელი შავი თმა მქონდა, რომელიც მოუხდა ყაყაჩოების მინდორს: მე შავი თმით, კრემისფერი ღამის პერანგით, გარუჯული კანით. სპექტაკლმა ძალიან წარმატებულად ჩაიარა. სულ 9 წარმოდგენა გაიმართა, ბოლო 4 სპექტაკლზე საერთოდ აღარ იყო ადგილები. მეგობრებისთვის მინდოდა ბილეთები, მაგრამ ვერ ვიშოვე. იმედი მაქვს, ამ რეჟისორთან კიდევ ვითანამშრომლებ. „თავად იგორს“ ძალიან დადებითი გამოხმაურება ჰქონდა. საუბარი იყო: ჩემს ხმაზე, სცენიურ, ფიზიკურ მონაცემებზე. „ნიუ-იორკ თაიმსშიც“ კარგი შეფასება დაიწერა ჩემზეც, სპექტაკლზეც. საბედნიეროდ, ამ გამოცემისგან სხვაგვარი გამოხმაურება არასდროს მქონია. ამის შემდეგ მიუნხენი მოვიარე და დავბრუნდი ისევ ნიუ-იორკში, დათუნას კონცერტში მივიღე მონაწილეობა და მერე ტორონტოში წავედი, სადაც ფანტასტიკურ დადგმაში მივიღე მონაწილეობა. ეს იყო „დონ კიხოტი“. დულსინეას პარტია ვიმღერე, რომელზეც ვგიჟდები, ძალიან მიყვარს. სპექტაკლი იყო ტრადიციული, ძალიან საინტერესო. არაჩვეულებრივ ბანთან – ფერუჩო ფურლანეტოსთან მომიწია თანამშრომლობა. იტალიელი ბანია, ასაკოვანი, ფანტასტიკური მომღერალი და მასთან მუშაობა ჩემთვის ძალიან დიდი პატივია. მისგან რაღაც შემოთავაზებებიც იყო. ნიუ-იორკის „თავადი იგორის“ შემდეგაც ძალიან ბევრი შემოთავაზება წამოვიდა, რამაც ჩემი კალენდარი შეავსო 2019 წლის ჩათვლით. თან, ისე შეავსო, რომ არც კი ვიცი, სახლში როდის ჩამოვალ. მომავალ წელს პარიზის ოპერის თეატრის სეზონს ვხსნი „დალილათი“ და ვხურავ „კარმენით“. მერე მაქვს „აიდა“ პარიზის თეატრში. „ლა სკალაში“ თებერვალ-მარტში „აიდაა“ დაგეგმილი, „კარმენი“ კი – ზაფხულში.

**– მახსოვს, დეტროიტში, „აიდაში“ შენ და შენი მეუღლის დებიუტი შედგა. ახლაც ხომ არ იგეგმება მსგავსი რამ?**

– ჩვენ დავშორდით. არ იცოდი?

**– არა, არ ვიცოდი. სიყვარულით შექმნი-**




# აქცია სამკურნალო-გამაჯანსაღებელ ცენტრ „ანტროპოსში"

**უფასოდ**

გულსისხლძარღვთა სისტემის გამოკვლევა კომპიუტერულ-დიაგნოსტიკური სისტემა „ანტროპოსის" მეშვეობით.

დისპანსერულ მეთვალყურეობაზე აყვანა.

დაკვირვება თქვენს ჯანმრთელობაზე მთელი წლის განმავლობაში.

***გამოკვლევაზე ჩაწერა ხდება წინასწარ***

**სამკურნალო -გამაჯანსაღებელი ცენტრი „ანტროპოსი", არის ერთადერთი სამედიცინო ცენტრი საქართველოში, სადაც ხორციელდება ანთროპოფიზიოლოგიური მიდგომის რეალიზაცია და წარმოადგენს უნიკალურ მონიტორულ გამოკვლევას კომპიუტერულ-დიაგნოსტიკური სისტემის „ანტროპოსის" მეშვეობით. ამ სისტემით გვაქვს საშუალება პაციენტს გადავუღოთ და გავაანალიზოთ, მსოფლიოში ყველაზე დიდი პარამეტრების რაოდენობა, რის საფუძველზე, ვახდენთ დინამიკურ დაკვირვებას პაციენტის ჯანმრთელობაზე; ხდება მედიკამენტების შერჩევა და ინდივიდუალური რეკომენდაციების მიცემა.**

**მრავალპროფილურ, სამკურნალო-გამაჯანსაღებელ ცენტრ „ანტროპოსს" არსებობის ხუთი წლის ისტორია აქვს, დაკომპლექტებულია მაღალი კვალიფიკაციის სამედიცინო პერსონალით.**

**„ანტროპოსის" შესახებ საკუთარ შთაბეჭდილებას გვიზიარებს ქალბატონი ნინელი იაშვილი, რომელიც ამ სამკურნალო ცენტრის მრავალათასიან მადლიერ პაციენტთა შორისაა – „ანტროპოსში" საკმაოდ რთული მდგომარეობით მოვედი. მქონდა პრობლემები როგორც გულ-სისხლძარღვთა სისტემის, ასევე ხერხემალთან დაკავშირებით. დღეს აბსოლუტურად ჯანმრთელად ვგრძნობ თავს – დიაგნოსტიკა, მკურნალობის კომპლექსური კურსი, ყველაფერი მაღალ დონეზე ჩამიტარდა. მინდა გამოვხატო ჩემი დიდი მადლიერება ამ ცენტრის მიმართ, იმის მიუხედავად, რომ „ანტროპოსი" განსაკუთრებული მასშტაბურობით არ გამოირჩევა, ის დისციპლინა, წესრიგი, მკურნალობის მაღალი სტანდარტი და ექიმთა საოცარი პროფესიონალიზმი და გულისხმიერება პაციენტების მიმართ, რაც აქ არის დანერგილი, ნამდვილად გამორჩეულია.**

***ჩვენ ყოველთვის მზად ვართ დაგეხმაროთ!***

**ინფორმაციისთვის დარეკეთ: 2 74 61 00: 5 71 74 61 00.**
**მისამართი: თბილისი, მეტრო „ისანთან", ნავთლუღის ჩიხი №9.**


**ლი ოჯახი გქონდათ, ერთი შეხედვით, ყველაფერი ძალიან კარგად მიდიოდა...**

– სიყვარულით შექმნილი ოჯახი იყო, მაგრამ რაღაც ეტაპზე გართულდა. უპირველეს ყოვლისა, იმიტომ რომ, ერთმანეთისგან შორს ვიყავით. მეორე მხრივ, სამწუხაროდ, ვფიქრობ, რომ იყო ეჭვიანობისა და გარკვეულწილად, შურის მომენტიც, ამის გამო ძალიან გაგვირთულდა ურთიერთობა, თუმცა მეგობრობა შევინარჩუნეთ. ხანდახან ვკონტაქტობთ. როცა ურთიერთობა მეგობრობიდან იწყება და მერე ჩნდება სიყვარული, ძირითადად, ეს მთავრდება იმით, რომ მეგობრობა რჩება, სიყვარული კი ქრება. სწორედ ასე მოგვივიდა მე და ჩემს მეუღლეს. ვიმეგობრეთ, მერე ვიცხოვრეთ ერთად და ბოლოს ისევ მეგობრობით დავამთავრეთ ყველაფერი. ორივემ გადავიტანეთ რთული პერიოდი, ასე ვთქვათ, მუშაობას შევაკალით თავი. ამ ცხოვრებაში ყველაფერი ხდება და ჯობია, დროზე მიხვდე, ვიდრე უფრო შეტოპო და მერე აღმოაჩინო, რომ 20 წელი უბედური ყოფილხარ.

**– ძალიან ლამაზი სახელი გქვია, რომელიც ჩემთვის ოპერასთან, სიმღერასთან, ხელოვნებასთან ასოცირდება. მგონი, ერთგვარი „კოდი" ჩადეს ამ სახელში შენმა მშობლებმა.**

– პრინციპში, იტალიასთან ასოცირდება, რადგან გარიბალდის ცოლს ერქვა ანიტა. ბებიას უყვარდა ეს სახელი, იტალია, საოპერო მუსიკა. ეს სახელი მისი არჩეულია. შეიძლება, მართლაც არის წარმატების კოდის მატარებელი. სახელი აშკარად სწორად მაქვს შერჩეული, გვარიც კი ვასწავლეთ უცხოელებს. იყო პერიოდი, როცა „ლა სკალას" აკადემიიდან მოდიოდა ძალადობა: შეიცვალე გვარი, ძალიან გრძელია, ვერ გამოვთქვამთო. ბოლოს, ჩემდა დაუკითხავად შეცვალეს, რადგან სტუდენტი ვიყავი და ბევრს არაფერს მეკითხებოდნენ. მაგრამ, მერე, როცა დადგინდა, რომ ვმღეროდი „კარმენს" „ლა სკალაში", მაესტრო ბარენბოიმმა მოითხოვა: გვარი დაუბრუნეთ – ქართველია, ეს მამამისის გვარია და უნდა ჰქონდესო. მახსოვს, ამ მოთხოვნის მერე პირველივე აფიშაზე დაიწერა ჩემი გვარი და არა ფსევდონიმი – „რაველი", რომელიც მათი გადაწყვეტილებით უნდა ამელო.

**– თუ არ ვცდები, პარიზის ოპერაში ჯერ არ გიმღერია.**

– ლონდონში, „კოვერ გარდენში" მქონდა დებიუტი, „მეტროპოლიტენში". ყველა ამ დონის თეატრი მოვლილი მაქვს და პარიზი დამრჩა ობლად – იქ არასდროს მიმღერია. მომავალი წლიდან, მგონი, მთელი წელი მომიწევს პარიზში ყოფნა, რადგან სამ სხვადასხვა დადგმაში უნდა მივიღო მონაწილეობა. თითო დადგმას, მინიმუმ, ორი თვე უნდა. ასევე, ვბრუნდები „ლა სკალაში", ეს არის ჩემთვის წარმოუდგენელი ბედნიერება. 2010 წლის მერე აღარ ჩავსულვარ მილანში, თან, ჩემი „კარმენით" ვბრუნდები. თუმცა, მანამდე „აიდა" მაქვს. რაც მთავარია, ეს ახარებთ ჩემს მილანელ ფანებს. ბევრთან ძალიან ახლო ურთიერთობა მაქვს, ზოგჯერ დასასვენებლადაც ერთად მივდივართ. თუმცა, არიან დაავადებული ადამიანები, ვისაც უნდა გაექცე.

**– შენი ფანების რიცხვშიც არის ასეთი?**

– ნიუ-იორკში არის ადამიანი, რომელიც ყოველდღე მოდის „მეტროპოლიტენთან" სპექტაკლამდე ორი საათით ადრე და მელოდება. არასდროს ესწრება სპექტაკლს, მაგრამ დაწყებამდე და დამთავრებისას აუცილებლად თეატრის შესასვლელთან დგას საჩუქრებით. წელს, სიყვარულის დღეს ნიუ-იორკში ვიყავი. ჯერ მოვიდა საჩუქრები და მერე ტიპი საჩუქრებით. მეშინია მისი, უცნაური ტიპია. ისეთი საჩუქრებია, ცოტა შოკში ვვარდები: გულები, დათუნიები. ვცდილობ, არ გავალიზიანი, ვიყო ზრდილობიანი და აქ დამთავრდეს ყველაფერი. რაც მთავარია, კოლეგებმა იციან და მარტო არასდროს მიშვებენ თეატრიდან, ყოველთვის ვიღაც მყავს გვერდით.

**– მუდმივად გიწევს საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, ეს არ იქნება ადვილი.**

– ძალიან რთულია, კარგია, როცა შენი სახლი გაქვს, სადღაც ბრუნდები. ისე, წელს იმდენი დრო გავატარე ნიუ-იორკში, რომ ჩავდიოდი, ვამბობდი: სახლში მოვედი-მეთქი. რთულია სულ გზაში ყოფნა, ურთიერთობებსაც ვერ აგებ ადამიანებთან. მიჯაჭვული ხარ ინტერნეტს, რადგან სხვა გზა არ გაქვს. ყველაზე რთული ისაა, რომ რა დიდი წარმატებაც არ უნდა გქონდეს, ჩვენნაირი ადამიანები საბოლოოდ მარტო რჩებიან. მე და დათუნა, მე და გიორგი მიქაძე ვსაუბრობთ ხოლმე ამ თემაზე. მახსოვს, ტორონტოში მქონდა პრემიერა, გიორგის კი არაჩვეულებრივი კონცერტი – ბოსტონში, დიდ სცენაზე. მერე ერთმანეთს დავურეკეთ, გავუზიარეთ ემოციები: რა კარგად ჩაიარა ყველაფერმა... და უცებ ვამბოთ: რა ცუდია, რომ მარტო ხარ. ასეთ დროს ძალიან გინდა, ვიღაცას მოუყვე შენი ემოცია, თან, საქართველოში დილაა, ვერავის დაურეკავ, ვერ მოუყვები. ძალიან რთულია ჩვენთვის, მუსიკოსებისთვის სახლიდან შორს ყოფნა. როცა დიდი წარმატება გაქვს, აპლოდისმენტები, ასეთ დროს მსმენელისგან ძალიან დიდი ადრენალინი მოდის, მაგრამ მერე ჯდები ტაქსიში, მიდიხარ სახლში და აღმოჩნდება, რომ მარტო ხარ. ეს სიცარიელის დიდ შეგრძნებას გიტოვებს. თუმცა, საწუწუნო არაფერი მაქვს, ვმუშაობ, ამისთვის ვშრომობ ამდენს...

**– იმედია, მომავალში ეს გრძნობა აღარ გექნება და გვერდით გეყოლება ადამიანი, რომელსაც ამ დიდ ემოციებს მუდმივად გაუზიარებ.**

– არ მინდა, ვიცხოვრო ისეთი ადამიანთან, რომელიც მე დამყვება კუდში და საკუთარი ცხოვრება არ გააჩნია. იმისთვის, რომ ვიღაცასთან ბედნიერი იყო, ის ადამიანიც საკუთარ თავთან უნდა იყოს ბედნიერი. ამიტომ, მარტომ უნდა ისწავლო, იყო ბედნიერი და მერე სხვა დანარჩენი...

**ნათია უტიაშვილი**

# რისი დეფიციტი შეიძლება შეუქმნას ქალს ქმრის „უწყინარმა“ გასართობმა და რას ვერ ხვდებიან კაცები



**„მომაქციე ყურადღება!” – ეს არის მთავარი პრეტენზია, რომელიც ცოლების უმრავლესობას ქმრების მიმართ უჩნდება. ქალები კატებივით ვართ – გვიყვარს ყურებით და, გვინდა, საყვარელი ადამიანისგან სითბოს ვგრძნობდეთ. ეს ბუნებრივი მოთხოვნილებაა და მასზე უარის თქმა მდედრის ფსიქიკაზე უარყოფითად აისახება. სამწუხაროდ, მამაკაცებს ეს არ ესმით. ვერ ხვდებიან, ან, არ უნდათ, რომ მიხვდნენ და სწორედ ამის გამო ჩნდება ურთიერთობაში სერიოზული პრობლემები, რასაც ქალი დეპრესიამდე, ზოგჯერ ღალატამდეც კი მიჰყავს, რომ აღარაფერი ვთქვათ მუდმივ, ხმაურიან სკანდალებზე.**

**ლენუკა** *(36 წლის):* შეიძლება, ვინმემ მითხრას, ამხელა ქალს რა უმნიშვნელო პრობლემები გქონია, თავს რატომ იღლიო, მაგრამ, ეს მხოლოდ ერთი შეხედვით არის უმნიშვნელო. თავიდან მეც ასე მეგონა და საკუთარ თავზე ვბრაზობდი, რა სულელი ვარ-მეთქი. მერე ბევრი წავიკითხე, გავიგე და მივხვდი იმასაც, რომ ოჯახების უმეტესობას ზუსტად ის პრობლემები ანგრევს, რომლებიც მე შემექმნა.

ჩემი ქმარი ძალიან კარგი ადამიანია. მე ახლაც ვიტყვი, რომ საუკეთესო მამაკაცია მთელ ქვეყანაზე.

**– აბა, რა პრობლემა გაქვთ, ვერ ვხვდები.**

– დაგაბნიეთ? ვიცოდი, რომ ასე იქნებოდა. ხომ გითხარით, თავიდან მეც ძალიან დაბნეული ვიყავი-მეთქი. როცა ერთმანეთი გავიცანით, მომხიბლა იმით, რომ ძალიან ყურადღებიანი იყო. მანამდე არასოდეს მინახავს ასეთი ყურადღებიანი მამაკაცი. არადა, პატარა და ქარაფშუტა გოგო არ ვიყავი, 27 წლის ვხდებოდი მაშინ. ზუსტად ერთ კვირაში მოახერხა ჩემი „შებმა“ – ამ სიტყვის პოზიტიური მნიშვნელობით. ყველას ვეუბნებოდი, ჩემი ცხოვრების თანამგზავრი ვიპოვე-მეთქი. არაფერი შეშლია იმ ერთი წლის განმავლობაში, რაც ერთმანეთს ვხვდებოდით; არ მოდუნებულა და, ვგრძნობდი, რომ მხოლოდ ჩემით ცხოვრობდა. რა გასაკვირია, რომ შემიყვარდა. სხვათა შორის, ლაპარაკით კი არ იჩენდა ყურადღებას და ცდილობდა, დაემტკიცებინა, როგორ ვუყვარდი, საქმით აკეთებდა ამას. გამაოგნებელი იყო და სრულიად არაპროგნოზირებადი, ოღონდ, პოზიტიურად არაპროგნოზირებადი.

**– კონკრეტულად რას გულისხმობთ?**

– ძალიან მგრძნობიარე იყო. ჩემი კი არ ესმოდა, მე მგრძნობდა ყველაფრით, გამოხედვითაც კი. ზუსტად ხვდებოდა, რა მწყინდა, რა მიხაროდა, რა მინდოდა კონკრეტულ მომენტში და რისი გაკეთების სურვილი მქონდა. საუკეთესო დაქალზე ახლობელი გახდა. მის გარეშე გატარებული დღე დაკარგულად მიმაჩნდა. რაც ყველაზე მთავარია, ჩემი ინტერესებით ცხოვრობდა. ხვდებით, ხომ, ეს მთავარი რატომ არის? – მე მუდმივად მყავდა გვერდით ადამიანი, რომელთანაც ყველაფერზე შემეძლო საუბარი, ის კი მისმენდა და ვგრძნობდი, რომ ყურადღებით მისმენდა. ჩემთვის ეს დიდი კომფორტი იყო. იცით, რაშია საქმე?! ქალისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, იცოდეს, რომ ის ვიღაცას სჭირდება, ვიღაცისთვის ძვირფასია და საყვარელი; რომ არსებობს ადამიანი, რომლის იმედიც შეუძლია ჰქონდეს.

**– თქვენი ქმრის იმედი აღარ გაქვთ?**

– იცით, რაშია პრობლემა? არ ვიცი. ბოლო ორი წელია, ის ჩემთან აღარ არის.

**– გაშორდით?**

– არა. ვიცოდი, რომ ამას მკითხავდით. მაგრამ რეალობა ძალიან უცნაურია. ჩემი მეუღლე ჩემთან ერთად ცხოვრობს ოჯახში. ბავშვებიც ჩვენთან ერთად არიან და თითქოს

## სულ მყავდა გვერდით კაცი, რომელთანაც ყოველთვის ყველაფერზე შემეძლო ლაპარაკი და, ვგრძნობდი, რომ მისმენდა

ყველაფერი ნორმალურად არის, მაგრამ მე გაგიჟებას არაფერი მიკლია, ისე დამღალა მასთან ურთიერთობამ. სად გაქრა ჩემი სიცოცხლისმოყვარე, ხალისიანი, ყურადღებიანი, თბილი და მზრუნველი ქმარი, არ ვიცი. მისთვის ახლა ერთადერთი რამ არის მთავარი – რომ ხელი არ შეუშალონ. გადაირია კომპიუტერულ თამაშებზე. აი, თქვენ გეცინებათ, იმიტომ, რომ წარმოდგენა არ გაქვთ, როგორი სერიოზული პრობლემაა ჩემთვის ეს თითქოსდა უწყინარი გართობა. ან თამაშობს, ან ინტერნეტში კრიმინალურ სერიალებს უყურებს დაუსრულებლად და სრულიად არაკონტაქტურია. მასთან ლაპარაკზე ოცნებაც კი აღარ შემიძლია. მახსენდება, როგორ მედგა მხარში, როგორ იზიარებდა ყველა ოჯახურ საქმესა თუ პრობლემას და ტირილი მინდება. საერთოდ აღარაფერი აინტერესებს და ეს კიდევ ცალკე უბედურებაა. სექსითაც ველარ ვაინტერესებ. არადა, ჯანმრთელი მამაკაცია. აღარ ვიცი, რა გავაკეთო. პირდაპირ უარს კი არ მეუბნება, მაგრამ, „მოიცადე, მოიცადეს” გაიძახის და ამას დასასრული არ უჩანს. მერე მეც ვიღლები და ხელს ჩავიქნევ ხოლმე. სიზმრად მეჩვენება ის დრო, როცა ერთად ვვახშმობდით, მიყვებოდა სახალისო ამბებს და მაცინებდა; მერე გამომკითხავდა, როგორ ჩაიარა ჩემმა დღემ; მერე ბავშვების ამბებით ინტერესდებოდა... სრული იდილია გვქონდა და თავი ყველაზე ბედნიერ ქალად მიმაჩნდა.

**– როდის დაიწყო თამაშით გატაცება?**

– წელიწად-ნახევრის წინ და მაშინვე არ მესიამოვნა. როცა ვუთხარი, მაგით ჩვენთვის ძალიან ძვირფას დროს ფლანგავ-მეთქი, მისაყვედურა: მე არ დავდივარ ძმაკაცებში საქეიფოდ, არ ვზივარ ეზოში და არ ვთამაშობ კარტს, სულ თქვენ გვერდით ვარ და, შემარჩინეთ ეს ორი საათი პირადი სიამოვნებისთვისო.

**– მუშაობს?**

– დიახ. თავის საქმეს აკეთებს და ხელფასიც სახლში მოაქვს, მაგრამ, მარტო ფული ხომ არ არის მთავარი? მე მისი სიახლოვე, მისი მხარდაჭერა მჭირდება; მისი ღიმილი და თავზე ხელის გადასმა. ნამდვილად არ მინდა, ჭირვეულ და პრეტენზიულ ქალად ჩამთვალოთ. არც პრეტენზიული ვარ და არც ჭირვეული. მიყვარს ქმარი და მასთან სიახლოვე რატომ უნდა მენატრებოდეს? რას ვითხოვ განსაკუთრებულს? ურთიერთობის ისეთი დეფიციტი მაქვს, რომ, ამას წინათ ჩემს ძველ მეგობარ კაცს შევხვდი, ძალიან დიდი ხანია, ვმეგობრობთ. გამიხარდა და, რომ ჩამიხუტა, მივხვდი, როგორ მაკლდა მამაკაცის ელემენტარული ალერსი. ამან ძალიან შემაშინა.

**– იფიქრეთ, რომ დაუშვებდით ღალატსაც, თუ შემთხვევით შეხვდებოდით ვიღაცას, ვინც თქვენ მიმართ ყურადღებას გამოიჩენდა?**

– დიახ, ზუსტად მიხვდით და ამან ლამის შემშალა. მე, ქალს, რომელსაც უყვარს ქმარი, რომელიც მისთვის ერთადერთი მამაკაცია, უცებ რეალურად გამიჩნდა იმის მოთხოვნილება, რომ მქონოდა ურთიერთობა სხვასთან. ვიგრძენი, რომ ძალიან ადვილი იქნებოდა ჩემი წი-

**მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი**

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

**ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჯანელიძე.**

**ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.**

# რა მიზეზით დაიკარგა სახლიდან გასული ახალგაზრდა და სად ეძებს უგზო-უკვლოდ დაკარგულის და თავის დედმამიშვილს

*თამარ ალექსანდრეს ასული საგინაშვილი ეძებს 27 წლის ვახტანგ ალექსანდრეს ძე საგინაშვილს.*

**ისტორია**: ვეძებ ჩემს ძმას, 1987 წელს დაბადებულ ვახტანგ ალექსანდრეს ძე საგინაშვილს. ჩემი ძმა 2011 წლის 5 იანვარს სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა. მისი პოვნის იმედს ოჯახის წევრები დღემდე არ ვკარგავთ. ძალიან გთხოვთ, მის პოვნაში დამეხმაროთ – თუკი ვინმეს რაიმე ინფორმაცია გაქვთ მის შესახებ, აუცილებლად შეგვატყობინეთ. გიგზავნით ჩემი ძმის ბოლოს გადაღებულ ფოტოს.

**ჟურნალისტის შენიშვნა**: სამწუხაროდ, რუბრიკა „დაკარგულებში“ არაერთხელ დაბეჭდილა უგზო-უკვლოდ დაკარგული ადამიანების ისტორიები. აღსანიშნავია, რომ მათი უმეტესობა მამრობითი სქესის წარმომადგენლები არიან, რომლებსაც ახლო ნათესავები დადებითად ახასიათებენ. ისინი ამბობენ, რომ დაკარგული მორწმუნე იყო და, არ არის გამორიცხული, რომ ის რომელიმე მონასტერში იყოს თავშეფარებულიო. ძალიან ვთხოვ მკითხველს, ყურადღებით წაიკითხოს სტატია და, თუ ვინმეს ეცნობა ეს ადამიანი ან იცის მისი ადგილსამყოფელი, დაუყოვნებლივ შეგვატყობინოს.



**– მოგვიყევი, როგორ დაიკარგა შენი ძმა.**

**თამარ საგინაშვილი:** 2011 წლის 5 იანვარი იყო. ჩემი ძმა სახლიდან (კასპი, ჯორჯიაშვილის ქუჩა №9-დან) გავიდა და აღარ დაბრუნებულა. ოჯახის წევრებმა არ ვიცით, რა უნდა მომხდარიყო, დღემდე გაურკვევლობაში ვართ. საქმე ისაა, რომ ვახო ძალიან გაწონასწორებული და მშვიდი პიროვნებაა. ის ეკლესიურად ცხოვრობდა და ხშირად დადიოდა ტაძარში. ვერ ვიფიქრებ, რომ რაიმე ხიფათს გადაეყარა. პოლიციას, ბუნებრივია, შევატყობინეთ ჩემი ძმის დაკარგვის ამბავი, მაგრამ მათ ის ეძებეს და ვერაფერი გაარკვიეს. დიდი იმედი მაქვს, რომ ის ჯანმრთელადაა და ოდესმე თავის სახლში დაბრუნდება.

**– რა ეცვა შენს ძმას იმ დღეს, ან, რამე ნიშანი ხომ არ აქვს სახეზე ან სხეულზე?**

– ვახოს ეცვა ზოლიანი სპორტული, შავი ფერის შარვალი, ლურჯ-თეთრი ზოლებით, სპორტული ფეხსაცმელი და ნაქსოვი ლურჯი მაისური. სულ ზემოდან კი – ყავისფერი ქურთუკი. ჩემს ძმას აქვს ხორბლისფერი კანი, აქვს თაფლისფერი თვალები, შავი, სწორი თმა, ხშირი წარბები და სწორი ცხვირი. ის საშუალო სიმაღლისაა. მარჯვენა ბეჭზე ჩემს ძმას აქვს ვარსკვლავის ფორმის ტატუ, რომელსაც ქიმებზე აწერია ჩემთვის უცნობი ასოები.

**– პირადად შენ რას ფიქრობ, სად შეიძლება იყოს შენი ძმა, მისი დაკარგვის რა ვერსია გაქვს?**

– მინდა აღვნიშნო, რომ ჩემს ძმას თან არ ჰქონია პირადობის დამადასტურებელი საბუთი. ის, როგორც უკვე გითხარით, ძალიან მორწმუნეა და, რამდენჯერმე ყოფილა შემთხვევა, როცა სახლიდან მოულოდნელად წასულა და მონასტერში ყოფილა. მაგრამ ამჯერად უკვე სამი წელია გასული მისი გაუჩინარების შემდეგ და, აღარ ვიცით, რა ვიფიქროთ. წინა შემთხვევაში მოკლე დროში გვაგებინებდა თავის ადგილსამყოფელს, ახლა კი არანაირი ინფორმაცია არ გაგვაჩნია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ვახტანგი რომელიმე მონასტერშია. არ გამოვრიცხავთ, ასევე, იმ ვერსიას, რომ, შესაძლებელია, ის არალეგალურად წავიდა საქართველოდან. რთულია რაიმე კონკრეტულის თქმა. არც სხვა ვერსიების გამორიცხვა შეგვიძლია, რადგან, ხელმოსაჭიდი არაფერი გვაქვს.



ჩემი მშობლები დღემდე იმედოვნებენ, რომ ის გამოჩნდება, რომ ჩვენ მას ვიპოვით. ძალიან გთხოვთ, გულთან ახლოს მიიტანოთ ჩვენი ისტორია და დაკარგული ძმა მაპოვნინოთ. რატომღაც, გული მიგრძნობს, რომ ის ცოცხალია და ჩვენ მას ვიპოვით. გაუსაძლისია გაურკვევლობაში ყოფნა და ცხოვრება. ჩვენ ხომ არ ვიცით, როგორაა, სადაა, რატომ არაფერი შეგვატყობინა თავისი წასვლის შესახებ. სახლში კამათი და ჩხუბი არასდროს ყოფილა და, გამორიცხულია, რომ ის მშობლებზე ან ჩემზე იყოს განაწყენებული. თუკი ვახო წაიკითხავს ამ სტატიას, მინდა, იცოდეს, რომ ჩვენ, მისი ოჯახის წევრები, მას სულ ველოდებით და მისი დაბრუნების გვჯერა.

**თუ გაქვთ რამე ინფორმაცია ამ ისტორიასთან დაკავშირებით ან თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 239-23-52; 239-23-53; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.**

**ნატალია მახარაშვილი**

---

ნაალმდეგობის დაძლევა, თუკი მონდომებული მამაკაცი მიზნად დაისახავდა ჩემთან სიახლოვეს.

ჩემი ქმარი ილიმება, მაგრამ, ულიმის მონიტორს და არა მე. გულგრილია ჩემ მიმართ. საერთოდ ვეღარ ხვდება, რა მაცვია, არ აინტერესებს, სად მივდივარ, ვის ვხვდები. ზოგჯერ ვფიქრობ, რამე სერიოზული ინტრიგა ხომ არ მოვუწყო, რომ ჩემი დაკარგვის ან ჩემი მხრიდან ღალატის შიში ჩავუნერგო. ალ-

## რომ ჩამეხუტა, მივხვდი, როგორ მაკლდა მამაკაცის ელემენტარული ალერსი და ამან ძალიან შემაშინა

არ შემიძლია მეტი. საშინლად ვნერვიულობ და განვიცდი. ერთი ჩემი მეგობარი, რომელმაც შეამჩნია, როგორი დათრგუნული ვარ ბოლო დროს და მიზეზი გაიგო, მეუბნება, რომ ეს ძალიან კარგი საშუალებაა და აუცილებლად გაამართლებს – შეაჯანჯღარებს ჩემს ქმარს და ჭკუაზე მოიყვანს. მე მაინც მეშინია. ისე რომ არ გამოვიდეს, როგორც მგონია და ოჯახი საერთოდ დამენგრას, მერე რაღა ვქნა?! ხომ შეიძლება, ჩემს ქმარში უცებ ამოხეთქოს ეჭვიანობის ვულკანმა, ან, ხომ არ არის გამორიცხული, ის ვიღაც მამაკაცი მართლა მომეწონოს?!

**– ქმარი ხომ გიყვართ? ეს როგორ უნდა მოხდეს?**

– მე არ ვიცი, წინასწარ რა მოხდება, ველარ ვენდობი საკუთარ თავს, ისე ვარ დათრგუნილი და შეცვლილი. მჭირდება სითბო და ყურადღება – ვაღიარებ, რომ ამის უსაზღვრო მოთხოვნილება მაქვს და არაფერი არაბუნებრივი არ არის ამაში. რატომ ვერ ვაგებინებ ჩემს ქმარს, რას მოვითხოვ მისგან?!

**– ანუ, ელაპარაკეთ ამაზე?**

– დიახ, ვცადე რამდენჯერმე. ვერ იგებს ან არ იგებს. კაჭკაჭივით იმეორებს – არ მესმის, ჩემგან რა გინდა. რა პრეტენზია გაქვს, ჩემთვის ვერთობი, ხომ არაფერს ვაშავებო. როგორ გავაგებინო, რომ აშავებს, თანაც, ძალიან სერიოზულად?! მამაკაცებს შეცდომით ჰგონიათ, რომ ქალს ყურადღება, კომპლიმენტი და ყვავილები მხოლოდ ქორწინებამდე სჭირდება, არადა, ოჯახში ყოველდღიური რუტინით დაღლილებს კიდევ უფრო მეტად გვჭირდება. პირადად ჩემთვის ეს ჰაერივით არის და ამის თქმის არ მრცხვენია. მე ქალი ვარ – ემოციური, მგრძნობიარე და არა რობოტი. ოჯახი როგორ დავანგრიო? თუმცა, იმასაც ვგრძნობ, რომ, თუ ასე გაგრძელდა, გული გამისკდება. ჩემს ქმარს, მგონი, საერთოდ დაავიწყდა, რომ მის გვერდით ქალი ცხოვრობს. დამავიწყდა, ბოლოს როდის მაჩუქა დაბადების დღეზე საჩუქარი. როცა ვუთხარი, რომ მწყინდა ეს ამბავი, მიპასუხა, მთელ ჩემს ხელფასს შენ გაძლევ და რაღა საჩუქარს მთხოვო. ვერ ხვდება, რომ ერთი ცალი ყვავილიც გამაბედნიერებს. იყო დრო, როცა ეს არ ეშლებოდა. წარმოგიდგენიათ?! – იყიდე შენთვის, რაც გინდა და მოგწონს, მე რა შუაში ვარო? მითხარით, რისი ღირსია ასეთი ქმარი?!

**დალი მიქელაძე**

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**უამრავი რჩევა და „რეცეპტი“ წამიკითხავს, როგორ შეიძლება დაიძლიოს პარტნიორის ღალატით მიყენებული ტკივილი, მაგრამ, ყველაფერი ტყუილი ყოფილა. როცა მივხვდი, რომ საყვარელ მამაკაცს აღარ ვჭირდები, ლამის ცხოვრება დასრულდა ჩემთვის. გავუშვი... თუმცა, საშინლად მტკივა გული. ყველაფერს ვაკეთებ, საქმეში ჩავეფალი, დავდივარ ყველგან, ვითომ ვმხიარულობ, მაგრამ, ჩემ გარშემო ამოუვსები სიცარიელეა. რა გავაკეთო? დამეხმარეთ!**

**გამოხმაურება:** მოვლენებს ნუ დააჩქარებთ, დრო მოაგვარებს ამ პრობლემას. ტკივილი და საკუთარი თავის სიბრალული ნორმალურია თქვენს მდგომარეობაში, მაგრამ, აუცილებლად გაივლის. შეიცვალეთ გარემო. თუკი ამისი საშუალება გაქვთ, ძალიან კარგი იქნება მოგზაურობა. ან, სახლში რემონტივით რაღაც გააკეთეთ – გადაღებეთ კედლები, შეცვალეთ ინტერიერი... და, კიდევ: თქვენ ახლა სითბო და მხარდაჭერა გჭირდებათ, ამიტომ, ნუ გაექცევით იმ ადამიანებს, რომლებსაც გულწრფელად უნდათ ამის გაკეთება.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა რობაქიძე**

**ამერიკაში მცხოვრების ჯემიკო (ჯეიმს – როგორც მას ამერიაკში ეძახიან) სოლომნიშვილის შესახებ ჯერ კიდევ 2005 წელს გიყვებოდით, თუმცა მას შემდეგ 9 წელი გავიდა და ჯემიკოს ამერიკული კარიერა კიდევ უფრო წარმატებული გახდა. დღეს ჯემიკო ცნობილი იტალიური რესტორნების ქსელის – Numero 28 Napoletana-ის მენეჯერია და ამ ბრენდის ყველა რესტორნის გახსნას, ამუშავებას თავად კურირებს. ჯემიკო 8 წლის შემდეგ თბილისში დაბრუნდა და გადაწყვიტა, ჩვენს ქალაქსაც აჩუქოს ერთი ლამაზი, მყუდრო ადგილი, სადაც ადამიანები იტალიურ გარემოში, იტალიური ინგრედიენტებით, იტალიელი მზარეულის მიერ მომზადებულ პიცასა და სხვა ტრადიციულ იტალიურ კერძებს მიირთმევენ. თუმცა, მანამდე გეტყვით, რომ ჯემიკოს კულინარიული კარიერა ბევრი წლის წინ, თბილისში დაიწყო. შემდეგ ის ამერიკაში გაემგზავრა, სადაც „არტ ინსტიტუტში“ საკონდიტრო ნაწარმისა და კულინარიის განყოფილება დაამთავრა და პროფესიონალი „ფეისტრი შეფი“ გახდა. ამის შემდეგ მისი კარიერა იტალიურ რესტორან „ფიგაში“ დაიწყო, რომლის სტუმარიც იმ დროს ბევრი ცნობილი მოდელი და მომღერალი გახლდათ. ჯემიკოს მიერ რესტორნისთვის შედგენილმა დესერტის ახალმა მენიუმ კი „ნიუ-იორკ თაიმსის“ ყურადღებაც დაიმსახურა. ის წლების განმავლობაში Milk Studio-სთან მუშაობდა და მის მიერ მომზადებულ კერძებს არაერთი ცნობილი ჰოლივუდური სახე აგემოვნებდა.**

# როგორ უმზადებდა წლების განმავლობაში ჰოლივუდის მსახიობებს მენიუს ჯემიკო სოლომნიშვილი და როგორ გახდა ის მანჰეტენზე 4 რესტორნის მენეჯერი

**ჯემიკო სოლომნიშვილი:** წლების წინ, როდესაც ჩვენ ერთმანეთს შევხვდით, სულ სხვა გეგმები მქონდა. მაშინ მხოლოდ სამი წლის ჩასული ვიყავი ამერიკაში, ახლა უკვე, თითქმის 14 წელია, იქ ვცხოვრობ და რა თქმა უნდა, ბევრი რამ შეიცვალა. როგორც გახსოვს, ჩვენი შეხვედრის დროს, „ბლიკერ სტრიტზე“, იტალიურ რესტორანში ვმუშაობდი, რომელიც საკმაოდ წარმატებული გახლდათ და ბევრი ცნობილი მოდელი, მომღერალი იყო მისი სტუმარი. აქ გადაიხადა პაფ დედიმ დაბადების დღე და მისი სტუმრები იყვნენ მერაია ქერი, ბრიუს უილისი, „50 ცენტი“ და ასე შემდეგ. ამ რესტორნის მეპატრონემ, მოგვიანებით, სხვა ადგილას გადაწყვიტა „პიცერიის” გახსნა, რომელიც, პრინციპში, ახლა უკვე რესტორანია და თავისი ქსელი აქვს. იმ პერიოდში, როცა ის ახალ ობიექტს ხსნიდა, მე სხვა რესტორნებში ვმუშაობდი, როგორც „ფეისტრი შეფი“ – ეს იყო რესტორანი „პალმა“, Milk Studio და ასე შემდეგ...

**– როგორ მოხვდი ამ ძალიან წარმატებულ სტუდიოში, რომლის სტუმარიც მსოფლიოს თითქმის ყველა ცნობილი სახეა?**

– „მილქ სტუდიო“ რა არის, ყველამ იცის და ის მხოლოდ ნიუ-იორკში არ არის პოპულარული. არ არსებობს გაზეთი, ჟურნალი, რომელიც აქ არ მოვა და არ გააკეთებს ფოტოსესიას. სტუდიის ხშირი სტუმრები არიან ცნობილი ადამიანები, მსახიობები – რობერტ დე ნიროთი დაწყებული... არ ვიცი, ვინ გითხრათ, ვისით დამთავრებული. ისინი მოდიან ფოტოსესიისთვის, რაღაც პერიოდის განმავლობაში უწევთ იქ ყოფნა და შესაბამისად, სჭირდებათ გარკვეული სახის მომსახურება. როდესაც „პალმაში“ ვმუშაობდი, ესეც იტალიური რესტორანია, მათ ჰქონდათ ფართი აღებული – 10-სართულიანი შენობა, ბოლო სართულზე პენთჰაუზით, სადაც ფოტოსესიისთვის ცნობილი ადამიანები ამოჰყავდათ. რამდენიმე დღით ადრე ყველას მოგვდიოდა მეილი: ამ დღეს სტუმრად გვეყოლება ალ პაჩინო, რობერტ დე ნირო, ან იქნება პერის ჰილტონის ფოტოსესია და ასე შემდეგ. ასევე, მოგვდიოდა შეტყობინება: ეს დიეტაზეა, ამას ამაზე ალერგია აქვს, ის ცხიმიანს არ ჭამს და რა თქმა უნდა, ამ ყველაფერს ვითვალისწინებდით. ჩვენ ამის მიხედვით შედგენილ მენიუს ვთავაზობდით, ისინი ირჩევდნენ ან დამატებით გვთხოვდნენ სხვა რამეს. ანუ, მათთან ყოველდღიური შეხება გვქონდა. მე ვაკეთებდი დესერტებს. გარდა ამისა, მაგალითად, როდესაც პერის ჰილტონის ფოტოსესია იყო, მას ესწრებოდა 50 ადამიანი, მათ ხომ უნდოდათ კვება. ამიტომ, დესერტების გარდა, ამ ყველაფერს ვუკეთებდი ორგანიზებას. მახსოვს, ერთხელ სიცხე მქონდა, ცუდად ვიყავი, ვიფიქრე, არ წავალ სამსახურში-მეთქი. მერე მითხრეს: შენი ფავორიტი მსახიობი, ჯორჯ კლუნი მოდის და როგორ არ უნდა მოხვიდეო. იმდენი „ადვილი“ დავლიე, რომ მივსულიყავი და მენახა – ჯორჯ კლუნს ბრექვესტი ჰქონდა, ლანჩი. არ არის პრეტენზიული ადამიანი, ამიტომაც მიყვარს ძალიან. ერთხელ, მახსოვს, სანდრა ბალოკის სახლშიც გავაკეთე დიდი ღონისძიება წლების წინ. ძალიან ლამაზი იყო... დაახლოებით ოთხი წლის წინ კი, გადმოვედი იტალიურ რესტორანში, ანუ იმ ადამიანთან, რომელთანაც წლების წინ ვმუშაობდი იტალიურ რესტორანში.



**საკმაოდ დატვირთული გრაფიკი მაქვს, 3 საათზე ვდგები, 4 საათზე რესტორანში ვარ და მთელი დღის განმავლობაში უნდა შემოვიარო ყველა ობიექტი**

**– ის რესტორანი, რომელშიც დღეს მუშაობ, საკმაოდ წარმატებული ბრენდია, რომელსაც თავისი ქსელი აქვს. მომიყევი, როგორია შენი სამუშაო გრაფიკი, რის კეთება გიწევს?**

– რესტორანს ჰქვია Numero 28 Napoletana, ანუ იმ ადგილას, სადაც რესტორანი გაიხსნა, ქუჩის ნომერი იყო ასეთი და სახელად დაუტოვა. მან შემომთავაზა: ჯეიმს, რესტორნის გახსნას ვაპირებ და იქნებ დამეხმაროო. იმ დროს „პალმასთან“ ვმუშაობდი, მათთან დღემდე კარგი ურთიერთობა მაქვს. თუ რამე სჭირდებათ, აუცილებლად ვეხმარები. ანუ მას თავიდან არც ერთ რესტორანში არ ჰქონდა ბრექვესტი და ბრანჩი. მთხოვა: ბრექვესტი მინდა გამიკეთოო. ვიმუშავე მენიუზე, ბრექვესტი გავუკეთე ერთ ობიექტზე, შემდეგ – მეორეზე, მესამეზე, მეოთხეზე და ახლა, რაც გაიხნება, იმისთვისაც გავაკეთებ. ბრანჩიც არ ჰქონდათ, ესეც გავაკეთე. „პიცერია” ჰქვია, მაგრამ უფრო რესტორანია, საკმაოდ წარმატებულად მუშაობს. ამიტომაც, ახლა უკვე ოთხი რესტორანი გვაქვს მანჰეტენზე და სამი იხსნება კიდევ – ერთი მაიამიზე, მეორე ტეხასში, ასევე, გვინდა, ლონდონსა და თბილისში. როგორც საუკეთესო რესტორნის ბრენდი ნიუ-იორკის მასშტაბით საუკეთესო ათეულში შევიდა. აქ ასეა, ადამიანი თუ მიდის რესტორანში, ჯერ მენიუს კი არ უყურებს, არამედ იმას, რას წერენ ჩვენზე. ამიტომ, გამოკრულია „ნიუ-იორკ თაიმსსა“ და სხვადასხვა პრესაში დაბეჭდილი სტატიები ჩვენ შესახებ. თან, აქ ყველაფერი შეშაზე კეთდება, უფრო გემრიელია. დღეს ყველა ობიექტში „ფეისტრი“ შეფი ვარ, ანუ ყველა ობიექტში არის ჩემი დესერტები. გარდა ამისა, ვარ ამ ობიექტების მენეჯერიც, თითქმის ყველაფერი მე მაბარია, მათ შორის ფინანსური საკითხებიც. როცა ახალ ობიექტს ვხსნით, მივდივარ იქ 5-6 თვით, რომ სხვებს ვასწავლო. მაიამიზე რომ იხსნებოდა ახალი რესტორანი, ორი კვირა ვიყავი იმისთვის, რომ მესწავლებინა სხვებისთვის, თვე-ნახევარი კი უკვე ხალხთან მიწევდა მუშაობა, მათი მოზიდვა. ახლა თბილისში, რომ ვარ, 24-საათიანი კონტაქტი მაქვს ამერიკაში. რვა წელია, არ წამოვსულვარ, ჩემ გარეშე წუთითაც არ ყოფილან. პრობლემა კი არ არის, უბრალოდ, რადგან ყველაფერი ფინანსებთან არის დაკავშირებული, მაინც ცოტა სანერვიულოა.




**– ანუ, თბილისშიც შეიძლება ვესტუმროთ Numero 28 Napoletana-ს, სადაც, როგორც მივხვდი, გემრიელი იტალიური კერძების ჭამის საშულება გვექნება.**

– აქ ყველაფერი იტალიური იქნება: იტალიური პროდუქტი, იტალიელი მზარეული, პიცის გამკეთებელი, მენეჯერსაც სამი თვით ჩამოვიყვან. მეც ხშირ-ხშირად ჩამოვალ. იმდენი ვესაუბრე მეპატრონეს, ბოლოს მასაც დაუჯდა ჭკუაში. თან, ყველაზე საინტერესოა ის, რომ ჩვენი ექვსივე ობიექტი ეკლესიასთან არის ახლოს – არ ვიცი, ეს როგორ დაემთხვა. ჩემმა შეფმა დამაბარა: საქართველოშიც იქნებ ეკლესიასთან ნახო რამე ადგილიო და რომ გავუგზავნე ნარიყალას ფოტო, გადაირია: ეს სად ხართ, მოვდივარო. რადგან ეს რესტორანი უკვე ბრენდია, ამიტომ ყველგან ერთი და იგივე დიზაინი უნდა იყოს: ძველი იტალიური, ჩამონგრეული აგურით, ძველებური ჭაღებით, მიმტანები ბლანჟეებში, სასიამოვნო, ნეაპოლიტანური გარემოა, წყნარი მუსიკა დაბალ ხმაზე, სადაც ყველა გიღიმის, გესაუბრება. ამიტომ, მინდა, ასეთი რამ გავაკეთო თბილისში.

**– მახსოვს, ადრე შენი შედგენელი დესერტით „ნიუ-იორკ თაიმსიც“ დაინტერესდა. ბოლო პერიოდშიც თუ გაგიკეთებია მსგავსი რამ?**

– ერთხელ პატარა აჭარული ხაჭაპურებიც გავაკეთე შეშაზე, ისეთი გემრიელი გამოვიდა, დიდი მოწონება დაიმსახურა. ასევე, გავაკეთე სხვანიარი „ნაპოლეონი“, რომელსაც „ზუზუს ნაპოლეონი“ ჰქვია. დეიდამ მასწავლა ბავშვობაში მისი გამოცხობა. საქართველოში ერთი კრემით ვაკეთებთ, მე იქ სამნაირი კრემი გავუკეთე. იტალიელები თხილზე გიჟდებიან, ამიტომ გავაკეთე თხილის მუსი, მეორე ჩვეულებრივი კრემი და მესამე „ნუთელას“ მსგავსი კრემი. ისეთი პოპულარულია, ძალიან მოსწონთ.

**ნათია უტიაშვილი**

**მომღერალი მარკუს მეტრეველი, როგორც ყოველთვის, აქტიურად მუშაობს და მუდმივად სიახლეებით გვანებივრებს. იმიჯით, ჩაცმის სტილითა და საუბრის მანერით, ის ყოველთვის იქცევს ხალხის ყურადღებას. მას შემდეგ, რაც საბერძნეთიდან საქართველოში დაბრუნდა, უკვე 4 წელი გავიდა და ამ ხნის განმავლობაში, მოახერხა მსმენელისთვის თავი შეეყვარებინა. რა სიახლეებია მის ცხოვრებასა და შემოქმედებაში, ამას უკვე ინტერვიუდან შეიტყობთ.**

# რატომ არ არის მარკუს მეტრეველი მზად ახალი ოჯახის შესაქმნელად და ვინ ზრუნავს მასზე მაქსიმალურად მთელი სიცოცხლის განმავლობაში

**– გავიგე, რომ ბევრი სიახლე გაქვს, რას გვეტყვი ამის შესახებ?**

– დავიწყოთ იქიდან, რომ ორი ახალი სიმღერა ჩავწერე. ერთი ქართულენოვანია. სიმღერა დაწერა კობა მესხიამ, ხოლო ტექსტი – ნანა ცინცაძემ. სულ ცოტა ხნის წინ გაჟღერდა რადიოში და უკვე საკმაოდ ცნობილი და პოპულარულია, რითაც ძალიან ბედნიერი ვარ. მეორე სიმღერა ინგლისურენოვანია – „ფრიდომ," რომლის პრეზენტაციაც ტელეეთერში მოხდა და საკმაოდ პოპულარულია უკვე. ეს ორი სიმღერა შევა ჩემს ალბომში, რომელიც სექტემბერ-ოქტომბერში გამოვა. ალბომში 12 სიმღერა შევა. ესენია ქართული, ინგლისური და ბერძნული სიმღერები. აი, ამისთვის ვემზადები.

**– ბერძნულ სიმღერებს არ ღალატობ.**

– საბერძნეთი მაინც ჩემი ფესვებია, 20 წელი იქ გავატარე და ბერძნული ჩემთვის მაინც აქტუალურია. რაც შეეხება სხვა სიახლეებს. ამ ზაფხულს გასვლითი კონცერტები მაქვს დაგეგმილი და ვემზადები სექტემბერ-ოქტომბრისთვის. მინდა, სრულიად საქართველოს ვუთხრა, რომ სექტემბერ-ოქტომბერში დაგეგმილია გრანდიოზული შოუ, რომელსაც აწყობს მოდის სახლი „გიზი." ის სულ 2 წელია, რაც დაფუძნდა საქართველოში. ძალიან წარმატებული ბრენდია და აქვთ ძალიან დიდი მოდის სახლი. მათ უნდათ, რომ ყველაზე გრანდიოზული შოუ გააკეთონ საქართველოში და მსოფლიო ტოპ-მოდელი ჩამოიყვანონ, რომელიც შოუს გახსნის. მე კი, ჩემი სიმღერით დავხურავ. სპეციალურად, ამ შოუსთვის იწერება ახალი სიმღერა. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ შოუში ვიღებ მონაწილეობას.

**– რომელი ტოპ-მოდელი ჩამოდის შოუს გასახსნელად?**

– ამის თქმა ჯერჯერობით არ შემიძლია, თუმცა მას ყველა იცნობს. სხვათა შორის, ის საქართველოშიც იყო ჩამოსული, თავის ცნობილ მეუღლესთან ერთად.

**– ზაფხულის ტურნე სად გაქვს დაგეგმილი?**

– საქართველოს სხვადასხვა ქალაქსა და რეგიონში გვექნება კონცერტები, რაც ჩემთვის მართლა სასიამოვნოა. ქალაქგარეთ გამართულ კონცერტებზე მართლა ბევრად უფრო მეტ სიყვარულს ვგრძნობ ხალხისგან, რადგან უფრო ლაღად გამოხატავენ საკუთარ ემოციებს, სიყვარულსა და ერთგულებას. თბილისში ცოტა დაკომპლექსებულები არიან ამ მხრივ და არ გამოხატავენ მომღერლების მიმართ განსაკუთრებულ სიყვარულსა და პატივისცემას. თითქოს „სვეცკობენ" და არ ეკადრებათ.

**– უკვე 4 წელია, საქართველოში ხარ და აქ განაგრძობ მოღვაწეობას. ალბათ, თაყვანისმცემელთა სიმრავლესაც გრძნობ.**

– მართლა ძალიან თბილად მიმიღო ქართველმა საზოგადოებამ, რისთვისაც დიდი მადლობა მინდა, ვუთხრა მათ.

**– პირად ცხოვრებაში რა ხდება? ისევ ქაოსი და არეულ-დარეულობაა, თუ სიმშვიდე?**

– პირად ცხოვრებაში ყველაფერი დალაგებული მაქვს. აღარ არის ქაოსი და ვარ ძალიან სტაბილურად. ამ ეტაპზე თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. შემოქმედებით წვაში ვარ. ჩემი ქალიც, სიყვარულიც და აღმაფრენაც არის მხოლოდ შემოქმედებაში. სხვა რაღაცების დრო ჯერჯერობით ნამდვილად არ მაქვს.

**– როცა ეს ეტაპი გაივლის, დარწმუნებული ვარ, ერთ ისეთ სცენას გაითამაშებ, რომელიც მაყურებელს დიდხანს ემახსოვრება. მაგალითისთვის შემიძლია, მოვიყვანო ერთ-ერთ სატელევიზიო შოუში თეფშების მტვრევა ექსმეუღლესთან ერთად.**

– ეს ამბავი მაყურებელს რატომღაც კიდევ ახსოვს. სიმართლე გითხრა, უკვე ის ეტაპი მაქვს, როცა მაყურებელს თავი თეფშების მტვრევითა და მსგავსი სკანდალებით აღარ უნდა დავამახსოვრო. ჯობია, შემოქმედებითი კუთხით ვუჩვენო ხალხს ჩემი შესაძლებლობები.



**ჩემს შვილებს ახალი მამიკო ჰყავთ. მართალია ეს ფაქტი არ ცვლის შვილებისა და მამის ურთიერთობას, მაგრამ ქალბატონს უნდა, რომ შეცვალოს გარკვეული ტყუილების ფონზე**

**– ექსმეუღლესთან როგორი ურთიერთობა გაქვს ამ ეტაპზე?**

– ექსმეუღლესთან არ მაქვს ურთიერთობა. სამწუხაროდ, ბავშვებთან ურთიერთობის საშუალებაც არ მაქვს, რაც ჩემთვის დიდი დისკომფორტია.

**– რა არის იმის მიზეზი, რატომ ვერ ხედავ საკუთარ შვილებს?**

– ამის მიზეზი ის არის, რომ ჩემს შვილებს ახალი მამიკო ჰყავთ. მართალია, ეს ფაქტი არ ცვლის შვილებისა და მამის ურთიერთობას, მაგრამ ქალბატონს უნდა, რომ შეცვალოს გარკვეული ტყუილების ფონზე. ამიტომ ვაცდი, ცოტა გაიზარდონ ბავშვები და მერე ყველაფერი თავის ადგილზე დადგება.

**– რამდენი წლის არიან?**

– ლუკა 8 წლისაა, ვივიენი – 5-ის.

**– დადგება დრო და თავადაც შექმნი ახალ ოჯახს.**

– ამაში ჯერ დარწმუნებული არ ვარ. თუმცა, არაფერს გამოვრიცხავ. ძალიან მინდა, კიდევ ერთი პატარა. სახელიც კი მოფიქრებული მაქვს, რას დავარქმევ. ძალიან მინდა კიდევ ერთი ბიჭი მყავდეს. ღმერთმა ქნას, ასე მოხდეს. თუ გამოჩნდება ვინმე, ღირსეული ადამიანი, რომელიც ცხოვრებას გამილამაზებს, რატომაც არა.

**– რას გულისხმობენ მამაკაცები, როცა ამბობენ, რომ არ არიან მზად ოჯახის შესაქმნელად? ეს მატერიალური მხარეა თუ სულიერი ან სხვა რამ?**

– ოჯახი ჩემთვის ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა. მოვიყვანო ცოლი და მყავდეს შვილი, სათქმელად ძალიან მარტივია. მაგრამ, როცა გყავს ცოლ-შვილი, მათ ძალიან დიდი ყურადღება და გაფრთხილება სჭირდებათ. ასევე, კომფორტის შექმნა, რომ ბავშვი სათანადოდ გაიზარდოს. არ ვარ იმის მომხრე, რომ გყავდეს ბევრი შვილი და მათ არ ჰქონდეთ საჭმელ-სასმელი და ჩასაცმელი. ჩემი აზრით, ოჯახის შესაქმნელად მაშინ ვიქნები მზად, როცა უზრუნველყოფის საშუალება მექნება, რომ ჩემი ცოლი და შვილები აბსოლუტურ კომფორტში იყვნენ. ოჯახი მაშინ შევქმენი, როცა მისი დამოუკიდებლად რჩენის საშუალება, ფაქტობრივად, საერთოდ არ მქონდა. ჩემი მშობლების ხარჯზე იყო დამოკიდებული ბავშვის რძე და პამპერსი. ამ ეტაპზე მართალია, მზად ვარ ამ ყველაფრისთვის, მაგრამ სულიერად არ ვარ მზად ოჯახის შესაქმნელად. მყავს ორი შვილი და ამითაც ძალიან კმაყოფილი ვარ. თუ იქნება მესამე პატარა, ახალ ქალბატონთან ერთად, სიამოვნებით ავიღებ ამ ტვირთს საკუთარ თავზე.

**– რამდენიმე დღის წინ სოციალურ ქსელში დედის ფოტოები ატვირთე, რომელიც ლამაზი ქალბატონია. მასზე არასდროს არაფერი გითქვამს. მოგვიყევი მის შესახებ.**

– დედაჩემი არის ლალი მეტრეველი, რომელიც ჩემთვის ყველაფერია და ძალიან მიყვარს. მან მაქსიმუმი გააკეთა და აკეთებს ჩემი გულისთვის. ნამდვილი დედაა, ძალიან მიყვარს და მეამაყება. მე ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ დედა ჩემით ბედნიერი და ამაყი იყოს. ჩვენ ერთად ბევრი სიძნელე გადავიტანეთ და ბედნიერებაც ვიყავით. რამდენიმე წლის შემდეგ ერთად ავანთეთ ის შუქი, რომელიც უნდა ანთებულიყო. სხვათა შორის, ძალიან კარგად მღერის.

**– მარკუს, შენს იმიჯზეც მინდა გკითხო. ყოველთვის ლამაზი ფერების სამოსით გამოირჩევი, რასაც მე პირადად, მივესალმები. ეს შენი არჩევანია, თუ ვინმე შეგირჩია იმიჯი?**

– მე პროფესიით ტანსაცმლის დიზაინერი ვარ. სწავლის პროცესში განვითარდა ჩემი გემოვნება ჩაცმის კულტურის მიმართ. ბავშვობიდან განსხვავებული ჩაცმის სტილი მაქვს. ასაკის მატებასთან ერთად, უფრო განვვითარდი და გემოვნება დამეხვეწა. ახლა კი იმ ეტაპზე ვარ, რომ შემიძლია, ჩემზე უმცროს ადამიანს მივცე რჩევა როგორ შეიმოსოს. ფერადოვნება ძალიან კარგია. აბა, ამ ნაცრისფერ ქალაქში კიდევ შავი რომ ჩავიცვათ, სულ დავიკარგებით. თან ზაფხულია და წელიწადის ამ დროს ძალიან უხდება ნათელი ფერები.

**მარიკა ხიდურელი**

**იოანე ოქროპირი ეკლესიაში სიარულის შესახებ ამბობს: „როდესაც თქვენს მცირერიცხოვნებას შევყურებ და ვხედავ, რომ ჩვენი სამწყსო ყოველი შეკრების შემდეგ სულ უფრო მცირდება, ერთდროულად ვწუხვარ და მიხარია. მიხარია თქვენ გამო, ვინც ახლა აქ ხართ; ვწუხვარ მათზე, ვინც თქვენთან არ არის. ქების ღირსნი ხართ, რადგან, მიუხედავად სიმცირისა, არ გახდით გულგრილნი, ისინი კი განკითხვას იმსახურებენ იმის გამო, რომ თქვენებრ მოშურნენი არ არიან. ამიტომაც გიწოდებთ ბედნიერებსა და ნეტარებს, რადგან მათმა უზრუნველობამ გავლენა არ მოახდინა თქვენზე, ხოლო მათ, რადგან თქვენი მოშურნეობით ვერ ისარგებლეს, შევრაცხავ, ვითარცა საბრალოთ და ვსტირი“. ამ საკითხის შესახებ გვესაუბრება ვახტანგ გორგასლის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა გურამი (გურამიშვილი):**

# რატომ ვაბრალებთ საკუთარ დანაშაულს მუდმივად სხვებს და როგორ ადის ადამიანი ეკლესიაში შესვლისას დედამიწიდან ზეცაში

– ხშირად უჩნდებათ კითხვა: აუცილებელია თუ არა ეკლესიაში სიარული? ბევრი მიიჩნევს, რომ ეს სასურველია, მაგრამ არ არის აუცილებელი. ზოგი ფიქრობს, რომ საერთოდ არ არის საჭირო. ვინც არ დადის ეკლესიაში, არ იცავს უფლის მიერ დადგენილ მცნებებს, იმასაც ვერ აცნობიერებს, თუ რამდენ ცოდვას სჩადის ნებსით თუ უნებლიეთ. ეკლესიას ყოველთვის ამოჰყავს ამქვეყნიურ საქმეთა მორევიდან მასში შემსვლელები, სიმშვიდითა და ღვთის სიტყვით დააპურებს მათ და იცავს ყოველი განსაცდელისგან. ამ ადგილს სათნოებათა სკოლა და სიბრძნისმოყვარეობის სასწავლებელი ჰქვია. ნებისმიერ დროს, როდესაც ადამიანი შედის ეკლესიაში, ის იმ წუთში გადადებს ნებისმიერ საზრუნავს და, სიჩუმე, რომელიც ეკლესიაში სუფევს, მას ღვთის შიშს შთააგონებს, გონებას გაუნათებს, დღევანდელობას დაავიწყებს და მიწიდან ზეცაში აიყვანს.

**– თუ ეკლესიაში მხოლოდ შესვლაც კი ასეთი სასარგებლოა, ცხადია, უფრო მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლია ღვთისმსახურებაზე დასწრებას.**

– დიახ, როდესაც წინასწარმეტყველნი ღაღადებენ, მოციქულები გვახარებენ; როდესაც ქრისტე ჩვენ შორის დგას და მამისგან ყოველივე კურთხეულია; როდესაც სულიწმიდა გვაუწყებს თავის სიხარულს... რამდენს კარგავენ ისინი, ყოველივე ამას რომ არ ესწრებიან. ხშირად ადამიანები ძირითადად სასაცილო თემებზე საუბრობენ, უქმად ატარებენ დღეებს, ამქვეყნიურ საზრუნავს მისცემიან... ერთიც და მეორეც მიუტევებელია და მკაცრ სასჯელს იმსახურებს. ამაოდ მოლაყბეებზეც ზედმეტია საუბარი, ასევე, იმათზეც, რომლებიც თავს საოჯახო საქმეების მოგვარებით იმართლებენ და კვირაში ერთხელ ეკლესიაში წასვლის გამო, არ შეუძლიათ ამქვეყნიურ საზრუნავზე უარის თქმა. საქმე აუცილებელია, მაგრამ ამით ვერ გავმართლდებით, რადგან ისინი ამაოა უფლის წინაშე. უპირველეს ყოვლისა, ღმერთს უნდა მიაგოთ პატივი და მერე – სხვა დანარჩენს. რომ შეგვეძლოს იმ ადამიანის სინდისში ჩახედვა, ვინც ეკლესიაში არ დადის, დავინახავთ, თუ რამდენი ჭრილობა და ეკალია მის სულში. როგორც დაუმუშავებელი მიწა უხეშდება და ბუჩქნარით იფარება, ასევე საღმრთო სწავლებას მოკლებულ სულშიც აღმოცენდება ეკლები და მანკიერი სურვილები. თუკი ჩვენ, ვინც ყოველდღიურად ვუსმენთ წინასწარმეტყველებსა და მოციქულებს, ძლივს ვახერხებთ შურის, გესლის გულიდან ამოგდებას და საღვთო წერილებიდან განუწყვეტლივ ვუგალობთ ჩვენს ვნებებს – მძვინვარე მხეცებს, რათა როგორმე დავაცხროთ ისინი, მაშინ, განა შესაძლებელია, ხსნის რამე იმედი ჰქონდეთ მათ, ვინც არასდროს უსმენს ღვთაებრივ სიბრძნეს და ამგვარი მკურნალობით არ სარგებლობს?! როგორც ჭუჭყით იფარება კაცის სხეული, თუ ის აბანოთი არ სარგებლობს, ასევე საშინელ ცოდვის სიბინძურეში ეხვევა სულიც, თუკი ის უგულებელყოფს სულიერ სწავლებას. სულიერი განბანა კი ხდება ეკლესიაში, სადაც სულიწმიდის სითბოთი არა მარტო განიწმიდება, არამედ, ფერსაც კი იცვლის.

**– და მაინც, როდის და საიდან იღებს ცოდვა სათავეს?**

– როდესაც ღმერთმა ადამი და ევა სამოთხეში დაასახლა, მათ აუკრძალა იმ აკრძალული ხის ნაყოფის ჭამა, რომელიც ორივეს ცოდვაში ჩააგდებდა. „აკრძალულ ხილში“ კი იგულისხმება ის მანკიერებები და ცუდი თვისებები, რომლებიც ადამიანებისთვის დამღუპველია. როდესაც ევა გველმა აცდუნა, სწორედ მაშინ იშვა ამქვეყნად ცოდვა და მას ეზიარნენ პირველი ადამიანები – ეს არის საწყისი ცოდვისა. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ამქვეყნად არსებობს ისეთი რამეები, რომლებიც კარგია ადამიანის სულისთვის, ზოგი კი, პირიქით – იწვევს ადამიანის სულისა და ხორცის დაღუპვას. ამიტომ, ეკლესია გვიდგენს წესებს, რომელთა დახმარებით შეგვიძლია, საკუთარი სული დავიცვათ საცდურისგან. ეკლესიური წესების დაცვით შევეცდებით, რომ შორს დავდგეთ ცოდვებისგან. ნათქვამია: არ არს კაცი, რომელიც ცხონდეს და არა სცოდოსო. აქედან გამომდინარე, ეკლესიური ცხოვრება დაგვეხმარება, შეძლებისდაგვარად, გავხდეთ სრულყოფილები, თავდაჭერილები, ღვთისნიერები და მოწყალეები. ძალიან სამწუხაროა, მაგრამ, ერთი ცოდვა ძალიან ბევრ სხვა ცოდვას შობს. მაგალითად, ამპარტავნება ძალიან ბევრი მომაკვდინებელი ცოდვის საწყისი ხდება. ცუდია, როდესაც ადამიანი ამ ვნებით შეპყრობილი ხდება. ყველაფერი, რაც ადამიანს გააჩნია – სიმდიდრე, ძალაუფლება, თანამდებობა – უფლის მიერ არის მომადლებული და, შესაბამისად, ეს ყველაფერი ღმერთის, ხალხისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ უნდა გამოვიყენოთ, არ უნდა ჩავვარდეთ ამპარტავნებაში.



**ნუ მოვითხოვთ სიყვარულის წილ სიყვარულს, სიმდაბლის წილ – ქებას, სამსახურის წილ – მადლიერებას. რითაც შეიძლება, რომ დააბრკოლოთ ან შეურაცხყოთ მოყვასი, იმას საერთოდ ნუ გააკეთებთ**

**– ყველანი ღვთის ქმნილებები ვართ, თუმცა, ეს ბევრს ავიწყდება და, იმის ნაცვლად, რომ სხვებს დაუდგნენ გვერდში, პირიქით, მათ შეურაცხყოფას აყენებენ.**

– არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქრისტიანობა არის ერთადერთი სჯული, რომელიც აკმაყოფილებს კაცის სულიერ მოთხოვნილებებს. ამ სჯულმა არ იცის გარჩევა ეროვნებისა, სქესისა და ასაკისა; თვით სახარება კი არის წიგნი სამარადისო, ყველა დროისა და ყველა ხალხისთვის გამოსადეგი, საჭირო და გასაგები. თვით უფალი იესო ქრისტე ძველი აღთქმის წიგნებს უწოდებდა ღვთის სიტყვას, სულიწმიდის სიტყვას, ღვთის ბრძანებას. სასოწარკვეთილების წუთებში ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ღმერთი კი არ გვტოვებს ჩვენ, არამედ, ჩვენ ვტოვებთ მას. ღვთის ბრძანების თანახმად, ყველანი ასე უნდა ვცხოვრობდეთ: როდესაც მარტონი ვიქნებით, როგორი მწუხარეებიც არ უნდა ვიყოთ, რომც არ გვინდოდეს, ყოველთვის უნდა მოვუხმოთ ჩვენს გულებში მცხოვრებ უფალ იესო ქრისტეს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ, როდესაც სხვებთან ერთად ვცხოვრობთ, მათ უნდა ვემსახუროთ კიდეც, როგორც თავად ღმერთს და ნუ მოვითხოვთ სიყვარულის წილ სიყვარულს, სიმდაბლის წილ – ქებას, სამსახურის წილ – მადლიერებას. რითაც შეიძლება, რომ დააბრკოლოთ ან შეურაცხყოთ მოყვასი, იმას საერთოდ ნუ გააკეთებთ. ხოლო, თუ ის შეურაცხგყოფთ, ეს მიიღეთ არა როგორც შეურაცხყოფა, არამედ, როგორც ღვთისგან თქვენთვის გამზადებული იარაღი, რომლითაც, თუკი ისურვებთ, შეგიძლიათ, მოსპოთ თქვენში არსებული ყოველგვარი უწმიდურება გულისა. ყველანაირად წინ უნდა აღვუდგეთ სიფიცხეს და ის ღვთის შეწევნით შესუსტდება. ყოველთვის ვეცადოთ, რომ არაფერზე გავბრაზდეთ. არასდროს არ უნდა განსაჯოთ სხვა. დგას ის თუ ეცემა, მას ჰყავს ღმერთი, რომელსაც ძალუძს, შეაჩეროს მისი დაცემა და აღადგინოს ის დაცემის შემდეგაც. ჩვენ ყველამ საკუთარ დაცემასა და აღდგომაზე უნდა ვიფიქროთ; ვილვაწოთ იმისთვის, რომ მყარად ვიდგეთ ფეხზე, რადგან, შეიძლება, მეორე წუთს ისე დავეცეთ, რომ ადგომა ვერ მოვახერხოთ. არ უნდა მიაქციოთ ყურადღება იმას, ვინ გაწყენინათ და რისთვის. მხოლოდ ერთი რამ უნდა გახსოვდეთ: ვერავინ გაბედავდა თქვენს წყენინებას, ღმერთს რომ არ სდომებოდა ამის დაშვება. ამიტომ, უმჯობესია, მადლობა შესწიროთ უფალს, რამეთუ, თავსდატეხილი მწუხარებით ის ნათლად გიჩვენებთ, რომ თქვენ მისთვის უცხო არ ხართ და სასუფეველში მიჰყავხართ. თავი ანებეთ ადამიანებთან ურთიერთობისას სიმკაცრეს და ღვთის წინაშე ყოველთვის იყავით როგორც ბავშვები. მუდამ ღვთის სიყვარულში უნდა იმყოფებოდეთ, სწავლობდეთ მას, სუნთქავდეთ მისით. ხსნა მრავალსიტყვაობაში კი არ არის, რომელსაც ხშირად მივმართავთ, არამედ, საკუთარი თავისადმი სრულ ყურადღებაში. უნდა გადაეჩვიოთ კამათს, რადგან ის აღელვებს გულს, გართმევთ სულის მშვიდობიან განწყობას. აღშფოთების წუთებში უნდა შეეცადოთ, რომ გაჩუმდეთ და ამ დროს უნდა ილოცოთ იესოს ლოცვა. მოყვასთან განცდილი ნებისმიერი ურთიერთობისას უნდა ჩაიხედოთ საკუთარ სულში და თითქმის ყოველთვის აღმოაჩენთ, რომ თავად იყავით უკმაყოფილების მიზეზი. ნუ იმართლებთ თავს, ნუ იკამათებთ, უნდა ანუგეშოთ ყველა, მოყვასს უნდა მიმართოთ მხიარულად, სიყვარულით. მოყვასს უნდა ემსახუროთ, რადგან ისიც ქრისტეს ასოთაგანია და ოდნავ შესამჩნევი მიმიკითაც არ უნდა შეურაცხყოთ. როდესაც უცებ თქვენში აღმოაჩენთ მის მიმართ ზიზღს, შეეცადეთ, რომ დაამარცხოთ ეს ცოდვიანი შეგრძნება. უფრო მძიმე ცოდვაა, როდესაც არ გაგვაჩნია სინანული და თავის მართლებას ვიწყებთ.

**ნათია უტიაშვილი**

# ღვთისმშობლის მადლმოსილი ხატები

ქალწული მარიამის მიწიერი ცხოვრებისას მორწმუნეები მიისწრაფვოდნენ მასთან, რათა ეხილათ კურთხეული დედათა შორის და მოესმინათ მისი მადლმოსილი საუბარი, მიეღოთ მისგან ლოცვა-კურთხევა და რჩევა-დარიგება... ისინი კი, ვისაც არ ჰქონდა უფლის დედის ნახვის საშუალება, მხურვალედ ენადათ ღვთისმშობლის თუნდაც ფერწერული სახის ხილვა.

მრავალი ქრისტიანისგან სმენოდა ეს ღვთივსათნო სურვილი ლუკა მოციქულს, დახელოვნებულ ექიმსა და ფერმწერს... ამ სურვილის დასაკმაყოფილებლად მან დაფაზე გამოსახა ღვთისმშობლის სახე, ღვთაებრივი ყრმით ხელში, შემდეგ კიდევ ორი ხატი დაწერა და სამივე მათგანი ღვთის დედას მიუტანა. ხატებზე თავისი გამოსახულების ხილვისას ქალწულმა გაიმეორა წინასწარმეტყველური სიტყვები: „ამიერითგან მნატრიდნენ მე ყოველნი ნათესავნი" და დასძინა: „მადლი ჩემგან შობილისა და წყალობა ჩემი, დაე იყოს ამ ხატებზე".

ჩვენ ვიცით, რომ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ერთ-ერთი პირველი, ხელთუქმნელი ხატი ანდრია მოციქულის ხელით საქართველოში შემობრძანდა... ის თავად დედა ღვთისმშობელმა გადასცა მას და უთხრა: „შვილო, ანდრია, დიდად უჩნს სულსა ჩემსა, რომელ ქვეყანასა მას ნაწილსა ჩემსა არა ქადაგებულ არს სახელი ძისა ჩემისა. ოდეს წარვემართე ქადაგებად ძისა ჩემისა ქვეყანასა მას, წილად ჩემდა წილად ხვედრებულსა, მაშინ გამომეცხადა სახიერი ძე ჩემი და ღმერთი და მიბრძანა, რათა შენ წარხვიდე და წარასუენო სახე ჩემი და სახიერისა ძისა ჩემისა ქვეყანასა, ჩემდა წილ ხდომილსა, რათა მე ვიყო განმგებელ ცხოვრებისა მათისა, ხელი აღვუპყრა და შევეწიო მათ და არავინ მტერთაგან მძლე ექმნას მათ". შემდეგ დაიბანა სახე და მიიდო მასზე დაფა, რომელზეც გამოისახა ხატი ღვთისმშობლისა და მის წიაღში მყოფი ღვთაებრივი ყრმისა. ქალწულმა მარიამმა ეს ხატი წმიდა ანდრიას გადასცა, როგორც შემწე და ნუგეშისმცემელი სამოციქულო ღვაწლში.

***

უკრაინის მიწაზე განდიდებული ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ერთ-ერთი საკვირველთმოქმედი ხატია – „მე ვარ თქვენ თანა, და ვერვინ შემძლებელ არს ვნებად თქვენდა". მისი პირველსახე, რომელიც „ღვთისმშობლის დაუჯდომელის" სახელს ატარებდა, ლეუშინოს დედათა სავანის მთავარი სიწმინდე იყო. წმიდა იოანე კრონშტადტელის ლოცვა-კურთხევით, დაიწერა განსაკუთრებული ასლი, რომელსაც გაუკეთდა ზემოაღნიშნული წარწერა. ღირსმა სერაფიმე ვირიცელმა სწორედ ამ ხატის წინ ლოცვით გამოითხოვა ღვთისგან მეორე მსოფლიო ომში მართლმადიდებელთა გამარჯვება.

ამჟამად ეს წმიდა ხატი იმყოფება უკრაინაში, წმიდა გიორგის სავანეში. მან სახელი გაითქვა მორწმუნეთათვის განსაკუთრებულად სწრაფი მადლმოსილი შეწევნის მინიჭებით და ამიტომ ეს ხატი საოცარი სიყვარულით სარგებლობს ხალხში. წმიდა გიორგის სავანეში საკვირველმოქმედი ხატის მოსალოცად უამრავი მორწმუნე ჩადის სხვადასხვა ქვეყნიდან, მათ შორის – საქართველოდან. ხატის დღესასწაული დაწესებულია დიდი მარხვის მეხუთე შაბათს, როდესაც მართლმადიდებელი ეკლესია გალობს ღვთისმშობლის დაუჯდომელს.

ხატის – „მე ვარ თქვენ თანა, და ვერვინ შემძლებელ არს ვნებად თქვენდა" – ერთ-ერთი ასლი თბილისის წმიდა ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესიაშია დაბრძანებული. მის წინ მრავალი სასწაული აღესრულება. ამ ხატის წინაშე სავედრებელი პარაკლისი ყოველი თვის პირველ პარასკევს, 21 საათზე აღესრულება. სრულდება წყალკურთხევა. მისი სწრაფშემწეობის მადლის ძალა არაერთმა შეჭირვებულმა და უნუგეშომ, დავრდომილმა, საპყრობილეში მყოფმა და სხვა მრავალგვარ განსაცდელში ჩავარდნილმა ადამიანმა იგრძნო. ყოვლადმოწყალე დედამ ღვთისამ, ქრისტიანთა ნუგეშმა და სიხარულმა, არაერთი ადამიანი აღადგინა და გადაარჩინა.

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: მონათლული ვარ ეკლესიისგან განკვეთილი მოძღვრის მიერ. ვითვლები თუ არა მონათლულად?**

**პასუხი**: თუ თქვენი ნათლობის საიდუმლო საეკლესიო პირმა მაშინ შეასრულა, როცა ის დედაეკლესიის წიაღში იყო და მისი კურთხევით მოქმედებდა, მაშინ მონათლულად ითვლებით.

**კითხვა: ჩემი მდგომარეობიდან გამომდინარე, მინდა, რომელიმე ეკლესიაში წავიდე მონაზვნად, რადგან ჩემი სიცოცხლე გაუსაძლისია და ეს ერთი გამოსავალი დამრჩა. მირჩიეთ, როგორ მოვიქცე?**

**პასუხი**: მძიმე სულიერი, ფიზიკური თუ მატერიალური მდგომარეობის გამო მონაზვნად წასვლა არ შეიძლება. ჯერ ეკლესიაში დაიწყეთ სიარული, იცხოვრეთ ქრისტიანულად. შეგიძლიათ, მიმართოთ რომელიმე მონასტერს და დროებით პოვოთ იქ ნავსაყუდელი. ხოლო, გახდებით თუ არა მონაზონი, ამას მომავალი გიჩვენებთ.



**კითხვა: აღდგომის ხატზე გამოსახულია ქრისტეს მიერ ჯოჯოხეთიდან მართალთა სულების ამოყვანა. რა უნდოდათ მართალთა სულებს ჯოჯოხეთში?**

**პასუხი**: მხოლოდ მაცხოვრის აღდგომის შემდეგ გაიღო უკუნის კარი – მანამდე მართალნიც ჯოჯოხეთში იმყოფებოდნენ, მაგრამ, ტანჯვას არ განიცდიდნენ თავისი სიმართლით განვლილი ცხოვრების გამო. აღდგომის შემდეგ კი მართალნი სასუფეველს იმკვიდრებენ, ხოლო ცოდვებით დამძიმებული სულები მიდიან ჯოჯოხეთის ჯურღმულებში.

**კითხვა: ყველაზე მეტად როდის გვესხმის თავს ბოროტი ძალა?**

**პასუხი**: ეს ხდება წმიდა საიდუმლოთა მიღების შემდეგ, გულითადი ლოცვის შემდეგ, სარგო საქმის გაკეთების შემდეგ, რადგან, ეშმაკს ბოროტებით აქვს გული სავსე და ადამიანის სიკეთე და სათნოება სძაგს. ამიტომ, მუდმივად ფხიზლად უნდა იყოთ.

# ჭეშმარიტი სარწმუნოება

## წმიდა ბენედიქტემ ღვინოს ჯვარი გადასახა და უცაბედად ჭურჭელი ნამსხვრევებად იქცა

წმიდა ბენედიქტემ, მას შემდეგ, რაც სხეულის დაწყლულებით მძვინვარე ვნება ჩააცხრო (ჭინჭრებში ჩაწვა ხორციელი ვნების დასათრგუნავად) და ცდუნება დაძლია, ეს ღვთის კაცი სარეველისაგან გაწმენდილ ნოყიერ ნიადაგს დაემსგავსა, რომელსაც სათნოების უხვი მოსავალი მოაქვს. არაჩვეულებრივი სამონაზვნო ღვაწლის გამო, მისი სახელი ბევრისთვის გახდა ცნობილი და, როცა ახლომდებარე მონასტერი წინამძღვრის გარეშე დარჩა, ძმობამ თხოვნით მიმართა, იგი მათთან გადასულიყო. ბევრი უარის მიუხედავად, წმიდა ბერი წინამძღვრობაზე დაითანხმეს, თუმცა წმიდანმა საკუთარი წესების სიმკაცრის შესახებ წინასწარ გააფრთხილა ისინი.

წმიდა ბენედიქტემ მკაცრი წესრიგი დაამყარა მონასტერში. არავის აძლევდა დადგენილი წესის დარღვევის უფლებას, არ აძლევდა საშუალებას, სამონაზვნო გზიდან მარჯვნივ ან მარცხნივ გადახრილიყვნენ. გაღიზიანებულმა ძმებმა ასეთი მკაცრი წინამძღვრის არჩევისათვის ჯერ ერთმანეთის გაკიცხვა დაიწყეს, შემდეგ კი, რადგან მიხვდნენ, რომ ის თავნებობას არავის აპატიებდა და არც თავად შეეძლოთ სიახლის მიღება, რამდენიმე მათგანმა წინამძღვარზე თავდასხმა გადაწყვიტა. მოითათბირეს და ღვინოს შხამი შეურიეს...

ძნელია სათნოებრივი ცხოვრება გაუკუღმართებული ზნეობის ადამიანებისთვის.

შეთქმულებმა მონასტრის ჩვეულების მიხედვით, მოწამლული ღვინით სავსე ჭურჭელი კურთხევისთვის მონასტრის წინამძღვარს მიუტანეს. წმიდა ბენედიქტემ ღვინოს ჯვარი გადასახა და უცაბედად ჭურჭელი ნამსხვრევებად იქცა, თითქოს ჯვრის ნაცვლად ქვა მოხვედროდა. წმიდა მამა მიხვდა, რომ ჭურჭელში სასიკვდილო სითხე ესხა და ძმებს მიმართა: „ყოვლისშემძლე ღმერთმა შეგიწყალოთ, ძმებო! რატომ მოინდომეთ, ასე მომქცეოდით? ხომ გაფრთხილებდით, რომ ჩვენი ჩვეულებები განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან? წადით და თქვენი ჩვეულებების შემწყნარებელი წინამძღვარი მოძებნეთ, რადგან ამის შემდეგ თქვენთან ველარ დავრჩები".

შემდეგ ის თავის საყვარელ უკაცრიელ ადგილას დაბრუნდა და მარტო ცხოვრობდა საკუთარ თავთან, ყოვლისმხედველი უფლის თვალწინ.

**მომზადდა**
**რევაზ ტომარაძემ**

# მსოფლიო ჩემპიონატების წვერიანი ვარსკვლავები

*მსოფლიო ჩემპიონატებზე ფეხბურთელები სხვადასხვა იმიჯით გამოირჩევიან, მათ შორის – წვერით. გთავაზობთ ყველაზე ცნობილ წვერიან ვარსკვლავებს, რომლებმაც მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს მუნდიალების ისტორიაში.*

### სოკრატესი – ბრაზილია

ბერძენი ფილოსოფოსის „სეხნია" სოკრატესი საფეხბურთო მოედანზე დიდი სიბრძნით გამოირჩეოდა, ხოლო რეალურ ცხოვრებაში დოქტორის ხარისხით იწონებდა თავს. ის 1980-იანი წლების ბრაზილიის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი იყო, რომელმაც კარიერის დასრულების შემდეგ ცხოვრება მეცნიერებას დაუთმო. სოკრატესის საფირმო წვერ-ულვაში იმ დროის ბრაზილიის ნაკრების სიმბოლოა.

### ალექსი ლალასი – ამერიკის შეერთებული შტატები



ექსტრავაგანტური ალექსი ლალასი ამერიკის ნაკრებში სტაბილური თამაშითა და კოლორიტული გარეგნობით გამოირჩეოდა. ლალასმა ორ მსოფლიო ჩემპიონატზე ისპარეზა და თავი ჟღალი ფერის წვერ-ულვაშით დაგვამახსოვრა.

### ოლოფ მელბერგი – შვედეთი

შვედეთის ნაკრების მცველმა, ოლოფ მელბერგმა, სანაკრებო დონეზე ორ მსოფლიო ჩემპიონატზე ითამაშა და თავისი ბრუტალური იმიჯით საიმედო დამცველის სახელი დაიმკვიდრა. სკანდინავიელი ვიკინგების შთამომავალი ოლოფი ამჟამად 36 წლისაა. ის კარიერას ჯერაც აგრძელებს, თუმცა, ბოლო ორმა მსოფლიო ჩემპიონატმა შვედეთის ნაკრების გარეშე ჩაიარა.

### ჯიბრილ სისე – საფრანგეთი

ჯიბრილ სისემ 2002 და 2010 წლების მსოფლიო ჩემპიონატებზე ითამაშა, თუმცა თავი მხოლოდ ექსტრავაგანტური გარეგნობით დაამახსოვრა მსოფლიოს. შეღებული წვერ-ულვაში, გადახოტრილი თავი და უამრავი ტატუ – ეს არის ის, რაც მუნდიალებს დაუტოვა „სამახსოვროდ" ჯიბრილ სისემ.

### ანდრეა პირლო – იტალია

ანდრეა პირლოსთვის ბრაზილიის მუნდიალი პირველია, სადაც ის ახალი იმიჯით – წვერმოშვებული წარდგა. 35 წლის პირლო „ფეხბურთის ფილოსოფოსის" განსახიერება, ხოლო მისი ხშირი შავი წვერი მის ქარიზმატულობას კიდევ უფრო მეტ



შტრიხს ჰმატებს. იტალიელი ქალბატონების აზრით, ანდრეა პირლო იტალიის ნაკრებში ყველაზე სექსუალური ფეხბურთელია.

## იდუმალი ობიექტი – ტიტანზე

კოსმოსურმა აპარატმა „კასინმა" ასტრონომებს მოულოდნელფი გამოცანა „წარუდგინა" – მზის სისტემის მეექვსე პლანეტის ყველაზე დიდ თანამგზავრზე მდებარე „ტბაზე" უცნაური ობიექტი გამოჩნდა და შემდეგ ისევ გაქრა. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ „თეთრი სიბლანტე" შეიძლება ყოფილიყო აისბერგი ან გაზის მკვრივი ღრუბელი, ან, შესაძლოა, ფოტოზე, სულაც, შტორმი დაფიქსირდა, რაც უჩვეულოა ტიტანის „წყნარი ტბებისთვის". ეს უკანასკნელი ტიტანზე დათბობის მომასწავებელია და გაცილებით საინტერესოა მეცნიერებისთვის. ახლა მის ზედაპირზე ტემპერატურა საშუალოდ 180 გრადუსია.

ტიტანი დედამიწაზე ორჯერ პატარაა და მზის სისტემაში ყველაზე უცნაური ციური სხეულია. დედამიწის გარდა, მხოლოდ მის ზედაპირზე დადასტურდა სითხის არსებობა. ასევე, ერთადერთი თანამგზავრია, რომელსაც მკვრივი ატმოსფერო ეკვრის. მისი ზედაპირი გაყინული ნახშირწყალბადების ნაწილაკების დიუნებითაა მოფენილი. მასზე თხევადი მეთანისა და ეთანის სამი ზღვა, ტბები და მდინარეებია. ეს ელემენტები ქმნიან, ასევე, ღრუბლებს, რომლებიც ნალექების წყაროა. ტიტანზე წელიწადის დროები ერთმანეთს ცვლის, ოღონდ, თითოეული სეზონი „ჩვენებური" 3 თვე კი არა, 7 წელი გრძელდება. გრავიტაცია მასზე იმდენად მცირეა, რომ ადამიანი მკლავებზე მიმაგრებული მარტივი ფრთებითაც თავისუფლად შეძლებს ფრენას. თუმცა, სუნთქვა სპეციალური მოწყობილობის გარეშე შეუძლებელია – ატმოსფერო სასიკვდილო ციანწყალბადითაა გაჟღენთილი. მიუხედავად ამისა, მეცნიერები არ გამორიცხავენ, რომ მასზე სავსებით შესაძლებელია სიცოცხლის უმარტივესი ფორმების არსებობა.

## ეგვიპტეში „სამყაროს აღსასრულის" სამარხი აღმოაჩინეს

იტალიელმა არქეოლოგებმა ეგვიპტის ქალაქ ლუქსორთან აღმოაჩინეს უძველესი სამარხი, რომელიც დაფარულია კირის სქელი ფენით. აქვე აღმოჩნდა კირის გამოსაწვავი სამი ღუმელი და გიგანტური კოცონების კვალი, სადაც მიცვალებულებს წვავდნენ. სამარხი მესამე საუკუნით თარიღდება. სწორედ ამ დროს, რომის იმპერიაში, რომელშიც მაშინ ეგვიპტეც შედიოდა, მძვინვარებდა ცნობილი ეპიდემია, სახელწოდებით – „კიპრიანეს ჟამიანობა" (ჭირი). მისი აღმწერლის, კართაგენის ეპისკოპოსის, წმიდანად შერაცხული კიპრიანეს სახელის მიხედვით. კიპრიანე ამ ეპიდემიას „სამყაროს აღსასრულის" მაუწყებლად მიიჩნევდა. „კუჭის სისუსტე სხეულს ძალას ართმევს... შეუჩერებელი ღებინება არყევს შიგნეულობას. სისხლის მოწოლა თვალებში ანთებას იწვევს... გადამდები ლპობისგან ზოგიერთს ხელები და სხეულის სხვა ნაწილები სძვრება..." – ასე აღწერს დამლუპველი ინფექციური დაავადების მიმდინარეობას კიპრიანე. ეპიდემია 250-დან 271 წლამდე გრძელდებოდა. მისი გავრცელების პიკში რომში ყოველდღიურად ხუთი ათასი ადამიანი კვდებოდა. მას შეეწირა ორი იმპერატორი – ჰოსტილიანე და კლავდიუს მეორე. საეჭვოა, ეს აღმოჩენა დაეხმაროთ მეცნიერებს, გაარკვიონ, რა დაავადების აფეთქება მოხდა მაშინ, რადგან, საუკუნეებმა და ეგვიპტის კლიმატმა დნმ მთლიანად დაშალა.

## ყველაზე ეფექტური მრბოლელი

ამერიკელი დანიკა პატრიკი მსოფლიოში ყველაზე სექსუალურ მრბოლელ ქალად არის მიჩნეული. 2016 წელს „ფორმულა 1-ში" ამერიკული საჯინიბოს – „ჰაას რეისინგის" დებიუტი შედგება და, ცნობილია, რომ გუნდის მფლობელები მთავარ მრბოლელად სწორედ დანიკას მიწვევას აპირებენ. ამჟამად დანიკა „ნასკარის" რბოლებში მონაწილეობს, ხოლო თავისუფალ დროს პრიალა ჟურნალებისთვის პოზირებს, მაგალითად, „სპორტს ილუსტრეიდისთვის".

## მუნდიალის ყველაზე ლამაზი ჟურნალისტი

მექსიკური ტელეკომპანია „ტელევიზას" სპორტული ჟურნალისტი ვანესა ჰაპენკოტენი 2014 წლის მუნდიალის ყველაზე სექსუალურ ჟურნალისტ ქალად აღიარეს. ლათინური ამერიკის გიგანტი ტელეკომპანიის წარმომადგენელი უშუალოდ ბრაზილიის ქალაქებიდან აშუქებს მუნდიალს და მისი პირდაპირი ჩართვების დროს ტელეარხის მაყურებელთა რაოდენობა მკვეთრად იმატებს, რაც ვანესას გარეგნობით არის გამოწვეული. ცნობისთვის, ვანესა მექსიკის ნაკრებისა და პირადად მეკარის, გილიერმო ოჩოას გულმხურვალე ქომაგია.



## საჩუქარი კლინტ დემფსის

წარსულში ცნობილი ამერიკელი კალათბურთელი რიჩარდ ჰამილტონი ბრაზილიაში ჩავიდა და ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრების კაპიტანს, კლინტ დემფსის, საჩუქარი ჩაუტანა. NBA-ს ყოფილმა ვარსკვლავმა ფეხბურთელს პლასტიკური დამცავი ნიღაბი აჩუქა, რომელსაც თავის დროზე „ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის" მატჩებში სახის დაცვის მიზნით იკეთებდა. შეგახსენებთ, რომ ამერიკის ნაკრების განის ნაკრებთან პირველი მატჩის დროს კლინტ დემფსიმ ცხვირი გაიტეხა.

## ირინა შეიკი ჩინურ „კოსმოპოლიტენში"




კრიშტიანუ რონალდუს საცოლემ, ემანუელინსკულმა ლამაზმანმა ირინა შეიკმა ჩინური „კოსმოპოლიტენის" ყდა დაამშვენა. რუსი სუპერმოდელი ამჯერად არცთუ გამომწვევი იმიჯით წარდგა ჩინელი მკითხველის წინაშე – გულახდილი სამოსის ნაცვლად, ის კლასიკური სამოსით პოზირებდა ჩინელი ფოტოგრაფის წინაშე. საინტერესოა, რომ ყდაზე სათაურად აწერია: „ირინა – კრიშტიანუ რონალდუს გოგო".

გვერდი მოამზადა უშანგი რუხაძემ

# პრეზიდენტები და მათი ყველაზე ცნობილი საყვარლები

***ისინი პლანეტის ყველაზე საიდუმლო მასალების შესახებ ფლობდნენ ინფორმაციას და, ამავე დროს, ამ ინფორმაციის ნაწილს წარმოადგენდნენ. ისინი ყველაზე ცნობილი სახელმწიფო მმართველების ყველაზე ცნობილი საყვარლები არიან და სწორედ მათ შესახებ იქნება საუბარი „თბილისელების" ამ ნომერში.***

### მერილინ მონრო და ჯონ კენედი

ჯონ კენედიმ და მერილინ მონრომ ერთმანეთი 1960 წელს, ტბა ტახოზე გაიცნეს, როცა მსახიობი იქ ისვენებდა. თუმცა, თავდაპირველად მონროს მიმართ ინტერესი არა ჯონმა, არამედ, მისმა უმცროსმა ძმამ, რობერტ კენედიმ გამოხატა. რომანის დაწყების თარიღად 1961 წლის ოქტომბერი სახელდება, კენედი უკვე პრეზიდენტი იყო, ხოლო მონრო – ალიარებული სექს-სიმბოლო. ამ რომანის შესახებ მხოლოდ პრეზიდენტის



პირადმა დაცვამ და „ეფბიაის" დირექტორმა ედგარ ჰუვერმა იცოდნენ. ჰუვერის განკარგულებით, მონროზე 24-საათიანი თვალთვალი ხორციელდებოდა და მისი ყველა სატელეფონო ზარი ისმინებოდა. ჰუვერის აზრით, მონრო ამერიკის შეერთებული შტატების უსაფრთხოებისთვის საფრთხეს წარმოადგენდა და, როდესაც 1962 წლის 4 აგვისტოს ვარსკვლავი საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს, მაშინვე გაჩნდა ვერსია, რომ მონრო კენედისთან კავშირს შეეწირა, მიუხედავად იმისა, რომ გარდაცვალების ოფიციალურ ვერსიად თვითმკვლელობა სახელდება. „მან ძალიან ბევრი რამ იცოდა და იყო სრულიად უმართავი. რა თქმა უნდა ის წარმოადგენდა საფრთხეს ამერიკისთვის," – წერდა მონროს ერთ-ერთი ბიოგრაფი.

### სილვია კრისტელი და ვალერი დ'ესტენი

ვალერისა და სილვიას რომანი 1974 წელს, დ'ესტენის გაპრეზიდენტებამდე დაიწყო. თანამდებობაზე არჩევის შემდეგაც კი, მათ ურთიერთობაში არაფერი შეცვლილა. მართალია, სილვია არ ცხოვრობდა ელისეს სასახლეში, მაგრამ ის ყველა ოფიციალური მიღების მონაწილე იყო და სისტემატურად მოგზაურობდა დ'ესტენთან ერთად საგარეო ვიზიტების დროს. საინტერესოა, რომ სილვიასა და ვალერის რომანი არ წარმოადგენდა ინტერესის საგანს ჟურნალისტებისთვის და მათი ურთიერთობის შესახებ პრესის ფურცლებზე თითქმის არაფერი დაბეჭდილა.

### მონიკა ლევინსკი და ბილ კლინტონი

მათ ერთმანეთი კლინტონის საარჩევნო კამპანიის დროს გაიცნეს. 1995 წელს მონიკა თეთრ სახლში სტაჟიორად მუშაობდა და მას ხშირად ხედავდნენ ოვალური კაბინეტიდან გამოსულს, სადაც, წესით, მას შესვლის უფლება არ ჰქონდა. ამ ფაქტის გახმაურებისთანავე ალაპარაკდნენ კლინტონის ღალატზე და, მიუხედავად პრეზიდენტის საჯაროდ დაფიცებისა, რომ არ ჰქონია სექსი ლევინსკისთან, საქმე იმპიჩმენტამდე მივიდა, კლინტონი ტყუილის თქმაში ამხილეს და მას პრეზიდენტის სავარძლის დაკარგვის საშიშროება შეექმნა, თუმცა, გულახდილი აღიარების შემდეგ კლინტონმა შეინარჩუნა პრეზიდენტობა, ხოლო მონიკამ სახელი გაითქვა. მოგვიანებით მონიკა ლევინსკიმ კლინტონთან რომანის შესახებ დაწერილი წიგნი გამოსცა, რომელიც მსოფლიო ბესტსელერად იქცა.

# მხოლოდ ფაქტები

* „მსოფლიო ფეხბურთის ენციკლოპედიაში," განყოფილებაში – „დიდი მოთამაშეები," შესულია სტატია ბებეტოს შესახებ, რომელშიც აღწერილია მისი ჟესტი – გოლის გატანის შემდეგ ბავშვის დაძინების იმიტაცია ხელებით. პირველად მან ეს გააკეთა 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალში, რაც შვილის (ვაჟის) შეძენის მეორე დღეს მოხდა. მას ასეც შეარქვეს „ბებეტოს ჟესტი".

* „ლივერპულისა" და „ნიუკასლის" მატჩს ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ხუმრობით „ორნიტოლოგიური დერბი" უწოდა. „ლივერპულის" მეტსახელია „პელიკანი", ხოლო „ნიუკასლის" – „სოროკა."

* 2002 წლის 30 ივნისს აზიის კონტინენტზე ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი ფეხბურთში. ზუსტად იმ დღეს და იმავე კონტინენტზე ერთმანეთს შეხვდნენ კუნძულ მონსერატისა და ბუტანის ნაკრებები. ამხანაგური შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით 0:4 ამ მატჩმა გამოავლინა მსოფლიოს ყველაზე სუსტი საფეხბურთო გუნდი.

* ანდერს ესკობარას მკვლელობის მომენტში, 1994 წლის 2 ივნისს, მკვლელი – უმბერტო მუნიოს კასტრო, ყოველი გასროლილი 16 ტყვიის შემდეგ ყვიროდა: „გოლ!" – იმავე ინტონაციით, როგორც სამხრეთამერიკელი ფეხბურთის კომენტატორები გამოხატავენ სიხარულს მეტოქის კარში ბურთის გატანის დროს.

* 2001 წელს ჩატარდა დიეგო მარადონას გამოსამშვიდობებელი მატჩი – არგენტინისა და მსოფლიოს ნაკრებების შეხვედრა; 2006 წელს – „არსენალი"-„აიაქსი" (დენის ბერგკამპი); 2008 წელს – „ბავარია"-გერმანიის ნაკრები (ოლივერ კანის გამოსამშვიდობებელი მატჩი), 2011 წელს – „მანჩესტერ იუნაიტედი"–„იუვენტუსი" – გარი ნევილი.

* „ევრო-2006-ისთვის" შესარჩევი მატჩი შოტლანდიაში ადგილობრივ „ტრაქტორსა" და ბელორუსიის ნაკრებს შორის, ძლიერი წვიმის გამო, 3 საათი გაგრძელდა.

* 2007 წელს მსოფლიო საფეხბურთო სამყაროში კონფლიქტი გამოიწვია „ფიფას" გადაწყვეტილებამ, რითაც აიკრძალა ფეხბურთის მატჩების გამართვა ზღვის დონიდან 3 600 მეტრი სიმაღლის ზემოთ.

* თითქმის ტელეპათიური ურთიერთაგების გამო, მოედანზე ფეხბურთის მეფესთან თამაშის დროს, კოუტინიოს „პელეს ძმას" ეძახდნენ.

* უელსის თასის გათამაშება ფეხბურთში 1877 წლიდან ტარდება, პირველი ჩემპიონატი კი მხოლოდ 1992/93 წლების სეზონში გაიმართა.

# რიანა – მსოფლიო შოუ-ბიზნესის ყველაზე სექსუალური „პანტერა"

***ნიჭიერი, ლამაზი და თამამი... მისი შემხედვარე, შეუძლებელია გულგრილი დარჩე. მისი სილამაზე და სექსუალურობა თვალშისაცემია. მას რიანა ჰქვია და ამით ყველაფერია ნათქვამი.***



* ლამაზმანის სრული სახელი და გვარია: რობინა რიანა ფენტი. იგი კუნძულ ბარბადოსზე დაიბადა და იქვე დაამთავრა დაწყებითი და საშუალო სკოლები.

* პოპ-მომღერლობის გარდა, რიანა ფოტომოდელი, დიზაინერი და ბარბადოსის საპატიო ელჩია კულტურის საკითხებში.

* რიანას დედა ჩვეულებრივი ბუღალტერია, ხოლო მამა ტანსაცმლის მაღაზიაში საწყობის გამგედ მუშაობს.

* რიანა დღის განმავლობაში რამდენჯერმე იცვლის ფრჩხილების ფერს, მანიკიურს მას სპეციალურად დაქირავებული სპეციალისტი უკეთებს.

* ყველაზე მეტად რიანას მატყუარა ადამიანები არ უყვარს. მისი თქმით, ურჩევნია, პირდაპირ უთხრან, რომ ძროხასავით გამოიყურება, ვიდრე ზურგსუკან ილაპარაკონ.

* რიანას თქმით, მისთვის პოპის დედოფალი მადონნაა, თვითონ კი პოპის „შავი" დედოფალია.

* ბავშვობაში რიანა ეგზორციზმის რიტუალს დაესწრო საკუთარ სახლში.

* რიანას ძალიან უყვარს კერძების მომზადება და უარს არც ჭურჭლის გარეცხვაზე ამბობს.

* რიანა „რედ ბულის" დიდი მოყვარულია.

* რიანა თვითონ ილებავს თმას.

* ბოლო მონაცემებით, რიანას სხეულზე 16 ტატუირებაა, მათ შორის, მას კიდევ დამატებით მოუწია დროებითი ტატუების გაკეთება ფილმ „საზღვაო ომის" გადაღებებისთვის.

* რიანას თქმით, ბარბადოსზე ცხოვრების პერიოდში მას არც ერთხელ არ მოუსმენია როკ-მუსიკისთვის.

* 2008 წლიდან, ბარბადოსში ყოველწლიურად იმართება სახალხო დღესასწაული, რომელიც რიანას ეძღვნება.

* რიჰანას არ უყვარს მექსიკური, ჩინური, იაპონური და ინდური სამზარეულო. ვარსკვლავი პრაქტიკულად არ ჭამს ბოსტნეულს და ძირითადად მხოლოდ ხილით იკვებება.

* ბიონსეს გარდა, რიანა მერაია ქერის, ალიშა ქიზისა და უიტნი ჰიუსტონის მსმენელია.

* რიანას აქტივები 75 მილიონ დოლარად არის შეფასებული.

* „ვენუსის" ვერსიით, რიანას ყველაზე ლამაზი ფეხები აქვს.

* რიანას საყვარელი კინომსახიობები არიან: დენზელ ვაშინგტონი, ჯესიკა ალბა, ჰოლი ბერი და ტერენს ჰოვარდი.

* რიანა პირველი ბარბადოსელი მომღერალია, რომელმაც „გრემის" ჯილდო მიიღო.

* რიანას საყვარელი ფერებია შავი და მწვანე.

* საკუთარ თავს რიანა არ მიიჩნევს ლამაზად, პირიქით, ამბობს, რომ ის უშნოა.

* რიანა ყველაზე ახალგაზრდა შავკანიანი მოდელია, რომელიც „ვოგის" გარეკანზე მოხვდა.

* რიანა 1988 წლის 20 თებერვალს დაიბადა. მისი სიმაღლე 175 სანტიმეტრია.

* რიანა „ინსტაგრამის" დიდი მოყვარულია და ხშირად აქვეყნებს თავის პიკანტურ ფოტოებს ინტერნეტში.

**გვერდი მოამზადა უშანგი რუხაძემ**



## როგორი სიმპტომებით იჩენს თავს ქრონიკული პროსტატიტი

ქრონიკული პროსტატიტი წინამდებარე ჯირკვლის ანთებაა. ამით არა მხოლოდ ასაკში შესული მამაკაცები, არამედ ხშირად ახალგაზრდებიც ავადდებიან. ქრონიკულ პროსტატიტს იწვევს ბაქტერიული ინფექცია, რომელიც საშარდე არხით, სისხლით ან ორგანიზმში არსებული ნებისმიერი ანთებითი კერიდან ლიმფოგენური გზით ხვდება წინამდებარე ჯირკვლებში.

პროსტატიტით დაავადებულები უჩივიან ტკივილის შეგრძნებას საზარდულისა და შორისის არეში, რომელიც გადაეცემა გარე სასქესო ორგანოებს და გავა-წელის არეს. ინფექციის დროს ძნელდება შარდვის პროცესი და ადამიანს უჩნდება ისეთი გრძნობა, თითქოს შარდის ბუშტი მთლიანად არ არის დაცლილი.

პროსტატიტი ქრონიკული პროცესია და ავადმყოფობის გართულებას მოჰყვება ტკივილის და ტემპერატურის მატება, ავადმყოფი უჩივის ქრონიკულ უძილობას.

ამ დროს კატეგორიულად იკრძალება თვითმკურნალობა, განსაკუთრებით ანტიბაქტერიული პრეპარატებით. არასწორი მკურნალობის შემთხვევაში, შესაძლოა, დაავადების გამომწვევი მიკრობი კი არ მოისპოს, არამედ სახე იცვალოს. ეს კი მკურნალობის პროცესს აძნელებს და შემდგომში მეტ გართულებებს იწვევს.

დაავადების გამწვავების შემთხვევაში, საკვები რაციონიდან უნდა გამორიცხოთ მწარე, მლაშე და დაკონსერვებული საკვები. ასეთ საკვებში შემავალი კომპონენტების გადამუშავების შემდეგ ორგანიზმი შარდში გამოყოფს ისეთ ნივთიერებებს, რომლებმაც შეიძლება, გააძლიეროს წინამდებარე ჯირკვლის ანთებითი პროცესი. ასევე, არ შეიძლება ალკოჰოლიანი სასმელების დალევა. ალკოჰოლი ხელს უწყობს მცირე მენჯის არეში დაფარული, შენელებული პროცესების გააქტიურებას და ქმნის მათი განვითარებისთვის სასურველ ნიადაგს. თუ თქვენს ორგანიზმს არ აქვს მიდრეკილება შეშუპებისადმი, ეცადეთ, მიიღოთ მეტი რაოდენობით სითხე. განსაკუთრებით სასარგებლოა სამკურნალო ნაყენების, კერძოდ, მრავალძარღვას, არყის ხის კვირტების, დათვის კენკრის ნახარში.

ქრონიკულ პროსტატიტს ინფექცია იწვევს. ეს უკანასკნელი ორგანიზმში შეიძლება სქესობრივი გზითაც მოხვდეს. ამიტომ, აუცილებელია, ამ დროს და ზოგადად, პირადი ჰიგიენის დაცვა.

ქრონიკული პროსტატიტის დროს დაუშვებელია გაციება, ზედმეტად გადახურება ან გადაციება. არასრული შარდვის შემთხვევაში, შეიძლება, განვითარდეს ორმხრივი ურეტეროჰიდრონეფროზი და მოხდეს არა მხოლოდ შარდის ბუშტის დაჭიმვა, არამედ ზედა საშარდე გზების დაჭიმვაც. ეს, თავის მხრივ, გამოიწვევს თირკმელების პროგრესირებად და ქრონიკულ უკმარისობას. შესაძლოა, განვითარდეს სქესობრივი პოტენციის დაქვეითება და დარღვევა.

ქრონიკული პროსტატიტით დაავადებულ ადამიანებს მკვეთრად ერღვევათ წინამდებარე ჯირკვლის ინკრეტორული და ექსკრეტორული ფუნქცია, რაც სქესობრივი უძლურების, უშვილობის, ნაადრევი ერექციის და სხვა დაავადებების მიზეზი ხდება. ამიტომ, აუცილებელია პროსტატიტის დროული გამოვლინება და სავალალო შედეგამდე სწორი და დროული მკურნალობის კურსის ჩატარება.

## დღეში ერთი ლიტრი ლუდის დალევა ორგანიზმში თუთიის, რკინისა და ფტორის დღიურ მოთხოვნას აკმაყოფილებს

დღეში ერთ ლიტრამდე ლუდის დალევა ნორმალურ დოზად ითვლება. საერთოდ, ალკოჰოლის ნორმალური დოზა სისხლის წნევაზე მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს. თუ წნევა მაღალია, მას ლუდი მცირედ, მაგრამ მაინც დაბლა სწევს, რადგან, სისხლძარღვებს აფართოებს. მაგრამ, თუ მაღალი წნევა გაქვთ და დიდი რაოდენობით სვამთ ლუდს, შეიძლება, ჰიპერტონიით დაავადდეთ. ალკოჰოლი, რომელსაც ლუდი შეიცავს, სისხლძარღვიდან და ქსოვილებიდან ქოლესტერინს ღვიძლში გადააქვს, სადაც ის იშლება, ხოლო მისი შემცველობა სისხლში მცირდება.

ლუდი ის ალკოჰოლური სასმელია, რომლის მომწარო დანამატები არა მარტო სასიამოვნოა გემოთი, არამედ ადამიანზე დამაწყნარებლად მოქმედებს და ხელს უწყობს საჭმლის მონელების პროცესს. ნორმალური რაოდენობით ლუდის სმა არ იწვევს სიმსუქნეს, უბრალოდ, აღძრავს მადას, რაც ზედმეტი ჭამის მოთხოვნას აღვივებს. ასევე, ლუდში შემავალი სვიის დანამატების იზომჟავები ხელს უშლის ოსტეოქონდროზის განვითარებას. ის ერთ-ერთი ყველაზე დაბალანსებული სასმელია. პოზიტიურად მოქმედებს ნივთიერებათა ცვლაზე და ვიტამინების მნიშვნელოვანი საბადოა. ლუდი შეიცავს ინაცინს, პანტოტენის მჟავას, პირიდოქსინს, მცირე დოზით კი, თიამინს და ბიოტინს. აღნიშნული ვიტამინები დადებითად მოქმედებს კანის და თმის სიჯანსაღეზე. პირიდოქსინი კი ხელს უშლის სისხლძარღვების დაავადების განვითარებას.

თუ ადამიანი დღეში ერთ ლიტრ ლუდს სვამს, ის დააკმაყოფილებს თუთიის დღიურ მოთხოვნას და მიიღებს რკინას, ფტორს და სპილენძის ნორმის ნახევარს. კალიუმი და მაგნიუმი ხელს უშლის ნაღვლის ბუშტსა და თირკმელებში კენჭების წარმოქმნას. ლუდით ორგანიზმი იღებს მცენარეულ სახამებელ ნივთიერებებს, რომლებიც ხელს უწყობს საჭმლის მონელებას და კუჭის წვენის გამოყოფას. ლუდის სარგებლობა დაკავშირებულია ნატურალურ ნედლეულთან, ტექნოლოგიის განსაკუთრებულად მკაცრ კონტროლთან. ის სუფთა პროდუქტია, რომელიც შეიცავს მავნე ნივთიერებების მცირე რაოდენობას. ლუდის მომზადების პროცესში, თერმული რეჟიმები, ალკოჰოლი, სვიის იზომჟავები და ანტიმიკრობიოლოგიური თვისებები არასასურველ გარემოს ქმნის პათოგენური მიკროორგანიზმებისთვის. დღეისთვის რეკომენდებულია ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ყოველდღიურად მიღება. მნიშვნელოვანი როლი ენიჭება პოლიფენოლებს. თუ ასაკოვანი ხართ და დაგინიშნათ ექიმმა თუთიის, ნატრიუმის, რკინის, ფტორის, სპილენძის პრეპარატები, ნუ დაგავიწყდებათ ისეთი ნატურალური პროდუქტის მიღება, როგორიც ლუდია, მაგრამ ნუ გადააჭარბებთ ზომიერებას.

## იწვევს თუ არა წონაში მომატებას ტკბილი, გამაგრილებელი წვენები

ადამიანმა ნორმალური ცხოვრების რიტმის შესანარჩუნებლად დღე-ღამეში დაახლოებით ორ ლიტრამდე სითხე უნდა მიიღოს. ამ დოზაში შედის სითხის ის რაოდენობა, რომელსაც მთელი დღის განმავლობაში ვიღებთ ხილის, სუპის, ბულიონის, კეფირისა და ბუნებრივი წყლის სახით. ადამიანს სითხის მოთხოვნილება სეზონურად ეცვლება. თუ ზამთარში, ძირითადად, ცხელ სასმელებს მივირთმევთ, ცხელ სეზონზე უფრო სუფთა წყლისა და ნატურალური წვენების მოთხოვნილება იზრდება. ერთნი უპირატესობას ბუნებრივ წყალს ანიჭებენ, მეორენი – მინერალურს. თუ თქვენ ამ უკანასკნელთა რიცხვს მიეკუთვნებით, გახსოვდეთ, რომ არსებობს სამკურნალო და სუფრის მინერალური წყლები. სუფრის მინერალური წყალი ყველასთვის კარგია, თანაც, ის შეგიძლიათ, სვათ, რამდენიც გსურთ. სამკურნალო წყალს კი ექიმი დაგინიშნავთ, რადგან ის ორი სახისაა, კერძოდ: ბუნებრივი და სინთეზური. სინთეზური კარგია აბაზანების სახით, დასალევად კი ბუნებრივი სჯობია. წყურვილის მოკვლის საშუალებით, ადამიანი არა მარტო ვიტამინებს, არამედ მინერალებსაც იღებს. ამისათვის კი კარგია სვათ წვენები, კისელი, ბურახი და ასე შემდეგ.

ადამიანის ორგანიზმი ბურახს კარგად შეიწოვს, რადგან ის მდიდარია ორგანული მჟავებითა და ვიტამინებით. ორგანული ნივთიერებებისა და ვიტამინების შემცველობით ბურახს კონკურენციას უწევს ხილის წვენები, ასევე, კენკროვანთა კისელი. ისინი ორგანიზმის კვების საუკეთესო საშუალებად ითვლება, განსაკუთრებით – ზაფხულში.

ვისაც სურს, დალიოს სითხის დიდი რაოდენობა და თანაც, დაცული იყოს ზედმეტი კალორიებისგან, მაშინ კარგია ჩაი და მცენარეული ნაყენები, მაგალითად, პიტნის, ასკილის, ორკბილას. შეიცავს დიდი რაოდენობით ვიტამინებს და ნაკლებად კალორიულია. გაზიანი სასმელების დიდი რაოდენობით სმა არ არის რეკომენდებული.

იდეალურია, თუ ყოველდღიური კვების მენიუში შეიტანთ ხილკენკროვან სასმელებს – ბურახს, მაწონს, კეფირს, მცენარეულ ნაყენებს, ჩაის და ბუნებრივ წყალს. ასევე, კარგია ბულიონი, სუპი, ცოცხალი ბოსტნეული და ხილი. შეგიძლიათ, ორი კათხა ლუდიც მიირთვათ. ამის შემდეგ ყოველდღიური სითხის მიღების ნორმა თითქმის შესრულებული იქნება.

დაივიწყეთ ეგრეთ წოდებული მისაღები სითხის ნორმა, რადგან ეს დოგმა არ არის, მხოლოდ ორიენტირია მათთვის, ვინც სითხეს არასაკმარისი რაოდენობით იღებს. თუ უკუჩვენება არ გაქვთ, მაშინ მიიღეთ იმდენი რაოდენობით სითხე, რამდენიც გსურთ.

## მაყვლის ფოთლებს სამკურნალო თვისებები გააჩნია

მაყვალი ძალიან გემრიელი და სასარგებლო კენკრაა. მასში დიდი რაოდენობითაა C ვიტამინი და კაროტინი.

მაყვალი უხვად შეიცავს ორგანულ მჟავებს, პექტინებსა და მინერალებს.

კვლევებით დადგინდა, რომ ამ კენკრით მკურნალობა ანტიბიოტიკების კურსს ცვლის. ქრონიკული ანთებითი პროცესების, კერძოდ, ცისტიტის მაყვლით მკურნალობა უმოკლეს დროში იძლევა დადებით შედეგს.

მიირთვით ეფექტური და უვნებელი მაყვალი, პირიც დაიტკბეთ და დაავადებებსაც უსაფრთხოდ შეებრძოლეთ.

ერთი სიტყვით, მაყვალი სამკურნალო მცენარეა. სამკურნალოდ გამოიყენება მაყვლის ნაყოფი, ფოთლები და ფესვები. მაყვალს იყენებენ როგორც სადესერტო, დიეტურ საკვებს. მისგან ამზადებენ წვენებს, სიროფს, მურაბას, კომპოტს, ჯემს, მარმელადს და ასე შემდეგ.

მაყვლის ფოთლებისგან მზადდება სასარგებლო და არომატული ჩაი. დაკრიფეთ ახალი ფოთლები და მოათავსეთ დახურულ ჭურჭელში. როცა ფოთლები დაჭკნება და გაშავდება, გააშრეთ ჰაერზე. მისგან მომზადებული ჩაი ხალხურ მედიცინაში ორგანიზმის გამაძლიერებელ და დამამშვიდებელ საშუალებად ითვლება კლასიკური ნევროზის დროს; ის, ასევე, ოფლმდენი და შარდმდენი საშუალებაა.

ხალხურ მედიცინაში მაყვლის ფოთლების ნაყენს იყენებენ ზედა სასუნთქი გზების დაავადებების დროს; პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ანთების, ანგინის, ფარინგიტის შემთხვევაში კი – გამოსავლებად. ნაყენი ასე მზადდება: 2 სადილის კოვზ დაქუცმაცებულ ფოთლებს დაასხით 400 მილილიტრი, ანუ, 2 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი. გააჩერეთ 4 საათის განმავლობაში და მიიღეთ ნახევარი ჩაის ჭიქა დღეში 3-4-ჯერ, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.

## მრავალძარღვა კუჭის პრობლემებს მოგიგვარებთ

მრავალძარღვას ფართოდ გამოიყენებენ როგორც ხალხურ, ასევე თანამედროვე მედიცინაში. სამკურნალოდ გამოიყენება მრავალძარღვას როგორც ნედლი, ისე გამხმარი ფოთლები. ის კარგია კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის, კატარისა და კოლიტის დროს. ასევე, ის კარგი ამოსახველებელი საშუალებაცაა.



მრავალძარღვა აძლიერებს კუჭის სეკრეციას, ამიტომ, კუჭის წვენში მჟავიანობის მომატების დროს მისი გამოყენება არ შეიძლება. მრავალძარღვა შეიცავს ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს, A, C და K ვიტამინებს, ლიმონმჟავას, ფერმენტებს, მთრიმლავ ნივთიერებებს.

ხალხურ მედიცინაში მრავალძარღვას ფოთლებით მკურნალობენ ძირმაგარას, ინფიცირებულ ჭრილობებს. ის, ასევე, აჩერებს სისხლდენას.

ახალი ფოთლის წვენს ასმევენ ბავშვებს ყივანახველის ან ბრონქიტის დროს.

მრავალძარღვას ნაყენი ასე მზადდება: გარეცხეთ ნედლი ფოთლები და დაკეპეთ. შემდეგ დანაყეთ და გამოიწურეთ წვენი. მიღებულ წვენს დაუმატეთ იმავე რაოდენობის თაფლი და წამოადუღეთ. ეს ნაყენი მიიღეთ დღეში სამჯერ, ერთი სუფრის კოვზი, ჭამის შემდეგ.

ნაყენის მომზადება შეგიძლიათ აფთიაქში ნაყიდი გამხმარი ფოთლებითაც. ასეთ დროს 2 სადილის კოვზ დაჭრილ ფოთოლს დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი და წამოადუღეთ. გააჩერეთ თავდახურულ ჭურჭელში, ოთახის ტემპერატურაზე, ნახევარი საათის განმავლობაში, შემდეგ გადაწურეთ და დალიეთ დღეში ოთხჯერ, ჭამამდე, ოცი წუთით ადრე.

# ექიმის რჩევები

**კითხვა: ალერგიის გარდა, რა შეიძლება იწვევდეს კანის ქავილსა და ალაგ-ალაგ სიწითლეს, რაც მალევე ქრება? ანუ, რომელიმე ორგანოს დაზიანების ბრალი ხომ არ შეიძლება იყოს?**

**პასუხი**: ალერგიის გარდა, მსგავსი რეაქციები დამახასიათებელია კანის პარაზიტული დაავადებებისთვის, ჰელმინთოზების, სისხლის, ღვიძლის და ნაღვლის ბუშტის პათოლოგიებისთვის.

**კითხვა: თუ შეიძლება, ამიხსენით, რას ნიშნავს სიტყვები – „სტრომა გამკვრივებულია" (საკვერცხეების ექოსკოპიის პასუხის მიხედვით)?**

**პასუხი**: სტრომის გამკვრივება, შესაძლებელია, მულტიფოლიკულოზის ფონზე მიმდინარეობდეს, რაც ანოვულატორული ციკლის ერთ-ერთი ხშირი მიზეზია (ანუ, ფოლიკული დროულად არ მწიფდება).

**კითხვა: მაინტერესებს, კატის ბეწვი თუ იწვევს ექინოკოკს?**

**პასუხი**: თუ კატას სამ თვეში ერთხელ პარაზიტების საწინააღმდეგო პრეპარატებს აძლევთ, არ არის საშიში! ექინოკოკი ცხოველს ემართება მხოლოდ დაავადებული ხორცისა და ძვლის უმი სახით მოხმარებისას. ამასთან, უნდა იცოდეთ, რომ ექინოკოკოზი ადამიანს ცხოველისაგან გადაედება, მაგრამ, ამ მხრივ საშიშია ექინოკოკის კვერცხებით დაბინძურებული საკვებიც (ბოსტნეული, მწვანილი, კენკრა), წყალი და დაბინძურებული ხელები. ამიტომ, ექინოკოკოზის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია ელემენტარული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა, ასევე, შინაური ცხოველების ყოველკვარტალური პროფილაქტიკური დეჰელმინთიზაცია.

**კითხვა: ენდომეტრიოზი ექოსკოპიით დგინდება? ციკლის რომელ ფაზაშია ექოს გაკეთება მიზანშეწონილი?**

**პასუხი**: ენდომეტრიოზი დგინდება ექოსკოპიურად; ამ მიზნით, ექოსკოპია კეთდება მენსტრუალური ციკლის ნებისმიერ დღეს.

**კითხვა: როდესაც მშობლებს აქვთ სისხლის ჯგუფი: ერთს 0(I) რეზუს დადებითი, ხოლო მეორეს AB(IV) რეზუს დადებითი, შესაძლებელია თუ არა მათ შვილს მშობლებისგან განსხვავებული სისხლის ჯგუფი ჰქონდეს? და თუ დასაშვებია, რომელი სისხლის ჯგუფი შეიძლება ჰქონდეს ბავშვს?**

**პასუხი**: თუ ერთ-ერთ მშობელს აქვს 0 (I) ჯგუფის სისხლი, ხოლო მეორეს AB (IV) ჯგუფისა, მათი შვილები II (A) ჯგუფისანი იქნებიან, ან B (III) ჯგუფისანი. როგორც ხედავთ, გარკვეულ შემთხვევაში, შესაძლებელია, შვილებს არ ჰქონდეთ მშობლების ჯგუფის სისხლი. რაც შეეხება რეზუსს, თუ ორივე მშობელი რეზუს-დადებითია, მათ შეიძლება, ეყოლოთ როგორც რეზუს-დადებითი, ასევე რეზუს-უარყოფითი შვილები. ეს თავისებურება დამოკიდებულია მშობელთა გენოტიპზე.

**კითხვა: ვარ 14 წლის. რამდენიმე დღის წინ დამეწყო უცნაური ტკივილი ყურთან, ანუ ყურის ხვრელთან თითის დადებით მტკივა. ეს რას უნდა ნიშნავდეს და რა შეიძლება, გავაკეთო?**

**პასუხი**: უნდა მიმართოთ ოტოლარინგოლოგს. ხშირი მიზეზი გარეთა ან შუა ოტიტია (ყურის ანთება). დადგენა ხდება დათვალიერებით.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი
მაია ნუცუბიძე**

**გვერდები მოამზადა
ნონა დათეშიძემ**

# როგორ გახდა მერაბ კოკოჩაშვილის ზურგი სტალინი და როგორ დაიწყო კოკოჩაშვილების ცნობილ აფთიაქში მუშაობა პატარა ბიჭმა, მიტროფანე ლაღიძემ

*„ძალიან მიყვარდა ჩემი წინაპრების ამბების მოსმენა და ახლა სიამოვნებით ვუამბობ სხვებს“, – ასე იწყებს ალექსანდრე ჭავჭავაძის შთამომავალი, რეჟისორი მერაბ კოკოჩაშვილი თავის დღიურს. „მიხა“, „არდადეგები“, „დიდი მწვანე ველი“, „გზა მშვიდობისა, ჯაყო“, „გზა“, „ნუცას სკოლა“, „ხმელი წიფელი“, „კარდაკარ“ – ეს მერაბ კოკოჩაშვილის ფილმების არასრული ჩამონათვალია, თავად კი ეკრანზე პირველად „გიორგი სააკაძეში“ გამოჩნდა, სადაც ის სააკაძის უმცროს შვილს – პატარა პაატას თამაშობს. მოდი, ერთად წავიკითხოთ ეს საინტერესო დღიურები, დარწმუნებული ვარ, მოგეწონებათ.*



„ერთხანს კოკოჩაშვილების გვარის წარმომავლობით დავინტერესდი. რატომღაც, მეგონა, რომ ის სიტყვა „ყოჩიდან“ მოდიოდა. თურმე, ვცდებოდი. როგორც ბაბუაჩემმა მითხრა, ჩვენი წინაპარი საზანოელი აზნაური ქაქუჩა (ქაიხოსრო) ქოჩეჩაშვილი ყოფილა. ის, თუ არ ვცდები, იმერეთის მეფე სოლომონ პირველის ელჩობას გაჰყოლია თურქეთში. მიღება, საუბარი, მერე პურმარილი და, ასე გრძელდებოდა ერთი თვის განმავლობაში. ახალგაზრდა აზნაურებს, როგორც ჩანს, ეს ერთფეროვნება მოსწყინდათ და დაიწყეს აქეთ-იქით „ძრომიალი“. ჩვენი ქაქუჩა გამუსლიმანებულ ქართველ ქალს გამიჯნურებია და ყოველდღე მასთან დადიოდა, მაგრამ, ერთ მშვენიერ დღეს, შეუსწრეს... ატყდა ამბავი, ხმლების ტრიალი. ქაქუჩას ძლივს გამოუღწევია, გარეთ გავარდნილა და ახლა ვიწრო ქუჩებში გამოედევნენ დამბაჩების სროლით. ერთ სახლში მას ღია კარი დაუნახავს და შევარდნილა. იქ, თურმე, კათოლიკური მისია ყოფილა. ბერებმა კარი ჩარაზეს და მდევარი არ შეუშვეს, მაგრამ აქედან თავის დაღწევა შეუძლებელი აღმოჩნდა: ქაქუჩას გამო მისიის შენობა ერთი კვირის განმავლობაში ალყაში იყო. ფანჯრიდან დაუნახავს, როგორ შესხდნენ მისი თანამემამულეები ცხენებზე, ხელი დაუქნიეს და ელჩობა საქართველოსკენ გაუდგა გზას. გავიდა დრო და კათოლიკე ბერების დახმარებით თავგადასავალგამოვლილი იმერელი აზნაური შინ დაბრუნდა. არ ვიცი, როგორ შეხვდა მისი ოჯახი ამ ამბავს, მაგრამ, ფაქტია, რომ ქაქუჩას გულმა კვლავ ახალციხისკენ გაუწია – როგორც ჩანს, ის ქალი შეჰყვარებია. წასულა, სატრფო მოუნახავს, კათოლიკე ბერების მიმართ მადლობის ნიშნად კათოლიკობა მიუღია, ქალიც ქრისტეს რჯულზე მოუქცევია და ცოლად შეურთავს. ასე გავხდით კოკოჩაშვილები და კათოლიკეები. ქაქუჩას ბევრი შვილი ჰქოლია... ამ მრავალშვილიანი ოჯახის ერთ-ერთი შტოს შთამომავლები საქართველოში წამოსულან, ქუთაისში დამკვიდრებულან და აქ ბევრი სასიკეთო საქმე უკეთებიათ. ქუთაისში პირველი აფთიაქი კოკოჩაშვილების იყო... აქ, სხვადასხვა წამალთან ერთად, ტკბილი წყალიც იყიდებოდა. ამ აფთიაქში დაუწყია მუშაობა პატარა ბიჭს, რომელიც, თურმე, გულმოდგინედ სწავლობდა რეცეპტებს. ეს ბიჭი მიტროფანე ლაღიძე იყო... კოკოჩაშვილების განათლებულ ოჯახში სხვადასხვა პროფესიას მისდევდნენ. მათ შორის იყვნენ ექიმები, მოსამართლეები, ადვოკატები... ბაბუაჩემი, ვასილ კოკოჩაშვილი, ადვოკატი იყო. დღემდე შენახული მაქვს მისი პორტსიგარი მადლიერების გამომხატველი წარწერით. ეს ნივთი მას აჩუქა კაცმა, რომელიც ბაბუაჩემმა ციხისგან იხსნა. ბებიაჩემი, ვასილის მეუღლე – ლუჩია ყუბჩიშვილი-კოკოჩაშვილისა, ქუთაისში ქალთა გიმნაზიის ერთ-ერთი დამაარსებელი იყო...



...რომ დავიბადე, აი, ამ სახლში ფაეტონით მომიყვანეს. ამ ფაქტს ჩემთვის დღემდე განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. სახელი ბიძაჩემის, მერაბ ჯორჯაძის პატივსაცემად დამარქვეს და ეს ძალიან საინტერესოდ მომხდარა: საფრანგეთში მერაბთან მიმოწერა ოჯახს აკრძალული ჰქონდა. ბებიაჩემი ამ ამბავს ძალიან განიცდიდა. მე რომ დავბადებულვარ და სახელის დარქმევაზე მიმდგარა საქმე, ვერ გადაეწყვიტათ, რა სახელი შეერჩიათ. მაშინ მამაჩემს უთქვამს: სახელებს ქაღალდის პატარა ფურცლებზე დავწერ და ქუდში ჩავყრი. ერთი ამოვიღოთ და, რაც ამოჰყვება, ის დავარქვათო. ასეც მოქცეულან. ქაღალდზე, რომელიც ამოიღეს „მერაბი“ ეწერა. მხოლოდ ბებიაჩემის გარდაცვალების შემდეგ გავიგეთ, რომ მამას ყველა ქაღალდზე ეს სახელი დაუწერია, ბებია რომ გაეხარებინა.

როგორც მიამბეს ფეხი უშანგი ჩხეიძემ ამადგმევინა... ჩვენს ოთახებს შორის კარი თითქმის არასდროს იკეტებოდა. ზაფხულობით ერთმანეთში გამავალი ოთახების ყველა კარს აღებდნენ და, ბინა, როგორც უფროსები ამბობდნენ, „კოჯრის ნიავით“ გრილდებოდა... მე რომ დავიბადე, უშანგი უკვე ავად იყო, სწორედ იმ წელს დაანება თავი თეატრში ყოველდღიურ სიარულს, უკანასკნელი როლი 1933-ში თუ 34-ში ითამაშა... უშანგი თავის ოთახში დივანზე ყოფილა წამოწოლილი და ბალს შეექცეოდა, მე კი ჩვენს ოთახში, იატაკზე დავფორთხავდი. ეტყობა, გართობა უნდოდა – ბლის ყუნწს ძაფი გამოაბა, გადმომიგდო და ნელნელა თავისკენ გაწია. მერე მიყვებოდა: ბალს რომ ვერ მისწვდი, ფორთხვით გამოჰყევი, მერე კი წამოდექი და ფეხით მოხვედი ჩემთანო… მოსკოვში, კინემატოგრაფიის ინსტიტუტში ჩემი გამგზავრებაც მისი „ხელდასმით“ მოხდა. დედაჩემი ღელავდა, ჩემი გაშვების ეშინოდა. უშანგიმ უთხრა, ხელს ნუ უშლი, წავიდესო. მისმა სიტყვამ გაჭრა... რომ წამოვიზარდე, ძალიან მსიამოვნებდა მასთან ურთიერთობა. საოცრად დახვეწილი პიროვნება იყო. ავადმყოფობის მიუხედავად, ფიზიკურად ძლიერი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა... პირველ სკოლაში ვსწავლობდი. ჩემი თანაკლასელი იყო ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, კანდიდ ჩარკვიანის ვაჟი – მერაბი. ასეთ კლასებს საგანგებოდ არჩევდნენ ხოლმე... ჩვენს საკლასო ოთახს, სადაც მეორე კლასიდან დავდიოდით, „სტალინის ოთახი“ ერქვა. კედლებზე სტალინის, ლენინის, ბერიას, ორჯონიკიძისა და სხვა ბელადების სურათები ეკიდა... ბუნებრივია, შესაფერის დავალებებს გვაძლევდნენ. ერთხელ ლექსის დაწერა დაგვავალეს. ოთახის აურა, როგორც ჩანს, ზეგავლენას ახდენდა ჩვენზე. ზოგმა ლენინზე დაწერა ლექსი, ზოგმა სტალინზე... მე ბერიაზე დავწერე... ერთი სული მქონდა, დედაჩემისთვის მეჩვენებინა. დედა შინ არ იყო, ორ ადგილას მსახურობდა და გვიან ბრუნდებოდა. ვიდრე არ მოვიდა, არ დავიძინე. ოთახში რომ შემოვიდა, თვალი გავახილე და ვახარე, ლექსი დავწერე-მეთქი. წაიკითხა და მითხრა, არ დავინახო, კიდევ ლექსი დაწერო... კიდევ ერთი ამბავი დღესაც ღიმილს მგვრის. გერმანიასთან ომი უკვე დაწყებული იყო. პაპიდაჩემთან კახეთიდან სტუმრად ქაქუცა ჩოლოყაშვილის უფროსი ქალიშვილი, ციცნა ჩამოვიდა. სასტუმრო ოთახში მრგვალ მაგიდასთან ჩაის სვამდნენ და საუბრობდნენ. მაგიდას ხავედრის მძიმე სუფრა ჰქონდა გადაფარებული, მის ქვეშ თავს მყუდროდ ვგრძნობდი და იქ თამაში ძალიან მიყვარდა. იმ საღამოსაც მაგიდის ქვეშ ვთამაშობდი. როგორც ჩანს, ქალბატონები პოლიტიკაზე საუბრობდნენ. სიტყვამ მოიტანა და, ჩემი თავშესაფრიდან ასე-





თი რამ გავიგონე: „რაც არ უნდა იყოს, ჰიტლერი კაციჭამიაა," – უთხრა პაპიდაჩემს ციცნამ. „ჩვენსას მაინც ვერ შეედრება, – უპასუხა პაპიდაჩემმა, – ამასთან შედარებით ნამდვილი ვეგეტარიანელია..." როცა წამოვიზარდე, ყველაფერს მივხვდი, ბევრი რამ შევიტყვე, მაგრამ, რაც ვიცოდი, საიდუმლოდ ვინახავდი...



13 წლის ვიყავი. ვსადილობდით. მე და დედა პირისპირ ვისხედით. უკვე დიდი ბიჭი ხარო, – მითხრა, – ყველაფერი უნდა იცოდეო და მამაჩემის შესახებ მიამბო. მაშინ გავიგე, რას განიცდიდა მთელი ამ ხნის განმავლობაში...

... სკოლაში შესანიშნავი მეგობრები მყავდა და ეს ურთიერთობა დღემდე შემოგვრჩა. ბევრი მათგანი სახელოვანი მეცნიერი თუ ხელოვანი გახდა... სკოლის დირექტორი ჯაჯუ ჯორჯიკია გახლდათ. ადრე მენშევიკი თუ ფედერალისტი ყოფილა. კონსტიტუციას გვასწავლიდა... მახსოვს, ერთხელ, მათემატიკის გადაწერით ვიყავი გართული. მეგობარმა დრო იხელთა, ფეხსაცმელი გამიხსნა და წამართვა. საქმეს არ ვუღალატე. ვიფიქრე, გადაწერას დავასრულებ და მერე დავედევნები-მეთქი. დავსვი წერტილი და წამოვხტი. ის ბიჭი კლასიდან გავარდა. სახაზავი ვესროლე, რომელიც კარში გაერჭო. ამ დროს ჯაჯუ ჯორჯიკია გამოჩნდა. ის ჩვენს ოჯახს კარგად იცნობდა. გავშეშდი... ჯაჯუ თუ კაბინეტში დაგიმარტოვებდა, უსიამოვნებას ვერ ასცდებოდი. ვიდექი და ველოდი, რას მიზამდა. მან კი გადმომხედა და მითხრა: რამდენჯერ უნდა გაგაფრთხილო, თავი დაანებე ამ ბაგრატიონებსა და რატიშვილებს, ეთამაშე ჩარკვიანსო!.."

1953 წელს მერაბ კოკოჩაშვილი მოსკოვში გაემგზავრა კინემატოგრაფიის საკავშირო ინსტიტუტში ჩასაბარებლად, სადაც მისი თანატოლები: რეზო ჩხეიძე, თენგიზ აბულაძე, ელდარ შენგელაია, თამაზ მელიავა უკვე ეუფლებოდნენ რეჟისორის ხელოვნების საიდუმლოს. მოსკოვში მერაბ კოკოჩაშვილმა თავის „კინემატოგრაფიულ ნათლიას" – მიხეილ ჭიაურელს მიაკითხა.

„ბატონ მიშას ჩემი ნამუშევრები მივუტანე და რჩევა ვთხოვე. განზრახვა არ მომიწონა. მითხრა, შენც და შენი მეგობრებიც სულელები ხართ, ფილმებს მაინც არავინ გადაგაღებინებთ. სულ 20 სურათს ვიღებთ და ყველაფერი განაწილებულიაო. იმ ოცი რეჟისორის გვარებიც ჩამომითვალა, ვისაც უახლოეს წლებში ფილმები უნდა გადაეღოთ. ყურები ჩამოვყარე და წასვლა დავაპირე. გამაჩერა, – თუ გინდა, ხუთ წუთში გეტყვი იმას, რაც ხუთი წლის განმავლობაში უნდა ისწავლოო და დაიწყო: იმისათვის, რომ რეჟისორი გახდე, სამი რამ არის საჭირო: „ერთი ადგილი" (რბილად ვამბობ, თორემ, ბატონი მიშა ყველაფერს თავის სახელს არქმევდა) და, რადგან ამ სიშორეზე ჩამოეთრიე, ესე იგი, გქონია; მეორე – ზურგი. იცი, რა არის „ზურგი"? – თვალები მორცხვად დავხარე, ვინაიდან, მისი დახმარების იმედი მქონდა. დამეხმარა კიდეც – გაიწია და, მის უკან, კედელზე, სტალინის სურათი დავინახე. აი, ეს არის ზურგიო, – მითხრა; მესამე – ნიჭი და, ამასთან ერთად, მოთმინებაო. გამოცდები „ფრიადზე" ჩავაბარე, მაგრამ ჩემი გვარი სიაში ვერ ვიპოვე. დეკანატში მითხრეს, კიდევ ერთი კომისია უნდა გაიაროო. გასაუბრებაზე ოჯახის, მამაჩემის ამბავი მკითხეს და გამიშვეს. ბატონი მიშას გავლენა რომ არა, შესაძლოა, ჩემი ოჯახის წარსულის გამო, ინსტიტუტში ვერც მოვხვედრილიყავი. „ვგიკში" სწავლის წლები სულ სხვა ცხოვრებაა: ახალი მეგობრები, ნაცნობები... ეს იყო ხანა სამყაროს ახლად აღმოჩენისა. მხიარულად ვცხოვრობდით. ჩვენ შორის მხოლოდ სიყვარული და ერთმანეთის თანადგომა იყო…"

1959 წელს მერაბ კოკოჩაშვილმა სადიპლომო ფილმისთვის მზადება დაიწყო და მიხეილ ჯავახიშვილის ნოველა – „მუსუსი" შეარჩია. ხელის შემშლელი თითქმის არაფერი იყო: „ვგიკში" მოიწონეს, კინოსტუდია „ქართულ ფილმში" სცენარი დამტკიცდა, მოსამზადებელი სამუშაოები უნდა დაწყებულიყო, მაგრამ, მოულოდნელად ფილმი გააჩერეს. მათი აზრით, ჯავახიშვილის ნოველა ანტიეროვნული ნაწარმოები გახლდათ. „ახალ თემაზე ფიქრის დრო არ მქონდა. უდიპლომოდ ვრჩებოდი. ამ დროს, ოთ-



ar აბესაძე, რომელიც „ვგიკში" ჩემს პარალელურ ჯგუფში სწავლობდა, თავის სადიპლომო ფილმზე – „კარდაკარ" – იწყებდა მუშაობას." სცენარის ავტორი რეზო თაბუკაშვილი იყო. სწორედ მან შესთავაზა სტუდიას, ფილმის მოცულობა რვა ნაწილამდე გაეზარდათ, რაც შესაძლებელს გახდიდა, ფილმს ორი დამდგმელი რეჟისორი ჰყოლოდა.

**ეკა პატარაია**

სასიცოცხლო მნიშვნელობის ნახევრადუჯერი ცხიმოვანი მჟავები
ომესამი
ომეგა-3 ცხიმოვანი მჟავები



ამცირებს სისხლში ქოლესტერინის დონეს, ხელს უშლის სისხლძარღვებში ათეროსკლეროზის განვითარებას;
არეგულირებს ცხიმოვან ცვლას ღვიძლსა და სისხლის პლაზმაში;
ხელს უწყობს ცხიმოვანი მასის შემცირებას და კუნთოვანის ზრდას;
ომეგა-3 აღმოჩენილია თვალის ბადურა გარსის შემადგენლობაში, და წარმოადგენს აუცილებელ დანამატს მხედველობის გასაუმჯობესებლად;
არეგულირებს თავის ტვინში სისხლის მიმოქცევას და აუმჯობესებს მეხსიერებას;
ახასიათებს გამოხატული ანტიოქსიდანტური მოქმედება.




GMP
ბიოლოგიურად აქტიური დანამატი

**ბევრს აინტერესებს, არსებობს თუ არა კავშირი ადამიანის ბედისწერასა და გენეტიკას შორის. ეზოთერიკოსები ამტკიცებენ, რომ გენებსა და ბედისწერას შორის პირდაპირი კავშირია. ქართველი ეზოთერიკოს-მკვლევრის, ბატონი გოგის თქმით, აზრისა და ფიქრის დონეზეც კია შესაძლებელი ბედის ცვლილება, რასაც ხშირად გაუაზრებელი ქცევითაც ვახერხებთ. რა მოვიმოქმედოთ, რომ ამ მხრივ თავი საფრთხეში არ ჩავიგდოთ, ჩვენი ცხოვრება სურვილისამებრ დავალაგოთ და მოვიწყოთ მშვიდი მომავალი, ამ თემებთან დაკავშირებით ბატონი გოგი საკმაოდ გასათვალისწინებელ რჩევებს მოგაწვდით.**

# შესაძლებელია თუ არა აზრისა და ფიქრის დონეზე ბედის ცვლილება და რა მოჰყვება ადამიანის გაუაზრებელ საქციელს

**გოგი**: ადამიანის ბედისწერასა და გენებს შორის უდიდესი კავშირი არსებობს; ასევე, არსებობს გარკვეული პერიოდები, როცა საშიშია საკუთარ ბედზე საუბარი, წყევლა თუ გაუაზრებელი ქცევა. ამ დროს ერთმა უაზროდ გაელვებულმა და გაუაზრებელმა ფიქრმაც კი, შესაძლოა, თავდაყირა დააყენოს და რადიკალურად შეცვალოს მთელი თქვენი ცხოვრება. ბედისწერაც და წინაპართა ცოდვებიც ნამდვილად გადადის შთამომავლებზე გენეტიკურად და სწორედ ამიტომაა საჭირო სიფრთხილე, კონტროლი და წინდახედულება თითოეული ქმედების დროს თუ სიტყვის წარმოთქმისას, რომ აღარაფერი ვთქვათ გაცნობიერებულ საქციელზე. ბევრს ამ საკითხთან დაკავშირებით აბსოლუტურად განსხვავებული აზრი და შეხედულება აქვს. მაგრამ, დაფიქრდით, თუკი შეიძლება, ადამიანმა გენეტიკურად მიიღოს წინაპრისგან ნიჭი და გარეგნობა, რატომ არ არის შესაძლებელი, რომ ბედისწერაც გენეტიკურად გადავიდეს მასზე?! ზოგს არ სჯერა ბედისწერის და ძალიანაც ცდება, რადგან, გენური კოდის საშუალებით ჩვენ მართლაც ვიღებთ მემკვიდრეობით გარეგნობას, ხასიათს, ნიჭს და, ამასთან ერთად, ბედისწერასაც. შედეგად კი, წინაპართა არასწორი ცხოვრების წესი შთამომავლის ბედისწერაზე აისახება. არც ერთი ჩვენგანი არ დაბადებულა უცოდველი, რადგან, გენებით მიღებული პროგრამა შთამომავლობით დაგვყვა თან. აი, სწორედ ეს არის ბედისწერა, რომელშიც უდიდესი წვლილი ჩვენს წინაპრებს მიუძღვით. მათი კარმული დავალიანება, არასწორი თუ სწორი საქციელი, ცხოვრების წესი და ასე შემდეგ, სწორედ ჩვენს გენებშია ჩაწერილი. ასე რომ, თითოეული ჩვენგანი გენური ინფორმაციის გადამტანია. აქედან გამომდინარე კი, გამოდის, რომ შთამომავალმა წინაპრების ჩადენილი ცოდვების გამო უნდა ზღოს და საკუთარი ბედისწერა ამით დაამძიმოს. თქვენი შთამომავლების წარუმატებლობა, შესაძლოა, თქვენი ბრალი იყოს და, ამიტომ, უნდა ეცადოთ, სწორი საქციელითა და ცხოვრების სწორი წესით შეუმსუბუქოთ მათ ბედისწერა.




**– ესე იგი, მშობლები თავიანთი საქციელით განსაზღვრავენ შვილების ბედსა და მომავალ ცხოვრებაში მიმდინარე ფაქტებს?**

– დიახ, ახლანდელი საქციელით ჩვენი მომავალი შვილების ბედს განვსაზღვრავთ. აქვე გეტყვით, რომ გენეტიკურ ცოდვაზე დიდი ცოდვა არ არსებობს და, ვისაც ის შთამომავლობით გადაეცა, წარუმატებელი იქნება, უამრავი პრობლემის წინაშე აღმოჩნდება და პირადი ცხოვრებაც გამწარებული ექნება. თუმცა, არ მინდა, ისე გაიგოთ ჩემი ნათქვამი, თითქოს თავს დამტყდარი ყველა უბედურება ჩვენი წინაპრების კისერზეა და მხოლოდ ისინი არიან დამნაშავე ჩვენს უიღბლობა-წარუმატებლობაში.

**– თითოეული ჩვენგანი ცხოვრების განმავლობაში საკუთარ პროგრამასაც ხომ ქმნის და იწერს გენებში?**

– რასაკვირველია, მაგრამ, როცა მემკვიდრეობითი პრობლემების გადახედვა და დამუშავება შეუძლებელი ხდება გენეტიკური ხაზით, ამ დროს გვარი არსებობას წყვეტს, ანუ, ასეთ ოჯახში არ იბადება გვარის გამგრძელებელი. როცა დედა შვილს სწყევლის, ესეც საკუთარი გენის დაწყევლა და შთამომავლის ბედში არასწორი, გაუაზრებელი, საშიში ჩარევაა. ამ დროს გენური კოდი აქტიურდება და უფრო მეტად იწყებს მოქმედებას. გაბრაზებულ გულზე ერთმა ცუდმა გაფიქრებამაც კი კონკრეტული ადამიანის მიმართ, შესაძლოა, გენური პროგრამა შეუცვალოს და მის ბედში ნეგატიური ცვლილებები შეიტანოს. შვილები იტანჯებიან არა მშობლების ცოდვათა გამო, არამედ იმიტომ, რომ მათმა მშობლებმა ცოდვის ჩადენით დაიზიანეს სული და სხეული, შემდეგ კი არ მოინანიეს და ეს ფაქტი მათ შვილებზე აისახა. ამიტომ, საკუთარ სულში უნდა ვეძებოთ იმ ყველაფრის მიზეზი, რაც ჩვენ და ჩვენს შვილებს გვჭირს, მათ შორის იმ დაავადებებისაც, რომელთა მიმართაც გვაქვს მიდრეკილება. ზოგადად, სულსა და ხორცს შორის ბრძოლა დედამიწაზე მუდმივად მიმდინარეობს. მიწიერი ცდუნებების დათრგუნვისა და წინააღმდეგობებთან ბრძოლის დროს იწრთობა და განიწმინდება ჩვენი სული, ამისთვის კი ერთი სიცოცხლე არ კმარა. ადამიანის სული რამდენჯერმე იბადება და კვდება, ის რამდენიმე სხეულს იცვლის და, თითოეულ სხეულში ჩასახლებული, უშვებს შეცდომებს, აგროვებს გამოცდილებას, იძენს ახალ შეგრძნებებს, ემატება იმის გაცნობიერების უნარი, ვინ არის კეთილად განწყობილი მის მიმართ და ვინ – ბოროტად. ასევე, ადამიანების დიდი ნაწილი განსაკუთრებული, გამძაფრებული ინტუიციით გამოირჩევა; ზოგი ცუდი ჩვევებისკენაა მიდრეკილი, ზოგიც ცხოვრებაში ბევრ შეცდომას უშვებს. ეს ყოველივე კი წინა ცხოვრებაში სულის მიერ დაგროვილ გამოცდილებასთანაა კავშირში.

## წინაპართა არასწორი ცხოვრების წესი შთამომავლის ბედისწერაზე აისახება

**– მართალია, რომ სახელს ადამიანის ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა აქვს?**

– რასაკვირველია, სახელი დიდ როლს თამაშობს ჩვენს ბედ-იღბალში. ასევე, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, მშობელმა შვილს უიღბლო ადამიანის სახელი დაარქვას, რადგან, ახლობლის სახელის დარქმევით, ახალშობილს მის გარკვეულ ბედისწერასაც უზიარებ. ხოლო, როცა მშობელი შვილს თავის სახელს არქმევს, ფაქტობრივად, ბავშვს მშობლის ენერგეტიკა აქვს გაზიარებული. ყველა სახელს თავისი ენერგეტიკა აქვს, ანუ, ყოველი სახელი, თავისთავად, ცუდ ან კარგ ენერგეტიკას ატარებს, აქვს საკუთარი კოდი და, ამიტომ, ერთმანეთის მოსახელე ადამიანები რაღაცით ყოველთვის ჰგავანან ერთმანეთს. სეხნიები, ასევე, თავისებურად, ერთმანეთის ბედ-იღბალს იზიარებენ, ერთნაირი შეხედულებები და მისწრაფებები გააჩნიათ. ასე რომ, უმჯობესია, მეტსახელი შეირჩიო, თუკი გრძნობ, რომ წინაპრის სახელის გამო არ გიმართლებს. ასე უფრო ადვილად დააღწევ თავს შესაძლო უიღბლობას. ყველას თავისი მისია და ვალი გვაქვს დედამიწაზე, ხოლო მსგავსება გენეტიკურ კარმასა და ერთნაირი სახელების ენერგეტიკებს შორის ნამდვილად არსებობს.

**ნონა დათეშიძე**

## ქალური სისულელეები

როგორ შევინარჩუნოთ ქალურობა ჩვენს თანამედროვე, მძიმე და პრობლემებით სავსე რეალობაში? ეს საკმაოდ რთულია და ყველას არ შეუძლია... წუწუნი გამოსავალი არ არის...

ქალები ხშირად ვსაუბრობთ პრობლემებზე, თუმცა საუბარი საუბრად რჩება და გამოსავალს ვერ ვპოულობთ.

ხშირად გვიჭირს არჩევნის გაკეთება. სწორად ვერ განვსაზღვრავთ პრიორიტეტებს... მამაკაცებთან შედარებით ქალები გაცილებით ლოგიკურები არიან. მიუხედავად ამისა, ხშირად დგებიან დილემის წინაშე – მაგალითად, ყველაზე მარტივი თემა: რა ჩავიცვა?! ერთი შეხედვით, შეიძლება, სასაცილოდ მოგეჩვენოთ, მაგრამ სერიოზულ პრობლემად იქცევა ხოლმე. ანუ, ქალები აბსოლუტურად არაპროგნოზირებადი არსებები ვართ და ამის აღიარებას ზოგჯერ გავურბივართ. ამიტომაც ამბობენ ჩვენზე: ლედი, ქალბატონი, ქალი, მშვენიერება, აშარი, ანჩხლი, ძუკნა და ასე შემდეგ... მრავალფეროვნებაა და თანაც, როგორი – ამის მიზეზი ქალური „სისულელეებია", რომლებსაც ჯეროვან ყურადღებას ვერ ვაქცევთ, ან არ მივიჩნევთ ყურადღების ღირსად. ეს კი ისევ ჩვენ გვაზარალებს. სამწუხაროდ, ზოგჯერ მართლაც ძალიან სულელურად ვიქცევით. დროა, ამას მივხვდეთ და გამოვსწორდეთ!

## ჩაისვე მრისხანება!

მრისხანება ყველა ადამიანის ცხოვრების თანმდევი, ბუნებრივი ემოციაა. ვინ იტყვის, რომ ერთხელ მაინც არ ყოფილა მრისხანე, არ გადმოუფრქვევია თავისი აგრესია, თუმცა, მერე, შეიძლება, უნანია კიდეც. თუ მეცნიერული თვალსაზრისით მივუდგებით, ჩინური მედიცინა მიიჩნევს, რომ მრისხანება დარღვეული ენერგეტიკული არხის შედეგია, რომელსაც ღვიძლის არასწორი ფუნქციონირება იწვევს. თუმცა, არ არის გამორიცხული, მრისხანებამ ამის გარეშეც იჩინოს თავი. მოგებულია ის, ვინც იცის, როგორ მართოს თავისი ემოციები და მრისხანება. ეს განსაკუთრებით ქალბატონებს ეხებათ, ანუ, თუ ხშირად აფრქვევთ მრისხანებას, უპირველესად, შეიმოწმეთ ღვიძლი და ყურადღება მიაქციეთ საკვებს, რომელსაც მიირთმევთ. შეიძლება, არ იცით, რომ, როცა ვბრაზობთ და ვმრისხანებთ, უზარმაზარი სასიცოცხლო ენერგია მიდის ჩვენგან. მრისხანებას, ანუ, დიდი უარყოფითი ენერგიის კონცენტრაციას, ხელს უწყობს ცუდი ფილმის ყურება, არასასურველ ადამიანთან შეხვედრა და მასთან საუბარი, ემოციების ხშირი გამოხატვა და იმ საქმის კეთება, რაც ძალიან არ გიყვართ და არ გსიამოვნებთ.

არ დახარჯოთ ენერგია ტყუილუბრალოდ, გაუფრთხილდით მას ისევ თქვენთვის. შეხედეთ მოვლენებს მსუბუქად და ზოგჯერ ირონიითაც კი.

ჩინელები მრისხანებას საკმაოდ ორიგინალური მეთოდით ებრძვიან – ისინი ამბობენ: „მწვანე ფერი უყვარს ღვიძლს" – და ცდილობენ, მიირთვან მეტი მწვანე საკვები, იყვნენ მწვანე გარემოში და ხშირად წარმოთქვამენ ბგერას – შ... შ... შ... თურმე, ამით ღვიძლისთვის „მწვანე შუქნიშანი" ირთვება და მრისხანებაც ნელ-ნელა დაიძლევა...

## ნაკლები პრინციპულობა

დროა, დავივიწყოთ ეგოიზმი და აღარ ვილაპარაკოთ იმაზე, როგორი უმადურები არიან კაცები. შეიძლება, ისინი მართლაც უმადურები არიან, მაგრამ, ასეც რომ იყოს, ქალებს – ვერაფერი შეღავათი. თუკი ხვდებით, რომ ლამის იმედი გადაგეწურათ იმ ერთადერთის ძებნაში, გაითვალისწინეთ, რომ, შეიძლება, ზედმეტი პრინციპულობა გიშლით ხელს ურთიერთობის დალაგებაში. ანუ, უპირველესად – ნაკლები პრინციპულობა მერე კი, აჯობებს, თავიდანვე იცოდეთ, რომ არ ღირს, პარტნიორს მიზნად დაუსახოთ, გახდეს სუპერწარმატებული და სანიმუშო. სავარაუდოდ, ის ამდენს ვერ გაქაჩავს. აჯობებს, იცხოვროთ მარტივი ადამიანური პრინციპებით: გაუფრთხილდეთ იმას, რაც გაქვთ; შეეგუოთ იმას, რაც არ მოგწონთ და აღფრთოვანდეთ იმით, რაც მოგწონთ... მოითმინეთ, დაიცადეთ, გიყვარდეთ და სიხარულისთვის პატარა მიზეზიც იმყოფინეთ.

მაგალითად, ზოგიერთი ქალი ძალიან ადვილად მიდის კომპრომისზე და თანდათანობით სულ უფრო იშვიათად სჭირდება ეს კომპრომისი. ვერ ხვდებით? მთავარია, უთხრათ: „კარგი, მოიქეცი ისე, როგორც შენ გსურს" – ამ მარტივ ფრაზას მამაკაცებზე პარადოქსული ზემოქმედების უნარი აქვს – იქცევიან ზუსტად ისე, როგორც თავიდან თქვენ შესთავაზეთ. მაშ, რატომ უნდა ვიყოთ პრიცეპულები?!

## მე ქალი ვარ!

უთხარით საკუთარ თავს: „მე ქალი ვარ!" და ბოლომდე გააცნობიერეთ ის განცდა, რომელიც გეუფლებათ ამ სიტყვების წარმოთქმისას. ბედნიერი უნდა იყოთ, რომ სამყაროს მშვენიერ მეორე ნახევარს მიეკუთვნებით, ამიტომ, მოახერხეთ საკუთარ სქესთან სრული იდენტიფიკაცია – ეს დაგეხმარებათ საკუთარი უპირატესობის შეგრძნებაში და ადვილად დაიმკვიდრებთ ადგილს რეალობაში.

ამბობენ, რომ ქალი ოთხივე სტიქიის შვილია – ენერგიებით, ის კი არა, თავად არის მეხუთე სტიქია. მაგრამ, ყველა ქალმა იცის, რამხელა მისია აკისრია მას და როგორი შესაძლებლობები აქვს?! – საეჭვოა.

რა უნდა ვქნათ, რომ ჩვენი ქალურობა ჩრდილში არ მოექცეს? ყველა როლი, რომელსაც ჩვენ ოჯახში თუ მის გარეთ ვთამაშობთ, ერთნაირი ვირტუოზულობით უნდა იყოს შესრულებული. თუ ქალს აქვს სტიქიებთან კავშირი, ის ამას შეძლებს, ანუ, სწორად უნდა მართოთ საკუთარი ენერგიები – მაშინ ყველა ფრონტზე ერთნაირად წარმატებული იქნებით და გაიმარჯვებთ კიდეც. სუსტი ქალი ისევ საკუთარ თავს ავნებს წუწუნით: მე ქალი ვარ და ამიტომ ბევრი რამე არ შემიძლია... ბევრს აქვს სურვილი ჩემი დაჩაგვრის და მათ ეს გამოსდით... დაუცველი და წარუმატებელი ვარ... ასე დაკომპლექსდებით და იმასაც ველარ გააკეთებთ, რასაც მანამდე აკეთებდით.

„მე ქალი ვარ!" – ამ სიტყვებმა საკუთარი თავის რწმენა უნდა შეგმატოთ და შეუძლებელი შეგაძლებინოთ...

## ტრადიციები და სტერეოტიპები

მოვიდა დრო, როცა ქალს არ ეხამუშება, იყოს საყვარლის როლში. საერთოდ არ ერიდება ამის საჯაროდ აღიარება და ბედნიერიც კია, თუკი მამაკაცი მას მატერიალურ ან ფიზიკურ კომფორტს უქმნის. ურჩევნია, ყველაფერი მიიღოს და, თანაც, ერთბაშად. ცხოვრობს დღევანდელი დღით და, შეიძლება, ეს კარგიც იყოს, თუმცა, გააჩნია, ვისთვის. წარმოიდგინეთ, როგორ ცხოვრობდნენ ქალები ადრე (პრინციპში, ბევრი ქალბატონი დღესაც ასე ცხოვრობს) – ცოლად მიჰყვებოდნენ „ნახევარფაბრიკატს", მერე კი მთელი ცხოვრება მის აღზრდა-გადაკეთებას უნდებოდნენ. შეიძლება, რაღაც ხიბლი ამასაც ჰქონდეს, მაგრამ, მამაკაცი ძაღლი არ არის, რომ წვრთნას მარტივად დაექვემდებაროს და ლაქუცში აგყვეთ, მით უმეტეს, თუ მწვრთნელის არც დიპლომი გაქვთ და არც გამოცდილება. ქალს კი ეხერხება აღზრდა – ეს მისი ერთ-ერთი ფუნქციაა, მაგრამ, მამაკაცებს ნაკლებად უყვართ დედიკო-ცოლები. თუმცა, უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ დედების, ცოლების ან მეგობარი ქალების წყალობით თუ მცდელობით, მამაკაცები უკეთესები ხდებიან. მართალია, ამას სუსტი სქესის ნერვები და ძვირფასი დრო ეწირება, მაგრამ, ჩიტი ბდღვნად ღირს, მით უფრო, როცა ეს „ჩიტი" გიყვარს კიდეც. ნუ შეგეშინდებათ სტერეოტიპების ნგრევისა და ახალი, საკუთარი ტრადიციების დამკვიდრების – ეს ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე იცხოვრო ვიღაცის კარნახით და საკუთარი ნების წინააღმდეგ...



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძე

# დაბალანსებული დიეტა

**ორშაბათი**

მთელი დღის განმავლობაში – ნებისმიერი ხილი სასურველი რაოდენობით, ნებისმიერ დროს (არ შეიძლება: ყურძენი, მანგო, ფინიკი, ბანანი, ლეღვი).



**სამშაბათი**

მთელი დღის განმავლობაში, ნებისმიერ დროს – ნებისმიერი მოხარშული ბოსტნეული და ნებისმიერი სალათა, გარდა კარტოფილისა და მშრალი მარცვლეულისა.

**ოთხშაბათი**

მთელი დღის განმავლობაში – ნებისმიერი ხილი, ნებისმიერი მოხარშული ბოსტნეული და ნებისმიერი სალათა თქვენთვის სასურველ დროს, სასურველი რაოდენობით.

**ხუთშაბათი**

თევზი ან კრევეტები (შემწვარი ან მოხარშული), სალათა, მოხარშული ბოსტნეული – ნებისმიერი რაოდენობით.

**პარასკევი**

ქათამი ან ხორცი (უცხიმოდ შემწვარი ან მოხარშული), მოხარშული ბოსტნეული – ნებისმიერ დროს, ნებისმიერი რაოდენობით.

**შაბათი და კვირა**

თითოეულ დღეს რომელიმე ერთი სახეობის ხილი – ნებისმიერ დროს და ნებისმიერი რაოდენობით.

# ოქროს შუალედი

ახალგაზრდა კანი საზოგადოებაში იმ დონეზე იქცა კულტად, რომ ლამის ბავშვობის ასაკიდან დაიწყონ ქალბატონებმა ნაოჭების გაჩენის საწინააღმდეგო პროფილაქტიკა, თან, კანის მდგომარეობისა და ასაკისთვის აბსოლუტურად მიუღებელი და შეუფერებელი საშუალებებით. რეალური ესთეტიკური პრობლემების მოსაგვარებლად კი ქალების უმრავლესობა „მძიმე არტილერიას" მიმართავს, რადგან მათთვის მთავარია მინიმალურ დროში მაქსიმალური ეფექტის მიღება.

„ზედმეტად მოვლილი კანის ფენომენი დღეს ეპიდემიის მასშტაბებს იღებს და ამას



ჩვენ რეგულარულად ვაწყდებით," – აცხადებენ ამერიკელი და ფრანგი კოსმეტოლოგები. მათი თქმით, ქალბატონებმა არ იციან, რომ მოვლის ნაადრევად დაწყებით ამოიწურება კანის რეზერვები. მაგალითად, დღეს ბევრი კოსმეტოლოგიური პროცედურა და აპარატული მეთოდიკა მიმართულია კანის უჯრედების მუშაობის გაძლიერებისკენ, რის შედეგადაც წარმოიქმნება კოლაგენი, ელასტინი და ჰიალურონის მჟავა – ფიბრობლასტები. მაგრამ, შეუძლებელია, ეს პროცესები უსასრულოდ გაგრძელდეს. ერთხელაც, დგება დრო, როცა კანი უარს ეუბნება მასტიმულირებელ კოსმეტიკურ პროცედურებს.

ამიტომ, ყველაფერში აუცილებელია ბალანსის დაცვა. როგორი შედეგიანიც არ უნდა იყოს ესთეტიკური პროცედურა, დაუშვებელია, რომ მას ორგანიზმის ფუნქცია მივანიჭოთ. კანის მოვლის ნებისმიერი მეთოდის მთავარი ამოცანა უნდა იყოს ბალანსის აღდგენა. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია დროულად შეჩერება, ანუ, კანის ნებისმიერი დეფექტის აღმოფხვრის დროს კოსმეტოლოგმა მიზნად არ უნდა დაისახოს ასპროცენტიანი შედეგი, 70-80 პროცენტიც აბსოლუტურად საკმარისია, რადგან ამ შემთხვევაში კანს შერჩენილი ექნება იმის უნარი, რომ დამოუკიდებლად განაგრძოს თვითრეგულაციის პროცესები.

ზედმეტად მოვლილი კანის ნიშნებია:

ა) გამოშრობა, რასაც იწვევს ჭარბცხიმიანი კანის მოვლისას პილინგებისა და პროფესიონალური პროცედურების გადაჭარბებით გამოვნება.

ბ) გაძლიერებული ტენიანობა წარმოიქმნება ბიორევიტალიზაციისა და „გამაახალგაზრდავებელი" მეზოთერაპიის პროცედურების ზედმეტად ხშირად ჩატარების შედეგად.

გ) გამოთეთრებული სახე აქვთ მათ, ვინც „გატაცებულია" კანის გათეთრების მიზნით მჟავაშემცველი და C ვიტამინის შემცველი პრეპარატებით პროცედურების, ასევე, ქიმიური პილინგებისა და მიკროდერმობრაზიის ჩატარებით. ამ პროცედურების ხშირად ჩატარების შედეგად კანი ძალიან თხელდება და ჩნდება კუპეროზი.

დ) სახის ზოგიერთი ზონის ჰიპერკორექცია გვხვდება იმ ქალბატონებში, რომლებსაც უყვართ „სილამაზის ნემსები", ანუ, შინაურულად რომ ვთქვათ, ტუჩების, ქუთუთოებისა და სახის სხვა მონაკვეთების დაბერვა ან ფორმის შეცვლა. ამ ნემსებისა თუ გელების ხშირად გამოყენების შემთხვევაში, შეინიშნება სახის ყველა უბნის ჰიპერკორექცია, რის შედეგადაც სახე გამოიყურება არაბუნებრივად და უსიამოვნოდ.

ასე რომ, არჩევანი თავად გააკეთეთ.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: მაინტერესებს, შეიძლება თუ არა წამწამების ფერადი ტუშით შეღებვა, თუკი საქმიან შეხვედრაზე უნდა წავიდე?**

**პასუხი:** ყველაფერი დამოკიდებულია თქვენს სტილზე, ასევე, იმაზე, დარწმუნებული ხართ თუ არა საკუთარ თავში და, რაც მთავარია, როგორ შედეგს მოელით ამ შეხვედრის შემდეგ. ისე კი, მაინც უფრო საქმიანი ვიზუალი გექნებათ, თუ შავ ტუშს გამოიყენებთ.

**კითხვა: ხდება თუ არა SPA სალონებში კანის სილამაზეზე ზრუნვა?**

**პასუხი:** რა თქმა უნდა, ხდება. კანის მოვლაში შედის აბანო, პილინგი და შეფუთვა. აბანოს შემდეგ ხდება დეტოქსის ეფექტი – წიდებისგან გაწმენდა; პილინგი წმენდს კანს ძველი უჯრედებისგან და ათანაბრებს (გლუვს ხდის) მის ზედაპირს; შეფუთვა ხვეწს სილუეტს, ასევე, ატენიანებს და კვებავს კანს.

**კითხვა: რა შემთხვევაში შეიძლება მაკიაჟის გაკეთება ტონალური კრემის გარეშე?**

**პასუხი:** მაკიაჟის გაკეთების დროს ტონალური კრემი არ გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახის კანი არის იდეალურ მდგომარეობაში: სიწითლის, შავი წერტილების, გამონაყარის, პიგმენტური ლაქების ან სხვა ვიზუალური ხარვეზების გარეშე.

**კითხვა: შეიძლება თუ არა, გამშრალი ან შესქელებული ფრჩხილის ლაკის აცეტონით ან ფრჩხილიდან ლაკის მოსაშორებელი სითხით გაზავება?**



**პასუხი:** არ შეიძლება სამი მიზეზის გამო: ჯერ ერთი, ასეთი ლაკი არათანაბრად წაისმევა ფრჩხილზე და, მეორე, აცეტონით ან სხვა სითხით გაზავებული ლაკი აუცილებლად დააზიანებს ფრჩხილის ზედაპირს და, მესამე – მას აღარ ექნება ის სიპრიალე ან ბზინვარება, რაც თავდაპირველად ჰქონდა.

**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძემ**

# როგორ მოახერხეს სტალინმა და ორჯონიკიძემ „ოხრანკის“ გაცურება და ლენინისთვის 200 ათასი მანეთის გადაცემა



სტალინს უამრავ ცოდვას მიაწერდნენ, თუმცა, როგორც ამ ბოლო დროს ირკვევა, მათი უმრავლესობა ოპოზიციის მიერ იყო შეთითხნილი და დიდი ბელადის დისკრედიტაციას ისახავდა მიზნად.

– უზარმაზარ რუსეთში 150 მილიონი მართლმადიდებელი მორწმუნეა და თუკი ჩვენ შევძლებთ და სტალინს ანტიმართლმადიდებლის სახელს დავუმკვიდრებთ, მაშინ ის ვერასდროს შეძლებს ხალხის მხარდაჭერის მოპოვებას, – ამბობდა ტროცკი ერთ-ერთ ოპოზიციურ შეკრებაზე 1923 წელს.

– თუ სტალინი ეკლესიის გაძლიერებას შეეცდება? – იკითხა იმავე შეკრებაზე ტომსკიმ.

– მაშინ, მას პოლიტბიუროში შეერყევა პოზიციები. ასე რომ, მეგობრებო, ჩვენ ბევრად უფრო მომგებიან პოზიციაში ვიმყოფებით, ვიდრე ჩვენი ახალგამომცხვარი გენერალური მდივანი. სტალინი ორ ცეცხლს შუა მოექცევა, – დააბოლოვა ოპოზიციის ლიდერმა მისთვის ჩვეული ირონიით.

ტროცკი მართალი იყო. სტალინი ორ ცეცხლს შუა იყო მოქცეული და ერთი მცდარი ნაბიჯიც კი დამღუპველი აღმოჩნდებოდა მისთვის. ამიტომ, სტალინმა ფრთხილი ტაქტიკა აირჩია და პოლიტბიუროს სხდომაზე აშკარად უჭერდა მხარს ლენინის ანტირელიგიურ პოლიტიკას. სინამდვილეში კი, რადიკალურად ეწინააღმდეგებოდა მის განხორციელებას. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი მართლმადიდებლური ტაძარი დაანგრიეს, ლენინის სიცოცხლეში, სტალინმა ათასობით ეკლესია გადაარჩინა განადგურებას. განათლების სახალხო კომისიას მან ტაძრები კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის სიაში შეატანინა და მათ დანგრევას ტაბუ დაადო.

– სტალინი სულ გავიდა თავს. გარდა იმისა, რომ ეკლესიებს არ გვანგრევინებს, იქ ღვთისმსახურების ნებაც მისცა, – ჩაუკაკლა ლენინს ტროცკიმ, რომელიც სტალინს გორკაში ჰყავდა გამომწყდეული. მას კრუპსკაიას ხელშეწყობით შეხვდა და სტალინი დაასმინა.

ტროცკის მსგავსად, სტალინს ვერც კრუპსკაია იტანდა და ყოველმხრივ ცდილობდა მის განადგურებას. ეს ის პერიოდი გახლდათ, როცა ავადმყოფი ლენინი საგრძნობლად გამოკეთდა და ოპოზიციის წაქეზებით, კვლავ სრული ძალაუფლების დაბრუნება გადაწყვიტა.

– მით უარესი მისთვის, – მიმიკებით ანიშნა ლენინმა ტროცკის. ლენინს იმ დროისთვის მეტყველების უნარი ჰქონდა წართმეული. ის მიმიკებით ლაპარაკობდა, მისი ცოლი კი თარგმნიდა ლენინის ჟესტებს, – ზეგვე შემიკრიბეთ პოლიტბიურო და მასზე სტალინის ამ სერიოზულ დანაშაულზე ვიმსჯელებთ, – განრისხდა „მუნჯი“ ლენინი. იმ პერიოდში მართლმადიდებლური ქრისტიანობა მომაკვდინებელ ცოდვად ითვლებოდა და ამის გამო ადამიანებს ხვრეტდნენ კიდეც.

– როგორც იქნა, იმ ველური კავკასიელის საკითხი პოლიტბიუროს სხდომის დღის წესრიგში შევატანინე ლენინს და იმედია, მას, ბოლოს და ბოლოს, მოვიშორებთ, – ზარზეიმით განუცხადა ლენინისგან დაბრუნებულმა ტროცკიმ თავის ოპოზიციონერ კოლეგებს.

ორი დღის შემდეგ გორკაში ლენინს მთელი პოლიტბიურო ეწვია და ყველანი დიდ ოთახში შეიკრიბნენ.

– ამხანაგებო! ვლადიმირ ილიჩს სიტყვით გამოსვლა უნდა და ყურადღებით ვიყოთ! – გამოაცხადა პოლიტბიუროს სხდომების მდივანმა ქალმა ფოტიევამ და ნადეჟდა კრუპსკაიას გახედა.

ინვალიდის ეტლში მოკალათებული ლენინი აწრიალდა და მიმიკებითა და ჟესტებით რაღაც თქვა.

– ვლადიმირ ილიჩი კითხულობს, თუ რატომ დართო ნება სტალინმა მღვდლებს, რომ ღვთისმსახურება შეასრულონ, – მკაფიოდ წარმოსთქვა კრუპსკაიამ და მისი სიტყვები ბრალდებასავით გაისმა.

სტალინს წარბიც არ შეუხრია. ის აუღელვებლად წამოდგა ფეხზე და ღიმილით განაცხადა: „ჩემო მეგობრებო! ჩვენი ახალგაზრდა სახელმწიფო პირველ ნაბიჯებს დგამს საერთაშორისო ასპარეზზე. თითქმის ყველა ჩვენ წინააღმდეგაა ამხედრებული. გადახედეთ, რას წერენ ჩვენზე მსოფლიოს მოწინავე გაზეთები. იქ ჩვენ უკულტურო ბარბაროსებად მოგვიხსენიებენ და ყველას დაავიწყდა, რომ ქრისტიანობის თითქმის ათასწლოვანი გამოცდილება გაგვაჩნია. რა შუაშია აქ ღვთისმსახურება? მე ეს ფორმალურად იმისთვის დავუშვი, რომ საბჭოთა კავშირში ჩამოსულმა უცხოელმა ნახოს და დარწმუნდეს, რომ ბარბაროსები არ ვართ“, – სტალინს მთელი ამ გამოსავლის განმავლობაში ღიმილი არ მოსცილებია სახიდან და ძალიან მშვიდად, დამაჯერებლად ლაპარაკობდა. საიერიშოდ მომზადებულ ტროცკის ენა ჩაუვარდა და სახეზე დაბნეულობა დაეტყო. ლენინი, რომელმაც ყველაფერი მშვენივრად გაიგო, ეშმაკურად იღიმებოდა თავის სტილში. ოთახში სამარისებური სიჩუმე სუფევდა, რომელიც მოულოდნელად სერგო ორჯონიკიძემ დაარღვია:

– ამხანაგებო! თუკი ეს ჩვენს დიად კომუნისტურ საქმეს სჭირდება, დიახაც, რომ ღვთისმსახურებაც არ უნდა დავაბრკოლოთ. ვლადიმირ ილიჩ! თქვენ, ალბათ, გახსოვთ 1909 წლის 30 მარტი. იმ დღეს მე და კობამ 200 ათასი მანეთი ჩამოვიტანეთ თბილისიდან პეტერბურგში ჩვენი სალაროს შესავსებად.

ლენინმა გაიღიმა და ორჯონიკიძეს თავი დაუქნია, რაც იმას ნიშნავდა, რომ ახსოვდა.

– ჩვენ „ოხრანკა“ გვეჯდა კუდზე, – განაგრძო თხრობა ორჯონიკიძემ, – და სანამ თქვენს კონსპირაციულ ბინაში მოვიდოდით, ფულით სავსე საკვოიაჟით ნახევარი ქალაქი შემოვიარეთ, რათა „ოხრანკის“ აგენტები ჩამოგვეშორებინა. ბოლოს კობამ ერთი ფანდი მოიფიქრა და ჩვენ ორივე წმინდა ბარბარეს ეკლესიაში შევედით. იქაური მოძღვარი, მამა კირილე თბილისელი იყო და კობა მას ჯერ კიდევ სემინარიიდან იცნობდა. იმ პერიოდში, თუ გახსოვთ, მეც და კობაც წვერმოშვებულები დავდიოდით. ჰოდა, დახმარება ვთხოვეთ მამაოს და მან მღვდლების ანაფორები გადაგვაცვა, საკვოიაჟი კი საკურთხეველში დამალა. სანამ „ოხრანკის“ აგენტები დაგვეძებდნენ, აზრადაც კი არ მოსვლიათ მღვდლისა და დიაკვნის შემოწმება, რომლებიც პატარა ბავშვს ნათლავდნენ ტაძარში. საქმე ის გახლდათ, რომ მოულოდნელად, ბავშვიანი ცოლ-ქმარი მიადგა მღვდლის ანაფორაში ჩაცმულ კობას და ბავშვის მონათვლა სთხოვა. უარი არ გამოდიოდა, რადგან „ოხრანკის“ აგენტები ტაძარში დაძრწოდნენ და ცოლ-ქმარს სკანდალი რომ აეტეხა, შესაძლოა, გავშიფრულიყავით. ამიტომ, კობა იძულებული გახდა, ნათლობის რიტუალი შეესრულებინა, მე კი მას ვეხმარებოდი. მოგეხსენებათ, კობა სასულიერო სემინარიაში სწავლობდა და მთელი ეს რიტუალი ბრწყინვალედ შეასრულა. შემდეგ, როცა „ოხრანკის“ „შპიკები“ იქაურობას მოშორდნენ, ჩვენ საკურთხევლიდან ფულით სავსე საკვოიაჟი ავიღეთ და თქვენ მოგიტანეთ. 14 წელიწადია, ამ ისტორიის მოყოლა მინდოდა თქვენთვის და დღეს, როგორც იქნა, შევძელი. ასე რომ, ძვირფასო მეგობრებო, ხომ ხედავთ, რა სარგებლობა მოგვიტანა მართლმადიდებლური წესების ცოდნამ და საქმეს რომ დასჭირდა, კობამ ანაფორაც კი ჩაიცვა.

ორჯონიკიძემ თხრობა დაასრულა და დაჯდა.

ყველა ლენინს მისჩერებოდა და დუმდნენ.

რევოლუციის ბელადმა რაღაც ანიშნა კრუპსკაიას და მან ლენინი საძინებლისკენ „გააგორა“. საკითხი ამოწურული იყო. პოლიტბიუროს სხდომა ამით დასრულდა და სტალინმა ოპოზიციას მორიგი მარცხი აგემა.

**სტალინის პირადი დაცვის უფროსის მოადგილის, მიხეილ თევდორაძის ჩანაწერების მიხედვით მომზადა ნიკა ლაშაურმა**



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

კურტ ვონეგუტი

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა: დავიბადე 1996 წლის 6 მაისს. რომელ პროფესიაში მელის წარმატება და უცხოეთის რომელი ქვეყანაა მისაღები ჩემთვის ასტროლოგიურად?**

**პასუხი**: უცხოეთის ქვეყნებიდან თქვენთვის მისაღებია: ინგლისის დასავლეთი ნაწილი, ბელგია, კანადა, სარდინია, ამერიკის შეერთებული შტატები, საბერძნეთი, ნორვეგია, ბრაზილია, პორტუგალია, ჩინეთის ცენტრალური ნაწილი, ფილიპინები, ტაილანდი, ავსტრალიის ცენტრალური ნაწილი, ჩეხოსლოვაკია, ახალი ზელანდია, ისრაელი, სამხრეთ კორეა, ფინეთი, მალტა, პაკისტანი; პროფესიებიდან კი წარმატების მომტანია: ჟურნალისტიკა, რადიო, ტელევიზია, პრესა, სარეკლამო და საგამომცემლო ინდუსტრია, ქორეოგრაფია, მთარგმნელობითი საქმიანობა, ავიაციის ბიზნესი, იურისპრუდენცია, ტურისტული ორგანიზაციების ბიზნესი, პროფესიონალური დიპლომატია, ხელოვნების ფართო სპექტრი, ფსიქოლოგია, საკურორტო ინდუსტრია.

**კითხვა: ჩემი შვილი დაიბადა 2003 წლის 7 თებერვალს. რა არის მისი კარმული მისია?**

**პასუხი**: თქვენი შვილის კარმული მისიაა, წარმოაჩინოს სულიერი თვისებები, იყოს აქტიური, ინიციატივიანი, პრაქტიკული, ენერგიული. უნდა შეძლოს პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება, ლიდერული თვისებების გამოვლენა; ასევე, იყოს უშიშარი და მებრძოლი. სადაც შევა, უნდა შეიტანოს სიმშვიდე, ჰარმონია და არა დეპრესია და აგრესია. მეტად დაეყრდნოს ოპტიმიზმსა და კეთილშობილებას. იყოს კანონმორჩილი, სამართლიანი, დიპლომატიური.

# რა უნდა გაითვალისწინოთ დიეტის დაწყებისას და რა პერიოდშია საშიში წონაში დაკლება

ზედმეტი წონა უამრავ ადამიანს აწუხებს და მთელ მსოფლიოში ეს ერთგვარ გადაუჭრელ პრობლემადაც კი იქცა. არადა, ბევრმა, ალბათ, არ იცის, რომ სიმსუქნე ძალიან ხშირად ადამიანის დაბადების მომენტს და ამ დროს პლანეტების განლაგებას უკავშირდება.

საერთოდ, წონის პრობლემა ყველაზე მეტად მშვილდოსნების, ტყუპების, კირჩხიბისა და კუროს ზოდიაქოს ნიშნების ქვეშ დაბადებულ ადამიანებს აწუხებთ.

ბევრი თვითნებურად იცავს დიეტას და არ აკვირდება იმ მომენტში პლანეტების განლაგებას, მთვარის ფაზებს და ასე შემდეგ. გირჩევთ, გაითვალისწინოთ, რომ არსებობს პერიოდები, რომლებიც განსაკუთრებით საშიშია წონაში დაკლების მსურველთათვის.

ასტროლოგიურად, უმჯობესია, დიეტა დაიწყოთ და დაიცვათ ახალი მთვარის მეექვსე, მეცამეტე, მეოცე და ოცდამეშვიდე დღეებში. ხუთშაბათ დღეს კი კარგია განტვირთვის დღის მოწყობა.

მაგრამ, თუ პირიქით, წონაში მომატება გსურთ, განსაკუთრებით კარგად უნდა იკვებოთ ახალი მთვარის მეორე, მეცხრე, მეთექვსმეტე, ოცდამესამე და ოცდამეათე დღეებში.

ასევე, ამ დროს ყურადღება უნდა მიაქციოთ, რომელი სტიქიის ნიშნით ხართ დაბადებული. მაგალითად, თუ თქვენ მიწის სტიქია გმართავთ, ტკბილეულისა და ცომეულის ჭამისგან მაქსიმალურად უნდა შეიკავოთ თავი. ჭამეთ რაც შეიძლება ბევრი მწვანე და ნარინჯისფერი ხილი და ბოსტნეული.

თუ წყლის სტიქიის ქვეშ ხართ დაბადებული, მაქსიმალურად შეზღუდეთ ზედმეტი წყლის, ტკბილი წვენების, თევზეულისა და ზღვის პროდუქტის მიღება.

სავსე მთვარიდან ახალ მთვარემდე პერიოდი ყველაზე კარგი დროა წონაში დასაკლებად.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვისაც გახდომა გსურთ, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ და მიაქციოთ ყურადღება მთვარის ფაზებს. მთვარეს აქვს ოთხი ფაზა, კერძოდ, ახალი მთვარიდან იწყება პირველი ფაზა და თითოეული ფაზა შვიდ დღეს მოიცავს.

ახალი მთვარიდან სავსე მთვარემდე, ანუ პირველ ორ კვირას, ხდება ასიმილაციის პროცესი – დიდი რაოდენობით საკვების შეწოვა ჩვენი ორგანიზმის მიერ; მეორე ნახევარი, ანუ, სავსე მთვარიდან ახალ მთვარემდე ორი კვირის განმავლობაში – ფაქტობრივად, ხდება ამ მიღებული საკვების შეთვისება და გადამუშავება. ამიტომ, სანამ ორგანიზმი დაიწყებს საკვების შეთვისება-გადამუშავებას, ანუ დალექვას თითოეული უჯრედში, სწორედ ამ პერიოდში არის უმჯობესი დიეტის დაწყება და დაცვა ან შიმშილობის დაწყება გაჯანსაღების მიზნით.

გარდა მთვარის ფაზებისა, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმასაც, რომ მივიღოთ მრავალფეროვანი საკვები და შემოვიღოთ ჯანსაღი ცხოვრების წესი. საკვების მიღება მკაცრად განსაზღვრულ საათებში უნდა ხდებოდეს. თუ დიეტის დაცვა გიჭირთ, მაშინ, ეცადეთ, საღამოს საათებში მაინც შეიკავოთ თავი ზედმეტი ჭამისგან, რადგან ამ დროს ორგანიზმში ადვილად ხდება საკვების ცხიმებად ჩალაგება.

თუ ზედმეტად გამხდარი ხართ, არც საკვები გერგებათ და ვერც თავს გრძნობთ ჯანმრთელად და შრომისუნარიანად, მაშინ, გადაამოწმეთ, როგორ პირობებში გიწევთ ყოფნა – ხომ არ არის ეს პათოგენური ზონის ბრალი. ზედმეტი სიგამხდრე, ხშირად, სწორედ იმ გარემოსთან არის კავშირში, სადაც დღის განმავლობაში დროის უმეტეს ნაწილს ატარებთ.

# რატომ უნდა დაგეგმოთ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩატარება მთვარის ფაზების მიხედვით

*სასოფლო-სამეურნეო ასტროლოგიის ცოდნა და მთვარის ფაზებთან დაკავშირებული რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება გვეხმარება სწორად დავგეგმოთ და წინასწარ განვსაზღროთ, რომელ დღეს რა სახის სამუშაოს ჩატარებაა უფრო შედეგიანი. ჩვენი წინაპრები სწორედ მთვარის ფაზების მიხედვით ადგენდნენ, როდის მოეხნათ მიწა, დაეთესათ მცენარეები, დაერგოთ ხეები და აელოთ და დაებინავებინათ მოსავალი.*

*გთავაზობთ ივლისის პროგნოზს, თუ რომელ დღეს არის კარგი მსგავსი სამუშაოების ჩატარება.*

**1 ივლისი** – კარგია კარტოფილის, ლობიოს, თივის აღება-დაბინავება. მოერიდეთ მცენარეების დარგვა-გადარგვას.

**2 ივლისი** – კარგია მიწათმოქმედება, მცენარეების დარგვა-გადარგვა, ბალახის მოცელვა, თივის შენახვა, ხეებზე გამხმარი ტოტების შეჭრა და გადაბელვა. ასევე, კომპოტების, მურაბებისა და წვენების დამზადება და ზამთრისთვის შენახვა.

**3 ივლისი** – კარგია მიწათმოქმედება, ხილის დაკრეფა და ზამთრისთვის შენახვა. მოერიდეთ მცენარეების დარგვასა და ხეების მოჭრას.

**4 ივლისი** – კარგია მცენარეების დარგვა-გადარგვა, ხეების გადაბელვა, ბოსტნეულის ამოღება მიწიდან, საწებლებისა და წვენების დამზადება და ზამთრისთვის შენახვა.

**5 ივლისი** – კარგია მიწის სასუქებით განოყიერება, ხეების დარგვა, ხილის მოკრეფა-შენახვა, თივის შეგროვება.

**6 ივლისი** – მოერიდეთ მიწის დამუშავებას, ხეხილის დარგვას, მცენარეების მოჭრას, ხილის კრეფას, ბოსტნეულის აღებასა და ზამთრის მარაგის შენახვას.

**7 ივლისი** – კარგია მიწათმოქმედება, მცენარეების დარგვა-გადარგვა, მორწყვა, კომპოტების, წვენებისა და მურაბების დამზადება.

**9 ივლისი** – კარგია ხეების დარგვა – ისინი მალე გაიზრდებიან და ნაყოფსაც ადრე გამოიღებენ.

**12 ივლისი** – ამ დღეს სავსემთვარეობაა, ამიტომ, მოერიდეთ მცენარეების დარგვა-გადარგვას, მორწყვას, მიწის სასუქით განოყიერებას, ბალახის მოცელვას და ზამთრისთვის შენახვას; ასევე, ზამთრისთვის კომპოტებისა და მურაბების დამზადებას და მწნილის ჩადებას.

**15 ივლისი** – კარგია მცენარეების დარგვა-გადარგვა, მორწყვა, ბალახის მოთიბვა ზამთრისთვის შესანახად, ზამთრისთვის კომპოტებისა და მურაბების მოხუფვა და შენახვა.

**17 ივლისი** – მოერიდეთ მიწის სამუშაოებსა და ზამთრისთვის მარაგის შენახვას.

**20 ივლისი** – კარგია მცენარეების დარგვა-გადარგვა, მორწყვა, გადაბელვა, მიწის განაყოფიერება-გაფხვიერება.

**24 ივლისი** – კარგია მცენარეების დარგვა-გადარგვა, მორწყვა, ხილის კრეფა და დაჩირვა, მურაბებისა და კომპოტების დამზადება.

**26 ივლისი** – ნუ დაკრეფთ ყვავილებს. მოერიდეთ ხეების მოჭრას, გადაბელვასა და მიწიდან ბოსტნეულის ამოღებას.

**28 ივლისი** – არ ვარგა მცენარეების დარგვა-გადარგვა, მორწყვა, ხილის კრეფა, ბოსტნეულის აღება და ზამთრისთვის შენახვა, თივის მოგროვება.

**29 ივლისი** – დღეს ახალმთვარეობაა. კატეგორიულად იკრძალება ზამთრისთვის პროდუქტების მოხუფვა, ხილის კრეფა, ბოსტნეულის აღება-დაბინავება და მიწათმოქმედება.

# თეატრები

**შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი**
**რუსთაველის გამზირი №17.**
**ტელ.: 272-68-68**

6 ივლისი, **კვირა** 19.00 - **„მოხუცი ჯამბაზები"** - (ბილეთის ფასი - 10, 15, 20 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: გოჩა კაპანაძე. მონაწილეობენ: კახი კავსაძე, ზაზა ლებანიძე, ჯემალ ღაღანიძე, მანანა გამცემლიძე, მარინა ჯანაშია, მარინა კახიანი, დარეჯან ხარშილაძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი.***

# კინოთეატრები

**კინოთეატრი „რუსთაველი"**
**რუსთაველის გამზირი №5.**
**ტელ.: 293-22-53, 255-50-00.**

**30 ივნისი – 6 ივლისი**

*დარბაზი 1*

12.00, 15.30, 19.00, 22.30 - **„ტრანსფორმერები: გადაშენების ხანა"** 3D, ***ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;***

*დარბაზი 2*

12.00 - **„ზღვარი"**, ***ხანგრძლივობა: 1სთ. 25 წუთი;***

14.00, 16.00, 18.00 - **„ხუთი ნახვით შეყვარება"**, ***ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი;***

20.15, 22.30 - **„ტაქსი"**, ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

*დარბაზი 3*

12.00, 19.45 - **„მალეფისენტი"** 3D, ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

15.00, 17.30 - **„როგორ მოვარჯულოთ დრაკონი"** 3D, ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

22.30 - **„მომავლის ზღვარი"** 3D, ***ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;***

*დარბაზი 4*

12.30 - **„მომავლის ზღვარი"** 3D, ***ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;***

15.00, 17.30 - **„არეულები"**, ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

20.00, 22.30 - **„ზღვარი"**, ***ხანგრძლივობა: 1სთ. 25 წუთი;***

*დარბაზი 5*

12.00, 14.00 - **„როგორ მოვარჯულოთ დრაკონი"** 3D, ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

16.00, 18.00 - **„ზღვარი"**, ***ხანგრძლივობა: 1სთ. 25 წუთი;***

20.00 - **„არეულები"**, ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

22.30 - **„მალეფისენტი"** 3D, ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

**კინოთეატრი „ამირანი"**
**კოსტავას ქუჩა №36.**
**ტელ.: 299-99-55.**

*დარბაზი 1*

12.00, 19.00, 22.30 - **„ტრანსფორმერები: გადაშენების ხანა"** 3D, ***ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;***

16.00 - **„როგორ მოვარჯულოთ დრაკონი"** 3D, ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

*დარბაზი 2*

12.00, 14.30 - **„როგორ მოვარჯულოთ დრაკონი"** 3D, - ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

17.00 - **„მეზობლები"**, ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

20.00 - **„ზღვარი"**, ***ხანგრძლივობა: 1სთ. 25 წუთი;***

22.30 - **„ჩემი საბნის ნაკეცი"**, ***ხანგრძლივობა: 1სთ. 15წთ.;***

*დარბაზი 3*

12.00, 17.00 - **„ზღვარი"**, ***ხანგრძლივობა: 1სთ. 25 წუთი;***

14.30 - **„მეზობლები"**, ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

20.00 - **„როგორ მოვარჯულოთ დრაკონი"** 3D (ინგლისურად), ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

22.30 - **„მეზობლები"** (ინგლისურად), ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

**დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com.**
**ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.**




# ცნობარი

1. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით 215-80-80; 236-40-11
2. ავტომანქანის გაქირავება, ტურები საქართველოში, სასტუმროს რეზერვაცია 218-22-44; 599 33-33-53
3. ავტოსადგური „ოკრიბა" 234-26-92
4. ადამიანის უფლებათა ცენტრი 237-69-50; 245-45-33
5. ავტომანქანების გაქირავება 595 33-21-00
6. აღსრულების ეროვნული ბიუროს საინფორმაციო სამსახური 274-96-49
7. გარემოს ეროვნული სააგენტო 243-95-32
8. აეროპორტის საინფორმაციო ბიურო 231-04-21
9. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი 599 11-57-44
10. გაზი გამოძახებით 292-32-46; 292-10-08
11. შპს აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი 253-06-32
12. საქ. მთავარი პროკურატურის ცხელი ხაზი 240-52-22
13. გაზის საავარიო (ქალაქის) 14; 238-40-65, 238-56-16 (ცენტ. სადისპეტჩერო)
14. განათლების სამინისტროს კომუტატორი 231-89-40; ცხელი ხაზი: 220-02-20
15. გზებზე ტექნიკური დახმარება 599 25-42-54
16. ჯანდაცვის სამინისტრო (ცხელი ხაზი) 251-00-33
17. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 220-62-32
18. დამკრძალავი ბიურო, მუნიციპალური საწარმო „ჰერმესი" 221-21-84; 221-25-84
19. კავკაზუს ონლაინი, დეპეშის გაგზავნა ტელეფონით 250-60-06
20. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 299-10-58; 299-11-21
21. „თელასის" საინფორმაციო ცენტრი 225-52; 225-52-11; 277-99-77
22. „თელასის" ცხელი ხაზი 277-99-99
23. შპს იმუნიზაციის ცენტრი 231-22-78
24. იუსტიციის სამინისტრო 240-52-02
25. კატასტროფის მედიცინის ცენტრი. პაციენტების ტრანსპორტირება სტაციონარებიდან 231-13-20; 231-13-21; 595 33-18-03; 0 790 50-10-50
26. საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისია 238-61-40 (პრესსამსახური); 231-13-13 (ადმინ. დეპარტამენტი)
27. კონტროლის პალატა 243-81-81 (ცხელი ხაზი)
28. კანალიზაციის საავარიო სამსახურის ცხელი ხაზი 293-11-11
29. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 243-11-00 (ცხელი ხაზი)
30. მერიის ცხელი ხაზი 272-22-22
31. ნავთლუღის ავტოსადგური 274-83-03; 274-63-23 599 39-35-35
32. სახალხო დამცველი 291-38-14(15)
33. ვაგზლის ცნობათა ბიურო: 219-90-10
34. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური 112
35. საპატრულო პოლიცია 112
36. სასწრაფო სამედიცინო დახმარება 112
37. სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით 24 საათის განმავლობაში 577 42-42-38, 235-32-33
38. საქართველოს მთავრობის კანცელარია 298-92-73 (ფაქსი), 228-22-88 (მისაღები)
39. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი 294-50-00 შიდა 24 (02, 03)
40. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური 226-11-15 (კანცელარია)
41. სადღეღამისო სტომატოლოგიური კლინიკა, 222-67-22; 210-30-50; 599 57-64-12
42. სოფლის მეურნეობის სამინისტროს კანცელარია 237-80-44 (13)
43. საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო 261-30-90; 261-30-21
44. საყოფაცხოვრებო და საამშენებლო ნარჩენების (ნაგვის) გატანა; შპს „თბილსერვის ჯგუფის" დასუფთავების სერვისი, სანიაღვრე ქსელების ექსპლუატაცია 261-18-37, 261-18-11
45. სამედიცინო-საინფორმაციო სამსახური 225-22-33 (საინფორმაციო); 225-22-45 (ადგილზე მომსახურების განყოფილება, მედიკამენტების სახლში მიტანა)
46. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის ვეტერინარიის მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რეგისტრაციების და ნებართვების სამმართველო 291-91-67 (68)
47. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქ-პატენტი 292-31-66; 291-71-80 (ცხელი ხაზი)
48. საქართველოს მომხმარებელთა ფედერაცია 299-78-57
49. ტაქსი გამოძახებით 293-91-00
50. ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი – 210-02-29; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება, ცხელი ხაზი – 230-99-03.
51. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 241-10-66 (კანცელარია, მოქალაქეთა და წერილების განყოფილება)
52. ფინანსთა სამინისტრო 226-14-12; 226-14-10 (კანცელარია); 226-24-09
53. ქორწინების რეგისტრაცია სიღნაღში 595 24-77-77
54. ღვთისშვილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის) 225-01-45; 222-54-17
55. „ყაზტრანსგაზი" 220-04-04 (გაზიფიცირების სამსახური)
56. „ყაზტრანსგაზის" სადისპეტჩერო 231-04-04

## ორშაბათი 30 ივნისი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00 "მოამბე" 10.30, 02.00 "დღეს" 14.00 **ფეხბურთი**. მსოფლიო ჩემპიონატი: მერვედფინალი (გ/ჩვ) 17.00 "ქართული ჯარი" 17.30 თოქ-შოუ – "რეალური სივრცე" 19.50 **ფეხბურთი**. მსოფლიო ჩემპიონატი: მერვედფინალი (პ/რეპ) 22.00 "ბრაზილია – 2014" (პ/რეპ) 23.50 **ფეხბურთი**. მსოფლიო ჩემპიონატი: მერვედფინალი (პ/რეპ).

07.00 მხიარული კამერა 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00 ქრონიკა. 10.05 სერ. **"ბედის ანაბარა"** 11.20, 12.05 სერ. **"შურისმაძიებელი"** 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.50, 15.05, 16.03 სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"** 17.50, 19.05 სერ. **"მინდა გახსოვდე"** 18.50, 19.03 სერ. **"ბამბის ველი"** 1 სერ. 21.00 სერ. **"შავი ვარდი"** 22.00 მხ/ფ **"გატეხილი ისარი"** (კ.სლეიტერი) 00.00 მხ/ფ **"ორფევრის სანაპირო ტ 36"** (ჟ.დეპარდიე) 02.10 მხ/ფ **"იუმას მატარებელი"**.

06.30 სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** 07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"მათრობელა სიყვარული"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. **"საპრა"** 18.45 სერ. **"სტამბოლის ცა"** 19.45 სერ. **"ქალბატონი დილა"** 22.00 X - ფაქტორი 00.00 სპორტ ტაიმი 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი 03.30 მხ/ფ. 05.00 სერ. **"არ დამივიწყო"**.

06.10 ქვიშით ნაამბობი 06.20 დ/ფ "დები ტრევისის მხიარული სახლი" 06.45 მხ/ფ **"მეტიჩარა"** 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.40 საკვირაო სახარების განმარტება 10.50 კვირიაკე 11.50 ქვიშით ნაამბობი 12.05 მხ/ფ **"პასტორალი"** 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 15.05 დიდ ხარ შენ,უფალო 15.20 სპექტაკლი - **"პატარა უფლისწული"** 16.30 კონცერტი-ახალგაზრდული სიმფონიური ორკესტრი ლევ მარკიზის ხელმძღვანელობით 18.05 განთიადის სტუმარი 18.35 ერთსულოვნების ვერნისაჟი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ "ნერგები" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 პატერიკი 21.25 სახლი ღვთისა 21.40 დ/ფ "წმინდა მღვდელმოწამე აბიბოს ნეკრესელი" 22.25 დ/ფ "მთის მადლიანი საუნჯე" (პატრიარქი სვანეთში) 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "ნარკომანია - თავისუფლება,თუ მონობა" 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

7.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.25 მულტფილმი 7.50 სამედიცინო გადაცემა "პულსი"(გამ.) 8.20 გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი"(გამ.) 8.40, 17.45, 22.00, 2.10 "ყოველდღიური ა(მ)ბები" ვასიკო ოდიშვილისგან 9.00, 12.00, 15.00, 18.00 მაესტრო 9.00, 12.00, 15.00, 18.00 ახალი ამბები 9.30, 12.30, 1.15 ბიზნეს კონტაქტი (დილის ბლოკი) პ/ე 9.50 პრესის მიმოხილვა 10.00, 11.00, 16.00, 17.00, 19.00, ამბები მოკლედ 10.02, 11.03 **სერიალი "უკანასკნელი გაზაფხული"** 11.50, 15.45 პრესის მიმოხილვა 13.00 იმედის ფსონი 13.55 დოკ'ფ. "გზა ბრაზილიისკენ" 14.25, 18.25, 2.30 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ.) 16.02, 17.02 **სერიალი "ასი"** 19.02 **სერიალი "თანაგრძნობა"** 20.00 "ინ-ფაქტი" 20.05 **სერიალი "დაკარგული დრო"** 21.00 მაესტროს "ცხრიანი" პ/ე 22.15 **სერიალი "დიდებული საუკუნე** 23.30 **სერიალი "სკანდალი"** 0.30 ახალი ამბები (კოლაჟი) 0.45 გზა ბრაზილიისკენ (დოკ. ფილმი) 1.55 ახალი ამბები (კოლაჟი).

## სამშაბათი 1 ივლისი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00 "მოამბე" 10.30, 02.00"დღეს" 14.00 **ფეხბურთი**. მსოფლიო ჩემპიონატი: მერვედფინალი (გ/ჩვ) 17.00 "ლიხს იქით და ლიხს აქეთ" 17.30 დ/ფ"დიზაინი" 18.00 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 19.50 **ფეხბურთი**. მსოფლიო ჩემპიონატი: მერვედფინალი (პ/რეპ) 22.00 "ბრაზილია – 2014" (პ/რეპ) 23.50 **ფეხბურთი**. მსოფლიო ჩემპიონატი: მერვედფინალი (პ/რეპ).

07.00 მხიარული კამერა 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.30 ქრონიკა. 10.05 სერ. **"ბედის ანაბარა"** 11.20, 12.05 სერ. **"შურისმაძიებელი"** 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.50, 15.05, 16.03 სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"** 17.45 სერ. **"მინდა გახსოვდე"** 18.50, 19.03 სერ. **"ბამბის ველი"** 2 სერ. 21.00 სერ. **"შავი ვარდი"** 22.00 თეა სიჭინავას პოლიტიკის დრო 00.00 მხ/ფ **"შავი წიგნი"** 02.40 მხ/ფ **"ორფევრის სანაპირო ტ 36"** (ჟ.დეპარდიე).

06.30 სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** 07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"მათრობელა სიყვარული"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. **"საპრა"** 18.45 სერ. **"სტამბოლის ცა"** 19.45 სერ. **"ქალბატონი დილა"** 20.50 ეროვნული ლატარია 22.00 არჩევანი 00.00 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა 00.30 მხ/ფ. 02.30 კურიერის დაიჯესტი 03.00 მხ/ფ. 05.00 სერ. **"არ დამივიწყო"**.

06.10 საგალობელი 06.20 დ/ფ "დები ტრევისის მხიარული სახლი" 06.45 სპექტაკლი - **"პატარა უფლისწული"** 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 დ/ფ "მთის მადლიანი საუნჯე" 11.10 დ/ფ "წმინდა მღვდელმოწამე აბიბოს ნეკრესელი" 11.30 პატერიკი 11.35 სახლი ღვთისა 12.10 მხ/ფ **"ნერგები"** 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 15.05 დიდ ხარ შენ,უფალო 15.20 დ/ფ "გზა" I ნაწ. 16.15 კონცერტი - **"პატარა საზეიმო მესა"** 17.35 ქვიშით ნაამბობი 17.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.55 ისტორიის დღიური 19.25 მოკ./ფ. **"ჰობოი"** 20.00 ღია აუდიტორია 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 "ჩვენი ამბავი" 21.25 ისტორიის გაკვეთილი 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ჩვენი ფონდი - ელენე კავლელაშვილი აფხაზეთის სიწმინდეები 23.25 დ/ფ "საქართველოს ეკლესიის წმინდა მღვდელმთავარნი" 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

7.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.20 მულტფილმი 7.40 "უცნობი ისტორიები" (გამ.) 8.05 გადაცემა "ურბანსპორტი"(გამ.) 8.20 გადაცემა "60 კითხვა ინტერიერში"(გამ.) 8.40, 22.00 "ყოველდღიური ა(მ)ბები"ვასიკო ოდიშვილისგან 9.00, 12.00, 15.00, 18.00 მაესტრო 9.00, 12.00, 15.00, 18.00 ახალი ამბები 9.30, 12.30, 1.10 ბიზნეს კონტაქტი (დილის ბლოკი) პ/ე 9.50, 11.50, 15.45 პრესის მიმოხილვა 10.00, 11.00, 16.00, 17.00, 19.00, ამბები მოკლედ 10.02, 11.03 **სერიალი "უკანასკნელი გაზაფხული"** 13.00 იმედის ფსონი 13.55 დოკ/ფ. "გზა ბრაზილიისკენ" 14.25, 18.25, 2.20 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ.) 16.02, 17.02 **სერიალი "ასი"** 17.45 "ყოველდღიური ა(მ)ბები/ (გამ.) 19.02 **სერიალი "თანაგრძნობა"** 20.00, 2.55 "ინ-ფაქტი" 20.05 **სერიალი "დაკარგული დრო"** 21.00 მაესტროს "ცხრიანი" პ/ე 22.15 თოქ-შოუ "დებატები მაესტროზე" 23.30, SV 11 მაესტროზე 23.55 **სერიალი "სკანდალი"** 0.45, დოკფ. "გზა ბრაზილიისკენ".

გაგრძელება 43-ე გვერდზე

# სალათა თევზითა და პომიდვრით









**საჭირო ინგრედიენტები:** 1-2 სადილის კოვზი ლიმონის წვენი, ბევრი მწვანილი: ოხრახუში, კამა, ქონდარი, მწვანე ხახვი, 8-9 ცალი პომიდორი „ჩერი“ (პატარა, მრგვალი პომიდვრები), 1 სადილის კოვზი მდოგვი, 3 სადილის კოვზი ზეთი, 1 სადილის კოვზი სოიის სოუსი, 200 გრამი თევზის ფილე, 2 კბილი ნიორი, 1 კონა მწვანე სალათა, კიტრი, ცოტა ბოლოკი, მარილი, პილპილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ნიორი წვრილად დაჭერით. ტაფაზე, ზეთში ოდნავ მოშუშეთ ნიორი და პომიდორი.

მწვანილი დაჭერით ძალიან წვრილად და მოაყარეთ პომიდორს. უყავით ცოტა მარილი და პილპილი. მოასხით ლიმონის წვენი. აურიეთ კარგად. გააჩერეთ ოთახის ტემპერატურაზე რამდენიმე საათით. ცალკე ერთმანეთში შეურიეთ მდოგვი, მარილი, პილპილი, სოიის სოუსი, ზეთი. წაუსვით თევზს ყველა მხრიდან კარგად. გააჩერეთ 30 წუთის განმავლობაში და შემდეგ ცხელ აირღუმელში 200 გრადუსზე გამოაცხვეთ, 10-15 წუთი საკმარისია. კიტრი და ბოლოკი დაჭერით და მოაყარეთ პომიდორს, აურიეთ კარგად. ამასობაში სალათა გარეცხეთ, შეაშრეთ და მოათავსეთ ფენებად ღრმა, ლამაზ თეფშზე. ჯერ გაანაწილეთ მასზე ბოსტნეული, მერე თევზის ნაჭრები.








# „ბურიტო“

**საჭირო ინგრედიენტები:** 1 ცალი თხელი ლავაში, 150 გრამი სოკო, 1 ცალი ხახვი (წითელი არა), 1 ცალი მჟავე კიტრი, 200 გრამი კომბოსტო, მაიონეზი, ცოტა ცხარე სოუსი (ნებისმიერი).

**მომზადების წესი:** ტაფაზე მოშუშეთ დაჭრილი ხახვი და სოკო.

კომბოსტო დაჭერით წვრილად და თხლად. მჟავე კიტრი დაჭერით წვრილ ჩხირებად. აიღეთ ლავაში, წაუსვით მაიონეზი, ცხარე სოუსი (შეიძლება ცხარე კეტჩუპი). თანაბარ ფენად მოაყარეთ კომბოსტო, კიტრი და სოკო. შეგიძლიათ, დაუმატოთ დაფხვნილი ყველი.

გადაახვიეთ. შეგიძლიათ მიირთვათ ასევე, ან შეწვით ზეთში ორივე მხრიდან. მორთეთ მწვანილით ან მაიონეზით.

ყოველკვირეული ჟურნალი თბილისელები

# ყაბაყი ლობიოთი





**საჭირო ინგრედიენტები:** 2 ცალი ყაბაყი, 200 გრამი მოხარშული ლობიო, 3-4 ცალი პომიდორი, 1 თავი ხახვი, 2 სადილის კოვზი კეტჩუპი, მარილი, ცოტა შაქარი, ცხარე წიწაკა, ზეთი, 2-3 კბილი ნიორი, ოხრახუში და კამა.

**მომზადების წესი:** ზეთში მოშუშეთ წვრილად დაჭრილი ხახვი, პომიდორს გააცალეთ კანი, გახეხეთ და ჩაუმატეთ ხახვს. ყაბაყი დაჭერით კუბიკებად. ჩაუმატეთ პომიდორს, დაუმატეთ კეტჩუპი, მარილი, წიწაკა, შაქარი (კეტჩუპი შეგიძლიათ, შეცვალოთ ტომატ-პასტით), შუშეთ 20-25 წუთის განმავლობაში სრულ მომზადებამდე. მზა ბოსტნეულს ჩაუმატეთ მოხარშული ლობიო (ან გამოიყენეთ დაკონსერვებული ლობიო თავისსავე წვენში). დაუმატეთ დანაყილი ნიორი და მწვანილი.

# მაკარონი ბადრიჯნით





**საჭირო ინგრედიენტები:** 1 ცალი ბადრიჯანი, 300 მილილიტრი ტომატის წვენი, 2 კბილი ნიორი, 100 გრამი ქონდარი, 120 გრამი ფიგურული მაკარონი, 30 გრამი ყველი, მარილი, პილპილი.

**მომზადების წესი:** ბადრიჯანი გათალეთ და დაჭერით კუბიკებად. ნიორი დანაყეთ, მწვანილი წვრილად დაჭერით.

ქვაბში ერთმანეთს შეურიეთ ბადრიჯანი, მწვანილი, ნიორი, მარილი, პილპილი, ტომატის წვენი. მიიყვანეთ ადუღებამდე და შუშეთ 15 წუთის განმავლობაში. სუსტ მარილწყალში მოხარშეთ ის მაკარონი, რომელიც გიყვართ. გადაწურეთ, ჩააბრუნეთ ქვაბში და მოასხით მომზადებული ბადრიჯნის პასტა. ბოლოს მოაყარეთ დაფხვნილი ყველი და მწვანილი.

# კულინარიული რეცეპტი აჩიკო მეფარიძისგან



*გურმანი ვარ, მაგრამ ხორცეულს არ გეახლებით, უფრო ბოსტნეულის მოყვარული გახლავართ. კარგადაც ვამზადებ. დღეს შემოგთავაზებთ კერძის, დესერტისა და ნაყენის რეცეპტს.*



**სამარხვო კერძია და მის მოსამზადებლად დაგჭირდებათ:** 500-600 გრამი ხის სოკო, 2 კოვზი სიმინდის ან ზეითუნის ზეთი, 1 კონა ცოცხალი ქინძი და 1 კონა ტარხუნა, ნახევარი კონა მწვანე ხახვი, 1 ცალი მწვანე, გრძელი წიწაკა (მისი სიცხარე თქვენს გემოვნებაზეა დამოკიდებული), ერთი მუჭა ახალი ტყემალი (მწვანე), 3-4 ძირი პიტნა, მარილი.

**მზადდება ასე:** სოკო დაჭერით წვრილად და გრძლად. ერთი სოკოდან 5-7 ნაჭერი უნდა გამოვიდეს. ტაფაზე დაასხით ზეთი და მაღალ ცეცხლზე მოშუშეთ სოკო. ტაფას თავი დაახურეთ. როგორც კი წვენს გაუშვებს, ჩაუმატეთ დაჭრილი ტარხუნა, ცოცხალი ქინძი, წვრილად დაჭრილი წიწაკა და დაჭრილი მწვანე ხახვი. ჩაყარეთ ერთი მუჭა ახალი, მწვანე ტყემალი და პიტნა, მარილი გემოვნებით უყავით. სოკო რომ მოიხარშება, კერძი მზად არის.



სომელიე თეიმურაზ ბენიძე

## ქათმის სალათა ბულგარული წიწაკით

**საჭირო ინგრედიენტები:** 300 გრამი მოხარშული ქათმის ფილე, 4 ცალი სხვადასხვა ფერის ტკბილი წიწაკა, 1 ცალი ცხარე მწვანე წიწაკა, 2 ცალი კიტრი, 1 კონა მწვანე ხახვი, 2 სადილის კოვზი ლიმონის წვენი, 150 მილილიტრი მაიონეზი, 1 სადილის კოვზი მდოგვი, 1 კონა კამა, მარილი და პილპილი გემოვნებით, სალათის ფოთლები.

**მომზადების წესი:** ქათმის ხორცი დაჭერით, დაუმატეთ დაჭრილი მწვანე ხახვი, კამა, კიტრი და წიწაკა. მაიონეზში აურიეთ ლიმონის წვენი, მარილი, პილპილი, მდოგვი და მოასხით სალათას, მოათავსეთ სალათის მწვანე ფოთლებზე და ზემოდან მორთეთ, დაჭრილი ბულგარული და მწვანე, ცხარე წიწაკით.





## თევზი პომიდორში

**საჭირო ინგრედიენტები:** 1 თავი ხახვი, 1 კბილი ნიორი, 2 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი, 1 სადილის კოვზი შაქარი, 2 სადილის კოვზი ტომატ-პასტა, 400 გრამი დაჭრილი პომიდორი, ნახევარი სადილის კოვზი თავშავა, 400 გრამი თევზის ფილე, 6 სადილის კოვზი ნაღები, 2 სადილის კოვზი დაკეპილი ოხრახუში, მარილი და წიწაკა გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ნიორი და ხახვი დაკეპეთ და ზეთში მოშუშეთ. დააყარეთ შაქარი, ერთ წუთში დაუმატეთ ტომატ-პასტა, პომიდორი, მარილი და წიწაკა. მოაყარეთ თავშავა და თავახდილი 10 წუთი ადუღეთ დაბალ ცეცხლზე. თევზი სასურველი ზომის ნაჭრებად დაჭერით, მოაყარეთ მარილი და წიწაკა. ნაღები დაუმატეთ პომიდვრის სოუსს, ჩააწყვეთ შიგ თევზის ნაჭრები და თავდახურული 6-8 წუთი ადუღეთ. ბოლოს დააყარეთ დაჭრილი ოხრახუში და გადმოდგით ცეცხლიდან.

ყოველკვირეული ჟურნალი
თბილისელები

# მარტივი და სასარგებლო



ძალიან მარტივი და ლამაზი თარო, რომლის დამაგრებასაც არც ძალისხმევა სჭირდება და, თან, ძალიან ორიგინალურია.

უნდა შეიძინოთ ფართო და შედარებით დიდი ზომის „პეტლი" (ავეჯის), შემდეგ კი ხრახნით მიამაგროთ კედელზე – სულ ეს არის...



ეზოს დასასუფთავებლად ცოცხი არ გაქვთ? არ არის პრობლემა. ორი ცალი ცარიელი, მინერალური წყლის პოლიეთილენის ბოთლი დაგჭირდებათ.

მოიქეცით ზუსტად ისე, როგორც სურათებზეა მითითებული და ძალიან კარგი ცოცხი ათ წუთში მზად იქნება.

# რჩევები დიასახლისებს

* შოკოლადის ლაქა ადვილად ირეცხება და ნებისმიერ ქსოვილს შორდება ძალიან მარილიანი წყლით; ან, აიღეთ ბამბის „დისკო", დაასველეთ სამედიცინო სპირტში და შოკოლადით დალაქავებული ადგილი კარგად ამოწმინდეთ, მერე კი ჩვეულებრივად გარეცხეთ.

* ნაყინის ლაქა ცოტა პრობლემურია. დაასველეთ ლაქა თბილი წყლის, სპირტისა და გლიცერინის ნარევით (ყველა ინგრედიენტი თანაბრად შეურიეთ), შემდეგ კი სარეცხ მანქანაში გარეცხეთ.

* მარწყვის ახალი ლაქა მაშინვე დაასველეთ სპირტით; ჟოლოს ან მაყვლის ლაქას, უმჯობესია, ცხელი წყალი დაასხათ, რომელშიც ძმარს ან ლიმონის წვენს შეურევთ. ზოგადად, ხილის ლაქები კარგად ირეცხება შემდეგი ნაზავით: 200 მილილიტრი წყალი + 1 სადილის კოვზი ძმარი ან 1 ჩაის კოვზი ლიმონის მჟავა. საპონი ამ შემთხვევაში მხოლოდ ამძიმებს სიტუაციას, ანუ, „ამაგრებს" ლაქას და უფრო ძნელად მოსაშორებელს ხდის.

* სისხლის ლაქა აუცილებლად ცივი წყლით უნდა გარეცხოთ. სხვა შემთხვევაში, ლაქა ღრმად ჩაჯდება და ველარ მოაშორებთ.

* წითელი ღვინის ლაქა ძალიან კარგად შორდება ჯერ თეთრი ღვინის დასხმით, შემდეგ კი მინერალური წყლით ამორეცხვით. ასე იქცევიან ესპანელები.

38-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 2 ივლისი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **10.30, 01.00** "დღეს" **14.00** **ფეხბურთი**. მსოფლიო ჩემპიონატი: მერვედფინალი **17.00** დ/ფ "ნამდვილი და თვითმარქვია ჟანა" **18.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **19.15** "ჩვენი ეზო" **21.00** პოლიტიკური თოქ-შოუ – I სტუდია (პ/ე) **22.30** მხ/ფ "**ახალი სამყარო**".

**07.00** მხიარული კამერა **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00,13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.30** ქრონიკა. **10.05** სერ. "**ბედის ანაბარა**" **11.20, 12.05** სერ. "**შურისმაძიებელი**" **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.50, 15.05, 16.03** სერ. "**სიყვარული ცა და მიწა**" **17.45** სერ. "**მინდა გახსოვდე**" **18.50, 19.03** სერ. "**ზამბის ველი**" **3** სერ. **21.00** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.30** EMERGENCY — სასწრაფო დახმარება **00.40** მხ/ფ "**ძმები**" (ნ.პორტმანი).

**06.30** სერ. "**ვარდისფერი ბრილიანტი**" **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**მათრობელა სიყვარული**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. "**საპრა**" **18.45** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.45** სერ. "**ქალბატონი დილა**" **22.00** "ნანუკას შოუ" **00.00** კიმონო **01.00** მხ/ფ. **02.30** კურიერის დაიჯესტი **03.00** მხ/ფ. (ტიტ.) **05.00** სერ. "**არ დამივიწყო**".

**06.00** შვიდგზის ლოცვა **06.35** დ/ფ "საქართველოს ეკლესიის წმინდა მღვდელმთავარნი" **07.05** დ/ფ "გზა" I ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** თეთრიდან თეთრამდე **10.45** ქრისტიანული ხელოვნება **11.25** მგზავრები წუთისოფლისა **12.10** ღია აუდიტორია **13.00** მოკ./ფ. "**პობიი**" **13.25** ქვიშით ნაამბობი **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.45** "ჩვენი ამბავი" **15.05** დიდ ხარ შენ,უფალო **15.20** დ/ფ "გზა" II ნაწ. **16.00** კონცერტი - თბილისის IV საგუნდო მუსიკის ფესტივალი I ნაწ. **16.50** კვირიაკე **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ქრისტიანული სწავლება **19.35** მოკ./ფ."**შნო**" **19.50** დ/ფ "გურჯის გული" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** "ივერიის ეკლესია" **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "წმინდა დავითი და კონსტანტინე" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.25** მულტფილმი **7.50** გადაცემა "ID"(გამ.) **8.15** SV **11** მაესტროზე (გამ) **8.40, 22.00, 2.10** "ყოველდღიური ა(მ)ბები"ვასიკო ოდიშვილისგან **9.00, 12.00, 15.00, 18.00** მაესტრო **9.00, 12.00, 15.00, 18.00** ახალი ამბები **9.30** ბიზნეს კონტაქტი (დილის ბლოკი) პ/ე **9.50, 11.50, 15.45** პრესის მიმოხილვა **10.00, 11.00, 16.00, 17.00, 19.00,** ამბები მოკლედ **10.02, 11.03** **სერიალი "უკანასკნელი გაზაფხული"** **12.30, 1.15** ბიზნეს კონტაქტი პ/ე **13.15** გადაცემა "60 კითხვა ინტერიერში"(გამ.) **13.35** გადაცემა "ურბანსპორტი"(გამ.) **13.55** დოკფ. "გზა ბრაზილიისკენ" **14.25, 18.25, 2.30** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ.) **16.02, 17.02** **სერიალი "ასი"** **17.45** "ყოველდღიური ა(მ)ბები/ (გამ.) **19.02** **სერიალი "თანაგრძნობა"** **20.00, 2.50,** "ინ-ფაქტი" **20.05** **სერიალი "დაკარგული დრო"** **21.00** მაესტროს "ცხრიანი" პ/ე **22.15** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.30** **სერიალი "სკანდალი"** **0.45,** დოკფ. "გზა ბრაზილიისკენ".

## ხუთშაბათი 3 ივლისი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **10.30, 01.00** "დღეს" **14.00** მხ/ფ "**გაქცეულები**" **17.00** "შემოძახილი" **17.30** დ/ფ "ჩერჩილის გამოწვევა" **19.00** "არენა" **21.00** **ფეხბურთი**. ევროპის ლიგა. საკვალიფიკაციო ეტაპი (პ/რ) **23.00** მხ/ფ "**ძალაუფლება**" (რ.გირი).

**07.00** მხიარული კამერა **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.10** ქრონიკა. **10.05** სერ. "**ბედის ანაბარა**" **11.20, 12.05** სერ. "**შურისმაძიებელი**" **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.50, 15.05, 16.03** სერ. "**სიყვარული ცა და მიწა**" **17.45** სერ. "**მინდა გახსოვდე**" **18.50, 19.03** სერ. "**ზამბის ველი**" **4** სერ. **21.00** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** ცეკვავენ ვარსკვლავები **00.00** მხ/ფ "**საშიში ბავშვები**" (ჯ.ტიმბერლეიკი) **02.20** მხ/ფ "**ძმები**" (ნ.პორტმანი).

**06.30** სერ. "**ვარდისფერი ბრილიანტი**"-დასკვნითი **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**მათრობელა სიყვარული**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. "**საპრა**" **18.45** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.45** სერ. "**ქალბატონი დილა**" **22.00** პროფილი **00.00** მხ/ფ. **02.30** კურიერის დაიჯესტი **03.00** მხ/ფ. (ტიტ.) **05.00** სერ. "**არ დამივიწყო**".

**06.10** საგალობელი **06.20** დ/ფ "დები ტრევისის მხიარული სახლი" **06.45** ჩვენი ფონდი **07.00** დ/ფ "გზა" II ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.05** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** დ/ფ "წმინდა დავითი და კონსტანტინე" **11.05** ქართული ალბომი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** დ/ფ "გურჯის გული" **12.00** მოკ./ფ."**შნო**" **13.15** ივერიის ეკლესია **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.05** დიდ ხარ შენ,უფალო **15.20** დ/ფ "გზა" III ნაწ. **16.15** კონცერტი - თბილისის IV საგუნდო მუსიკის ფესტივალი II ნაწ. **17.00** დ/ფ "ფუტკრის დუმილი" **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55** ისტორიის დღიური **19.20** "პორტრეტები" **20.15** მოკ./ფ. "**საერთო კედელი**" **20.40** ძილი ნებისა **20.55** შვიდგზის ლოცვა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.25** დ/ფ "ცარიელია სახლი" **22.25** "თვენი" - წმინდა მეფე არჩილი **22.40** კვირიაკეს სიუჟეტი "საგა" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "კვართიდან ქართველთა გოლგოთამდე" I ნაწ. **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.25** მულტფილმი **7.50** სამედიცინო გადაცემა "პულსი"(გამ.) **8.20** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი"(გამ.) **8.40, 22.00, 2.10** "ყოველდღიური ა(მ)ბები"ვასიკო ოდიშვილისგან **9.00, 12.00, 15.00, 18.00** მაესტრო **9.00, 12.00, 15.00, 18.00** ახალი ამბები **9.30** ბიზნეს კონტაქტი (დილის ბლოკი) პ/ე **9.50, 11.50, 15.45** პრესის მიმოხილვა **10.00, 11.00, 16.00, 17.00, 19.00,** ამბები მოკლედ **10.02, 11.03** **სერიალი "უკანასკნელი გაზაფხული"** **11.50** პრესის მიმოხილვა **12.30, 1.15** ბიზნეს კონტაქტი პ/ე **13.15** გადაცემა "ID"(გამ.) **13.35** TV **11** მაესტროზე (გამ) **13.55** დოკფ. "გზა ბრაზილიისკენ" **14.25, 18.25, 2.30** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ.) **15.45** პრესის მიმოხილვა **16.02, 17.02** **სერიალი "ასი"** **17.45** "ყოველდღიური ა(მ)ბები" (გამ.) **19.02** **სერიალი "თანაგრძნობა"** **20.00** "ინ-ფაქტი" **20.05** **სერიალი "დაკარგული დრო"** **21.00** მაესტროს "ცხრიანი" პ/ე **22.15** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.30,** **სერიალი "სკანდალი"** **0.45,** დოკფ. "გზა ბრაზილიისკენ".

## პარასკევი 4 ივლისი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00** "მოამბე" **10.30, 02.00** "დღეს" **14.00** "სპექტაკლის დრო" **17.00** თოქ-შოუ – "პირველი სტუდია" (პ/ე) **18.30** დ/ფ "დიზაინი" **19.50** **ფეხბურთი**. მსოფლიო ჩემპიონატი: მეოთხედფინალი (პ/რეპ) **22.00** "ბრაზილია – 2014" (პ/რეპ) **23.50** **ფეხბურთი**. მსოფლიო ჩემპიონატი: მეოთხედფინალი (პ/რეპ).

**07.00** მხიარული კამერა **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.45** ქრონიკა. **10.05** სერ. "**ბედის ანაბარა**" **11.20, 12.05** სერ. "**შურისმაძიებელი**" **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.50, 15.05, 16.03** სერ. "**სიყვარული ცა და მიწა**" **17.45** სერ. "**მინდა გახსოვდე**" **18.50, 19.03** სერ. "**ზამბის ველი**" **5** სერ. **21.00** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** თოქ შოუ — რეაქცია **00.00** მხ/ფ "**ბედს ვერ გაექცევი**" (ვ.ჰარილსონი) **01.55** მხ/ფ "**ცუდი სიზმრები**" (გ.პელტროუ) (ტიტ.).

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**მათრობელა სიყვარული**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. "**საპრა**" **18.45** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.45** სერ. "**ქალბატონი დილა**" **20.50** ეროვნული ლატარია **22.00** მთავარი თემა **22.30** ქერის უბანი **23.00** ვანოს შოუ **00.00** მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი **03.30** მხ/ფ. **05.00** სერ. "**არ დამივიწყო**".

**06.10** საგალობელი **06.20** დ/ფ "გზა" III ნაწ. **07.20** დ/ფ "ცარიელია სახლი" **07.50** "ჩვენი ამბავი" **08.00** დილის ლოცვა

08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 "თვენი" - წმინდა მეფე არჩილი 10.50 ქვიშით ნაამბობი 10.05 სახლი ღვთისა 11.20 ისტორიის გაკვეთილი 12.10 პორტრეტები 13.00 მოკ./ფ."**საერთო კედელი**" 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 14.55 შვიდგზის ლოცვა 15.05 დიდ ხარ შენ, უფალო 15.15 დ/ფ "გზა" IV ნაწ. 16.00 მუხრან მაჭავარიანის საღამო 16.55 კვირიაკე 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.55 ისტორიის დღიური 19.20 მხ/ფ "**სინემა**" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 დროის ჩანაწერები 22.25 მოგზაურობა სამშობლოში 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "კვართიდან ქართველთა გოლგოთამდე" II ნაწ. 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

7.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.25 მულტფილმი 7.50 "ინ-ფაქტი" (კვირის კოლაჟი) (გამ.) 8.10 გადაცემა "ფული და სურვილები/(გამ.) 8.45, 22.00 "ყოველდღიური ა(მ)ბები"ვასიკო ოდიშვილისგან (გამ.) 9.00, 12.00, 15.00, 18.00 მაესტრო 9.00, 12.00, 15.00, 18.00 ახალი ამბები 9.30 ბიზნეს კონტაქტი (დილის ბლოკი) პ/ე 9.50, 11.50, 15.45 პრესის მიმოხილვა 10.00, 11.00, 16.00, 17.00, 19.00, ამბები მოკლედ 10.02, 11.03 **სერიალი "უკანასკნელი გაზაფხული"** 12.30 ბიზნეს კონტაქტი პ/ე 13.00 იმედის ფსონი 13.55 დოკჰფ. "გზა ბრაზილიისკენ" 14.25, 18.25, 2.30 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ.) 16.02, 17.02 **სერიალი "ასი"** 17.45 "ყოველდღიური ა(მ)ბები" (გამ.) 19.02 **სერიალი "თანაგრძნობა"** 20.00 "ინ-ფაქტი" 20.05 **სერიალი "დაკარგული დრო"** 21.00 მაესტროს "ცხრიანი" პ/ე 22.15 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.30, **სერიალი "სკანდალი"** 0.45, დოკჰფ. "გზა ბრაზილიისკენ".

## შაბათი 5 ივლისი

08.00 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" 08.30 საბ. ან "პატარა დოდო" 10. საბ. ან/ფ. "ღამის დარაჯთა ლეგენდები" 11.30 საბავშვო გადაცემა – "ყოჩაღების ქუჩაზე" 12.00, 16.00, 19.00 "მოამბე" 12.30 "მხიარული სტარტები" 13.30 დ/ფ"ფოტოხელოვნება" 14.00 **ფეხბურთი**. მსოფლიო ჩემპიონატი (გ/ჩვ) 16.30 "გურმანია" 17.00 "ეტალონი" 18.00 "შეხვედრები მწერალთა სახლში" 19.50 **ფეხბურთი**. მსოფლიო ჩემპიონატი: მეოთხედფინალი (პ/რეპ) 22.00 "ბრაზილია – 2014" (პ/რეპ) 23.50 **ფეხბურთი**. მსოფლიო ჩემპიონატი: მეოთხედფინალი (პ/რეპ).

07.30 ან/ფ "სპანჯბობი" 08.00 მხ/ფ "**ტყეში დაკარგულები**" 10.25 ეკოვიზია 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ვაკანსია 12.00 სერ."**მერლინი**" 13.00 ღამის შოუ (გ/ჩ) 14.50 სერ. "**სიყვარული ცა და მიწა**" 17.50, 19.05 სერ. "**მინდა გახსოვდე**" 18.50, 19.03 სერ. "**ბამბის ველი**" 6 სერ. 21.00 სერ. "**შავი ვარდი**" 21.45 გათამაშება — ტექნო ბუმი (პ/ე) 22.00 შალვა რამიშვილის შოუ 23.00 ადრენალინი 23.40 იდენტიფიკაცია 00.00 მხ/ფ "**ეჭვქვეშ**" 02.00 მხ/ფ "**ბედს ვერ გაექცევი**" (ვ.ჰარილსონი).

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.25 ანიმაცია 08.30 მხ/ფ. 10.00 კომედი შოუ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.00 კურიერი 12.30 ბიზნეს კურიერი 14.00 იღბლიანი ბორბალი გ/ჩ 15.30 X - ფაქტორი (გ/ჩ) 18.45 სერ. "**სტამბოლის ცა**" 19.45 სერ. "**ქალბატონი დილა**" 22.00 განსხვავებული აქცენტები 22.30 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" 23.30 გააცინე და მოიგე (ძველი გ/ჩ) 00.30 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა გ/ჩ 01.00, 03.30 მხ/ფ.

06.10 საგალობელი 06.15 დ/ფ "დები ტრევისის მხიარული სახლი" 06.40 დ/ფ "გზა" IV ნაწ. 07.30 მოგზაურობა სამშობლოში 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ჩვენი ფონდი 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ქართული მულტფილმი 10.50 კვირიაკე 11.50 ქვიშით ნაამბობი 12.10 მხ/ფ "**სინემა**" 13.20 საღვთისმეტყველო საუბრები 14.05 ღია აუდიტორია 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05 დიდ ხარ შენ, უფალო 15.20 ოპერა - ნანა ქავთარაშვილი-მირიანი და სალვატორე ლიჩიტრა 16.25 დ/ფ "საქართველოს დაცული ტერიტორიები" 16.50 დ/ფ "გზა" V ნაწ. 17.40 ქვიშით ნაამბობი 18.10 საქართველო არის ესე 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 თბილისის ტაძრები 19.35 ქართული ალბომი 20.00 "ერთსულოვნების სალონი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ქრისტიანული ხელოვნება 22.20 "ჩვენი ამბავი" 22.30 დრო და ტრადიციები 22.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 წმინდა მიქაელ ჰერელი (ყულოშვილი) 00.35 დროის ჩანაწერები 01.20 მხ/ფ "**20000 ლიე წყალქვეშ**" I ნაწ.

7.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.25 მულტფილმი 8.10 იუმორისტული შოუ -"4X4/ (გამ.) 9.10, 11.00, 13.50, 16.00, 19.00 **სერიალი "თანაგრძნობა"** 10.30 სამედიცინო გადაცემა "პულსი" 11.55, 14.55, 17.55, 2.50 კვირის აზრები 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 12.30 გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" 12.50 გადაცემა "60 კითხვა ინტერიერში" 13.00 იმედის ფსონი 15.30 NX სპიკერი 18.30 "უცნობი ისტორიები" 20.00 **სერიალი "დაკარგული დრო"** 21.30, 2.20 გადაცემა "ფული და სურვილები" 22.00 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00, 1.35 "თქვენი გადახდილია" 23.30, TV 11 მაესტროზე 0.00 "ინ-ფაქტი" (კვირის კოლაჟი) 0.45, დოკჰფ. "გზა ბრაზილიისკენ".

## კვირა 6 ივლისი

08.00 დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" 09.00 საბ. მხ/ფ "**ფეხსაცმელი და ვარდი-კონკიას ამბავი**" 11.30 საბავშვო გადაცემა – "ყოჩაღების ქუჩაზე" 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30, 02.00 "ჩვენი ფერმა" 13.00 "სამოთხის ვაშლები" 14.00 **ფეხბურთი**. მსოფლიო ჩემპიონატი: მეოთხედფინალი (გ/ჩვ.) 16.30 "ვაშინგტონი დღეს" 17.00 პრემიერა დოკ/ფ. "დაუსრულებელი სპექტაკლის ქრონიკა" 18.00 მხ/ფ "**ზუმი**" (ს.მარსო) 20.30 "ტელებლოგი" 21.00 ქართ. მხ/ფ "**დღეს ღამე უთენებია**" 23.00 მხ/ფ "**სამართლიანი საქმე**" 01.00 "სამოთხის ვაშლები" (გ/ჩვ.).

07.30 ან/ფ "სპანჯბობი" 08.00 მხ/ფ "**ნაშვილები**" 10.10 ადრენალინი (გ/ჩ) 11.00, 14.00, 17.00 ქრონიკა 11.15 ბასტი ბუბუ 12.00 სერ. "**მერლინი**" 13.00 კულინარიული დუელი 14.30 იმედის გმირები 15.00 ეკა ხოფერიას თოქ შოუ (გ/ჩ) 17.30 ცეკვავენ ვარსკვლავები (გ/ჩ) 20.00 პანორამა 21.00 ღამის შოუ 22.00 მხ/ფ "**ძნელად აღსაზრდელები**" 00.00 მხ/ფ "**მომხიბვლელობის კანონი**"(პ.ბროსნენი).

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.25 ანიმაცია 08.30 მხ/ფ. 10.30 ეკი ვოკი 12.00, 15.00, 18.00, 03.00 კურიერი 12.30 ვანოს შოუ (პარასკევის გ/ჩ) 14.00 ქერის უბანი (პარასკევის გ/ჩ) 14.30 განსხვავებული აქცენტები (გ/ჩ) 15.30 პროფილი გ/ჩ 18.50 იღბლიანი ბორბალი 20.00 გააცინე და მოიგე 21.00 P.S. 22.00 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" 23.00 კომედი შოუ 01.00, 03.30 მხ/ფ.

06.10 დ/ფ "დები ტრევისის მხიარული სახლი" 06.35 მულტფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.20 საკვირაო სახარების განმარტება 08.30 თბილისის ტაძრები 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.10 ისტორიის დღიური 10.15 სიახლენი 10.40 ივერიის ეკლესია 10.55 წმინდა მიქაელ ჰერელი (ყულოშვილი) 11.25 ქართული ალბომი 11.50 ქვიშით ნაამბობი 12.10 მხ/ფ "**არდადეგებზე**" 13.25 ქრისტიანული ხელოვნება 14.10 ისტორიის გაკვეთილი 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05, 18.05, 21.05, 00.05 პატრიარქის ქადაგება 15.30 მგზავრები წუთისოფლისა 16.00 ერთსულოვნების სალონი 16.55 ეპოქის სახელები 17.20 საღვთისმეტყველო საუბრები 18.30 "ჩვენი ამბავი" 18.40 დროის ჩანაწერები 19.25 მხ/ფ "**ცხელი ზაფხულის სამი დღე**" 21.30 კვირიაკე 22.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "დღე სასწაული" 00.30 პორტრეტები 01.30 მხ/ფ "**20000 ლიე წყალქვეშ**" II ნაწ.

7.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.20 მულტფილმი 8.00 "უცნობი ისტორიები"(გამ.) 8.20 "თქვენი გადახდილია" (გამ.) 8.50 TV 11 მაესტროზე (გამ.) 9.20, 11.00, 14.25, 16.00, 20.00 **სერიალი "დაკარგული დრო"** 10.30 სამედიცინო გადაცემა "პულსი" 11.55, 14.55, 17.55, კვირის აზრები 12.00, 15.00, 18.00 მაესტრო 12.30 გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" 13.00 იმედის ფსონი 13.50 გადაცემა "ურბანსპორტი" 14.05, 0.00 გადაცემა "ID" 15.30 NX სპიკერი 18.30, 0.20 ჟურნალისტური გამოძიება ("მონიტორი") 19.00 **სერიალი "თანაგრძნობა"** 21.00, 1.15 ვახო სანაიას რეპორტაჟი 22.00 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00, 2.15 იუმორისტული შოუ - "4X4“ 23.45 "აბების" კვირის ანეკდოტები 0.45, დოკფ. "გზა ბრაზილიისკენ".

### ვერძი

შეიცვლება თქვენი დამოკიდებულება გარშემო მყოფების მიმართ. ყაირათიანად ხარჯეთ ფული. ნუ წამოიწყებთ ახალ საქმეებს. საქმე მეტად დამღლელი აღმოჩნდება. დიდი დატვირთვის შემდეგ, ეცადეთ, რიგიანად დაისვენოთ. დროულად გაარკვიეთ საყვარელ ადამიანთან გაუგებრობა.

### კურო

შეხვედრები დამღლელი, მაგრამ შედეგიანი აღმოჩნდება. ნუ გექნებათ სხვების დახმარების იმედი, ეცადეთ, იყოთ მეტად დამოუკიდებელი. დრო დაუთმეთ ყოველდღიური საქმეების შესრულებასა და ოჯახური პრობლემების მოგვარებას. კარგია ბუნებაში გასვლა და დასვენება.

### ტყუპები

გაგიჭირდებათ ბევრ ხალხთან ურთიერთობა. ნუ მიაქცევთ ყურადღებას უცხო ადამიანების რჩევებს. არ გირჩევთ ფარულ მოქმედებებს – ეს მეტ პრობლემებს შეგიქმნით. სასიყვარულო სფეროში სითბოს ნაკლებობა გაგაღიზიანებთ და გიბიძგებთ სასიყვარულო პარტნიორის შეცვლისკენ. ნუ იქნებით ზედმეტად თავდაჯერებული.

### კირჩხიბი

გაიზრდება ხარჯები და მოიმატებს პასუხისმგებლობა. არ გირჩევთ ახალი სასიყვარულო ურთიერთობის დაწყებას. კარგია მეგობრებთან გართობა. ნუ ენდობით უცხო ადამიანებს. მოიხსენით შინაგანი დაძაბულობა და იმოქმედეთ მშვიდად და თავდაჯერებულად. ხშირად განმარტოვდით და დაისვენეთ.

### ლომი

კარგია ჯგუფური მუშაობა, ადრე დაწყებული საქმეების დასრულება და საინტერესო ხალხთან კონტაქტი. არ არის გამორიცხული, მეგობრული ურთიერთობა დიდ სიყვარულში გადაიზარდოს. მოგზაურობისას დამყარებული კავშირები კი დიდ წარმატებებსა და პერსპექტივებს გპირდებათ.

### ქალწული

ყველა პრობლემას დამოუკიდებლად გაუმკლავდით და ნუ ჩარევთ სხვებს. ხელმომჭირნეთ ხარჯეთ ფული. ხშირად დაისვენეთ, რათა აღიდგინოთ სასიცოცხლო ტონუსი. არ გირჩევთ შორეულ მოგზაურობებს.

### სასწორი

სერიოზულად მიუდექით სამსახურის საქმეებს, საზოგადოებრივი საქმიანობა კი თქვენს პოპულარობას კიდევ უფრო გაზრდის. უყურადღებოდ ნუ დატოვებთ მიღებულ ინფორმაციას. იზრუნეთ ჯანმრთელობაზე. ადრინდელმა სასიყვარულო კავშირმა, შესაძლოა, ახლანდელ სასიყვარულო კავშირს შეუქმნას საფრთხე, ამიტომ, იყავით ფრთხილად.

### მორიელი

რთულ სიტუაციებში პარტნიორები დაგეხმარებიან. საქმის შესრულებისას იყავით მეტად ორგანიზებული. მოსალოდნელია ფინანსური წინსვლა. მოგემატებათ ვალდებულება, თუმცა ადვილად გაართმევთ თავს. კარგია მოლაპარაკებები და ხელშეკრულებების დადება. არ გირჩევთ შორეულ მოგზაურობას.

### მშვილდოსანი

გონებამახვილი და მხიარული იქნებით, რაც გარშემო მყოფებში თქვენდამი დაინტერესებას გამოიწვევს. ახალი იდეების განხორციელებაში ბევრი ახლობელი დაგეხმარებათ. ადრე დაწყებული საქმე ახლა მოგიტანთ სარგებელს. პირადი და საოჯახო საქმეებისთვის დრო ნაკლებად დაგრჩებათ და არ არის გამორიცხული ამის გამო, საყვარელი ადამიანებისგან საყვედურები მიიღოთ.

### თხის რქა

მიგიზიდავთ ახალი პერსპექტივები. მოგიწევთ ბევრი შრომა, რაც თქვენს ჯანმრთელობაზე უარყოფითად აისახება. დრო აუცილებლად გამონახეთ დასვენებისთვის. ნუ გაფლანგავთ ფულს უმიზნოდ, რათა ვალების აღება არ მოგიწიოთ. შეამცირეთ გადააადგილებები და მოერიდეთ შორეულ მოგზაურობებს.

### მერწყული

არ ვარგა ახალი საქმის დაწყება. კარგია საოჯახო პრობლემების გადაწყვეტა. მეტად ამბიციური იქნებით და ეს თქვენში აზარტულობასა და რისკს გაზრდის, რაც მხოლოდ წამგებიანი აღმოჩნდება. გარშემო მყოფების მიმართ იყავით მეტად ტაქტიანი. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა მეტად ჰარმონიული და მშვიდი იქნება. შეამცირეთ გადაადგილებები.

### თევზები

ენერგიულად იგრძნობთ თავს, თუმცა შრომა მეტად დამღლელი აღმოჩნდება თქვენთვის. გამოცდილ ადამიანებთან კონტაქტი მომავალში წაგადგებათ, ინტუიცია კი დაგეხმარებათ სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში. ნუ იქნებით აგრესიული საყვარელი ადამიანის მიმართ, რათა არ აეჭვიანოთ და ეს არ გახდეს თქვენი დაშორების მიზეზი.

## კვირის დღეების ასტროპროგნოზი

**ახალმთვარეობა – 27 ივლისი, 22 სთ: 20 წთ.**

### ორშაბათი

აკონტროლეთ ხასიათში ეგოიზმი და სიამაყე. ნუ იქნებით უყაირათო. მოერიდეთ ფინანსურ გარიგებებს, სასიყვარულო კავშირებს, ხელშეკრულებების დადებას, ადგილსამყოფლის შეცვლას, ხელმძღვანელ პირებთან ურთიერთობას. ატარეთ წითელი, ლურჯი, ყვითელი, ნარინჯისფერი, ჩალისფერი ან შავი სამოსი; ქვებიდან კი – ბრილიანტი, ქარვა, სარდიონი ან მთის ბროლი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია იურიდიული საქმიანობა, გართობა, ახალი სამსახურის დაწყება, თმის შეჭრა, მშენებლობის დაწყება. სუსტდება ხერხემალი, გულ-სისხლძარღვთა სისტემა.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის, თევზებისთვის.***

### სამშაბათი
### გეომაგნიტური დღე

გამახვილდება ინტუიცია, მოიმატებს მგრძნობელობა, ცნობისმოყვარეობა და რეალობის სწრაფად აღქმის უნარი. ნუ გადატვირთავთ გულს. მოერიდეთ ფინანსურ გარიგებებს, ხელშეკრულების დადებას, ადგილსამყოფლის შეცვლას, მცენარეების დარგვა-გადარგვას. ატარეთ წითელი, ლურჯი, ყვითელი, ცისფერი, მწვანე ან ყავისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ბრილიანტი, სარდიონი, მთის ბროლი ან ქარვა. კარგია თმის შეჭრა, გართობა, იურიდიული საქმიანობა, იმიჯის შეცვლა-მოწესრიგება. სუსტდება გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი.

***პოზიტიური დღეა: ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის.***

***ნეგატური დღეა: ლომებისთვის.***

### ოთხშაბათი

ნუ იქნებით ზედმეტად კრიტიკული. პატიების დღეა. მოერიდეთ ჭორაობასა და ტყუილის თქმას. კარგია ახალი ნაცნობობა და შეხვედრები. არ ვარგა გამოცდების ჩაბარება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. ატარეთ ყავისფერი, ყვითელი, მწვანე, ნარინჯისფერი ან ნაცრისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ყვითელი ან მწვანე იასპი, მალაქიტი, ზურმუხტი, ოპალი ან ქრიზოპრაზი. დღევანდელი სიზმარი საიდუმლოდ შეინახეთ და არ მოუყვეთ სხვებს. კარგია საბანკო-საფინანსო ოპერაციები, სწავლა, ვაჭრობა, დიეტის დაწყება, თმის შეჭრა. სუსტდება ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა.

***პოზიტიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, თხის რქებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, სასწორებისთვის, მერწყულებისთვის.***

### ხუთშაბათი

ამ დღეს სიყვარულს დიდი ძალა აქვს, ამიტომაც, მეტი სითბო და სიყვარული გაეცით. კარგია კონტაქტები. არ ვარგა ახალი ნაცნობობა, გამოცდების ჩაბარება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. ატარეთ ყავისფერი, მწვანე, ყვითელი, ნაცრისფერი, ნარინჯისფერი ან ვერცხლისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ყვითელი ან მწვანე იასპი, აქატი, ონიქსი ან ოპალი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია საფინანსო-საბანკო ოპერაციები, სამეცნიერო კვლევა, ვაჭრობა, დიეტის დაწყება, თმის შეჭრა. სუსტდება ნაწლავთა სისტემა, ელენთა, კუჭქვეშა ჯირკვალი.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, მორიელებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ტყუპებისთვის, ლომებისთვის, მშვილდოსნებისთვის.***

### პარასკევი
### გეომაგნიტური დღე

მეტი დრო დაუთმეთ შემოქმედებით მუშაობას. იყავით ფრთხილი და ყოველი ნაბიჯი წინასწარ დაგეგმეთ. ატარეთ ყავისფერი, ყვითელი, მწვანე, ნარინჯისფერი, ლურჯი, ცისფერი, კრემისფერი ან ნაცრისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ყვითელი ან მწვანე იასპი, ოპალი, ონიქსი, საფირონი, ნეფრიტი, ლაზურიტი ან ჟადეიტი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან, დიდია მათი ახდენის ალბათობა. კარგია გართობა, შემოქმედებითი მუშაობა, ექიმებთან კონსულტაცია, მკურნალობის დაწყება, თმის შეჭრა. სუსტდება ნაწლავთა სისტემა, ელენთა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ყელი, თირკმელები.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის.***

### შაბათი
### გეომაგნიტური დღე

აკონტროლეთ აზრები და სურვილები. მეტი დრო დაუთმეთ ოჯახის წევრებს და სახლის მოწყობას. კარგია კონტაქტები და მოლაპარაკებები. ატარეთ ლურჯი, ცისფერი, ყვითელი, ნაცრისფერი, ჩალისფერი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ლაზურიტი, ნეფრიტი, ჟადეიტი, ფირუზი ან აკვამარინი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია სასიყვარულო კონტაქტები, გართობა, ხელოვნებასთან ურთიერთობა, ავეჯისა და აპარატურის შეძენა, ექიმებთან კონსულტაცია, მკურნალობის დაწყება. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმელები, კანი.

***პოზიტიური დღეა: სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, მორიელებისთვის.***

### კვირა
### გეომაგნიტური დღე

კარგია ახალი ნაცნობობა, სასიყვარულო-რომანტიკული ურთიერთობები. ატარეთ ლურჯი, ცისფერი, ჩალისფერი, მწვანე ან ნაცრისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, ფირუზი ან სარდიონი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია გართობა, შემოქმედებითი მუშაობა და იმიჯის შეცვლა. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმელები, კანი.

***პოზიტიური დღეა: ტყუპებისთვის, ლომებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: თხის რქებისთვის, თევზებისთვის.***

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

### ყორღანაშვილი

**ყორღანი** თურქული სიტყვაა და მეზობლების მიწებს შორის გაკეთებულ სასაზღვრო ნიშანს, ქვების გროვას ნიშნავს.

გვარის ფუძედ გამოყენებულია საკუთარი სახელი **ყორღანა.**

**ყორღანა ყორღანაშვილი** მოხსენიებულია 1737 წლის ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნში, რომელიც იასე როინიშვილმა და **ყორღანაშვილმა** თავიანთ ბიძაშვილს, ზაალ როსტომაშვილს მისცეს.

**ყორღანაანი** იყვნენ მებატონეები.

„1710 წლის მაისის თვეში, ხარჯის გარიგება ბარათაანთ და **ყორღანაანთ** ყმებისა, შესრულებული ვახტანგ მეექვსის ბრძანებით, ზურაბ ერისთავის ძისა და წინწყაროს მამასახლისის, ავთანდილის მიერ სახასო ყმათა ნუსხით."

საქართველოში 411 **ყორღანაშვილი** ცხოვრობს: საგარეჯოში – 121, თბილისში – 95, სიღნაღში – 84. არიან სხვაგანაც.

### ფსუტური

ისტორიულ წყაროებში ამ გვართან დაკავშირებით ძალიან მწირი ცნობები მოიპოვება. ცნობილია მხოლოდ ის, რომ იყო ვინმე, სახელად **ფსუტური**.

გვარ-სახელების საკუთარ სახელებად გამოყენების ტრადიციის შესახებ მეცნიერები სვანეთში მიუთითებენ.

საქართველოში 751 **ფსუტური** ცხოვრობს: გორში – 247, თბილისში – 212, კასპში – 117. არიან სხვაგანაც.

### სულხანიშვილი-სულხანაური

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **სულხანი.**

1711 წელს ყაფლანიშვილების ყმების ნუსხაში მოიხსენიება ვინმე **სულხანა**.

1721 წელს მონასტრის ნუსხაში მოიხსენიება დათუნა **სულხანიშვილი**. ამავე წელს, სოლოღაშვილი ქაიხოსროს ყმად მოიხსენიება რევაზა **სულხანიშვილი**.

**სულხანიშვილები** მეთვრამეტე საუკუნიდან ხევსურეთში, ერწო-თიანეთში გადასახლებულან.

ლოუბანში მცხოვრები სოლომონ **სულხანიშვილი** 1826 წელს ნათლავს ვაჟს – იაკობს. მიმრქმელი ყოფილა ლოუბნელი ივანე აზარიაშვილი.

ამავე ძირისაა გვარი **სულხანაური**.

საქართველოში 1 393 **სულხანიშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 618, მცხეთაში – 125, თეთრი წყაროში – 117. არიან სხვაგანაც.

### ჭიღვარია

გვარის ფუძეა სიტყვა **ჭიღვა**, რაც ჭიგოზე ვაზის მისაბმელ წნელს ნიშნავს.

ეთნოგრაფიული მასალებით, სამ ძმას ბატონი მოუკლავს და ლეჩხუმში გადახვეწილან.

**ჭიღვარიები** ლეჩხუმში, სოფელ ჭყვიშში და დარიდასანაში ცხოვრობენ.

ეს გვარი მოხსენიებულია 1766 წელს, ერთ-ერთ საბუთში: „მოჯალაბე დაუსახლებიათ მაღლუდა **ჭიღვარია** და უდაბნოსთვის შეუწირავთ მოსამსახურედ."

**ჭიღვარიას** გვარის ფუძეს, ასევე, მეტსახელადაც მიიჩნევენ.

ვარაუდობენ, რომ **ჭიღვა** ძველად ტოპონიმი უნდა ყოფილიყო. თუ ამას გავითვალისწინებთ, მაშინ **ჭიღვარია** ჭიღველს ნიშნავს.

საქართველოში 319 **ჭიღვარია** ცხოვრობს: ქუთაისში – 82, ამბროლაურში – 72, ცაგერში – 52. არიან სხვაგანაც.

### ჯმუხაძე

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ჯმუხა.**

**ჯმუხაძეები** 1941 წელს გადავიდნენ ასურეთში საცხოვრებლად ამბროლაურის რაიონის სოფელ ნიკორწმინდიდან.

1873 წლის აღწერით, სოფელ ღოლოვანის ტერიტორიაზე მოიხსენიებიან გაბრიელ, ბესარიონ და მიხეილ **ჯმუხაძეები**.

საქართველოში 810 **ჯმუხაძე** ცხოვრობს: თბილისში – 438, ამბროლაურში – 110, ქუთაისში – 62. არიან სხვაგანაც.

### ფირუზაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ფირუზი**, რომელიც ძვირფასი ქვის აღმნიშვნელი სიტყვაა. ეტიმოლოგიურად ის სინათლით სავსეს, ნათელს ნიშნავს.




1721 წელს, წინწყაროში, საბარათაშვილოში, ბატონის დედოფლის სახასოში მოიხსენიებიან – ზურაბა, პაპა, საქუა **ფირუზაშვილები**.

საქართველოში 121 **ფირუზაშვილი** ცხოვრობს: მცხეთაში – 73, თბილისში – 43, რუსთავში – 4. არიან სხვაგანაც.

### როსტაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **როსტომი**, რომელიც სპარსული წარმოშობისაა და ქართულად ძლიერს ნიშნავს. სპარსულად გამოითქმის როგორც **რუსტამი**.

1721 წელს სამაჩვეთში მოიხსენიება პაპუა **როსტაშვილი**.

საქართველოში 18 **როსტაშვილი** ცხოვრობს: დუშეთში – 7, რუსთავში – 6, თბილისში – 5.

### მათიაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი – **მათე**, რომელიც ძველი ებრაული წარმოშობისაა და „ღვთის საჩუქარს" ნიშნავს.

„კოდაში მცხოვრებ საბატონო ყმას, სოლომონ **მათიაშვილსა** და სჯულიერსა ცოლსა მისსა მარიამს, 1834 წელს დაებადათ ვაჟი – მიხეილი. სახელი განათლა და მონათლა კოდის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის მღვდელმა, იაკობ აბრამის ძე ხუროშვილმა."

მოგვიანებით გვარი **მათიაშვილი** რუსულის გავლენით **მატინოვად** ჩაწერეს. ამავე ძირისაა გვარები: **მატიაშვილი, მათესშვილი, მათეშვილი, მატიკაშვილი.**

**მატიაშვილების** ერთი შტო 1886 წლის აღწერით, შემდეგ აზატაშვილად ჩაეწერა.

საქართველოში 2 870 **მათიაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 1 336, საგარეჯოში – 301, გურჯაანში – 272. არიან სხვაგანაც.

### ბერია

ილია მაისურაძემ დაწვრილებით აღწერა **ბერ** ძირისგან წარმოქმნილი გვარ-სახელები.

**ბერი** იგივეა, რაც ვაჟი, ძე, ყმა. მისგან წარმოქმნილია როგორც საკუთარი, ისე მეტსახელები.

საქართველოში გავრცელებულ 25 000 გვარს შორის **ბერიძეებს** პირველი ადგილი უჭირავთ, **ბერიძიდან** წარმოქმნილია 33-ზე მეტი გვარი.

**ბერიდან** კი წარმოშობილია გვარები – **ბერია** და **ბერიაშვილი**. მეცნიერებს არ დაუდგენიათ და არც უცდიათ დაედგინათ, რომელი უფრო ადრე გაჩნდა.

საქართველოში 1 698 **ბერია** ცხოვრობს: თბილისში – 375, ჩხოროწყუში – 364, ზუგდიდში – 231. არიან სხვაგანაც.

### ქოქოსაძე

გვარის ფუძეა მეტსახელი – **ქოქია**.

ამავე ძირისაა გვარი **ქოქიაშვილი**.

გვართან დაკავშირებით ასეთი გადმოცემა არსებობს: ვილაც მისიონერმა ინდოეთიდან ჩამოიტანა **ქოქოსის** პალმა და აქედან გაჩნდა მეტსახელი **ქოქოსა**. შემდეგ კი ის საფუძვლად დაედო **ქოქოსაშვილთა** გვარს.

მეორე მოსაზრებით კი, ძველად მესხეთში არსებობდა პროფესია **ქოქოსი**, რაც არხების გამყვანსა და ჭაობის ამომშრობს ნიშნავს. აქედან გაჩნდა გვარი **ქოქოსაძე**.

ამ გვარის წარმომადგენლების ვარაუდით, მეორე მოსაზრება მეტად მისაღებია და, ამბობენ, რომ გვარები – **ქოქოსაძე** და **ქოქოსაშვილი** ხელობა-საქმიანობისგან მომდინარეობს.

საქართველოში 408 **ქოქოსაძე** ცხოვრობს: თბილისში – 159, ამბროლაურში – 50, ტყიბულში – 38. არიან სხვაგანაც.

### საზანდარიშვილი

გვარის ფუძეა სიტყვა **საზანდარი.**

ანალოგიურად წარმოქმნილი გვარებია: არუთანაშვილი, მესტვირიშვილი, მექანარიშვილი, მედოლიშვილი, ჭიანურაშვილი და სხვა.

დავით, კონა და გაბრიელ **საზანდარიშვილები** მოიხსენიებიან 1843 წელს, პატარა თონეთში.

**საზანდარიშვილები** დღეს სანდროშვილებადაც იწერებიან.

საქართველოში 202 **საზანდარიშვილი** ცხოვრობს: ქარელში – 130, თბილისში – 49, გორში – 9. არიან სხვაგანაც.

### ჯაშიაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი – **ჯაშა.** სოფელ მუხათში გვხვდება, აგრეთვე, ქალის მეტსახელი – **ჯაშია.**

1698-1712 წლების ვენახის ნასყიდობის წიგნში მოიხსენიება ელიკა **ჯაშიაშვილი**.

1873 წლის კამერული აღწერით, მოიხსენიებიან ენაგეთის ახალშენში მცხოვრები **ჯაშიაშვილები.**

საქართველოში 1 339 ჯაშიაშვილი ცხოვრობს: თელავში – 436, თბილისში – 362, თეთრი წყაროში – 267. არიან სხვაგანაც.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**

**მომღერალი მიშა სულუხია ცოტა ხნის წინ დაბრუნდა საქართველოში და თავისი წარმატებების შესახებ გვესაუბრა. პოპ-მუსიკიდან კლასიკურ ჟანრში გადასვლა მიშასთვის საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა.**

# სად შეხვდა მიშა სულუხია ვენეციის პრინცს და რა სკანდალში გაეხვია ის

**– ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში საქართველოში არ იმყოფებოდი. როგორც ვიცი, ბევრი გაქვს ჩვენთვის მოსაყოლი.**

– მოსაყოლი ნამდვილად ბევრი მაქვს, რადგან ამ ბოლო თვეების განმავლობაში თითქმის ნახევარი ევროპა მოვიარე სწავლის გამო. უკვე თითქმის ერთი თვეა, საქართველოში დავბრუნდი.

**– შვეიცარიის ამბები მოგვიყევი.**

– მინდა, ჩემი გულშემატკივარი გავახარო ჩემი წინ გადადგმული ნაბიჯით. შვეიცარიაში, ქალაქ ბაზელში, არსებობს მსოფლიოში ერთ-ერთი უიშვიათესი კონსერვატორია, სადაც ისწავლება ბაროკოსა და რენესანსის მუსიკა. ეს კონსერვატორია ჩემთვის საამაყო და საოცნებოც კი იყო. ჩავედი, ჩავაბარე გამოცდები, რაც ჩემთვის წარმატებული აღმოჩნდა. პირველივე გამოცდის შემდეგ გამოიკვეთა ქულების რაოდენობა და სტენდზე რომ გამოაკრეს შედეგები, პირველ ადგილზე არ ვიყავი?! ეს ჩემთვის ძალიან მოულოდნელი აღმოჩნდა. მერე მეგონა, სხვა ტურებში გადმოვინაცვლებდი ქვევით, მაგრამ, საბედნიეროდ, ასე არ მოხდა. ამერიკიდან, ბელგიიდან, საფრანგეთიდან, ავსტრიიდან და გერმანიიდან ჩამოსულ კოლეგებს შორის, ქულებით პირველ ადგილზე აღმოვჩნდი.

**– წარმომიდგენია, როგორი ძალიან მაგარი შეგრძნება იქნება. მაგრამ, წარმატება გქონდა საქართველოშიც. ხშირად ჟღერდა სატელევიზიო რეკლამებში შენი სახელი და გვარი: „კონტრტენორი მიხეილ სულუხია." ამის შესახებაც გვიამბე.**

– ეს კონცერტი იყო საქართველოში ჩემი ჩამოსვლის ერთ-ერთი მიზეზი. ამ პროექტზე მქონდა მიწვევა. „დიპლიპიტო" – ასე ჰქვია ნაწარმოებს, რომელიც უნდა შესრულებულიყო. სახელწოდებიდან გამომდინარე, ვინმეს შეიძლება ეგონოს, რომ ტაში-ტუშზეა საუბარი, მაგრამ ასე სულაც არ არის. ეს საკმაოდ რთული მუსიკალური ნაწარმოებია, რომლის შესრულებაც მე მომიწია როგორც კონტრტენორ მიხეილ სულუხიას. სიმართლე გითხრათ, თავიდან ძალიან ხალისით მოვკიდე ხელი ამ ნაწარმოებს, მაგრამ უკვე ბოლო დღეებში რეპეტიციებს გავდიოდი ნიკა მემანიშვილთან და არიელ ცუკერმანთან (გერმანელი დირიჟორი) ერთად, გია ყანჩელიც ესწრებოდა, ცოტა ვდარდობდი, რატომ მოვკიდე ამ ნაწარმოებს ხელი-მეთქი. თუმცა მიშა რისი მიშაა, თუ ამ ბარიერს არ გადალახავდა.

**– მიშა, შენ გარდა კონტრტენორი არის კიდევ ვინმე საქართველოში?**

– ჩემი რეგის ხმა, როცა მე ვარ კონტრტენორი ალტო, როგორც ინფორმაცია მაქვს, საქართველოში არავის აქვს.

**– ანუ, ერთადერთი და განუმეორებელი ხარ.**

– ვერ დაგეთანხმები, რომ ერთადერთი და განუმეორებელი ვარ, მაგრამ, მაქვს ჩემი უცნაურობები და მახასიათებელი ელემენტები.

**– როგორც ვიცი, იტალიაში წელს მაგისტრატურა დაამთავრე.**

– დიახ, დავამთავრე და იტალიასთან დაკავშირებით ერთ ამბავს მოგიყვებით, რომელიც კარგად დამამახსოვრდა. წელს იქ ერთ-ერთ სერიოზულ კონცერტზე მომიწია გამოსვლა, სადაც ემანუელ ფილბერტო ესწრებოდა. ის ერთ-ერთი უკანასკნელი პრინცია იტალიაში, რომელსაც „ვენეციის პრინცს" უწოდებენ. უკრავდა პრალის ორკესტრი. რეპეტიციებზე ნამდვილად არ შეინიშნებოდა, რომ ეს პომპეზური კონცერტი იქნებოდა, მაგრამ, შევცდი. სალამის შეკრება იტალიის მაღალი საზოგადოება, თავისი მსახიობებითა და ტელეწამყვანებით. თან, მაშინ იტალიურ ენას არ ვფლობდი და კამერების წინ კომენტარის გაკეთება ინგლისურ ენაზე მომიწია. მართლა არ ველოდი, რომ მოწმენდილ ცაზე ასე სწრაფად დაიდებოდა პატარ-პატარა აგურები, მაგრამ, ასე მოხდა, რაც ძალიან მიხარია.

**– მართალია, პოპ-მუსიკაშიც კარგი მონაცემები გაქვს, მაგრამ, წარმატების მხრივ, კლასიკურ მუსიკაში შენს მოღვაწეობას ვერ შეედრება. რატომ, ის უფრო ახლოს არის შენთან?**

– ჩემი მოღვაწეობა კლასიკური მუსიკით დავიწყე – ბავშვობაში მევიოლინე ვიყავი. დავამთავრე ჯერ მუსიკალური შვიდწლედი, მერე – ნიჭიერთა ათწლედი. შემდეგ ისე მოხდა, რომ ესტრადაზე მომიწია ნაბიჯების გადადგმა, საკუთარი თავის რეალიზება რომ მომეხდინა პოპულარობისა და ცნობადობის მხრივ. ჩემს ცხოვრებაში იყო პროექტები „ნუცას სკოლა," და „ვარსკვლავების აკადემია," რომლებმაც საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჩემს ცხოვრებაში. მიუხედავად ამისა, ბოლო დროს მაინც კლასიკურ მუსიკაზე გავაკეთე არჩევანი. ვფიქრობ, რაც ადამიანს ესმის და რასაც უფრო მეტად გრძნობს, ის უნდა აკეთოს. ჯერ მხოლოდ 25 წლის ვარ, ასე რომ, კიდევ ბევრი მაქვს კლასიკურ მუსიკაში სასწავლი და გასაკეთებელი.



მართლა არ ველოდი, რომ მოწმენდილ ცაზე, ასე სწრაფად, პატარ-პატარა აგურები დაიდებოდა, მაგრამ, ასე მოხდა, რაც ძალიან მიხარია

**– ინტერვიუს ისე ვერ დავასრულებ, ერთ ამბავს რომ არ შევეხო, რომელიც შვეიცარიაში მოხდა. მართალია, სკანდალური მომღერლის იმიჯი აღარ გაქვს, მაგრამ, ეტყობა, თვითონ სკანდალები დაგდევს უკან.**

– ეს ამბავი ჩემთვისაც მოულოდნელი იყო და, ჩემს მეგობარს რომ არ ენახვებინა ჟურნალი სკაიპით, არ დავიჯერებდი. შვეიცარიაში ერთ-ერთი რადიოს პირდაპირ ეთერში სტუმრობისას, წამყვანმა გამოაცხადა, რომ იქ ჩასული ვიყავი როგორც ქართველი პოპ-მუსიკოსი. პოპ-მუსიკა, ალბათ, სხვა ქვეყნებში უფრო პომპეზურად ჟღერს ვიდრე ჩვენთან. ამიტომ, უცხოეთში ჟურნალისტები „ნადირობენ" სკანდალებზე და ძალიან აქტიურად არიან ჩასაფრებული პოპმუსიკოსებზე. გერმანელი და შვეიცარიელი პაპარაცები, მინდა ვთქვა, აშკარად კარგად მუშაობენ. ვერ გეტყვი, ასე მოკლე დროში რით მოვახერხე მათი ყურადღების მიქცევა, რადგან, მათთვის მე ნამდვილად უცნობი ვიყავი და იქ როგორც პოპშემსრულებელი მართლა არ ჩავსულვარ. მოკლედ, რადიოში სტუმრობის შემდეგ, როგორც ჩანს, ჩემით დაინტერესდნენ. ერთ დღესაც, როცა აუზზე ვიყავი და ვარჯიშის მერე ვირუჯებოდი, ფოტოკამერის გაჩხაკუნების ხმა გავიგე, თვალი რომ გავახილე და იმ მიმართულებით გავიხედე, საიდანაც ხმა შემომესმა, ორი ახალგაზრდა უკვე თავის გზაზე მიდიოდა. ვერანაირად ვერ წარმოვიდგენდი, თუ ფოტოებს მე მიღებდნენ. რამდენიმე დღის შემდეგ დამიკავშირდა ჟურნალის რედაქტორი და კომენტარის გაკეთება მთხოვა. ვუთხარი, რომ მათ ქვეყანაში კლასიკური განათლების მისაღებად ვიყავი ჩასული და სკანდალური ფონი საერთოდ არ იყო ჩემთვის ხელსაყრელი იმ მომენტში. ვთხოვე, რომ არ გაშუქებულიყო მათი ჩაფიქრებული ამბავი და ამის შესახებ კომენტარს არ გავუკეთებდი არავითარ შემთხვევაში. ამ ქალბატონმა ჩათვალა, რომ თავიდან ვიშორებდი ან მასთან გასაუბრება არ მინდოდა. მოკლედ, ჟურნალში მაინც გამოაქვეყნეს ჩემი ფოტო, რომელსაც თან ახლდა პატარა ნიუსი, რომ ქართველი პოპმომღერალი მიშა სულუხია შვეიცარიაში იმყოფება, სადაც რელაქსაციას გადის, აუზზე ნებივრობს და ასე შემდეგ. ალბათ, მათ იფიქრეს, რომ რაღაც იშვიათი ინფორმაცია ჩაიგდეს ხელში.

**– შენი რეაქცია როგორი იყო?**

– ეს რომ დაიბეჭდა, მე უკვე საქართველოში ვიყავი. მართლა არ დავიჯერებდი, ჩემს იქაურ მეგობარს ჟურნალი სკაიპის საშუალებით რომ არ ეჩვენებინა ჩემთვის.

**– რა ჟურნალი?**

– გერმანულად აღარ მახსოვს რა ჰქვია, მგონი, „ყვითელი ბადე," რომელიც იქ ძალიან პოპულარულია. ამ ჟურნალში ცნობილი მომღერლები და სხვა ბევრი „ფეისი" იბეჭდება, ამ დროს, გადაშლი და, ერთ-ერთ გვერდზე, ჩემი აუზის ფოტოებია თავისი რელიზით. ამას ნამდვილად არ მოველოდი. იქ მაინც რატომ უნდა გავხმულიყავი სკანდალში?! ყველას ჰგონია, რომ სკანდალური ტიპაჟი ვარ, მაგრამ რეალურად ეს ასე ნამდვილად არ არის, თავისთავად ხდება ყველაფერი. რომ მომენდომებინა და იმავე ჟურნალისტისთვის მეთხოვა, ჩემი კონცერტი გაეშუქებინათ, შეიძლება, არც დაინტერესებულიყვნენ. სამაგიეროდ, მათთვის უფრო საინტერესო აღმოვჩნდი პოპ-მომღერლის რანგში, თან, აუზის ფონზე, საცურაო კოსტიუმში გამოწყობილი.

**– როგორია შენი გეგმები?**

– ძალიან ბევრს ვშრომობ იმისთვის, რომ წინ წავიწიო და წარმატებული ნაბიჯები გადავდგა. მე და ჩემს მეგობრებს, რომლებიც უცხოეთში შევიძინე, იდეა გვაქვს, საქართველოში გაკეთდეს სამდღიანი „ბაროკოს მუსიკის ფესტივალი", რომელიც საზოგადოების თვალში საკმაოდ საინტერესოდ წარმოჩინდება.

**მარიკა ხიდურელი**

**ავტორიზებული თბილისის ტურიზმის აკადემია**

აგრძელებს მიღებას გიდის; ინტერნეტტექნოლოგის (კომპიუტერი); კორესპონდენტისა და მუსიკოს–რეპეტიტორის პროგრამებზე.

დიპლომი სახელმწიფოა, სწავლის ღირებულება ხელმისაწვდომი.

**მისამართი: კოსტავას N 47 (ფილარმონიასთან)**
**ტელ.:2936603; 599188924; 2935430; 2999626.**

# როგორ აღმოაჩინა „კაგებეს" კაპიტანმა 40 წლის შემდეგ „კაგებედან" გატაცებული სიმდიდრე



### ტვირთი №337

– ამხანაგო ვარლამ, „ტვირთი 337" ათ წუთში წამოვა. ჩემი ადიუტანტი პირადად დაესწრება გადმობარებას და მიღება-ჩაბარების აქტი გამოატანეთ, – „ჩეკას" კომისარმა ნესტორ ესაკიამ ყურმილი დაკიდა და იქვე მდგომ ადიუტანტ ტიტე ხუბუას უთხრა:

– წაიღეთ ტვირთი, აბა, შენ იცი!

ვარლამ ზარიძე საქართველოს ცენტრალური ბანკის საცავის უფროსი იყო. „ჩეკას" კომისარი ნესტორ ესაკია კი საქართველოს „ჩეკაში" ექსპროპრიაციებს კურირებდა. „ტვირთი-337" კი ქართველი ჩეკისტების მიერ ექსპროპრირებული ძვირფასეულობა გახლდათ.

ძვირფასეულობით სავსე ყუთი უჟანგავი ფოლადისგან იყო დამზადებული და 102 კილოგრამს იწონიდა. ყუთის წონა 30 კილოგრამი იყო, ძვირფასეულობის კი – 72 კილოგრამი. მას მიჰყვებოდა ოთხი ადამიანი: მძღოლი შაყულაშვილი, ოპერმუშაკები – კეკელიძე და დოდაშვილი და ტიტე ხუბუა. ტვირთის ღირებულება იმ პერიოდისთვის, ანუ 1926 წელს 3 მილიონ მანეთს შეადგენდა, რაც ფანტასტიკური თანხა გახლდათ. მანქანა შევჩენკოს ქუჩაზე მდებარე „ჩეკას" შენობიდან გამოვიდა, რომელიც მთაწმინდაზე მდებარეობდა. მას სულ რაღაც ორი კილომეტრი უნდა გაევლო და სოლოლაკში, ბანკში მისულიყო. მთავარი მარშრუტი რუსთაველის გამზირზე გადიოდა, მაგრამ ტიტე ხუბუამ შაყულაშვილს უბრძანა:

– ზემოდან გადადი. სოლოლაკში მთაწმინდის გავლით წავიდეთ!

შაყულაშვილი ბრძანებას დაემორჩილა და მთაწმინდის აღმართს აჰყვა. ვიწრო ქუჩებით სოლოლაკში გადავიდა და ამჟამინდელი ჭონქაძის ქუჩით ქვევით დაეშვა. მოსახვევში ეტლმა ამოუხვია. ხუბუამ მძღოლს უთხრა:

– ეტლთან გააჩერე და ჩემი ბრძანების გარეშე არ დაიძრა!

შაყულაშვილმა გააჩერა. ხუბუამ მოულოდნელად პულვერიზატორი ამოიღო და სალონში გაზის ნაკადი გაუშვა. თავად კი მანქანიდან გადახტა და ათიოდე წამი დაელოდა, სანამ მძღოლი და ოპერები გონებას დაკარგავდნენ. შემდეგ ეტლიდან გადმოსულ ორ მამაკაცს უთხრა:

– ჩქარა აიღეთ ყუთი და წავედით!

მამაკაცებმა ყუთი ეტლში ჩადეს და ეტლი ადგილიდან დაიძრა. ცხენებმა ჭენებ-ჭენებით გაიარეს გზა ავლაბრამდე და ერთ ეზოში შევიდნენ.

– წამომყევით და სამალავის გაღებაში მომეხმარეთ, – უთხრა ხუბუამ თანმხლებ პირებს. მოულოდნელად კი, მათ გაზი ასხურა და იქვე დატოვა. თავად ძვირფასეულობით დატვირთული ეტლი ორთაჭალის ერთ-ერთ კერძო ეზოში მიიყვანა და ბერკეტების დახმარებით ყუთი სარდაფში ჩაათრია.

საღამოს ხუბუას შავპიჯაკიანი მამაკაცი მიადგა და უთხრა:

– ყველაფერი ბრწყინვალედ შესრულდა. ხუთივენი არამიანცის საავადმყოფოში არიან მოთავსებულები და მთელი ჩეკა იქაა. შენ კი გეძებენ. აი, ბილეთი. ბათუმიდან თურქეთში სანდო კაცი გადაგიყვანს. შემდეგ კი – როგორც შევთანხმდით. აბა, მშვიდობით იარე!

ხუბუა დაემშვიდობა შავპიჯაკიანს და სადგურისკენ გაემართა. მეორე დღეს კი ის და აჭარელი მეგზური ვიწრო ბილიკებით თურქეთში გადასვლას ცდილობდნენ, მაგრამ ერთ-ერთ მონაკვეთზე კლდე მოწყდა და ორივე უფსკრულში გადაიჩეხა.

### 40 წლის შემდეგ

1966 წლის მაისში, ვაკის პარკთან ახალ საცხოვრებელ კორპუსს აშენებდნენ და ფუნდამენტს თხრიდნენ. ბულდოზერმა მიწიდან უჟანგავი ფოლადის ყუთი ამოაგდო, რომელზეც ეწერა „საქართველოს ჩეკა". ამიტომ, ის

**ხუბუამ სალონში გაზი გაუშვა და სამი ადამიანი იქვე გათიშა**

„კაგებეს" გადასცეს. იქ კი მალევე დაადგინეს, რომ ეს სწორედ ის ყუთი იყო, რომელიც 1926 წლის 25 აპრილს გაიტაცა ხუბუამ. იმ საქმეს ნოდარ მიქაძე იძიებდა. ის ცოცხალი აღმოჩნდა და 74 წლის გახლდათ. ყველაფერი კარგად ახსოვდა და მასთან მისულ, ახალგაზრდა გამომძიებელ თემურ გოცირიძეს უთხრა:

– ჩახლართული და კარგად შესრულებული საქმე იყო. თავიდან ეჭვი არავისზე აგვიღია და მხოლოდ ხუბუა გვეგონა დამნაშავე. მაგრამ, მერე მივხვდი, რომ მის უკან ვიღაც იდგა.

– ასე რატომ იფიქრეთ?

– იმიტომ, რომ ხუბუა კლდეზე გადაჩეხილი იპოვეს ჩვენმა მესაზღვრეებმა ჩვენს ტერიტორიაზე. ძვირფასეულობა კი მას არ ჰქონდა. როგორც ეტყობა, ის თურქეთში ცდილობდა გადასვლას და მის თანამონაწილეს იქ უნდა ჩაეტანა ძვირფასეულობა.

– სავარაუდო ეჭვმიტანილთა სია შეადგინეთ?

– შევადგინეთ. ასეთი სულ ოთხი ადამიანი გვყავდა და ოთხივე სუფთა აღმოჩნდა. მახსოვს, განყოფილების უფროსს, ნესტორ ესაკიას, ვისი ადიუტანტიც ხუბუა იყო, გულმა დაარტყა და კარგა ხანს საავადმყოფოშიც კი მკურნალობდა. მან გადადგომის პატაკიც დაწერა, მაგრამ არ გაუშვეს. პირიქით, ბერიამ ის დააწინაურა კიდეც. შემდეგ მოსკოვში თან იახლა და იქ მუშაობდა. ბერიას დახვრეტამდე ერთი წლით ადრე კი ესაკია საქართველოში დაბრუნდა და მაღალი პოსტი ჩაიბარა უშიშროებაში. თუმცა, ბერიას დაპატიმრების ამბავი რომ გაიგო, დამბლა დაეცა და მხოლოდ ამან იხსნა დაჭერისგან.

– ახლა ცოცხალია?

– 1962-ში გარდაიცვალა, ოთხი წლის წინ.

– გმადლობთ, ბატონო ნოდარ. მეტს აღარ შეგაწუხებთ, – თემურ გოცირიძე პენსიონერ კოლეგას გამოემშვიდობა და წავიდა.

„კაგებეს" 30 წლის კაპიტანს, თემურ გოცირიძეს, ინტუიცია კარნახობდა, რომ „ტვირთი 337-ის" საქმეში ნესტორ ესაკიას ხელი ერია. ამიტომ მისი დოსიეს შესწავლას შეუდგა. თუმცა, საეჭვოს ვერაფერს მიაგნო და იმედი თითქმის რომ გადაეწურა, ერთი საგულისხმო ფაქტი აღმოაჩინა. კერძოდ ის, რომ ადრე ესაკიას ვაკეში საკუთარი სახლი ჰქონდა, იმ მონაკვეთში, სადაც ცარიელი ყუთი იპოვეს. გოცირიძე თითქმის დარწმუნდა, რომ „ტვირთი 337-ის" გატაცება ესაკიას ორგანიზებული იყო. კაპიტანმა დაადგინა, რომ ესაკიას ცოლი – მართა, შვილი – ლავრენტი და შვილიშვილი – ნესტორი, ცოცხლები იყვნენ. მართა 80 წლის მოხუცი იყო. ნესტორი მეექვსე კლასში სწავლობდა, ხოლო 41 წლის ლავრენტი „კაგებეს" მაღალჩინოსანი გახლდათ და პოდპოლკოვნიკის ჩინი ჰქონდა. გოცირიძემ იცოდა, რომ პატარა შეცდომასაც კი არ აპატიებდნენ. ამიტომ, ფრთხილად შეუდგა მოკვლევას.

მან დაადგინა, რომ ესაკიებს კერძო აგარაკი ჰქონდათ წყნეთში, რომელიც 1951 წელს მიიღეს. გოცირიძის აზრით, გარდაცვლილი გენერალი სწორედ იქ მალავდა 1926 წელს გატაცებულ ძვირფასეულობას, შვილი კი საქმის კურსში არ იყო.

თემურ გოცირიძემ პირადი რისკის ფასად ესაკიების დაცარიელებულ აგარაკში შეაღწია, გაჩხრიკა, რისთვისაც ნაღმის მოსაძებნი მოწყობილობა გამოიყენა და სხვენის სქელ კედელში სამალავი აღმოაჩინა. იქ ოთხი ცალი ბიდონი იდო და თითოეულში 18-18 კილოგრამი ძვირფასეულობა იყო შენახული. გოცირიძემ მეორე დღეს პატაკი დაწერა ალექსი ინაურის სახელზე, რომელშიც აღიარებდა, რომ კანონდარღვევით იმოქმედა, თუმცა იქვე აღნიშნა, რომ ეს გარდაუვალი აუცილებლობა იყო.

იმავე დღეს, „კაგებეს" სპეცჯგუფმა აგარაკიდან ძვირფასეულობა ამოიღო და ექსპერტებმა ის 70 მილიონ მანეთად შეაფასეს. პოდპოლკოვნიკი ლავრენტი ესაკია პოსტიდან გადადგა, გოცირიძეს კი მაიორობა მიანიჭეს.

**ნიკა ლაშაური**

**მამაკაცების განკურნების ცენტრი**

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც); შარდვის პრობლემები: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი; გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან; ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ და სწრაფად გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა; „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა; ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა. საჭირო გამოკვლევები და დიაგნოსტიკა უახლოესი აპარატურით, ანონიმურობის დაცვით, მყარი, 100-პროცენტიანი შედეგით.

599-90-54-78; 2-34-02-38. – ოფისი. ქ-ნი მარიამი

# როგორ გაუსწორდა ოთხჯერ ნასამართლევი მამაკაცი მეზობელს, რომელმაც ის კრიმინალურ გზაზე დააყენა

ციხიდან გათავისუფლებულმა 47 წლის გოჩა წ-იამ, რომელმაც გისოსებს მიღმა სულ 17 წელი გაატარა, პატიმრობიდან გათავისუფლებისთანავე, მეზობელი ცოლ-ქმარი – 62 წლის მადლენა ტ-შვილი და 65 წლის ნიკო ტ-შვილი დახოცა. მკვლელობა საყოფაცხოვრებო თემაზე მეზობლური დავის გამო მოხდა.

საქმის მასალების მიხედვით, გოჩა წ-ია წარსულში ოთხჯერ იყო ნასამართლევი – მან ორი სასჯელი ქურდობის, ერთი ძარცვის, ერთი კი შეიარაღებული ყაჩაღობის ბრალდებით მოიხადა. მისთვის, როგორც მოგვიანებით თავად განაცხადა სასამართლო პროცესზე, ციხე მეორე სახლად იქცა და უკან დაბრუნება ორი თვის გათავისუფლებულს სულაც არ გასჭირვებია. გოჩა წ-იას არ ჰქონდა საკუთარი ოჯახი. პატიმრობაში ყოფნისას გარდაეცვალა მშობლები, რომელთა კუთვნილი სახლი მის მფლობელობაში გადავიდა და სწორედ ეს სახლი გახდა მეზობლური დავის მიზეზი, რის გამოც, ციხიდან გათავისუფლებისთანავე, მორიგი დანაშაული ჩაიდინა.

როგორც გამოძიებისთვის გახდა ცნობილი, ციხიდან გამოსვლის შემდეგ გოჩა წ-ია მშობლიურ სოფელში დაბრუნდა, სადაც, გამოვლენილი ფსიქიკური აშლილობების გამო, მკურნალობის ჩატარება დასჭირდა. სახლს, რომელიც მისი კუთვნილება იყო, პატიმრობის დროს მისი მეზობლები დაჰპატრონებოდნენ. ცოლ-ქმარი, მადლენა და ნიკო, მის მეზობლად ცხოვრობდნენ. როგორც მოგვიანებით მათი მეზობლები აცხადებდნენ, ნიკო ტ-შვილი იყო ის ადამიანი, რომლის წყალობითაც გოჩა წ-ია პირველად მოხვდა ციხეში. ნიკო ტ-შვილი ძველი თაობის კრიმინალური მენტალიტეტის კაცი იყო, ცხოვრების დიდი ნაწილი რუსეთში ჰქონდა გატარებული, სადაც ორი სასჯელი ჰქონდა მოხდილი. ის საქართველოში უკვე ასაკში მყოფი დაბრუნდა და საცხოვრებლად ცოლის სახლში გადავიდა, სადაც მეზობლად გოჩა წ-ია და მისი მშობლები ცხოვრობდნენ. სოფლის მცხოვრებთა განცხადებით, 22 წლის გოჩა წ-იას პირველი დანაშაულისკენ სწორედ ნიკო ტ-შვილმა უბიძგა, რის გამოც ბიჭი ციხეში მოხვდა. ამის შემდეგ გოჩა წ-იას მშობლები მეზობლებს სასტიკად დაუპირისპირდნენ, ისინი ნიკო ტ-შვილს შვილის კრიმინალურ გზაზე დაყენებაში სდებდნენ ბრალს.

საქმის მასალების მიხედვით, გოჩა წ-იას ციხეში ყოფნის დროს ნიკო და მადლენა მის ბინას დაეპატრონენ. მათ სანახევროდ მოხსნეს სახურავი, ბინის იმ ნაწილს კი, რომელიც ეზოში იყო აშენებული, აქირავებდნენ. მათ ფინანსური შემოსავლის წყაროდ ჰქონდათ გახდილი არა მხოლოდ სახლი, არამედ, მიწებიც და სწორედ ეს თემა გახდა მეზობლების დაპირისპირების მიზეზი. ყოფილმა პატიმარმა ცოლ-ქმარს იმ შემოსავლის ნაწილი მოსთხოვა, რაც მათ სახლის გაქირავებით ჰქონდათ აღებული. ცოლ-ქმარი ბევრს უმტკიცებდა გოჩა წ-იას, რომ ისინი მხოლოდ ყურადღებას აქცევდნენ მის სახლს და არანაირი სარგებელი არ ჰქონდათ, თუმცა, უშედეგოდ. მათ შორის დაწყებული საქმის გარჩევა მალე სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფასა და დაპირისპირებაში გადაიზარდა, მეზობლები კი ამ სიტუაციაში არ ერეოდნენ, რადგან არც ერთი დაპირისპირებული მხარე არ მოსწონდათ, უფრო მეტიც, მას შემდეგ, რაც სოფელში ხმა გავარდა, რომ გოჩა წ-იას ფსიქიკური პრობლემები ჰქონდა და რამდენჯერმე გამოავლინა კიდეც სხვა მეზობლებთან ურთიერთობაში, მას აღარავინ ეკარებოდა.

როგორც გამოძიებისთვის გახდა ცნობილი, მკვლელობის დღეს მეზობლებმა დილიდანვე შენიშნეს, რომ გოჩა წ-ია ნასვამ მდგომარეობაში იყო. მათ იცოდნენ, რომ ოთხჯერ ნასამართლევმა მამაკაცმა, რაც მოგვიანებით გამოძიებამაც დაამტკიცა, ციხიდან გათავისუფლებისთანევე მოიპოვა ცეცხლსასროლი იარაღი, რითაც მან მძიმე დანაშაული ჩაიდინა – მათსავე ეზოში ჩახოცა ცოლ-ქმარი, მადლენა და ნიკო. მეზობლების განცხადებით, სავარაუდოდ, ნიკო ტ-შვილს მან კრიმინალურ გზაზე დაყენება არ აპატია.

მკვლელობას მხოლოდ ერთი თვითმხილველი ჰყავდა – მამაკაცი, რომელსაც მადლენასა და ნიკოს სახლის გვერდით სააგარაკე მიწა ჰქონდა. მისი განცხადებით, გოჩა წ-ია ცოლ-ქმარს სახლში შეუვარდა და ჩხუბი დაუწყო.

ამონაწერი მოწმის ჩვენებიდან: „ამ ცოლ-ქმრის სახლის გვერდით მიწა რამდენიმე წლის წინ შევიძინე, სადაც აგარაკის აშენება მქონდა გადაწყვეტილი. ჩემი მეზობლები ძალიან უცნაური ადამიანები იყვნენ. თავიდან სცადეს ჩემთან კარგი ურთიერთობის დამყარება და ნორმალური მეზობლობა გვქონდა, მაგრამ, მას შემდეგ, რაც ეზოდან სამშენებლო მასალები დავკარგე, რაშიც, ჩემი ვარაუდით, ისინი იყვნენ გარეულნი, მათთან ყველანაირი კონტაქტი შევწყვიტე; უფრო მეტიც, ჩვენს ეზოებს შორის მაღალი მესერი ავაშენე. გოჩას ციხიდან გამოსვლის შემდეგ სულ ორჯერ მოვკარი თვალი, რადგან, სოფლიდან ვიყავი წასული. მკვლელობის დღეს ჩემს ეზოში ვიმყოფებოდი და, გავიგე, როგორ შემოვარდა ეზოში გოჩა წ-ია, რომელმაც ცოლ-ქმარს ჩხუბი და ლანძღვა დაუწყო. იმ დროს კაცი ეზოში იყო, მისი ცოლი – სახლში. მესმოდა ხმაური და ბრალდება – ჩემი სახლი გაძარცვეთ, სახურავი გადახადეთ და გაყიდეთო. ნიკო თავს იმართლებდა, მაგრამ უშედეგოდ. მათ ჩხუბში ჩარევა არც მიფიქრია. უცებ გასროლის ხმა გავიგონე. არ დამინახავს, გოჩამ ნიკოს როგორ ესროლა, მაგრამ გავიგონე ორი გასროლა და, შემდეგ – მადლენას კივილი, რომელიც სახლიდან ეზოსკენ გამორბოდა. ეს უკვე დავინახე, რადგან, გასროლა რომ გავიგონე, ღობის ჯებირზე ავედი და გადავიხედე. ცოლ-ქმარს ეზოში მაგიდა ედგა, ნიკო მაგიდასთან იყო წაქცეული, თავზე კი გოჩა ედგა უცნაური გამომეტყველებით და ხელში ცეცხლსასროლი იარაღი ეჭირა. გოჩა მე ვერ მხედავდა, გარდაცვლილს დაჰყურებდა. მოულოდნელად მან კვლავ გააკეთა ერთი გასროლა და მადლენა ქმართან მიახლოებამდე წაიქცა. დავინახე, როგორ იფეთქა სისხლმა მისი თავიდან. როგორც მერე გავიგე, ტყვია პირდაპირ თავში ჰქონდა მოხვედრილი. ხმაურზე მეზობლები გამოცვივდნენ სახლებიდან, მე ღობიდან გადავხტი. გოჩა იარაღით ხელში იდგა შუა ეზოში და გაიძახოდა: არავინ მომეკაროთ, თორემ, ყველას ამოგხოცავთო. ალბათ, ოთხი-ხუთი წუთი გაგრძელდა ეს მუქარა, მერე გოჩა თვითონ გავიდა მეზობლის ეზოდან და თავის ეზოში შევიდა. მხოლოდ ამის შემდეგ გამოვიძახეთ შემთხვევის ადგილზე პოლიცია, მოვიდა სასწრაფოც, მაგრამ მათ ადგილზე დახვდათ საკუთარ ეზოში ჩახოცილი ცოლ-ქმრის გვამები, ისინი უკვე გარდაცვლილები იყვნენ.

**მკვდარი მამაკაცი ეზოს შუაგულში ეგდო, იქვე იწვა მისი ცოლიც, რომელსაც ტყვია თავში ჰქონდა მოხვედრილი**

სამართალდამცველებმა გოჩა წ-ია ცხელ კვალზე, რამდენიმე საათში დააკვეს. ამოღებულ იქნა დანაშაულის იარაღიც, რომლითაც, როგორც საქმის მასალებით გახდა ცნობილი, წარსულში სხვა დანაშაულიც იყო ჩადენილი. თავიდან განსასჯელი ამტკიცებდა, რომ წლების წინ თავად იყო ამ იარაღის მფლობელი და მას სახლში მალავდა, მერე კი განაცხადა, რომ ცეცხლსასროლი იარაღი ციხიდან გათავისუფლებისთანავე უცნობი პირისგან შეიძინა. დაკავებულმა ჩადენილი დანაშაული აღიარა და იგივე დაადასტურა სასამართლო პროცესზე. ბრალდების მხარე განსასჯელისთვის 17 წლით თავისუფლების აღკვეთას მოითხოვდა, თუმცა, განსასჯელს, რომელმაც დანაშაულთან ერთად ისიც აღიარა, რომ მადლენა და ნიკო ტ-შვილებს არა მხოლოდ მისი სახლის გაძარცვა, არამედ, ძველი ცოდვებიც არ აპატია, სასამართლომ 15 წლით პატიმრობა მიუსაჯა. რას გულისხმობდა გოჩა წ-ია „ძველ ცოდვებში" სასამართლოსთვის უცნობი დარჩა, თანასოფლელთა ვარაუდით კი ეს იყო მამაკაცის შურისძიება ნიკო ტ-შვილზე, ვინც ის კრიმინალურ გზაზე დააყენა.

**ეკა ბარაბაძე**

## რა მოხდა ამ დღეს

### 30 ივნისი

1792 – პარიზში პირველად აჟღერდა „მარსელოზა".

1859 – ფრანგმა თოკზე მოსიარულემ ჟან ბლონდენმა დაზღვევის გარეშე გადაუარა ნიაგარას ჩანჩქერს.

1894 – ლონდონში გაიხსნა ტაუერის ხიდი.

1908 – ციმბირში ჩამოვარდა ტუნგუსკის მეტეორიტი.

### 1 ივლისი

1200 – ამ დღეს ჩინეთში, თითქოსდა, გამოიგონეს მზის სათვალე.

1867 – კანადა გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო.

1877 – გაიხსნა „უიმბლდონის" პირველი ტურნირი ფრენბურთში.

1915 – პირველი სტრიპტიზის სცენა კინოში – ავსტრალიელმა ანეტ კელერმანმა გაიხადა ფილმში „ღმერთების ქალიშვილი".

1968 – შედგა ჯონ ლენონის (როგორც მხატვრის) პერსონალური გამოფენა.

### 2 ივლისი

1556 – რუსეთმა მოახდინა ასტრახანის სახანოს ანექსია.

1860 – დაარსდა ქალაქი ვლადივოსტოკი.

1901 – არნახულმა სიცხემ (43 გრადუსი) ნიუ-იორკში 400 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

### 3 ივლისი

987 – საფრანგეთის მეფე გახდა პარიზის გრაფი, ჰიუგო კაპეტი – კაპეტინგების დინასტიის დამაარსებელი. სწორედ აქედან ხდება პარიზი საფრანგეთის მეფეთა ძირითადი რეზიდენცია.

1528 – რომის პაპმა კლიმენტი მეშვიდემ დაამტკიცა კაპუცინელთა კათოლიკური ორდენი.

1608 – დაარსდა ქალაქი კვებეკი (კანადა).

1886 – კარლ ბენცმა მოაწყო მსოფლიოში პირველი საავტომობილო მგზავრობა ერთი ქალაქიდან მეორეში (მანგეიმი-შტუდგარდტი) და საათში 16 კილომეტრ სიჩქარეს მიაღწია.

1928 – გასაყიდად გამოვიდა პირველი ტელევიზორები 75 დოლარის ღირებულებით.

### 4 ივლისი

1631 – პარიზში გაიხსნა მსოფლიოში პირველი დასაქმების ბიურო.

1776 – გამოცხადდა ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობა.

1802 – ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიხსნა პრესტიჟული ვესტ-პოინტის სამხედრო აკადემია.

1886 – ქალაქ პრესტკოტში (არიზონას შტატი) გაიმართა პირველი როდეო.

### 5 ივლისი

1811 – ვენესუელა გახდა პირველი დამოუკიდებელი სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში.

1830 – ალჟირი გახდა საფრანგეთის კოლონია.

1841 – ინგლისელმა თომას კუკმა გახსნა პირველი ტურისტული სააგენტო.

1975 – არტურ ეში გახდა პირველი ზანგი – უიმბლდონის ტურნირის გამარჯვებული.

### 6 ივლისი

969 – დაარსდა ქალაქი კაირო (ეგვიპტე).

1687 – გამოქვეყნდა ისააკ ნიუტონის ფუნდამენტური შრომა „ნატურალური ფილოსოფიის მათემატიკური საწყისები", სადაც სხვებთან ერთად, გადმოცემული იყო მსოფლიო მიზიდულობის კანონი.

1854 – დაარსდა ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკური პარტია.

1885 – ლუი პასტერმა წარმატებით გამოსცადა მის მიერვე გამოგონებული ცოფის ვაქცინა.

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე

ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.

**გოეთე**

**კითხვა: როგორ მოვუარო სუროს და რა პირობები შევუქმნა მას?**

**პასუხი:** სურო კარგად გრძნობს თავს ნებისმიერ ოთახში, სადაც ცოტაოდენი სინათლეა. თუ დროგამოშვებით მორწყავთ, სათანადო პირობებს შეუქმნით და შესაბამისად მოუვლით, ჯანსაღ მცენარეს მიიღებთ. ამ მცენარის ჭრელ სახეობებს კაშკაშა სინათლე სჭირდება, სადა ფერის სურო კი ჩრდილსაც აიტანს. სიცხეში ის ფორმას იცვლის და უშნოვდება, ამიტომ, მთელი წლის განმავლობაში სიგრილეში ამყოფეთ. ზაფხულობით მიწა მუდამ ტენიანი უნდა ჰქონდეს. ნიადაგს ნურც ზამთარში გამოაშრობთ, თორემ, ფოთლები დაეჭმუჭნება. ის იოლად გასაზრდელი მცენარეა. მისი დიდი უპირატესობა ის არის, რომ ჩრდილსაც იტანს და სიგრილესაც. კარგად ხარობს ჰოლშიც და ზამთრის ბაღშიც. სურო დაახლოებით 30 სანტიმეტრი იზრდება, ასე რომ, ის სულაც არ არის პრეტენზიული მცენარე. თუ არ გაქვთ, აუცილებლად შეიძინეთ და, გარწმუნებთ, მისი გახარება არ გაგიჭირდებათ.

**კითხვა: რა ტემპერატურასა და სინათლეზე ვამყოფო კალანჰოე?**

**პასუხი:** კალანჰოე ათასგვარი ფორმისა და ფერის არსებობს, თუმცა, გარეგნული სხვაობის მიუხედავად, ყველა სახეობას თითქმის ერთნაირი გარემო და პირობები სჭირდება. კალანჰოე განათებულ ადგილას დადგით. რაც უფრო რუხი ან ბუსუსიანია, მით მეტი სინათლე სჭირდება. მოსწონს ოთახის ტემპერატურა, თუმცა, იტანს ზამთრის სიგრილესაც, არანაკლებ 10 გრადუსისა. მისთვის შესაფერისი ადგილი სააბაზანოა.

**კითხვა: რა სიხშირით სჭირდება მორწყვა იაპონურ არალიას?**

**პასუხი:** ზაფხულობით რეგულარულად მორწყეთ, ზამთრობით კი – შედარებით იშვიათად. თუ მისი ფოთლები მოიწყენს, მიხვდებით, რომ წყალი უნდა. ფოთლებს მუქ ფერს შეუნარჩუნებთ, თუ მიწას რეგულარულად გაანოყიერებთ ფოთლოვანი მცენარისთვის განკუთვნილი სასუქით. ფოთლები სველი ნაჭრით გაუწმინდეთ.

**კითხვა: როგორ შევუნარჩუნო ციპერუსს მუდმივი ტენიანობა? როგორც ვიცი, ამ მცენარეს ძალიან უყვარს ნესტი...**

**პასუხი:** ის ერთ-ერთია იმ მცენარეთაგან, რომლებსაც მუდმივად სველი ნიადაგი სჭირდება. მუდმივი ტენიანობის შესანარჩუნებლად ციპერუსიანი ქოთანი წყლიან ჯამში ჩადგით, რათა წყალი არასდროს მოაკლდეს – ასე მცენარეს მუდამ ექნება წყლის შეწოვის საშუალება და ფესვებიც მუდამ ტენიანი ექნება.

**კითხვა: იოლი მოსავლელია თუ არა ჯუჯა პალმა ოთახის პირობებში?**

**პასუხი:** ჯუჯა პალმა ძალიან გამძლე მცენარეა. ის კარგად იტანს ოთახის პირობებს, თუ კარგი დრენაჟი და ნოყიერი მიწა აქვს. არ უყვარს ბევრი წყალი, თუმცა, ზაფხულში რეგულარულად უნდა მორწყათ. ზამთარში კი, როცა პალმა ზრდას წყვეტს, მხოლოდ მაშინ მორწყეთ, როცა მიწა გამოშრება. თუ ეს მცენარე სიმშრალეშია, რამდენიმე გრადუს ყინვასაც აიტანს.

**კითხვა: ბინაში მაქვს ოთახის პალმა – ქამედორეა. მაინტერესებს პრეტენზიულია თუ არა ეს მცენარე და როგორ მოვუარო?**

**პასუხი:** ზაფხულში ხშირად უნდა მორწყათ, რათა მიწა მუდამ ტენიანი ჰქონდეს. ზამთარში წყალი შედარებით შეუმცირეთ და მორწყვიდან მორწყვამდე ნიადაგს შეშრობა აცადეთ. აქტიური ზრდის პერიოდში ოთახის პალმას რამდენიმე კვირაში ერთხელ სჭირდება ბალანსირებული თხევადი სასუქი. ტენის შესანარჩუნებლად მისი ქოთანი ხშირად დადგით სველკენჭებიან ლანგარზე და ფოთლებიც დაუნამეთ.

მოამზადა
**თეონა გოზალიშვილმა**

# ადვოკატი გირჩევთ



რუბრიკას უძღვება ადვოკატი
**ირაკლი გაბრიჭიძე**

*უცოდინრობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*
**ანატოლ ფრანსი**

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, ზოგადად რა სახის ქმედება შეიძლება შეფასდეს ოჯახურ ძალადობად?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რა სახის ქმედება შეიძლება შეფასდეს იძულებითი ხასიათის ქმედებად, ოჯახური ძალადობის ფაქტების შეფასებისას?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ იძულებად ოჯახური ძალადობის ფაქტების შეფასებისას ითვლება: ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა, ან/და, საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება.

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, ვინ შეიძლება იყოს ოჯახური ძალადობის მსხვერპლი?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ ოჯახური ძალადობის მსხვერპლი არის ოჯახის წევრი, რომელმაც განიცადა ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, ეკონომიკური ძალადობა ან იძულება და რომელსაც მსხვერპლის სტატუსი განუსაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა ან/და სასამართლო ორგანომ ან ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელმა ჯგუფმა (მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფმა).

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, ზოგადად რა სახის მექანიზმები იგულისხმება საქართველოში ოჯახური ძალადობის ფაქტების პრევენციისათვის?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ ოჯახში ძალადობის პრევენციის მექანიზმები გულისხმობს: იმ ფაქტორების ანალიზს, შესწავლასა და შეფასებას, რომლებიც ოჯახში ძალადობის მიზეზებია; ეფექტიანი სამართლებრივი მეთოდების დანერგვას ოჯახში ძალადობის ფაქტების გამოსავლენად და აღსაკვეთად; შესაბამისი სტატისტიკის წარმოებას; პრევენციული ღონისძიებების გატარებას იმ პირების მიმართ, რომლებიც ოჯახში ძალადობის ჩადენის რისკ-ჯგუფებს განეკუთვნებიან ან რომელთაც ოჯახში ჩადენილი აქვთ ძალადობა; სათანადო საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიის წარმართვას, რათა ადამიანები ფლობდნენ ინფორმაციას თავიანთი უფლებებისა და ვალდებულებების, ასევე, დაცვის გარანტიების თაობაზე, მათ შორის, იმ უფლებებისა და მოვალეობების შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფს ოჯახის წევრთა თანასწორობასა და ურთიერთვალდებულებებს; ოჯახში ძალადობის შემთხვევაში მოძალადის პასუხისმგებლობის, მსხვერპლის უფლებებისა და ამ უფლებების დაცვის გარანტიების შესახებ ინფორმაციის გავრცელებასა და ხელმისაწვდომობას; ოჯახში ძალადობის ფაქტების შემთხვევაში, მსხვერპლთათვის დახმარებისა და დაცვის, ხოლო მოძალადეთათვის – სარეაბილიტაციო ღონისძიებების განხორციელებას; ოჯახში ძალადობის პრევენციის უზრუნველსაყოფად დაინტერესებულ ინსტიტუტებთან ერთად ერთობლივი პროგრამების შექმნასა და მხარდაჭერას.

# როგორ უნდა მოვიქცეთ თუ ავტომობილში წყალი აგვიდუღდა

***სიცხეების მოახლოებასთან ერთად, საკმაოდ აქტუალური გახდა ავტომობილში წყლის პრობლემები, რასაც ძალიან ხშირად ძრავის დაზიანებამდე მივყავართ. როგორ უნდა მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, თუ წყალი ნორმალურ მდგომარეობას გადასცდა და რა დატვირთვა აქვს თერმოსტატს, ამაზე მევლუდ მელაძე ისაუბრებს:*** ძრავა მაღალ ტემპერატურაზე მუშაობს და, როდესაც გახურებაში გარემო პირობებიც ეხმარება, უფრო ურთულდება

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
>
> **მიხაილ შუმახერი**

მუშაობა. გაზაფხულიდან და მით უმეტეს ზაფხულში ძალიან ბევრი ადამიანი გადის ქალაქგარეთ, აგარაკებზე, რაც ძალიან დიდი დატვირთვაა იმ მანქანისთვის, რომელსაც პრობლემა აქვს.

– **რა იწვევს წყლის ადუღებას?**

– თუ მანქანა წყლის ადუღებას ზამთარში, ანუ სიცივეში იწყებს, ეს სულ სხვა პრობლემებთანაა დაკავშირებული. მაგრამ, ძირითადად, ეს სიცხეში იჩენს ხოლმე თავს. აღმართზე ასვლისას ძრავას მეტი ძალის გამომუშავება უწევს, ამასთან, მასზე გარე ტემპერატურაც მოქმედებს და ერთიანობაში, ვიღებთ იმას, რომ წყლის ტემპერატურა 90 გრადუსს სცდება. თუ მანქანის წყლის სისტემა გამართულია, წყალი ნორმაზე მეტად არ დუღდება. წყლის სისტემაში არსებობს ასეთი ნაწილი – თერმოსტატი, რომელსაც ზედმეტად მაღალ ტემპერატურაზე, ადუღებამდე წყალი გადააქვს გაგრილების სისტემაში. ანუ, ის კრავს წრედს ძრავასა და რადიატორს შორის. რადიატორში ასხია წყალი, რომელიც შედის ძრავაში, ხურდება, ისევ მოდის რადიატორში და მისი მეშვეობით გრილდება. ეს ცირკულაცია არ უნდა დაირღვეს. წარმოიდგინეთ, თერმოსტატი სარქველია, რომელიც ისეთ ადგილას არის დამონტაჟებული, რომ მისი გაღების შემდეგ, ცხელი წყალი რადიატორში გადადის. ანუ, მაშინ იხსნება, როდესაც წყალი საკმარისად გაცხელდება და მას გაგრილება სჭირდება. ამ დროს ირთვება რადიატორის „ფენი" და გაგრილებული წყალი ხელახლა შედის ძრავაში. არის შემთხვევები, როცა თერმოსტატი ილუნება, თავის თვისებებს კარგავს და აღარ იხსნება. ანუ, ძრავაში მხოლოდ ცხელი წყალი ბრუნავს.

– **მაგრამ ხშირად თერმოსტატს საერთოდ იღებენ.**

– გაფუჭების შემთხვევაში, თერმოსტატი აუცილებლად უნდა გამოიცვალოს. მისი გაუქმება წყლის სისტემაში კატეგორიულად მიუღებელია. ძველ მძღოლებს სჩვევიათ ამის გაკეთება, მაგრამ, ხშირად ისე შემოეპარებათ ხოლმე ზამთარი, რომ ძრავას ვერანაირად ველარ ათბობენ და იწყება სერიოზული პრობლემები. რა ხდება ამ დროს?! თერმოსტატის გაუქმების შემდეგ პირდაპირი ცირკულაცია ხდება: რადიატორიდან ძრავაში პირდაპირ გადაედინება გრილი წყალი და ისე რომ გათბობას ვერ ასწრებს, ბრუნდება უკან, რადიატორში. ანუ, წყალი სულ გრილია. სიცივეში ეს უკვე საშინელებაა, რადგან ძრავა შეიძლება, გაიყინოს და გადასაგდები გახდეს.

– **რა გავაკეთოთ, თუ წყალი უცებ აგვიდუღდა?**

– პირველ ყოვლისა, აუცილებლად უნდა გავაჩეროთ მანქანა, „კაპოტი" ავხადოთ და ვაცადოთ მანქანას გაგრილება. როგორი სიცხეც არ უნდა იყოს, ჩართეთ ღუმელი, თან – მაქსიმალურ სიმხურვალეზე, რომ ღუმელში ცხელი წყლის გადმოდინება მოხდეს. დაახლოებით თხუთმეტი-ოცი წუთის შემდეგ, ძალიან ნელა, ისე რომ, იქიდან ამოსროლილმა ორთქლმა არ დაგწვათ, მოხადეთ წყლის ავზს ხუფი. ცოტა ხანს კიდევ აცადეთ გაგრილება და მხოლოდ ამის შემდეგ ჩაამატეთ წყალი. მაგრამ, ეს არ ნიშნავს, რომ ამით მდგომარეობა გამოსწორდა. ეს ხერხები, უბრალოდ, დაგეხმარებათ დანიშნულების ადგილამდე, ან ხელოსანთან მისვლაში. ზოგი ერთი კვირა და ათი დღეც კი დადის ამ პრობლემით, სანამ ძრავას „პრაკლადკას" ანუ საფენს არ დაწვავს. მარტივ თეზისებად ჩამოვაყალიბოთ ეს თემა – წყალი დუღდება მაშინ, თუ: პირველი – რადიატორის ავზი ან რომელიმე მილი წყალს აპარებს; მეორე – როცა თერმოსტატი დროულად არ ხსნის სარქველს, მესამე – „პრაკლადკა" დამწვარია, ძრავა ჰაერს იპარავს, წყლის სისტემაში წნევა იზრდება და იწყება დუღილი. ერთი რამის თქმა მინდა აუცილებლად: თუ წყლის სისტემა გამართულად მუშაობს, ყველაფერი წესრიგშია და თავის საქმეს აკეთებს, მაშინ წყალი ორმოცდახუთ გრადუსზეც არ ადუღდება.



**რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი მევლუდ მელაძე**

**ჟურნალი „თბილისელები" გირჩევთ:**

** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*

** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*

** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*

** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*

*გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**მოამზადა
სალომე გველესიანმა**

# ვეტერინარის რჩევები

**კითხვა**: **ჩემს ძაღლს ბოლო დროს ახველებს. რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი?**

**პასუხი**: ხველის მიზეზი შეიძლება იყოს სხვადასხვა, მაგალითად, სასუნთქი სისტემის პათოლოგიები, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები, მაგრამ, მაინც, ხველის ძირითად მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ზემო სასუნთქი გზების პათოლოგიები: ლარინგიტი, ლარინგო-ფარინგიტი, ტრაქეიტი, ტრაქეის სიმშრალე – კოლაფსი. ქვემო სასუნთქი გზების დაავადებები და ხველა დამახასიათებელია მწვავე და ქრონიკული ბრონქიტის, ბრონქოპნევმონიისა და პნევმონიისათვის.

**კითხვა**: **ყველა ცხოველი შეიძლება მუნით დაავადდეს?**

**პასუხი**: დერმატოფიტებით ავადდება თითქმის ყველა სახის შინაური და გარეული ცხოველი: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ცხენი, ღორი, ძაღლი, კატა, ბოცვერი და ბეწვიანი ნადირი. აუცილებელია, გვახსოვდეს, რომ სოკოვანი დაავადებებით ავადდება ადამიანიც, თუმცა, იმის საშიშროება, რომ ადამიანი შეიძლება შინაური ცხოველებისგან დაავადდეს, ძალიან მცირეა. ცხოველისგან მუნის გადადება ემუქრება მხოლოდ იმათ, ვინც განიცდის იმუნოდეფიციტს; ასევე, ბავშვებს 3-დან 5 წლამდე და ასაკოვან ადამიანებს. ხშირად მუნით ავადდებიან მოზარდი შინაური ცხოველები, 1 წლამდე ასაკის ლეკვები და კნუტები. დაავადების გავრცელებას ხელს უწყობს არახელსაყრელი მოვლა-შენახვის პირობები; ასევე, გამოფენებზე და ცხოველთა სხვა თავშეყრის ადგილებზე სანიტარულ-ზოოჰიგიენური წესების დაუცველობა. დაავადების აღმძვრელ წყაროდ ითვლება დაავადებული ცხოველი, რომელიც აავადებს ჯანმრთელ ცხოველებს კონტაქტის საშუალებით. დასნებოვნება ხდება, ძირითადად, დაზიანებული კანის საშუალებით, ნაკაწრებით, ნაკბენებითა და ნაფხაჭნებით. ასევე, დასნებოვნებაში დიდ როლს ასრულებს ცხოველის სხვადასხვა აქსესუარის, მაგალითად, საყელოს, საწელურის, ალიკაპის და ღვედის დაბინძურება. როგორც ცხოველის, ასევე, ადამიანის დასნებოვნებასა და დაავადების გავრცელებაში დიდ როლს თამაშობენ უპატრონო ძაღლები და კატები.

**კითხვა**: **რა სახით უნდა მიიღოს ძაღლმა მშრალი საკვები?**

**პასუხი**: მშრალი საკვები შეგიძლიათ მისცეთ ძაღლს როგორც მშრალ ისე დამბალ მდგომარეობაში, დასალბობად კი, უმჯობესია, სასმელი წყალი გამოიყენოთ. ასევე, ისიც გაითვალისწინეთ, რომ ძაღლს ჭურჭელში ყოველთვის სუფთა წყალი უნდა ესხას. ამიტომ ბოლომდე დალეულიც რომ არ ჰქონდეს, აუცილებლად გადააქციეთ და ჭურჭელი ახალი წყლით შეავსეთ. ხშირად ძაღლს აძლევენ სახლში დამზადებულ კერძებს, რაც მიზანშეწონილი არ არის. მიუხედავად ყველა რეკომენდაციის ზედმიწევნით გათვალისწინებისა, აღნიშნული რაციონი ვერ იქნება დაბალანსირებული და, შეიძლება, სხვადასხვა დაავადება გამოიწვიოს.



**რუბრიკას უძღვება ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი ზაქრო ბაჯიაშვილი**

> **ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.**
>
> **ჯეიმს დუგლასი**

**მოამზადა
მარიკა ხიდურელმა**




სოფიკო ჭიაურელის კინო როლი
ციდან მხტომელის ინვენტარი
ესპანელი მეკარე
ხაიამის ლექსი
მაკეტი
ბრიჯიტ ბარდოს კინო-როლი
ხილის შიგნითაა
1
უარყოფის ნაწილაკი
(......) ჯაფარიძე
ხაზი სიტყვებს შუა
აშშ-ს შტატი
გრძელი ძაღლი
ჩუკოტკელი
ძიუდოს ქულა
დილის საჭმელი
მშვილდ-ისარი
ესკორტი
(.......) მატერი
....ახმადულინა
საგარეჯოს სოფელი
ჭადრაკის ჩიხი
ტაში
2
საბერძნეთის ისტ. ოლქი
(.....) და ნაღარა
გია ფერაძის კინო-როლი
ქვეყნის ხალხი
ქურქელი
ცრუ-მოძრაობა
(.......) კუროსავა
ჰიტლერის ცოლი
ვიქტორია მოკლედ
აქვს თვალს
მწყემსი
სარწეველა
სოფიკო ერთ სომხურ ფილმში
3
„ვედრო"
8
სამუშაო ფართი
თურქეთის დედაქალაქი
რხევათა სიხშირის საზომი ერთეული
მარადიული ქალაქი
საბერძნეთშია
ხილია ასეთი
პუშკინის გრძნეული ქალი
საპერანგე ქსოვილი
წითელი დღე
არგენტინელი ფეხბურთელი
ავადმყოფობა
ქართული გაზეთი
მომღერალი რაფაელა
სალბუნი
ფულის გაშვება ბრუნვაში
მუსიკალური საკრავი
შავგულიძის კინო როლი
ცირკშია
ნუსხა
თამაში ცხენებით
მე-11 არმიას შემოუძღვა
ცეცხლის მიღების საშუალება
4
კამბოჯა ანუ?
გერდას ძმობილი
თავდადებული კაცი
მაგარი ქანი
გერმანელი აზნაური
მეტყველების ნაწილი
ქალაქი ჩილეში
პარიზის აეროპორტი
ცეცხლის ენა
.....ჰეპბერნი
რა არის სუაჰილი?
სამეზობლოს დედაქალაქი
გზის საფარი
5
პოეტი (.......) იაშვილი
მწყობრიდან გამოსვლა
7
მანქანის მარკა
(......) და მარო
ცისარტყელას ქალღმერთი
ჰიპერტონია
იყო ასეთი მოკლემეტრაჟიანი ფილმი ქიშოს შესახებ, გახსოვთ?
რიცხვითი სახელი
(.......)-დიდება
აბრაამის ცოლი
მოწმის მისაცემი
ახლო აღმოსავლეთის რეგიონი
ფანჯრის ნაწილი
6
ჩვენი მდინარე
სტატუსის ნახევარი
მაღალი ზე
....და 40 ყაჩაღი
ალკოჰოლური სასმელი
სამზარეულოს ინვენტარი
რუსთაველის კალამი
გიტარისტი (......) კინგი
დაუნდობელი

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | 1 | | | | | | | | | 1 | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | 10 | | | | | | | | | 3 | 1 | 1 | | | | | | | | | |
| | | | | 3 | | | | 15 | 2 | | | 1 | 10 | 10 | 1 | | 12 | 4 | 2 | 1 | | | | | | | | | |
| | | 5 | 5 | 6 | 13 | | 21 | 3 | 3 | 21 | 22 | 15 | 5 | 1 | 7 | 13 | 2 | 3 | 6 | 5 | | | | 2 | | | | | |
| 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 9 | 20 | 1 | 2 | 2 | 2 | 1 | 4 | 5 | 12 | 12 | 6 | 4 | 3 | 2 | 1 | 1 | 7 | 9 | 2 | 9 | 9 | 2 | 9 | 8 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 2 | 2 | 2 | 5 |
| | 1 | 2 | 2 | 2 | 2 |
| 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 |
| | | | | 5 | 10 |
| | | | | 1 | 15 |
| | | | | 2 | 14 |
| | | | | | 16 |
| | | | | | 16 |
| | | | | | 17 |
| | | | | | 16 |
| | | | | 10 | 4 |
| | | | 9 | 1 | 4 |
| | | | 8 | 1 | 2 |
| | | | | 12 | 2 |
| | | | 3 | 6 | 2 |
| | | | 3 | 6 | 3 |
| | 3 | 7 | 1 | 1 | 6 |
| | | 3 | 7 | 2 | 8 |
| 3 | 2 | 4 | 2 | 2 | 2 |
| | | 13 | 2 | 2 | 2 |
| | | 15 | 2 | 2 | 2 |
| | | 16 | 2 | 2 | 2 |
| | 6 | 7 | 2 | 2 | 2 |
| | 6 | 3 | 7 | 5 | 2 |
| 5 | 5 | 2 | 3 | 4 | 2 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

## ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | | 4 | 8 | 1 | | 7 | 9 | 2 |
| 9 | 5 | | | | 4 | | 8 | |
| | 2 | | 6 | 9 | 3 | 5 | | 1 |
| | 8 | | 7 | 6 | 1 | 9 | | 4 |
| 4 | 9 | 6 | 5 | | | 8 | 1 | |
| 2 | | 7 | | 4 | 8 | | 3 | |
| | 4 | | 3 | | 7 | 1 | 6 | 9 |
| 1 | | 9 | | 8 | | 2 | | 3 |
| | 6 | | 1 | 5 | | 4 | 7 | 8 |

## რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 7 | | 5 | | | 4 | | 3 |
| 1 | | 4 | | 9 | | | 7 | |
| | 8 | | 4 | | | | | |
| 4 | | 3 | | | | 1 | 2 | 7 |
| | | 1 | | | | | | 8 |
| 7 | | | 3 | | 1 | | 6 | |
| | 4 | | 1 | | | | 3 | 9 |
| 3 | 9 | 5 | | | | | | 1 |
| | | | 9 | | | 5 | 8 | |

# ნამდვილია თქვენი სიყვარული?



*გჯერათ, რომ წლების შემდეგაც ისე გეყვარებათ ერთმანეთი, როგორც დღეს გიყვართ? შეამოწმეთ ამ ტესტით, ნამდვილია თუ არა თქვენი გრძნობა.*

**1. რომელი ფრაზა უფრო შეეფერება თქვენს ურთიერთობას?**
ა) ჩვენ მონათესავე სულები ვართ;
ბ) ძალიან განსხვავებულები ვართ და ამით ვიზიდავთ ერთმანეთს;
გ) ერთმანეთის იდენტურები ვართ.

**2. როდისმე გიფიქრიათ, რომ შეგიძლიათ, უღალატოთ პარტნიორს?**
ა) არა, არასოდეს;
ბ) ზოგჯერ ყოფილა ასეთი შემთხვევა;
გ) უნდა ვაღიარო, რომ საკმაოდ ხშირად.

**3. რას მოიმოქმედებდით, თუ გაიგებდით თქვენი რჩეულის ღალატის შესახებ?**
ა) მაშინვე მივატოვებდი;
ბ) ჯერ აუცილებლად დაველაპარაკებოდი და მერე გავარკვევდი, როგორ მოვიქცეოდი;
გ) დავძლევდი ტკივილს და ვაპატიებდი, მივცემდი შანსს.

**4. როგორ გამოიყურება თქვენი ჩხუბი პარტნიორთან?**
ა) ზოგჯერ ძალიან მაგრად ვჩხუბობთ, მაგრამ ერთმანეთს შეურაცხყოფას არ ვაყენებთ;
ბ) არ ვიცი, არასდროს გვიჩხუბია;
გ) საშინლად ვილანძღებით და ხმამაღლა ვყვირით.

**5. რამდენ დროს ატარებთ ერთმანეთის გვერდით;**
ა) სამწუხაროდ, ძალიან ცოტა დროს;
ბ) საღამოს სულ ერთად ვართ. დასვენების დღეებსაც ერთად ვატარებთ;
გ) ვცდილობთ, ერთმანეთს თავი არ მოვაბეზროთ.

**6. თქვენი პარტნიორი უგებს თქვენს დაქალებს?**
ა) ზოგიერთს საერთოდ ვერ ამჩნევს;
ბ) მშვენივრად. ჩვენ საერთო მეგობრები გვყავს;
გ) ძალიან ძნელად იტანს, მძიმედ...

**7. შეიცვალა თქვენი მეუღლე მას შემდეგ, რაც ერთად დაიწყეთ ცხოვრება?**
ა) საერთოდ არა.
ბ) დიახ, მაგრამ, მხოლოდ კარგი მიმართულებით;
გ) სამწუხაროდ კი... და, უარესობისკენ.

**8. რას შეცვლიდით მასში, ამის საშუალება რომ გქონდეთ?**
ა) გრძელი ჩამონათვალი გამოვა;
ბ) მხოლოდ რამდენიმე დეტალს;
გ) არაფერს. ისეთი მიყვარს, როგორიც არის.

**9. როგორია მისი და თქვენი მშობლების ურთიერთობა?**
ა) არანაირი. თითქმის არა აქვთ ურთიერთობა;
ბ) ასე მგონია, პარალელურ სამყაროებში ცხოვრობენ;
გ) მათ ძალიან უყვართ ერთმანეთი.

**10. ფიქრი იმაზე, რომ მასთან ერთად დაბერდებით...**
ა) ძალიან მომწონს;
ბ) ცოტათი მაშინებს;
გ) არ მესახება რეალურად.

**11. რა არის თქვენი ურთიერთობის საფუძველი?**
ა) ვნება;
ბ) სითბო და სიყვარული;
გ) საერთო ინტერესები და მიზნები.

**ტესტის გასაღები**

| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ა | 3 | 3 | 1 | 3 | 1 | 3 | 2 | 1 | 1 | 3 | 1 |
| ბ | 1 | 2 | 3 | 2 | 2 | 2 | 3 | 3 | 2 | 2 | 2 |
| გ | 2 | 1 | 2 | 1 | 3 | 1 | 1 | 2 | 3 | 1 | 3 |

**შედეგები:**

*11-22 – თქვენი გრძნობა ძლიერი და ყოვლისმომცველია. საწოლშიც და ჩვეულებრივ ურთიერთობაშიც შესანიშნავად უგებთ ერთმანეთს, მაგრამ, დროთა განმავლობაში მეტად უნდა მოუსმინოთ მას, ანუ პარტნიორს. პრინციპში, თქვენ შორის არის სიყვარული.*

*22-33 – თანაბარუფლებიანი პარტნიორები ხართ. ბევრი რამ გაქვთ საერთო. ბოლომდე გახსნილები ხართ და ეს კარგია. გირჩევთ: ყველაფრის ერთად კეთება არ არის საჭირო. მყარი ქორწინებისთვის აუცილებელია ცოტა ინტრიგა და იმპულსები, რათა თავიდან აირიდოთ კრიზისი ურთიერთობაში.*

## ჩხვლეტია და საშინელი!..

სამედიცინო შპრიცმა ადამიანები ტკივილისგან იხსნა. დიახ, იყო დრო, როდესაც შპრიცი საერთოდ არ არსებობდა და ადამიანებს მასზე წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ. დღეს ბევრს შპრიცის დანახვაზეც კი გული მისდის, მაგრამ ეს მეტისმეტად საჭირო ნივთია. როდის „დაიბადა“ შპრიცი, ამის თქმა ზუსტად შეუძლებელია, მაგრამ მისი შექმნის ისტორია კარგად არის ცნობილი...



2000 წლის წინათ, ძველბერძენმა ექიმმა, „მედიცინის მამამ“ – ჰიპოკრატემ, შპრიცის მაგივრად პირველად გამოიყენა ბამბუკის პატარა მილაკი, რომლის ერთ ბოლოშიც ღორის შარდის ბუშტი იყო მიმაგრებული. ეს იყო შპრიცის მსგავსი პირველი მოწყობილობა. საკმაოდ დიდი დრო გავიდა, სანამ 1648 წელს ფრანგმა ფილოსოფოსმა, მათემატიკოსმა და ფიზიკოსმა ბლეზ პასკალმა შეისწავლა სითხის მოძრაობა წნევის ქვეშ და გამოიგონა შპრიცის მორიგი პროტოტიპი-მოწყობილობა, რომელშიც შედიოდა ნემსი და პრესი. ინიექციის მცდელობა პირველად მეჩვიდმეტე საუკუნეში განხორციელდა. ამავე დროს, ერთდროულად ორმა მეცნიერმა სცადა შპრიცის მსგავსი მოწყობილობის შექმნა: ლონდონში – კრისტოფერ რენმა, ხოლო გერმანიაში – იოჰან ელსჰოლცმა. სწორედ ელსჰოლცმა სცადა, გაეკეთებინა ადამიანისთვის პირველი ინიექცია – გადაესხა სისხლი ერთი ადამიანისგან მეორე ადამიანისთვის, რისთვისაც გამოიყენა ჩიტის ბუმბულის ღერო...

ნამდვილი შპრიცი მრავალჯერადი გამოყენებისთვის მხოლოდ 1853 წელს გამოიგონეს და ისევ ერთდროულად ორი ადამიანი მივიდა აქამდე: შოტლანდიელი ალექსანდრ ვუდი და ფრანგი შარლ გაბრიელ პრავასი. პრავასმა თავისი გამოგონება პირდაპირ შესთავაზა ქირურგებს.

ეს პირველი შპრიცები იყო ნემსით დაბოლოებული კაუჩუკის ცილინდრები. 1894 წელს კი პირველი შუშის შპრიცები გამოჩნდა, რათა მოხერხებული ყოფილიყო მათი სტერილიზაცია. მათი ავტორი იყო შუშის მბერავი ოსტატი – ფრანგი, ვინმე ფურნიე. შპრიცების წარმოება მეცხრამეტე საუკუნეში დაიწყო ფრანგულმა ფირმა „ლუერმა.“ დღეს მთელ დედამიწაზე მხოლოდ ერთჯერადი შპრიცები გამოიყენება. ერთჯერადი შპრიცის ავტორი კი გახლავთ ექიმი კოლონ მერდოკი. ეს აზრი მას 1956 წელს, თვითმფრინავის ბორტზე ყოფნისას მოუვიდა.

**გვერდი მოამზადა**
**ელენე წულუკიძემ**

# წამოეგო

## ფრენკ პილჩერი

პოლ ფრენკსი უკვალოდ გაუჩინარდა და უკვე თითქმის ერთი წელი ხდებოდა, მის შესახებ არავის არაფერი გაეგონა. პატარა ქალაქ ჰარისონში პოლი თითქმის ლეგენდად იქცა. ერთნი ამტკიცებდნენ, ამნეზია დაემართა და ახლა სადღაც ტაიტიზე, სანაპიროზეა წამოწოლილიო... მეორენი ამბობდნენ, ეტყობა, ცოლს გაექცა და სახელიც და გვარიც შეიცვალაო... მხოლოდ ცნობისმოყვარეების უმნიშვნელო ნაწილი ვარაუდობდა, რომ პოლი ცოცხალი აღარ იყო და მათ შორის აღმოჩნდა პოლის მეუღლე – ვერაც. ქალმა ლამის რკინის ქალამნები ჩაიცვა და პოლიციელებს კარი აუტალახა მოთხოვნით, მოეძებნათ მისი ქმრის გვამი. ამტკიცებ-



და – პოლს მე ძალიან ვუყვარდი და ის არასდროს მიმატოვებდაო... პოლი კი არც მკვდარი ჩანდა, არც ცოცხალი. მხოლოდ ერთმა ადამიანმა – პოლ ფრენკსის ბავშვობის მეგობარმა, სტივ საიმენმა იცოდა, სად იყო პოლი და რა დაემართა მას. იცოდა იმიტომ, რომ საკუთარი ხელით გაამგზავრა საიქიოს. მოკლა და მისი გვამი საგულდაგულოდ ჩამარხა ქალაქის განაპირას, ძველ ფერმაში. რატომ უნდა მოეკლა სტივს საუკეთესო მეგობარი? პოლი მთელი ცხოვრება ყოველთვის ყველაფერში სჯობნიდა სტივს. ცოლადაც კი ის ქალი მოიყვანა, რომელზეც სტივი უსაზღვროდ იყო შეყვარებული. თუმცა, სანამ პოლი არ მოკლა, ვერ გრძნობდა, როგორ ძალიან სძულდა ის... იმ საბედისწერო საღამოს მოხდა გარდატეხა სტივის ფსიქიკაში. ვერა ნიუ-იორკში გაემგზავრა დედასთან. პოლმა დაურეკა და სთხოვა სტივს, მასთან კარტის სათამაშოდ მისულიყო. პოლისთვის აზარტული თამაშები სერიოზული გატაცება იყო და ვერასთან ამის ნიადაგზე არაერთხელ მოსვლია კონფლიქტი. მართალია, სტივს ყოველთვის უგებდა და ვალი ერთხელაც არ მოუთხოვია, მაგრამ, იმ საღამოს ყველაფერი სხვაგვარად იყო: პოლი, რაღაცნაირად აღგზნებული და აფორიაქებული, თითქოს მტრული ტონით ელაპარაკებოდა, მაგრამ, თან, მეგობრულად უღიმოდა. მოულოდნელად უთხრა, დღეს ვალების გასტუმრების დრო დადგა. მე მახსოვს, რამდენი გაქვს ჩემი ვალი. მოდი, დავითვალოთ – თუ არ ვცდები, თანხა ოცდათოთხმეტ ათასზე ავიდა. მეც ზუსტად მაგდენს ჩამოვალ და წაგებულმა მთელი „კუში" აანაზღაუროს. კარტში, ადრე თუ გვიან, ვალების გასტუმრების დრო დგება – ეს კანონია, რომელიც უსიტყვოდ უნდა მიიღოო. სტივიც იძულებული გახდა, დათანხმებულიყო – პოლს შეეძლო ადამიანების საკუთარი ნებისთვის დამორჩილება...

პირველივე ხელზე სტივმა წააგო. უშვერად შეიგინა და პოლს უთხრა, რომ არ ენდობოდა მის დარიგებულ კარტს. პოლმა გადაიხარხარა:

– ეს სისუსტის ნიშანია, პატარავ. კარგი, მზად ვარ, კიდევ ერთი ხელი გეთამაშო. კარტიც შენ დაარიგე. კიდევ არ გჯერა, რომ ძლიერი ვარ?

სტივმა კარტი აურია. ხელები შესამჩნევად უკანკალებდა... ყვავის ქალი ამოუვიდა. თითქმის მოგებული ჰქონდა, მაგრამ პოლმა კარტი გახსნა და...

– შენი დედაც!.. – იბღავლა სტივმა, – სამი ტუზი? რაღაცას მატყუებ... – მერე უცებ, თავადაც ვერ მიხვდა, ეს როგორ მოხდა, მუშტი მთელი ძალით მოიქნია და პოლს ნიკაპში ქვემოდან ამოარტყა. პოლი სკამიანად გაიშხლართა იატაკზე. სტივი მაგიდას გადაახტა, პოლს ყელში სწვდა და მთელი ძალით მოუჭირა... როცა სალი განსჯის უნარი დაუბრუნდა, პოლი უკვე აღარ სუნთქავდა... ვინ დაუჯერებდა, რომ მეგობარი შემთხვევით შემოაკვდა?! ბევრი არ უფიქრია: ზემოთ ავიდა, სამგზავრო ჩანთაში პოლის ნივთების ნაწილი ჩააწყო – ზუსტად იმდენი, რამდენიც კაცს მოგზაურობისთვის სჭირდება. იქაურობა დაალაგა, ჩვრით ყველაფერი გაწმინდა, რასაც შეეხო... გვამი ჩანთასთან ერთად ჩადო მანქანაში და მიტოვებული ფერმისკენ გაემართა. გაუმართლა, რომ პოლი და ვერა განმარტოებით მდგარ ვილაში ცხოვრობდნენ და არავის დაუნახავს...

***

ვერა შავ ტანსაცმელში კიდევ უფრო ლამაზი მოეჩვენა...

– ის მკვდარია, მკვდარი, ამაში დარწმუნებული ვარ! ვუყვარდი და არ მიმატოვებდა. იქნებ, ვინმეს ვალი ჰქონდა და მოკლეს? კარტში ხომ ასე ხდება?

– არა, ვერა, არა... პოლს საკმარისზე მეტი ჰქონდა ფული, რომ ვალები არ აეღო.

– მაშინ, სხვას ჰქონდა მისი ვალი და, რომ არ დაებრუნებინა, მოკლა... – ჯიუტობდა ვერა.

სტივმა ამოიოხრა. ვერას გადარწმუნება ძნელი იყო. მაინც უყვარდა ეს ქალი, თუმცა იცოდა, რომ, ახლაც კი, პოლის სიკვდილის შემდეგ, არანაირი შანსი არ ჰქონდა.

– პოლმა ფული არ დაგიტოვა? დარწმუნებული ვარ, ექნებოდა შავი დღისთვის გადანახული.

– არა, საერთოდ არაფერი დამრჩა. დაზღვეული ვყავდი, თუ მას რამე დაემართებოდა, მაგრამ, სადაზღვევო კომპანია უარს ამბობს ფულის გადახდაზე, სანამ პოლის სიკვდილი დადასტურებული არ იქნება, ან, შვიდი წელი უნდა გავიდეს მისი გაუჩინარებიდან.

– მართლა? ცუდია. მე დაგეხმარებოდი, მაგრამ, ჩვენი საბროკერო ფირმა დაიხურა და ახლა მძიმე მდგომარეობაში ვარ.

– არა უშავს, აგარაკი გავყიდე და არ მიჭირს. პოლიციაზე ვარ გაბრაზებული, საერთოდ არაფერს აკეთებენ....

სტივი დაემშვიდობა ქალს და წამოვიდა. ფინანსური მდგომარეობა მართლა ძალიან მძიმე ჰქონდა: სამუშაო დაკარგა, ცოტა დანაზოგი, იმ იმედით, რომ თანხას გაზრდიდა, კარტში წააგო... ერთი კვირის შემდეგ ნაცნობ ბარმენს უჯდა წინ და სვამდა.

– შენი მეგობარი პოლის შესახებ ისევ არაფერი ისმის? – დაინტერესდა ბარმენი.

– არა. ვფიქრობ, ცოლი მიატოვა და ვინმე ლამაზმანთან ერთად გაიქცა.

ბარმენმა თავი გააქნია:

– არ არის ასე. ის, მგონი, ვიღაცამ მოკლა... გაუჩინარებამდე ორი დღით ადრე აქ იყო. სვამდა. ბევრი დალია და წაიტრაბახა, რომ სეიფში, ბანკში, საკმაო თანხა აქვს გადანახული. სეიფის გასაღებიც კი მაჩვენა. ზედ პატარა ბირკა ჰქონდა შებმული საიდუმლო კოდით. მერე საფულეში ჩადო. დარწმუნებული ვარ, სწორედ ამ ფულის გამო გაასაღეს.

სტივს პირი გაუშრა... გაახსენდა, რომ საფულე თან ჩაატანა საფლავში... ხელის მოწერის გაყალბებას, ალბათ, შეძლებდა – ეს არ იყო რთული, მაგრამ, იმის წარმოდგენაზე, რომ საფლავიდან მკვდარი უნდა ამოეთხარა, გააჟრჟოლა... სხვა გამოსავალი მაინც არ ჰქონდა. ერთი ჭიქა ვისკი კიდევ დალია და იმავე საღამოს, გვიან, ბარით შეიარაღებული გაეშურა მიტოვებული ფერმისკენ... ეშინოდა, რომ საფლავს მაშინვე ვერ იპოვიდა, მაგრამ გაუმართლა. ოთხი ფუტის სიღრმეზე რომ გათხარა, კარგად შენახული ფეხსაცმელი გამოჩნდა... განაგრძო თხრა და გვამი წელამდე ამოთხარა. მშრალ, ცხელ მიწას გვამი კარგად შეენახა... ჯერ შარვლის ერთი ჯიბე მოსინჯა, მერე მეორე და, ის იყო, საფულეს ხელი წაატანა, რომ თვალის მომჭრელმა შუქმა მის გარშემო ყველაფერი გაანათა... თვალები მოჭუტა და ისეთი მოძრაობა გააკეთა, თითქოს გაქცევას აპირებდა, მაგრამ, იმავე წუთში ხმამაღლა დაუყვირეს:

– სისულელე არ გააკეთო, საიმენ! ხელები მაღლა ასწიე და ისე ამობობღდი მაგ საფლავიდან! შენ დაპატიმრებული ხარ პოლ ფრენსკის განზრახ მკვლელობისთვის. გაქვს დუმილისა და ადვოკატის აყვანის უფლება.

უკვე ხელებზე ბორკილდადებულთან თვალცრემლიანი ვერა მივიდა:

– ვგრძნობდი, რომ ეს შენ იქნებოდი... ყველაზე ძალიან შენ ცდილობდი ჩემს დარწმუნებას იმაში, რომ პოლმა მიმატოვა... კერძო დეტექტივი დავიქირავე და ბარმენი მოვისყიდე... ვიცოდი, ვიცოდი, რომ წამოეგებოდი ამ სატყუარაზე... მე პოლს შენზე გაცილებით ძლიერ ვუყვარდი, ამიტომაც გავაკეთე არჩევანი მის სასარგებლოდ...

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**

ქვალ-სახსართა პათოლოგიების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა; დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა; მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე ძვლის მკვებავებით; წონის დაკლება თვეში 5-18 კილოგრამამდე, დიეტების, აკრძალვებისა და ვარჯიშების გარეშე, მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით; ასევე, სიმაღლეში ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსის განმავლობაში 3-5 სანტიმეტრის მომატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით; ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა – დანიშნულებით+ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

599-91-37-65 – ქ-ნი ქეთევანი; 2-47-58-83 – ოფისი.

# ქალური შურისძიება

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „თბილისელები“ №1-25(704)

ნანიტამ ახალ სიგარეტს მოუკიდა, ღრმა ნაფაზით თითქმის შუამდე ჩაიყვანა ღერი და მზიას თვალებში შეხედა:

– არ ვიცი, რატომ, მაგრამ, შენთან, აბსოლუტურად უცნობ ადამიანთან მომინდა



გულის გადაშლა... – ქალი ცოტა ხანს ისევ გაჩუმდა, მერე რაღაცნაირი კვნესით ამოისუნთქა და განაგრძო: – ის, რასაც ახლა გეტყვით, ჩემმა უახლოესმა მეგობარმაც კი არ იცის ბოლომდე. იმიტომ კი არა, რომ დავუმალე... მას კარგი წარმოდგენა აქვს ჩემზე და არ მინდოდა, აზრი შეცვლოდა. ეს იმიტომ კი არ გავაკეთე, რომ საკუთარ თავზე ვიზრუნე ამით, უბრალოდ, გული არ ვატკინე. ხომ გესმის, რასაც ვგულისხმობ? – ნანიტას ხმა აუკანკალდა და თვალებზე ცრემლი მოადგა.

მზიამ ისეთი თანაგრძნობით შეხედა, ქალმა მაშინვე იგრძნო, რომ არჩევანში არ შემცდარა – ეს გოგო სწორედ ის ადამიანი ჩანდა, ვინც მას ახლა ძალიან სჭირდებოდა.

– მე ახლა ჩემს ისტორიას მოგიყვები, ოღონდ, არ შემაწყვეტინო, თორემ, ველარ განვაგრძობ...

მზიამ უხმოდ დაუქნია თავი და მოსასმენად მოემზადა.

ნანიტამ გუგას გაცნობის დღით დაიწყო და ყველაფერი უამბო მზიას. ყვებოდა ჩუმად და სწრაფად, თითქოს ეშინოდა, არ გადაეფიქრებინა. მხოლოდ მაშინ წყვეტდა თხრობას, როცა სიგარეტის ახალ ღერს იღებდა კოლოფიდან და უკიდებდა.

თავის სადარბაზოში გუგასთან შეხვედრამდე რომ მივიდა, ნანიტამ იგრძნო, რომ ძალა ერთბაშად გამოელია და თხრობას ველარ შეძლებდა. გაჩუმდა და უმწეოდ შეხედა გვერდით მჯდარ გოგოს.

– ნუ ნერვიულობთ, ქალბატონო ნანიტა, შეიძლება, ასე ნებისმიერი ქალი მოიქცეს, – მისი დამშვიდება სცადა მზიამ.

– არა, არ შეიძლება. შენ არ იცი, რა შემომთავაზა გუგამ და რა მოვიმოქმედე მე. სიმართლე გითხრა, ჩემი მთავარი ტრაგედია ამ დღიდან იწყება. ჩემი ცხოვრებისეული დრამა მაშინ დაიწყო, როცა მე არასწორი არჩევანი გავაკეთე გუგასა და დიმიტრის შორის. მართალია, ამ შეცდომის გამოსწორება ბევრჯერ შემეძლო, მაგრამ ვერ გადავდგი გადამწყვეტი ნაბიჯი – გავშორებოდი ამ გარყვნილ კაცს; შედეგად კი მივიღე ის, რომ შვილებს ბავშვობა და მომავალი წავართვი, რომ აღარაფერი ვთქვა საკუთარ თავზე...

– მაშინ ძალიან ახალგაზრდა იყავით, ახალგაზრდებს კი ძალიან ხშირად მოსდით შეცდომა, – თქვა მზიამ.

– ჰო, ალბათ, ეგეც არის მიზეზი. 18-20 წლისას გგონია, რომ სულ ამ ასაკში იქნები, რომ ყველაფერი ჯერ კიდევ წინ გაქვს და ეს „ჯერ კიდევ წინ“ უსასრულოდ გაგრძელდება; მაგრამ, ერთხელაც, გაიღვიძებ დილით, ჩაიხედავ სარკეში და, პატარა გოგოს აციმციმებული თვალების ნაცვლად, იქიდან უკვე ჭაღარაშერეული და ცხოვრებით დაღლილი, არა, ცხოვრებით კი არა, მოლოდინით დაღლილი გამოსახულება გიყურებს, რომელიც ოდესღაც შენ იყავი და, მაშინ მიხვდები, რომ შენ – შენ აღარ ხარ, რადგან, ის ცისფერი და ვარდისფერი დღეები, რომლებიც, გეგონა, რომ აუცილებლად დადგებოდა, ისე აღმოჩნდება შენს წარსულში, რომ ვერც კი გაიგე, იმიტომ, რომ ის დღეები არც არასდროს დამდგარა შენს ცხოვრებაში – უბრალოდ, გვერდით ჩაგიქროლა... – ნანიტა გაჩუმდა და თვალი ისევ სივრცეს გაუშტერა.

– ეს ყველას ცხოვრებაში მეტ-ნაკლებად ასე ხდება, – სევდიანი ხმით თქვა მზიამ, – ხდება იმიტომ, რომ არ ვაფასებთ იმას, რაც გვაქვს და რაღაც განსაკუთრებულს ვეძებთ, მაგრამ, როცა ვკარგავთ იმას, რაც გვაქვს, მხოლოდ მაშინ ვხვდებით, რომ ბედნიერება გვერდით გვქონია, ჩვენ კი მას ვერ ვხედავდით.

– ჰო, – დაეთანხმა ნანიტა, – მაგრამ, ეს ბედნიერება რომ შეინარჩუნო, ან, სულაც, ნაოცნებარი ბედნიერება რომ მოიპოვო, ცოტა ხელიც უნდა გაანძრიო.

– ეგ, რაღაც, ვერ გავიგე, – უხერხულად ჩაიჩურჩულა მზიამ.

– უმოქმედო, პასიური არ უნდა იყო. არის ასეთი გამონათქვამი: „არ შეიძლება, მთელი ცხოვრება იცხოვრო ტბის ნაპირას“. ეს მართლაც არ შეიძლება. ოდესღაც აუცილებლად დადგება წუთი, როცა მისი გადაცურვა მოგინდება და ეს მაშინვე უნდა გააკეთო, არ უნდა გადადო... მე დავმარცხდი არა დიმიტრისთან ან ვინმე სხვასთან, არამედ, საკუთარ თავთან, რადგან, როცა ეს წუთი დამიდგა, თანაც, არაერთხელ, თითიც არ გავანძრიე, არაფერი მოვიმოქმედე იმისთვის, რომ შემეცვალა ჩემი ცხოვრება, რომელსაც ცხოვრებას ვერც დავარქმევ. სამაგიეროდ, ამ ტბის გადაცურვა მოვინდომე მაშინ, როცა ეს არ უნდა გამეკეთებინა. არ უნდა გამეკეთებინა იმიტომ, რომ ეს აღარ იყო ხსნის ან ახალი ცხოვრების გზა, ეს იყო ბრაზით, ტკივილით, წყენით ნაკარნახევი შურისძიება ვითომ დიმიტრიზე, მაგრამ, მერე მივხვდი, რომ უფრო საკუთარ თავზე ვიძიებდი შურს. ამიტომაც დავმარცხდი...

– ეს ნაბიჯი გუგას უკავშირდება? – მიუხვდა მზია.

– ჰო... – ამ პატარა სიტყვას კვნესა ამოაყოლა ნანიტამ, – ერთ დღეს გუგა სადარბაზოსთან დამხვდა, მერე ძალით ამომყვა სახლში და ისეთი რამ შემომთავაზა... ყველაფერს ვიფიქრებდი, მაგრამ, გუგა თუ ამ ზომამდე დაეცემოდა, ვერც კი წარმოვიდგენდი... მითხრა, რისთვისაც მოვიდა, დამიტოვა ტელეფონის ნომერი და წავიდა, დარწმუნებული, რომ მე თვითონ დავურეკავდი, გესმის?! – უცებ იყვირა ნანიტამ და ტირილი დაიწყო.

– ასე ძალიან ნუ იტანჯავთ თავს, ქალბატონო ნანიტა, – მზიამ ატირებული ქალის თავი მხარზე მიიყრდნო და მოეფერა, – ეს საქციელი მის დაცემულობაზე მეტყველებს.

– არა, – ამოისლუკუნა ნანიტამ, – მე უარესი აღმოვჩნდი – მეორე დღესვე დავურეკე და შეხვედრა ვთხოვე... ვიცოდი, რომ ეს არ უნდა გამეკეთებინა, მაგრამ, უმძიმესი დღეები მქონდა დიმიტრის ბოლო არა-


ერთო ჯგუფი
როდესაც ომი
დამთავრდა,
კრიზისი დამთავრდა
და არჩევნები დამთავრდა
მაშინვე ბულბულის
და ტოროლას სტვენასავით
გაისმა ტელეფონის ზარები:
ალო,
მიწა მინდა
7 მილიონი მაქ
ალო,
მაღაზია მინდა
1 მილიონი მაქ
ალო,
ბინა მინდა
500 000 მაქ
ალო..............................
მარიკა 599 24 28 31

კაცობის გამო და მთელი ჩემი არსება შურისძიებით იყო მოცული. ახლა ვხვდები, რას ნიშნავს სიტყვა „შეპყრობილი“ – სწორედ ეშმაკს ვყავდი შეპყრობილი და არც კი ვცდილობდი მისგან თავის გათავისუფლებას. მერე კი მოხდა ყველაზე საშინელი და ყველაზე დამამცირებელი... – ნანიტამ მზიას თვალებში შეხედა, – ფანტაზია არ გეყოფა, წარმოიდგინო, რა მოხდა ჩემი ზარის შემდეგ – ეს არავინ იცის, ჩემმა უახლოესმა დაქალმაც კი, მაგრამ, შენ გეტყვი...

– თუ გნებავთ, მეც ნუ მეტყვით, – ჩუმად თქვა მზიამ.

– არა, უნდა ვთქვა, იქნებ, დავიცალო ამ ტკივილისგან. დაქალს კი იმიტომ ვერ ვუთხარი, რომ, შემრცხვა, რადგან, როგორც უკვე გითხარი, ის ბავშვობიდან მიცნობს და ეს მისთვისაც მძიმედ გადასატანი იქნებოდა. შენ კი გუშინ გაგიცანი და ჩემზე წარმოდგენაც არ შეგეცვლება, რადგან, არ იცი, ვინ ვიყავი დიმიტრის გაცნობამდე და, არც ის მოგიკლავს გულს, როცა გაიგებ, ვინ ვარ ახლა, თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ გამიგებ როგორც ქალი ქალს... ამიტომ, რადგან დავიწყე, დავასრულებ კიდეც... – ნანიტამ ნერვიული მოძრაობით ამოიღო ჩანთიდან სიგარეტის კოლოფი და, ალბათ, მეათე ღერს მოუკიდა; ისევ ერთი ნაფაზით ჩაიყვანა შუამდე და განაგრძო: – მეორე დღესვე დავურეკე გუგას და ვკითხე, სად მოვიდე-მეთქი. თავისთან დამიბარა – იტალიური ეზოს ერთ პატარა ხუხულაში. გამოვეწყვე უკანასკნელი მეძავივით, რადგან, მინდოდა, ამით დამესაჯა თავი იმ საქციელისთვის, რასაც ჩავდიოდი. მაგრამ, გარეთ ასე გასვლა მაინც მომერიდა და გრძელი ლაბადა მოვიცვი. ზუსტად დათქმულ დროს მივედი. კარი ღია იყო და ოთახში შევედი, მაგრამ გუგა შინ არ დამხვდა. გამიხარდა კიდეც, ვიფიქრე, ცოტა აზრზე მოვალ-მეთქი. ლაბადა გავიხადე, სავარძელში ჩავჯექი და სიგარეტი მოვწიე. თითქმის ნახევარი საათი ველოდი. უკვე სიბრაზემ ამიტანა, მაგრამ, წასვლასაც ვერ ვახერხებდი – ისე ცუდად ვგრძნობდი თავს, მეშინოდა, ასე გამოწყობილი ქუჩაში არ წავქცეულიყავი და საერთოდ არ მომჭროდა თავი. მერე ოთახში ბოდიალი დავიწყე და მაგიდაზე დადგმულ შუშის ლარნაკზე დადებული შუაზე გაკეცილი ფურცელი დავინახე. მაშინვე გავშალე და წავიკითხე:

„ბოდიშს გიხდი ყველაფრისთვის. სახლში რომ დაგხვედროდი, ამას ვერასოდეს ვაპატიებდი საკუთარ თავს, მაგრამ, უნდა ვაღიარო, რომ დემონურ სიამოვნებას ვგრძნობ, როცა წარმოვიდგენ, რას განიცდი ახლა. შენთან რომ მოვედი, რაც გითხარი, ყველაფერი სიმართლე იყო, თუმცა, ვაღიარებ – მე დიმიტრიზე უარესი არაკაცი ვარ. არ მინდოდა, ასე მომხდარიყო, მაგრამ, ცოდვა გამხელილი ჯობს – ტკბილი ყოფილა სამაგიეროს გადახდით გამოწვეული კმაყოფილება. იყო დრო, როცა შენ უარმყავი, ახლა კი მე ვაკეთებ ამას და ეს ძალიან სიამოვნებს ჩემში ჩაბუდებულ ეშმაკს.

პატიებას არ გთხოვ, რადგან, ვიცი, რომ ჩემი საქციელის მიტევება შეუძლებელია...“ – ნანიტამ ერთი ამოსუნთქვით თქვა წერილის მთელი ტექსტი, თითქოს კითხულობსო, – ერთი წაკითხვით დამამახსოვრდა ზეპირად... ხომ წარმოგიდგენია, რა მომივიდოდა! არ მახსოვს, როგორ წამოვედი იქიდან. მახსოვს მხოლოდ ჩემი შვილების შეშინებული სახეები და სასწრაფო დახმარების ექიმი, რომელიც ვენაში ნემსს მიკეთებდა... იმ დღიდან კარგა ხანი გავიდა, მაგრამ, მთელი ეს წლები ვცხოვრობ ტკივილით, რომელსაც ვერაფრით ვიშუშებ და ვიშორებ. იმიტომ მომინდა შენთვის გულის გადახსნა – იქნებ ცოტა მომეშვას-მეთქი. ჩემი შვილები მამჩნევენ, რომ რაღაც ძალიან მაწუხებს, მაგრამ, ვერაფერს ვეუბნები, ტყუილიც კი ვერ მოვიგონე, რომ ჩემი ასეთი მდგომარეობა რაღაცით გავამართლო.

– რა ტყუილი, დედა? – იკითხა ახალგაზრდა გოგოს ხმამ.

ნანიტამ შეშინებულმა მიიხედა გვერდზე და სიგარეტი ხელიდან გაუვარდა.

– ნუცა?! – მხოლოდ ამის თქმა მოახერხა და იგრძნო, როგორ ჩაიძირა წყვდიადში.

***

მზიამ და ნუცამ, როგორც იქნა, მოასულიერეს გულწასული ნანიტა, გაჭირვებით მიიყვანეს ვაკის პარკის ქვედა შესასვლელამდე და ტაქსი გააჩერეს.

– ქალბატონო, შეგიძლიათ, რომ წამოგვყვეთ? – სთხოვა ნუცამ მზიას, – მეშინია დედასთან მარტო დარჩენა, ვაითუ გაუმეორდეს.

– რა თქმა უნდა, წამოგყვებით, მაგრამ, ნუ გეშინია, აღარ გაუმეორდება, – დაამშვიდა შეშინებული გოგო და მძღოლს ნანიტას მისამართი უთხრა.

– შენი ძმა სახლში იქნება? – ჰკითხა ნუცას და თან ქალს გახედა – ისევ ცუდად ხომ არ არისო.

– თორნიკე სამი თვის წინ წავიდა ამერიკაში. იქ ჩვენი ნათესავი ცხოვრობს, ვიზა გამოუგზავნა და სამსახურსაც შეჰპირდა.

– ქალები მარტო როგორ დაგტოვათ? – აღშფოთდა მზია, მაგრამ, უცებ მიხვდა, რომ სხვის საქმეში ყოფდა ცხვირს და შერცხვა, – ბოდიშს გიხდი... მაპატიე ჩემი უტაქტო სიტყვები.

– არა უშავს, – გაეღიმა გოგოს, – ყველას ასეთი რეაქცია აქვს, მაგრამ, თითოეულ მათგანს ცალ-ცალკე ხომ ვერ აუხსნი, რატომ გადადგა ეს ნაბიჯი... – ნუცა ზრდასრული, ცხოვრებით დაღლილი ქალივით ლაპარაკობდა და მზიამ ახლა გააცნობიერა, უფრო სწორად, თითქოს კანით შეიგრძნო ნანიტას წეღანდელი სიტყვები – შვილებს ბავშვობა წავართვითო. 16-17 წლის გოგოს ხმაში ბავშვობაგაუვლელი ქალის სევდა იგრძნობოდა.

შევიდნენ თუ არა სახლში, მზიამ ნანიტა აიძულა, დივანზე წამოწოლილიყო, თვითონ კი წნევა გაუზომა და დამამშვიდებელი წამალი დაალევინა. ნანიტა პატარა ბავშვივით ემორჩილებოდა, თითქოს სიამოვნებდა კიდეც, რომ მასზე ვიღაც ზრუნავდა.

ნუცამ დივანთან, პირდაპირ ხალიჩაზე მოირთხა ფეხი, დედას ხელები დაუკოცნა და სახეში სიყვარულითა და შიშით აღსავსე თვალებით შეაცქერდა.

– ჩემი დედიკო... – ჩურჩულებდა გოგო, – ნუ გეშინია, დე, სულ შენთან ვიქნები და აღარასოდეს აღარ გაგაბრაზებ... არც შენს თავს დავაჩაგვრინებ ვინმეს... ერთი გაბედოს და კიდევ გატკინოს გული, ნახავს, რაც მოუვა...

ნანიტამ მძიმედ გაახილა თვალი და შვილს გაოცებით შეხედა:

– ვის ემუქრები, ნუციკო?

– ყველას, ვინც შენ გაწყენინებს, – თქვა ნუცამ და თვალებში ავი ნაპერწკალი გაუკრთა, – შენ მაგივრად ყველას მე გადავუხდი სამაგიეროს! კაცებმა არ იციან, როგორი შურისძიება შეუძლია დაუმსახურებლად გულნატკენ ქალს!

– ნუცა, ნუ მაშინებ! – ხმა აუკანკალდა ნანიტას.

– ნუ გეშინია, დედიკო, შენს საწყენს არაფერს გავაკეთებ, მე მხოლოდ დაგიცავ.

– რას ამბობ, შვილო, – ისევ შეეშინდა ქალს, – მშობლები იცავენ შვილებს და არა პირიქით.

– კარგი, დე, ნუ ნერვიულობ, ეს ისე ვთქვი, – გაუღიმა შვილმა, – ცოტაც მოითმინე და მალე ჩვენც წავალთ თორნიკესთან.

ნანიტა რამდენიმე წუთს ჩუმად იყო და ნუცას თვალებით ეფერებოდა, მერე კი ძალიან ღრმად ჩაეძინა. მზია და ნუცა სამზარეულოში გავიდნენ

– ყავას დალევთ თუ ჩაის? – ჰკითხა გოგომ, – მურაბებიც გვაქვს, შოკოლადიც, ნაყინიც... რომელი გირჩევნიათ? ძალიან გთხოვთ, არ მოგერიდოთ.

– ცივი ყავა და ნაყინი მირჩევნია, ოღონდ, მე თვითონ გავაკეთებ.

– კარგი, მაშინ, მე გიყურებთ და ვისწავლი.

– სასწავლი ბევრი არაფერია, უნდა გააკეთო ცივი ყავა, მაღალ ჭიქაში შუამდე ჩაასხა და დარჩენილი ადგილი ნაყინით უნდა შეავსო. მერე ცოტა მოურიო და – მორჩა, მზად არის. ოღონდ, საწრუპელებით უნდა დაილიოს – ასე უფრო გემრიელია.

– სად ისწავლეთ? მართლა ძალიან მაგარია! – მოეწონა ნუცას, – გლიასეს წააგავს, მაგრამ, ბევრად უკეთესია.

– მგონი, ბათუმში ვისწავლე, აღარც კი მახსოვს.

ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. მზიას ძალიან უნდოდა, რამდენიმე კითხვა დაესვა გოგოსთვის, მაგრამ, ვერ ბედავდა – ეშინოდა, არ დაეფრთხო ან აგრესია არ გამოეწვია და სულ არ ჩაეშალა ყველაფერი. მერე გადაწყვიტა, ცოტა შორიდან მო-





ვუვლიო, მაგრამ, ნუცამ თვითონ დაუწყო გამოკითხვა:

– ვინ ბრძანდებით და დედაჩემს საიდან იცნობთ?

მზიას ტყუილები ისედაც არ ეხერხებოდა, მით უმეტეს, ახლა არ ჰქონდა აზრი ტყუილის თქმას და ძალიან მშვიდად უპასუხა:

– მზია მქვია. მე მამაშენის ექთანი და მომვლელი ვარ იმ დღიდან, ავარია რომ მოუვიდა და საავადმყოფოში მოიყვანეს.

– აა... ახლა გამახსენდით – რეანიმაციაში თქვენ არ იყავით, პალატიდან რომ მაგდებდით?

– რეანიმაციაში გარეშე პირთა შესვლა აკრძალულია და ამიტომ გთხოვდი, გადი-მეთქი, – იუხერხულა მზიამ

– ჰო, კარგი, არა უშავს, – ხელი ჩაიქნია გოგომ, – მამაჩემის ექთანი რომ ხართ, გავიგე, მაგრამ, დედაჩემს საიდან იცნობთ და რა გინდოდათ მასთან ერთად ვაკის პარკში?

– დაკითხვას მიწყობ? – გაბრაზდა მზია, – მე და ქალბატონი ნანიტა, მართალია, ძალიან ახლოს არა, მაგრამ, ვიცნობდით ერთმანეთს და მან თვითონ მთხოვა, იქ მივსულიყავი.

– რატომ დაგიბარათ?

– ასე მითხრა, რაღაცა მაქვს სათქმელიო.

– მერე?

– რა – „მერე“? – ისევ გაბრაზდა მზია.

– გითხრათ, რისი თქმაც უნდოდა?

– ნაწილობრივ, ანუ, ბოლომდე ვერ მოასწრო – მერე გული წაუვიდა.

– მე რომ დამინახა, იმიტომ წაუვიდა გული, – თქვა გოგომ და მზიას თვალებში შეხედა, – შეეშინდა, მისი სიტყვები ხომ არ გავიგონე. ასეა?

– ალბათ... – აღარ დამალა მზიამ.

– ახლა თქვენ მკითხეთ, რაც გინდათ, – ნება დართო ნუცამ და ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო, – თუ არ გეწყინებათ, მოვწევ.

– დედამ იცის?

– ხვდება, მაგრამ არ იმჩნევს.

– ჯერ ძალიან ახალგაზრდა ხარ, ფილტვებს გაიფუჭებ.

– არ მიყვარს ნატაციების კითხვა, საქმეზე გადავიდეთ. აშკარად რაღაცის გარკვევას ცდილობთ და იმიტომ შეხვდით დედაჩემს, მაგრამ, როგორც ვხვდები, ბევრი ვერაფერი გაარკვიეთ. მკითხეთ, რაც გინდათ, იქნებ მე დაგეხმაროთ, – გოგოს ხმაში მსუბუქმა ირონიამ გამოჟონა, მაგრამ მზიამ იგრძნო, რომ ნუცას თვითონ უნდოდა რაღაც ძალიან მნიშვნელოვანის თქმა, თუმცა, ვერ ბედავდა. ასეთი მომენტი, შეიძლება, აღარასდროს მომეცესო, – გაიფიქრა და, გადაწყვიტა, მიელო ნუცას გამოწვევა.

– ვინ ნათესავი გყავთ ამერიკაში? – შორიდან მოვლა არჩია მზიამ.

– ჩემი რძალი, თორნიკეს ცოლი.

– თორნიკეს ცოლი ჰყავს? – გაუკვირდა მზიას, – პირველად მესმის. ნანიტას ერთხელაც არ უხსენებია თავისი რძალი. ამერიკაში რა უნდა?

– ამერიკელია. აქ ერთი წლით იყო ჩამოსული და სადღაც შემთხვევით გაიცნო თორნიკემ. მერე ერთმანეთი შეუყვარდათ, მაგრამ, იმას აქ დარჩენა არ უნდოდა, თორნიკეს კი – ამერიკაში წასვლა და ჩვენი დატოვება, თუმცა, უერთმანეთოდაც ვერ ძლებდნენ. მერე ის გოგო დაფეხმძიმდა. ჩემმა ძმამ გადაწყვიტა, გაეოფიციალურებინა თავიანთი ურთიერთობა და ხელი მოაწერეს. მშობიარობის დრო რომ მოუახლოვდა, სამანტამ ამერიკაში წასვლა გადაწყვიტა – იქ ვიმშობიარებ და მერე ბავშვთან ერთად ჩამოვალო, მაგრამ, ისე მოხდა, რომ ველარ ჩამოვიდნენ და ჩემს ძმას ვიზა გამოუგზავნა. რადგან ოფიციალური ცოლ-ქმარი არიან, წასვლა არ გასჭირვებია დედამ მხოლოდ მაშინ გაიგო, ბებია რომ გახდა, როცა თოკომ ვიზა მიიღო. ერთ-ორ თვეში ჩვენც გამოგვიგზავნიან მოწვევას და წაგვიყვანენ.

– სულ წახვალთ?

– არა, რამდენიმე თვით. მე კი სიამოვნებით დავრჩებოდი ამერიკაში, მაგრამ, ნანიტას არ უნდა. რა დარჩენია ამ ნაცრისფერ და მოსაწყენ თბილისში ვერ გამიგია. მეცოდება, მარტო როგორ დავტოვო, თორემ, აღარც კი გამოვიხედავდი აქეთ, იმდენი ტკივილი მახსოვს. მე და თოკოს გვინდა, აქაურ სიტუაციას მოვაშოროთ ცოტა ხნით მაინც. თან, შვილიშვილი ცოტას გაახალისებს. გარდა ამისა, ჯანმრთელობაც მაინცდამაინც ვერა აქვს წესრიგში და, იქნებ, იქ ვუმკურნალოთ. სამანტას მშობლები ექიმები არიან და, ალბათ, რამეს მოგვიხერხებენ.

– შენ რას საქმიანობ? – ჰკითხა მზიამ გამომცდელად, – ოღონდ, არ მომატყუო, იცოდე.

ნუცა რამდენიმე წამს შეყოყმანდა, მერე გაიღიმა და გადაწყვეტით თქვა:

– კარგი, არ მოგატყუებთ. არაფერსაც არ ვაკეთებ. მეთერთმეტე კლასში ვარ, მაგრამ, იმდენი გაცდენა მაქვს, ალბათ, ჩამტოვებენ, თუმცა, სიმართლე გითხრა, მკიდია.

– რომელი საგანი გიყვარს უფრო მეტად?

– არც ერთი, – გაეცინა ნუცას, – ერთადერთი, რაც მიყვარს, სიმღერაა; როგორც ამბობენ, ნიჭიც მაქვს, მაგრამ, პატრონი არ მყავს და, ამიტომ, აღარც კი ვოცნებობ მომღერლობაზე. იმედის ერთადერთი ნაპერწკალი ამერიკაში წასვლაა – სამანტა შემპირდა, ისეთ ხალხთან მიგიყვან, რომლებიც ხელს მოგკიდებენ და ბოლომდე გიპატრონებენო. ვნახოთ...

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 1 | 9 | 6 | 3 | 8 | 2 | 5 | 7 |
| 8 | 5 | 3 | 1 | 2 | 7 | 6 | 9 | 4 |
| 2 | 6 | 7 | 5 | 9 | 4 | 3 | 1 | 8 |
| 6 | 3 | 5 | 8 | 7 | 1 | 4 | 2 | 9 |
| 9 | 7 | 4 | 3 | 6 | 2 | 1 | 8 | 5 |
| 1 | 8 | 2 | 9 | 4 | 5 | 7 | 6 | 3 |
| 5 | 2 | 1 | 7 | 8 | 3 | 9 | 4 | 6 |
| 7 | 9 | 8 | 4 | 1 | 6 | 5 | 3 | 2 |
| 3 | 4 | 6 | 2 | 5 | 9 | 8 | 7 | 1 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 8 | 6 | 4 | 1 | 5 | 3 | 2 | 9 |
| 3 | 5 | 9 | 8 | 7 | 2 | 4 | 1 | 6 |
| 1 | 2 | 4 | 6 | 9 | 3 | 7 | 5 | 8 |
| 2 | 6 | 5 | 1 | 4 | 9 | 8 | 7 | 3 |
| 9 | 7 | 3 | 2 | 5 | 8 | 6 | 4 | 1 |
| 8 | 4 | 1 | 7 | 3 | 6 | 2 | 9 | 5 |
| 6 | 1 | 8 | 5 | 2 | 7 | 9 | 3 | 4 |
| 5 | 9 | 7 | 3 | 6 | 4 | 1 | 8 | 2 |
| 4 | 3 | 2 | 9 | 8 | 1 | 5 | 6 | 7 |

**„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები:** **1. ლათინური თასის გათამაშება. 2. ქალთან ურთიერთობა. 3. დროშების. 4. ჰოლანდიის საფეხბურთო ნაკრების ფენომენალურ თამაშებს. 5. ვაშლი – აკრძალული ხილი. 6. სეულის ოლიმპიადის ჯილდოდ. 7. კომპასის გამოგონებამ. 8. მიმოფანტული ნაგავი. 9. მწვანე ბარათები. 10. ტრიუმვირატი – კონსტანტინ ბესკოვი, მიხაილ ლობანოვსკი და ნოდარ ახალკაცი.**

– წელან მითხარი, მკითხეთ, იქნებ მე დაგეხმაროო.

– დიახ...

– რას გულისხმობდი, რაში უნდა დამეხმარო?

– იმაში, რასაც იკვლევთ, – ნუცამ ეშკმაკურად მოწკურა თვალები.

– იმ დღეს რატომ მოხვედი მამაშენთან საავადმყოფოში? – თემას გადაუხვია მზიამ.

– სანახავად. გავიგე, რომ მამა მიკვდებოდა და მაშინვე გამოვიქეცი, შეშინებული.

– ტყუი.

– აბა, რისთვის ვიყავი მოსული, თქვენი აზრით?

– არ ვიცი, მაგრამ, ის კი კარგად მახსოვს, რომ მამის დაკარგვით შეშინებულ შვილს ნამდვილად არ ჰგავდი და ეს აზრი იქ მარტო მე არ გამჩენია.

– დიახ, მართალი ხართ, ტირილით ნამდვილად არ დავითხრიდი თვალებს, თუმცა, თორნიკეზე უკეთესი ურთიერთობა დიმიტრისთან მე მქონდა.

– ჰო, ეს ჩემთვისაც არაერთხელ უთქვამს, – თქვა მზიამ და მერე პირდაპირ დაუსვა მთავარი კითხვა: – ნუცა, ოდნავ მაინც თუ გიყვარდა მამა?

– სიყვარულს დამსახურება უნდა – მშობლის სიყვარულსაც კი.

– გძულდა?

– თავიდან არც ისე.

– აბა, როდიდან?

– როცა ძალიან მნიშვნელოვანი და საშინელი რამ გავიგე, იმ დღიდან ველარ ვიტანდი.

– ასეთი რა გაიგე?

– ამას ახლა ვერ გეტყვით.

– აბა, როდის მეტყვი?

– არ ვიცი, მაგრამ, ოდესმე შეიძლება გითხრათ.

– რომ მომკვდარიყო, გაგიხარდებოდა?

– არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, გული არ გამისკდებოდა... ვიცი, ახლა რასაც ფიქრობთ ჩემზე, მაგრამ, მშობელმა თავიდანვე უნდა იფიქროს ამაზე. მე და თოკოს კარგი არაფერი გვახსოვს დიმიტრისგან, ნანიტაზე რომ არაფერი ვთქვა.

– პირადად შენ ცუდად გექცეოდა?

– ნანიტას და თოკოს როგორც ექცეოდა, ეს არ იყო საკმარისი? – აღელდა ნუცა, – მე, უბრალოდ, ძალიან პატარა ვიყავი, თანაც – გოგო და, შესაბამისად, არაფრად ულირდა თავისი „ვაჟკაცობის“ ჩემთან გამომჟღავნება. პრავების კაჩავი ნანიტასთან და თორნიკესთან უფრო მოსწონდა.

– მე უკვე კარგა ხანია, მამაშენს ვიცნობ და, დარწმუნებით შემიძლია, გითხრა, რომ არ არის ცუდი ადამიანი, შეცდომები კი ყველას მოსდის.

– იმას, რასაც მამაჩემი აკეთებდა, შეცდომები არ ჰქვია. როგორც პაციენტი, თანაც, თითქმის მომაკვდავი, რომელსაც, უკაცრავად და, პრავების კაჩავის ტრაკი აღარ აქვს, შესაძლოა, ახერხებდა, თავი მოეწონებინა მედპერსონალისთვის, მაგრამ, დიმიტრი იყო ცუდი მამა, საშინელი ქმარი, კიდევ უფრო საშინელი მეგობარი და, განა ეს საკმარისი არ არის მისი პიროვნების შესაფასებლად?

– შენ რა იცი, როგორი მეგობარი იყო მამაშენი, იცნობ მის ძმაკაცებს? – ნელნელა მიუახლოვდა მიზანს მზია.

– თქვენ გუგაზე თუ გსმენიათ რამე? – კითხვა შეუბრუნა ნუცამ, – დიმიტრიმ მას მთელი ცხოვრება დაუნგრია.



– იქნებ, გუგაც არ იყო მასთან მართალი?

– თქვენ მართლა არაფერი იცით თუ მე მცდით? – დაეჭვდა ნუცა.

– შენ რა იცი გუგას შესახებ? – კითხვა შეუბრუნა მზიამ.

– ყველაფერი, – თქვა ნუცამ ჩუმად და თავი ჩაღუნა.

– რა ყველაფერი? – ჩაეძია მზია.

– აბსოლუტურად ყველაფერი, იმის ჩათვლით, რომ დედაჩემმა მას დაურეკა და შეხვედრაზე დათანხმდა, მაგრამ უკან კიდევ ერთხელ დამცირებული დაბრუნდა. თუმცა, იმას, რაც შეიძლებოდა, მომხდარიყო, ჩემთვის, როგორც შვილისთვის, მაინც ის ჯობია, რაც მოხდა – გუგას წერილს ვგულისხმობ.

– შენ საიდან იცი ეს ყველაფერი? – მზიას ხელები გაეყინა მღელვარებისგან.

– ჩემი მშობლების არანორმალურმა ურთიერთობამ ერთი ცუდი თვისება გამომიმუშავა, – აღიარა ნუცამ, – სხვების საუბრებზე ყურის მიგდება ვისწავლე.

– როგორ... – მზია ისე გააოგნა გოგოს სიტყვებმა, რომ, აღარ იცოდა, რა ეკითხა.

– რა – „როგორ“? – ჩაეცინა ნუცას.

– როგორ აკეთებდი ამას?

– თავიდან ცოტა მიჭირდა – კიდეც მეშინოდა და კიდეც მრცხვენოდა, მაგრამ, მერე შევეჩვიე და ნამდვილ მზვერავად ვიქეცი.

– და, ეს არ გთრგუნავდა?

– პირიქით. საერთოდ, ცნობილია, რომ, რაც მეტი ინფორმაცია იცი, მით უკეთ ფლობ სიტუაციას. რა თქმა უნდა, მაშინ, როცა ეს „საქმიანობა“ დავიწყე, ამ თეორიის ეს ფორმულირება არ ვიცოდი, მაგრამ, ინფორმაციის ცოდნით სიტუაციის ფლობა გამოცდილებამ მოიტანა და უსუსურობისა და დაუცველობის კომპლექსი მომიხსნა.

– ნუცა, რამდენი წლის ხარ? – დაინტერესდა მზია.

– რამდენიმე თვეში ჩვიდმეტის გავხდები. რატომ მეკითხებით?

– შენ რომ გისმენ, მგონია, ჩვიდმეტის კი არა, ოცდაჩვიდმეტი წლის ქალი მელაპარაკება, – არ დაუმალა მზიამ, – რაც, სიმართლე გითხრა, ცოტა არ იყოს, მზაფრავს.

– სამწუხაროდ, მე თვითონაც ასე მემართება, – ჩაილაპარაკა ნუცამ, – მაგრამ, ეს ჩემი ბრალი არ არის.

– ჰო, ალბათ, მართალი ხარ, – დაეთანხმა მზია, – მეგობრები გყავს?

– არც ისე ბევრი. ძალიან ახლო მეგობარი მხოლოდ ორი მყავს – ერთი ბიჭი და ერთი გოგო, დანარჩენები ისე რა მეგობრები არიან, უბრალოდ, კარგი ურთიერთობა გვაქვს. თქვენ?

– მე სამი უახლოესი მეგობარი მყავს, რომელთაგან ერთი სოფელში ცხოვრობს, ერთი გერმანელს გაჰყვა ცოლად და იქ გადავიდა საცხოვრებლად, ერთი კი თბილისშია, მაგრამ, ოთხი შვილი გააჩინა ზედიზედ და ტელეფონზე დასალაპარაკებლადაც ვერ იცლის. ასე რომ, ვერც ერთს ველარ ვხედავ, მხოლოდ ტელეფონით ან სკაიპით ვლაპარაკობთ. ნანიტას ბევრი მეგობარი ჰყავს?

– რამდენიმესთან დაქალობს, მაგრამ, ყველაზე ახლოს ელენესთან არის. იცნობთ?

– არა.

– ახლა სად არის დიმიტრი, ისევ საავადმყოფოშია?

– არა, გიორგისთან არის, ძმასთან და მე ვადგავარ თავზე.

– დიდი ხანია, ბიძაჩემი არ მინახავს, – რაღაცნაირი დანანებით თქვა ნუცამ, – კარგი კაცია, მაგრამ, ცოტა დისტანციური. მე და თოკოს გვინდოდა, ბიძასთან მაინც ვყოფილიყავით ახლოს, თუმცა, რაღაცნაირად, არ აეწყო ჩვენი ურთიერთობა. არადა, ვიცი, რომ ძალიან ვუყვარვართ და ნანიტასაც პატივს სცემს. ახლა რომ ვუფიქრდები, ესეც მამაჩემის ბრალი იყო – ახლოს არ გაიკარა და ჩვენც ჩამოგვაშორა. თან, წლების განმავლობაში ხან რომელ ქვეყანაში მუშაობდა, ხან – რომელში და ამანაც დაგვაშორა.

– გიორგი ძალიან კარგი კაცია, – უთხრა მზიამ და მოუყვა, რაც ბიძამისმა გუგასთვის გააკეთა.

– მართლა?! – გაუკვირდა გოგოს, – კაი ტიპი ყოფილა, ახლა უფრო მეტად ვცემ პატივს.

ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

## სირინოზ ბიჭიაშვილის მონატრება



6 ივლისს ერთი წელი გადის, რაც ჩვენ გვერდით აღარ ხარ. ვერაფერი მოვუხერხეთ შენი წასვლით გამოწვეულ სევდას და მწუხარებას!

მოუშუშებელი ტკივილი ხარ მშობლების, დაძმების, საყვარელი შვილებისა და შვილიშვილებისთვის. არასოდეს განელდება მონატრების გრძნობა.

ღმერთმა დაუმკვიდროს სასუფეველი შენს ლამაზ სულს!

# ყველა კაცი ერთნაირია

● გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №12-25(704)

### აქ არ მთავრდება...

ვახომ დაუფარავი სიბრალულით შეხედა განადგურებულ ზუკას და ამოიოხრა:

– არც კი ვიცი, რა მოგიხერხო. მეცოდები, მაგრამ, ვერაფერს გიშველი. ეგ ქალი შენთვის არ არის. არ უყვარხარ... კიდევ უარესი – არ უნდიხარ. აცალე, რა, ცხოვრება და საკუთარ ცხოვრებაზეც იფიქრე. გაიცნობ კარგ გოგოს და შვილებიც გეყოლება. თან, ისეთები, ეჭვი რომ არ შეგეპარება, შენია თუ სხვისი.

– არავინ მჭირდება ლიზას გარდა...

– ეს ახლა ამბობ ასე. უნდა მიხვდე, რომ უაზრო სიჯიუტით მარტო საკუთარ თავს კი არ აზარალებ, ლიზასაც შეუქმენი პრობლემა. ეს ელემენტარული ჭეშმარიტება რატომ არ გესმის? დრო აღარ არის, რეალობას შეეგუო? თუ გინდა, ლიზა ბედნიერი იყოს, გაუშვი.

– და... ბავშვი?! – წამოიძახა ზუკამ, – შვილზე უარი ვთქვა?

– ჯერ ერთი, არ იცი, ის ბავშვი მართლა შენი შვილია თუ არა და, მეორეც – შენიც რომ იყოს, რა გირჩევნია მისთვის – უზრუნველი ცხოვრება წარმატებული მშობლების გვერდით, ნორმალურ ოჯახში, თუ, „კავკასიური ცარცის წრე“? დამიჯერე, ეს მეორე ვარიანტი საშინელება იქნება მისთვის.

ზუკამ დაბინდული მზერა მიაპყრო. ვახო მასთან მივიდა და მხარზე მეგობრულად მოუთათუნა ხელი:

– მომისმინე, ვიცი, რომ ძალიან გიჭირს. ვხვდები, რომ შენს თავსა და გულში ახლა სრული ქაოსია, მაგრამ, წადი სახლში, დამშვიდდი და იფიქრე. მიხვდები, რომ, ჯობია, დამიჯერო... მოიცადე, ვილაც მირეკავს... – ვახომ მობილურს დახედა, ნომერი ვერ იცნო და გაოცებით აიჩეჩა მხრები: – ეს ვილაა, ნეტავ. ასეთ დროს კლიენტი ხომ ვერ დარეკავდა?! ეტყობა, ვილაცას ნომერი შეეშალა... – გისმენთ! დიახ, ვახო ვარ. კი მაგრამ, თქვენ ვინ ბრძანდებით? რას ნიშნავს, შემხვდებით და გავიგებ, იქნებ, საერთოდ არ მინდა თქვენთან შეხვედრა? ვინ? – ვახო შესამჩნევად გაფითრდა, – გავიგე... კარგი... მე ოფისში ვარ... მისამართს გეტყვით და მოდით... – ვახომ არეული მზერა მიაპყრო ზუკას, – წადი ახლა სახლში და დილით დაგირეკავ. სისულელე არ ჩაიდინო, იცოდე... ხვალ კიდევ დაგელაპარაკები.

– შენ რომ მიემგზავრები სადღაც? – შეშფოთებულმა ჰკითხა ზუკამ.

– არსადაც არ მივემგზავრები, ნუ დარდობ. ამ ჩანთით დედაჩემთან მქონდა ჩემი პირადი ნივთები და წამოვიღე, – იცრუა ვახომ, – მოკლედ, ხვალ შეგეხმიანები.

– ვინ გირეკავდა? – დაინტერესდა ზუკა.

– ისეთი არავინ, – კლიენტია. ეტყობა, ახლა მოიცალა. რას ვიზამ, უნდა მივიღო.

– თუ გინდა, დავრჩები.

– არა, არა, წადი. დაიძინე და არაფერზე იფიქრო...

– მე რომ არაფერზე ვიფიქრებ... – ამოიოხრა ზუკამ და ხელი ჩაიქნია.

***

გიგის ნინის ხელი ეჭირა და ეფერებოდა, თან ეჩურჩულებოდა:

– შე სულელო, შენა... რამდენი მანერვიულე.

– ჰმ, კიდევ მე განერვიულე? უცნაურია, პირდაპირ. ახლა მე მკითხე, როგორ ვინერვიულე! – მსუბუქად წაუთაქა ნინიმ, – საზიზღარი! ჯერ კიდევ არ ვარ დარწმუნებული, სწორად ვიქცევი თუ არა, რომ გაპატიე.

გიგიმ თავი ასწია. ისეთი დამფრთხალი, შეშინებული გამოხედვა ჰქონდა, რომ გოგოს სიცილი აუტყდა:

– აუჰ, რა იყო? ასე ძალიან თუ გიყვარდი და გეძვირფასებოდი, რატომ მომეცი იმის უფლება, რომ სხვაზე მეფიქრა სერიოზულად?

გიგი შეიჭმუხნა:

– ახლა იმ იდიოტზე ლაპარაკი არ დამიწყო და არ გამაგიჟო! ჯერაც ვერ მომინელებია, ისე რომ ვერ ვცემე, როგორც ეკადრებოდა.

– ჰა, ჰა, ჰა! გეყოფა, იქ მაინც არ ვყოფილიყავი. შენ უფრო გაილახე.

– ნინი! – წარბი შეიკრა გიგიმ, – ახლა, არ მაჩხუბო.

– არა, არ მინდა ჩხუბი... აღარ მინდა... – ნინი მხარზე მიეხუტა ბიჭს, მაგრამ, მალე ისევ აუთამაშდა თვალებში ეშმაკუნები, – ისე, ძალიან ლამაზი ბეჭედი კი იყო... შენც მიყიდი ასეთს?

– უკეთესს გიყიდი და დაამთავრე ახლა ამ თემაზე ლაპარაკი. კიდევ რა გაქვს მისი ნაჩუქარი? უნდა გადაგიყარო.

ნინიმ ენა გამოუყო და ნიშნის მოგებით ჩაულაპარაკა:

– ძალიანაც ნუ იქადნები. ჯერ ქმარი არ ხარ.

– მაგრამ, მალე ვიქნები და მერე გადაგიყრი... აი, ლევანიც მოდის...

– როგორ არის საქმე?



ლევანმა ხელები გაშალა:

– არც ჩემი სისხლის ჯგუფი არ დაემთხვა... დონორი უნდა ვეძებო. ექიმმა მითხრა, ასე ხდება ხოლმეო... ხომ ვერ დამეხმარებით? იქნებ, რომელიმეს სისხლი გამოგვადგეს.

გიგიმ ხელები გაშალა:

– სიამოვნებით, მაგაზე უარს როგორ გეტყვით, ნეტავი კი გამოგადგებოდეთ რამეში.

– ჩემი სისხლიც ვნახოთ, – აფორიაქდა ნინი, – ლიზა როგორ არის?

– ლიზას შენი ნახვა უნდა. შეხვალ მასთან?

– რა თქმა უნდა...

– მანამდე მე მზად ვარ, სისხლი გავიღო პატარა ვაჟკაცისთვის, – გაიბადრა გიგი და ლევანს მეგობრულად გაუღიმა, – იცოდეთ, თუ ჩემი სისხლი გამოდგა, ბავშვის ნათლია მე უნდა ვიყო. ვხუმრობ, რა თქმა უნდა.

– რა ხუმრობა, ოღონდ ყველაფერი კარგად დამთავრდეს და, ისეთ ნათლობას გადავიხდი... ის კი არა, თქვენი ქორწილის ხარჯსაც მე ვკისრულობ... რა, არ მაქვს უფლება, ჩემი შვილის ნათლიას ქორწილი გადავუხადო?

– რა დროს ეგ არის, ეს კაცები ყველანი ერთნაირები როგორ ხართ? – ყასიდად გაცხარდა ნინი, – მე ხალათს ავიღებ და ლიზასთან შევალ, თქვენ კი საქმეს მიხედეთ. დიდი იმედი მაქვს, რომ დონორის მოძებნა არ დაგვჭირდება...

ლიზა თვალებგახელილი იწვა და ჭერში ერთ წერტილზე ჰქონდა მიშტერებული მზერა. ნინიმ იფიქრა, სძინავსო, მაგრამ, როგორც კი მიუახლოვდა, ლიზამ მისკენ მოაბრუნა თავი და ლოყაზე ცრემლი ჩამოუგორდა...

– ჩემი შვილი... მოკვდება?.. – ძლივძლივობით წარმოთქვა და ტუჩები აუკანკალდა. ნინის გული მოეწურა. საწოლთან მივიდა და ხელზე მოჰკიდა ხელი:

– კარგი, რა, ამას ნუ ამბობ. სისხლს გადაუსხამენ და კარგად იქნება.

– არა... არც ჩემი სისხლი აქვს და არც ლევანის... შენ იცი, რატომაც...

– არ მინდა, ამაზე ნუ ილაპარაკებ... ექიმს უთქვამს, ასეც ხდება ხოლმეო. ნუ ინერვიულებ, რა...

– არასდროს მდომებია შვილი და, შეიძლება, სწორედ ამის გამო ვისჯები. ყოველთვის საკუთარ სიამოვნებაზე ვფიქრობდი. ვერ წარმოვიდგენდი, თუ ასეთი პაწაწინა, ერთი ციცქნა არსება ასეთი მნიშვნელოვანი გახდებოდა ჩემთვის... თანაც, ასე მალე... მზად ვარ, ლევანს ყველაფერი ვუთხრა... შენ ან გიგის შეგიძლიათ, ზუკას დაურეკოთ და აქ მოიყვანოთ?

– ამისთვის გინდოდა ჩემი ნახვა?

– ჰო... ზუკა მოვა, ბავშვს სისხლს გადაუსხამს და გადაარჩენს...

– ლიზა, მომისმინე... შენ გინდა ზუკასთან ცხოვრება? – ფრთხილად ჰკითხა ნინიმ.

– არა. ეგ რა შუაშია? მე შვილის გადარჩენა მინდა. მინდა, რომ იცოცხლოს... არავისთან არ ვიცხოვრებ. მოვკიდებ ჩემს პატარას ხელს, წავიყვან აქედან შორს და მსოფლიოში ყველაზე კარგი, ყველაზე მზრუნველი დედა ვიქნები. სულ მარტონი ვიქნებით და ერთმანეთის მეტი არავინ გვეყვარება... – ლიზას ისევ ჩამოუგორდა ცრემლები, – გეხვეწები, დაურეკე ზუკას...

პალატის კარმა ყრუდ გაიჭრიალა და ოთახში ლევანი შემოვიდა ფეხაკრეფით... ცოლის ცრემლით სველ სახეს დახედა და შეშფოთებულმა ჰკითხა ნინის:

– რა მოხდა, ცუდად არის? დავუძახო ექიმს?

– არა, ბავშვზე ნერვიულობს, თან, ცოტა არაადეკვატურადაც ლაპარაკობს. თქვენ არ ინერვიულოთ, მის მდგომარეობაში ეს ნორმალურია.

– სასიხარულო ამბავი მაქვს – გიგის სისხლი გამოდგა... ახლა ამზადებენ გადასასხმისთვის... ეტყვი თუ მე ვუთხრა?

– მე ვეტყვი, თქვენ ბავშვთან წადით...

– კარგი, გარეთ ვიქნები. უთხარი, რომ არაფერზე ინერვიულოს... ისიც უთხარი, რომ დღეს

უფრო მეტად მიყვარს, ვიდრე როდესმე მყვარებია...

ლევანი გავიდა თუ არა, ლიზამ თვალები გაახილა.

– გაიგონე? – ჰკითხა ნინიმ, – ყველაფერი კარგად იქნება. ძალიან გაგვიმართლა...

– შენ ფიქრობ, რომ ლევანს არაფერი არ უნდა ვუთხრა?

– ჰო, ვფიქრობ, რომ არ უნდა უთხრა – ბავშვისთვისაც ასე აჯობებს და ყველასთვის... ზუკას კი მე და გიგი დაველაპარაკებით.

– ნინი, იქნებ...

– არავითარი „იქნებ," დაივიწყე ეს ამბავი... შენ ახალ ცხოვრებას იწყებ ლევანთან და შენს პატარა ბიჭთან ერთად. წარსულის აჩრდილებს თავი არ შეაწუხებინო, – ნინი დაიხარა და ლიზას შუბლზე აკოცა.

... ვახომ თავიდან ფეხებამდე „გაზომა" მეტოქე და მოღუშულმა შენიშნა, რომ ბიჭი უჩვეულოდ კეთილმეგობრულად უღიმოდა,

– შეიძლება შემოვიდე? – დიდი ხნის ნაცნობივით ჰკითხა თომამ.

– შენ ისე შემოხვედი ჩემს ცხოვრებაში, რომ არ გიკითხავს, ახლა კი ოფისში მივარდები ბევრად უფრო ცივილიზებული მეთოდით. ჯერ დამირეკე და შეხვედრა მთხოვე... რა გინდა ჩემგან? გზა გაგითავისუფლე, ჯერ არ გაგიგია? ქეთი მარტოა და, მიდი, დაამშვიდე. დარწმუნებული ვარ, უკვე დაგირეკა, – დამცინავად მიმართა ვახომ და მწარედ ჩაიცინა.

– ვიცი, ვიყავი უკვე, – მშვიდად წარმოთქვა თომამ და ვახოს თამამად შეხედა სახეში. ვახო გაფითრდა:

– რა თქვი? ქეთისთან იყავი? ესე იგი, არ ვცდებოდი! როგორი სიამოვნებით დაგიმტვრევდი თავ-ყბას, მაგრამ, რა აზრი აქვს, ამით არაფერი შეიცვლება, მე კი მხოლოდ ხელებს გავისვრი შენს ბინძურ სიფათზე. გირჩევნია, წახვიდე, ჩემთვის ყველაფერი გასაგებია.

თომამ მშვიდად აიტანა მიყენებული შეურაცხყოფა, იდგა და იღიმებოდა. მერე ასევე მშვიდად უთხრა:

– მე მოვედი, რომ სიმართლეში გაგარკვიოთ და მერე უკვე თქვენ გადაწყვიტეთ, როგორ მოიქცევით.

– რა სიმართლეზე მელაპარაკები? სიმართლე ის არის, რომ თავხედი ხარ, ჩემი ცოლი კი უსინდისოა. ახლა წადი, თორემ, ჩემს მოთმინებასაც აქვს საზღვარი და, შეიძლება, საკუთარი თავისთვის მიცემული პირობა დავარღვიო. იმან გამოგგზავნა, – მიდი, ქმართან ურთიერთობა მომიგვარეო? ჰმ, თუმცა, რატომაც არა?! სულელი – ქმრად, კუნთებდაბერილი კი – საყვარლად... როგორი თავხედი უნდა იყო, რომ აქამდე მიხვიდე. .მეგონა აღარაფერი გამაოცებდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ვცდებოდი.

– საკუთარ თავს შეურაცხყოფას ტყუილუბრალოდ აყენებთ. თუ მომისმენთ და არ გამაწყვეტინებთ, მიხვდებით... აქ იმ იმედით მოვედი, რომ საქმე შეგნებულ, სერიოზულ ადამიანთან მექნებოდა, რომელსაც ფასეულობებიც აქვს და პასუხისმგებლობაც.

– არ გინდა, მე არანაირი პასუხისმგებლობა არ შეიძლება მქონდეს იმ ქალის მიმართ, რომელმაც ფეხებზე დამიკიდა. აუ, წადი, რა! ვატყობ, ნერვები მეშლება და მართლა არ მინდა, დაგარტყა... იმიტომ კი არა, რომ ამას არ იმსახურებ, ისევ საკუთარ თავს ვზოგავ, თან, არც ღირხარ ამად...

თომამ გაიღიმა

– მხოლოდ ათი წუთი მჭირდება. შეგიძლიათ, უბრალოდ, მომისმინოთ? კომენტარების გარეშე, მხოლოდ მომისმინოთ.

– რისთვის? კიდევ ერთხელ რომ დავრწმუნდე, ვისთან ერთად ვიცხოვრე ამდენი წელი და ვინ მიყვარდა? დამანებეთ თავი. შენც და იმ ქალმაც! – ვახომ დააპირა, კარი ცხვირწინ მიეხურა თომასთვის, მაგრამ მან არ დაანება – ჯიუტად ცდილობდა ოფისში შეღწევას და მიაღწია კიდეც მიზანს – ფაქტობრივად, აიძულა ვახო, გზა დაეთმო. შევიდა თუ არა, კარი მიხურა, ზურგით მიეყრდნო და გულხელდაკრეფილმა ჯიუტად გაიმეორა: – თქვენ ახლა მომისმენთ, აუცილებლად...

მის სიტყვებშიც, ხმაშიც რაღაც ისეთი ჟღერდა, რომ ვახო მონუსხულივით გაჩუმდა და გაოცებით მიაჩერდა...

* * *

გიგიმ შუბლზე აკოცა მის მხარზე მიძინებულ გოგოს. ნინიმ თვალები გაახილა.

– უჰ, რომელი საათია? – იკითხა ნამძინარევი ხმით.

– მალე გათენდება. არ წავიდეთ? მგონი, აქ საჭირონი აღარ ვართ. ლიზაც კარგად არის და ბავშვიც. მეც არა მიშავს, მხოლოდ ერთი კარგი გამოძინება მჭირდება და ფორმაში ვიქნები. წავიდეთ, ხო?

– კარგი, წავიდეთ. ლევანი სად არის?

– აქ იყო და ახლა გავიდა, ექიმს ვნახავო. რად გინდა?

– დავემშვიდობები. ლიზასთან აღარ შევალ. საღამოს მოვალ და მაშინ ვნახავ. მეძინება, თან, სამსახურშიც უნდა წავიდე. აუჰ, სამსახური საერთოდ ახლა გამახსენდა. როგორ მეზარება...

– ჰო, მეც უნდა მივიდე ოფისში და ზუკა უნდა ვნახო და დაველაპარაკო. ღმერთმა უწყის, მის ტვინში რა ხდება. საღამოს დაგირეკავ და მოგაკითხავ. აქაც ერთად მოვიდეთ, მანამდე კი ერთი პატარა საქმეც მაქვს მოსაგვარებელი, – მრავალმნიშვნელოვნად გაიცინა გიგიმ.

– რა საქმე? – ეშმაკური ღიმილით ჰკითხა ნინიმ.

– ერთ ძალიან ლამაზ გოგოს პირობა უნდა შევუსრულო და ბეჭედი ვუყიდო, თუ პირობას მომცემს, რომ თითიდან არასოდეს მოიხსნის.

* * *

ქეთიმ ტირილისგან შესიებული თვალები



მუჭით მოისრისა და მკლავზე მიხუტებულ ბავშვს ფრთხილად გამოაცალა ხელი. ტანსაცმლიანს ეძინა. შარვალი მჭიდროდ მიეკრო ტანზე და მოძრაობაში უშლიდა ხელს. გვერდზე მოქცეული მაისური გაისწორა და კარის გასაღებად გაემართა – ვიღაც გაუჩერებლად რეკავდა ზარს. ეტყობა, ძიძა მოვიდაო, – იფიქრა ისე, რომ საათისთვის არ შეუხედავს და იმ უხერხულ და უსიამოვნო კითხვებზე პასუხის გასაცემად მოემზადა, რომელიც მოელოდა. მაგრამ, ზღურბლზე ვახო იდგა და დამნაშავესავით იღიმებოდა, ან, შეიძლება, ქეთის მოეჩვენა ასე.

– გასაღები არ მქონდა... ბავშვი ხომ არ გავაღვიძე?

– არა, შემოდი, – ქეთი გვერდზე გადგა და ქმარს გზა დაუთმო. იგრძნო, კაცი სიტყვებს რომ ეძებდა და ძალდაუტანებლად უთხრა:

– მოდი, ყავა დავლიოთ... მარტო მე და შენ, სანამ მარიშკა გაიღვიძებს...

ვახომ შვებით ამოისუნთქა და ცოლს ბედნიერი ღიმილით დაუქნია თავი.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

## კახა გიორგის ძე ყურაშვილის დაბადების დღის მილოცვა



ყველაზე საშინელი განცდაა დედისთვის, აიღო კალამი და წერა დაიწყო იმ უმწარეს უბედურებაზე, რასაც შვილის სიკვდილი ჰქვია. წერო წარსულის მოგონებებით, რომლის თითოეული ფაქტის გახსენებაც კი სიკვდილის ტოლფასია ჩემთვის, შვილო.

კახა, შვილო, მოდის შენი დაბადების დღე – 2 ივლისი. 50 წლის გახდებოდი. გილოცავთ ცათა სასუფეველში დაბადების დღეს. ნათელი და სანთელი არ მოკლებოდეს შენს სულს, როგორც ყოველთვის. 19 ივლისი შენი სამზეოდან წასვლის დღეა. 8 წელია მას შემდეგ ცრემლიან მონატრებად იქეცი. მადლობა ყოველი დღისთვის, რომელიც ჩვენთან ერთად გაატარე. არ არსებობს არაფერი, რაც მცირე ნუგეშს მოგგვრიდა და ოდნავ მაინც გაანელებდა უშენობით გაჩენილ უსაზღვრო სევდას. როცა მთელი სანათესაო ვიკრიბებით, იმის შეგრძნება გვაქვს, რომ არასოდეს გვტოვებ, ისევ ჩვენთან ხარ. დღესაც ასე იქნება. ენატრები მშობლებს, დას, ბიძაშვილებს, მამიდაშვილებს, დეიდაშვილებს, მეგობრებს. ამბობენ, უფალს რჩეულები ადრე მიჰყავსო სასუფეველში. უფლისკენ სავალ გზას ბევრი შენგან ჩადენილი სიკეთე გაგინათებს.

უფალმა დაგიმკვიდროს სასუფეველი და სულის სიმშვიდე.

**დედა – თინა ლიპარტელიანი-ყურაშვილი,**
**მამა – გიორგი, და მანანა ყურაშვილები**

# ისწავლოთ ხატვა ზალიკოსთან ერთად



1. თავით დაიწყეთ მულტფილმის გმირის ხატვა

2. მიახატეთ კბილები, ენა და ნახბები





3. „დააფაროთ" ქუდი და მიახატეთ ყურები



4. მიახატეთ კისერი და ტანის ნაწილი



თამარაშვილის №36
ტელ.: 272 9191
ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია



5. „ხელებიც" ახ დაგავიწყდეთ



6. დაასრულეთ ნახატი



7. გააფერადეთ

# იპოვეთ 10 განსხვავება





## იპოვე შესაბამისი ჩრდილები



## დაეხმარე გზის გაკვლევაში




# კაჭკაჭი და მწყემსი

## (იგავ-არაკი)

ერთხელ არწივი მაღალ კლდეზე იჯდა, ბატკანი დაინახა, დააცხრა და ჰაერში აიტაცა. ეს რომ კაჭკაჭმა დაინახა, შეშურდა და გადაწყვიტა, არწივისთვის მიებაძა: შურდულივით გამოქანდა და ბატკანს ეძგერა. ბევრი ექაჩა, ფრთები უტყლაშუნა, მაგრამ ძვრა ვერ უყო. ამასობაში მწყემსმაც მოუსწრო, კაჭკაჭს განზრახვას მიუხვდა, შეიპყრო, ფრთები შეაჭრა და ბავშვებს გასართობად მიჰგვარა.

– ეს რა ფრინველიაო? – ჰკითხეს ბავშვებმა.

– მე რომ მკითხოთ, კაჭკაჭია, მაგას რომ ჰკითხოთ, არწივიო, – მიუგო მამამ.

ვინც თავისზე ძლიერს ებრძვის, ის არა მარტო დამარცხების, დაცინვის ღირსიც არისო, – ამბობს არაკი.

## რიცხვრებუსი

, 20, 20, , , , 0



# ქურდული ცხოვრება

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №28-25(704)

საბჭოთა კავშირი რამდენიმე წლის დაშლილი იყო და სამოქალაქო ომისგან დანგრეული თბილისი ნელ-ნელა ფეხზე დგებოდა. მოსკოვიდან სულ რაღაც ორი დღის ჩამოსული ვიყავი. გაზაფხულის მშვენიერი, თბილი დღე იდგა და რუსთაველზე ფეხით გავლა გადავწყვიტე. ქაშუეთს რომ გავუსწორდი, ჩემკენ მომავალ, გორგოლაჭებზე შემდგარ, მუხლებს ქვემოთ ფეხებმოკვეთილ მათხოვარს მოვკარი თვალი. ის რუსული აქცენტით, დამტვრეული ქართულით ითხოვდა მოწყალებას და ამბობდა:

– მოქალაქენო! ძმებო, ქართველებო, გაიღეთ მოწყალება ინვალიდი რუსისთვის, რომელმაც სასტიკ ომში თქვენი ბედნიერებისთვის ორივე ფეხი დაკარგა...

მოქალაქეები სიბრალულით ივსებოდნენ ქართველებისთვის თავდადებული რუსის მიმართ და ფულებს სამხედრო კასკაში უყრიდნენ.

„რა ნაცნობი ხმაა“, – გავიფიქრე გულში და ჯიბეზე ხელი გავიკარი, რომ ფული ამომეღო. მათხოვარს ჩემი მოძრაობა არ გამოჰპარვია. ჩემკენ გამოგორდა, თავისი რეჩი დაარტყა და თან ფულიანი კასკა მომიშვირა.

– ჯინი, ეს შენ ხარ? – ჰაერში გამიშეშდა ხელი და ყოფილი ქურდი შევათვალიერე.

– მე ვარ, კობრა, – მითხრა ჯინმა.

– რა გჭირს, მართლა ომში დაკარგე ფეხები?

– აფხაზეთის ომში. ჩეჩნებმა ტყვედ ამიყვანეს და მაწამეს. შემდეგ რელსებზე დამაწვინეს ფეხები და სარკინიგზო ურიკით გადამიარეს. მკვდარი ვეგონე, მიმატოვეს და ამან მიხსნა სიკვდილისგან. ერთმა ღვთისნიერმა ქალმა გადამარჩინა და, აი, ხომ ხედავ, რა დღეში ვარ...

– სამწუხაროა, – გულწრფელად ვთქვი მე. ჯინმა კი ძველებურად ზიზღით შემომხედა და მითხრა:

– სამწუხაროა, არა?!

– ჰო, ასეა.

– შენი ბრალია, ახლა ასეთ დღეში რომ ვარ.

– ჩემი რატომ?

– ჰმ, რატომო. იმიტომ, რომ შენი თაოსნობით გამაფუჭეს.

– მე რა შუაში ვარ? ფუფლო გააკეთე და საკადრისი მიიღე, რა, აღარ გახსოვს?

– ყველაფერი მახსოვს, ყველაფერი, – ბოროტად ჩაიქირქილა ჯინმა, – თავანის ერთი საათით დაგვიანება არ მაპატიეთ.

– შენ ვინმესთვის რამე გიპატიებია? აბა, ის გაფუჭებული ხალხი გაიხსენე, ვისაც სასტიკად ექცეოდი. რაც დათესე, ის მოიმკე.

– მოვიმკე, მოვიმკე, მაგრამ ყველას თავისას მიუზღავს ღმერთი.

– მიუზღავს, ეჭვი არ მეპარება ამაში.

– ჰო. კარგი, კარგი. მართალი ხარ, – მითხრა ჯინმა, – დამეხმარები?

ჯიბეში ოცდოლარიანი მედო. ფული ამოვიღე და ჯინის კასკაში ჩავაგდე. მან ფული უბეში შეინახა და მადლობაც კი არ უთქვამს, ისე გაგორდა წინ. თვალი გავაყოლე და სიბრალულით გავიფიქრე: „რა არის ეს ცხოვრება... ერთ დროს ჯინი ამაყი, სახელიანი და ამპარტავანი ქურდი იყო, ახლა კი რას დაემსგავსა. თუმცა, ამპარტავნობა არც ახლა აკლია“. ის იყო, უნდა შევბრუნებულიყავი და გზა გამეგრძელებინა, რომ ჯინს მისი კოლეგები შემოეხვივნენ. ოთხნი იყვნენ და რაღაცაზე დავობდნენ. უცებ, ერთ-ერთმა მათხოვარმა ჯინს უბიდან ფული ამოაცალა და გაიქცა. დანარჩენი სამიც მას გაჰყვნენ. ჯინმა ჯერ საშინლად დაიკივლა, შემდეგ გორგოლაჭიანი დაფიდან მარდად ჩამოხტა, ფეხები გაშალა და მძარცველებს დიდი ნაბიჯებით გაეკიდა... ამ სურათის დანახვაზე ლამის თვალები გადმომცვივდა, შემდეგ ხელი ჩავიქნიე და გიჟივით ავხარხარდი...

– რა გაცინებს, კობრა? – მკითხა ვერელმა კაკომ, რომელსაც იქვე უნდა შევხვედროდი და სწორედ იმ დროს მოვიდა.

– ამ ცხოვრებაზე მეცინება, კაკოჯან, მეტი რაზე. ამ ქვეყანას, შეიძლება, მეორედ მოსვლამაც კი არ უშველოს.

– ღმერთმა დაგვიფაროს ამისგან, – შეშინდა კაკო და პირჯვარი გადაიწერა, – წამოდი, კობრა, გველოდებიან.

კაკოს მანქანით ლოტკინზე ავედით, სადაც „კოკა-კოლას“ უნდა შევხვედროდით. ის ავტოქურდების ბანდის მეთაური იყო და ერთი მანქანის ვაზვრატზე უნდა დაველაპარაკებოდით. მაშინ თბილისში და სხვა კუთხეებში მოპარული მანქანები ცხინვალში გადაჰყავდათ და ყიდდნენ. კოკა-კოლა ამ საქმის ავან-ჩავანი იყო, წინა დღით მისმა ბიჭებმა „გაუწიეს“ ვერელ კაკოს ძველი „ტოიოტას ჯიპი“ და მის დასავაზვრატებლად მივდიოდით.

– ნეტავი, უკვე ცხინვალში ხომ არ გადაიყვანეს? – ნერვიულობდა კაკო.

– ხომ გითხარი, რომ არა-მეთქი, – მივუგე ვერელს, – იქაურ ქურდებს წუხელვე ვებაზრე და არ მომატყუებდნენ. ახლა თუ მიიყვანენ, ისინი უკანვე ჩამოიყვანენ მანქანას.

– ხომ არ დაშალეს და ნაწილ-ნაწილ ხომ არ აპირებენ გაყიდვას? – არ ცხრებოდა კაკო.

– ეს უარესი ვარიანტია, მაგრამ, არა მგონია. დამშვიდდი.

კაკოს ასეთ ნერვიულობას სერიოზული საფუძველი ჰქონდა. საქმე ის იყო, რომ „ტოიოტას“ წინა, ნიკელის ფარში ოცი კილოგრამი პლატინა იყო შედნობილი და ამ გზით აპირებდა ის ამ ძვირფასი ლითონის უცხოეთში გატანას.

კოკა-კოლას კერძო კარ-მიდამოს რომ მივადექით და მანქანა გავაჩერეთ, კაკოს ვუთხარი:

– დამშვიდდი და არ დაიწვა, იმ ბოზმა არაფერი იყნოსოს.

ბოზი კი იმიტომ ვუწოდე კოკა-კოლას, რომ ადრე მილიციაში მუშაობდა, ავტოინსპექტორი იყო და ამგვარად ნაშოვნი ფულით ჰქონდა აშენებული ფეშენებელური სასახლე ლოტკინის მთაზე. ხოლო, ქვეყანა რომ აირია და ის მილიციიდან გაუშვეს, ლოტკინელებისგან მანქანის ქურდების ბანდა შეკრა და საკმაოდ სარფიანი კრიმინალური ბიზნესი ააწყო.

– მობრძანდით, აქ დაბრძანდით, – შეგვიპატიჟა ოთახში კალაბოკის მსგავსმა კოკა-კოლამ და წინ გაგვიძღვა, შემდეგ გააბოლა და დაამატა: – აბა გისმენთ, რისთვის შეწუხებულხართ?

– მე ხომ მიცნობ, კოკა-კოლაჯან? – ვკითხე მასპინძელს.

– კობრას ვინ არ იცნობს, – მომიგო კოკა-კოლამ.

– წუხელ ჩემს ძმას, – მე კაკოსკენ გავიშვირე ხელი, – „ტოიოტას ჯიპი“ გაუწიეს და, მინდა, რომ მის პოვნაში დაგვეხმარო.



– ეგ რომელი „ჯიპი“, უშიტოკო?

„უშიტოკოს“ ხსენებაზე კაკომ ფერი დაკარგა, მე კი მასპინძელს ვუთხარი:

– არა, ფარიანი იყო, შავი ფერის.

– შიტოკი წითელია. შავიც მოიყვანეს გუშინ ჩემებმა, მაგრამ აქ რომ არ მყავს?

– აბა, სადაა? – ვერ მოითმინა კაკომ, რომელსაც ფერდაკარგულ სახეზე ცივი ოფლი ასხამდა და დაამატა, – უკვე გაყიდეთ?

– არა, ძმაო, გადავმალეთ, – მიუგო მასპინძელმა

– შლით?

– არა, ბრატ, მთელია, – თქვა მასპინძელმა და კაკოს გამომცდელი მზერა ესროლა. საუბარში მე ჩავერთე და კოკა-კოლას ვუთხარი:

– კოკა-კოლაჯან, ძმაო, კაკოს ეს მანქანა მისმა ცხონებულმა დამ აჩუქა და ასე იმიტომ ნერვიულობს. თუ ის თქვენ გყავთ, მაშინ მოიყვანეთ და პატივისცემა ჩემზე იყოს.

– არ გრცხვენია, კობრა? მე შენ კაპიკს გამოგართმევ? – თქვა მასპინძელმა. შემდეგ თავის ასისტენტს მიუბრუნდა:

– წადი და „ტოიოტა“ ჩამოაგორეთ, ეგ მანქანა უნდა იყოს. წუხელ სწორედ „კრეტინამ“ „გასწია“ ვერიდან.

ნახევარ საათში კაკოს „ტოიოტა“ უკვე „კოკა-კოლას“ ეზოსთან იდგა. ვერელმა შეხედა მას და მანიშნა: „ყველაფერი წესრიგშიაო“. ფარი თავის ადგილზე ეყენა, ესე იგი ოცი კილოგრამი პლატინაც იქ იყო.

მიუხედავად იმისა, რომ კოკა-კოლა ფულს არ გვართმევდა, მას ორასი დოლარი ჯიბეში ჩავუდე, გამოვემშვიდობეთ და ლოტკინის მთიდან დავეშვით.

– მაგრად გაგვიმართლა, კობრაჯან, მაგრად. კიდევ კარგი, მანქანა ცხინვალში არ გადაიყვანეს ან, უარესი, რომ არ დაშალეს, – მითხრა ფერსა და ხასიათზე მოსულმა ვერელმა კაკომ.

– ცხინვალიდანაც უკან დავაბრუნებდით და არც ფარის პოვნა გაგვიჭირდებოდა, – მივუგე კაკოს, – ქურდებს ჯერ კიდევ შეგვიძლია რაღაც-რაღაცეები, ბევრად უფრო რთული ვაზვრატიც მიჩალიჩია.

– ეგ როგორ?

– კაროჩე, სოჩაში მივემგზავრები. „ესვეში“ ვარ მოკალათებული და ერთ მაგარ ნაშას ვეპადხოდები, რომელიც ჩემი კუპეს პასაჟირი აღმოჩნდა. ღამის ორი საათია და სამტრედიაში გავჩერდით. ნაშა უკვე დაკერილი მყავს და დამთანხმდა, სოჩაში წამომყოლოდა. არადა, თვითონ მიემგზავრებოდა დასასვენებლად. გასასინჯად უკვე გატოვია და მატარებლის დაძვრას ველოდები, რომ დავიწყო. საათს დავხედე, თვალი ჩავუკარი და ვუთხარი:

– ხუთ წუთში დავიძვრებით და დავწვეთ.

– ერთი სული მაქვს, ჩაგეხუტო, ჩემო სიცოცხლე! – ვნებიანად მომიგო ნაშამ და წელს ზემოთ გაშიშვლდა.

მე ქამარი შევიხსენი... ამ დროს კარზე დააკაკუნეს და მამაკაცის ხმამ თქვა:

– კობრა, გააღე, საქმე გვაქვს შენთან.

არც ძებნილი ვიყავი, არც ეჭვმიტანილი, სულ რაღაც ორი დღის წინ გამოვედი სროკიდან და გამგზავრებამდე სახლიდანაც კი არ გამოვსულვარ. „ვაა, რა უნდათ ძაღლებს?“ – გავიფიქრე გუნებაში და რომ ვერაფერს მივხვდი, ქამარშეხსნილმა კუპე გამოვაღე.



ზღურბლზე ორი მამაკაცი იდგა და ერთ-ერთმა მითხრა:

– უნდა შემოვიდეთ.

– შემობრძანდით, – უცნობები კუპეში შემოვუშვი.

– ქალბატონო მარგო, ხუთიოდე წუთით უნდა დაგვტოვოთ და მეტს აღარ შეგაწუხებთ, – უთხრა ნაშას ერთ-ერთმა მამაკაცმა, გარეთ გაისტუმრა და კარი მიხურა. მერორემ კი მითხრა:

– კობრა, ჩვენ უშიშროების კომიტეტიდან ვართ.

– ამ ქალს ნუნუ ჰქვია, – ვუთხარი დაუპატიჟებელ სტუმრებს.

– მაგას მარგო ჰქვია და სამხედრო ოფიცრის ცოლია. თავის ვინაობას კი საყვარლებს უმალავს და ხან მეგის ირქმევს, ხან ნუნუს და ასე შემდეგ, – განმიმარტა ერთ-ერთმა კომიტეტელმა.

– გასაგებია, – ვთქვი მე და დავამატე: – ჩეკისტებთან არასდროს მქონია საქმე, რა მოხდა, დავაშავე რამე?

– ჩვენთან სუფთა ხარ, უბრალოდ, შენი დახმარება გვჭირდება, – მითხრა ერთ-ერთმა.

– გისმენთ, ბრძანეთ.

– კობრა, გამოცდილი კაცი ხარ და ენაზე კბილის დაჭერა ჩვენგან არ გესწავლება. რასაც ახლა გეტყვით, სახელმწიფო საიდუმლოებაა და არავისთან არ უნდა თქვა. ჩვენ არც ხელწერილს გთხოვთ და შენს სიტყვას ვენდობით, – მითხრა ერთ-ერთმა.

– არ ვიტყვი. გისმენთ.

– გუშინ ჩვენი კონტრდაზვერვა ერთ ადამიანს უთვალთვალებდა, რომელიც უცხოელ ჯაშუშს შეხვდა და მისგან ტყავის პატარა ჩანთაში მოთავსებული პორტატული რადიომიმღები მიიღო. ეს ნივთი ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებისთვის საჭირო ინფორმაციას შეიცავს, მაგრამ მას ის ვიღაცამ მოპარა. ჩვენ ამ ყველაფერს ფირზე ვიღებდით, თუმცა, ქურდობის მომენტი არ დაფიქსირდა და წამლები ვერ გავშიფრეთ. შენ კი იმიტომ მოგმართეთ, რომ მის პოვნაში დაგვეხმარო, თანახმა ხარ? – მითხრა ჩეკისტმა.

– პირდაპირ ჩემთან მოხვედით?

– შენამდე, მთელი პრისტუპანი მირი ფეხზე დავაყენეთ, მაგრამ უშედეგოდ.

– იქნებ შპიონი თვალთვალს მიხვდა და ნივთი მოიშორა?

– გამორიცხულია. ის ჩვენ ავიყვანეთ და დავკითხეთ. ასე რომ ყოფილიყო, გვეცოდინებოდა. ვიღაცამ მოჰპარა და აორთქლდა.

– შეკითხვის დასმის უფლება ხომ მაქვს?

– რამდენიც გინდა.

– სად და რა ვითარებაში დაიკარგა ნივთი?

– გუშინ, დღის პირველის ნახევარზე, თბილისის ვაგზლის შესასვლელთან. ობიექტს, ანუ ვისაც ვუთვალთვალებდით, ეს პატარა ჩანთა მარჯვენა მხარეზე ჰქონდა გადაკიდებული. ჩანთის ქამარი ფოლადის სამაგრებით იყო მიბმული და ქურდმა სწორედ ეს სამაგრები მოხსნა. იმდენი ხალხი ირეოდა იქ, რომ ქურდი კადრში არ ჩანს. მას ერთი მამაკაცი ეფარება და ყველაზე საოცარი ისაა, რომ იმ კრეტინმა ვერც კი იგრძნო, როგორ გაქურდეს.

– როგორ, მხარი რომ შეუმსუბუქდა, ვერ იგრძნო?

– საქმეც ეგაა, რომ ქურდმა ჩანთა მოხსნა და მის ნაცვლად მაშინვე კაპრონის ბადე ჩამოჰკიდა, რომელშიც ქაღალდში გახვეული რკინის დაჟანგული ნაჭერი იდო.

– უცნაური და დაუჯერებელია, – გამეცინა მე, – თითქმის უშანსო საქმეა, თუმცა ვიჩალიჩებ.

– ჰოდა, ძალიან კარგი. მაშინ ჩვენთან ერთად უნდა წამოხვიდე და სოჩაში პაეზდკა დროებით გადადო. ვერტმფრენი გველოდება და მატარებელმაც ოცი წუთით დააგვიანა გასვლა.

– წავედით, – ვთქვი მე, სწრაფად ჩავიცვი და ჩეკისტებთან ერთად კუპე დავტოვე. ფანჯარასთან მდგარ ნაშას რომ ჩავუარე, თვალი ჩავუკარი და ვუთხარი:

– ნახვამდის, მარგოჯან, სოჩა სხვა დროს იყოს. ახლა კი მოვალეობა მიხმობს და საბრძოლო ვახტზე უნდა დავდგე.

თავისი ნამდვილი სახელის ხსენებაზე ნაშამ ცხვირი აიბზუა, ყელი მოიღერა და კუპეში ამაყად შევიდა.

თბილისში ვერტმფრენით ჩამომიყვანეს. შავი ფერის, ფარდებიანი „ვოლგა“ უკვე გველოდებოდა. მანქანის საჭეს ერთ-ერთი ჩემი თანმხლები ჩეკისტი მიუჯდა, მეორე მის გვერდით მოკალათდა და მითხრა:

– ხელს არ შეგიშლი, თავისუფლად მოთავსდი.

– სად მივდივართ? – ვიკითხე მე.

– სადაც გვეტყვი.

– ერთ რამეზე უნდა შევთანხმდეთ.

– შევთანხმდეთ.

– მართალი გითხრათ, ამ წამოწყების დიდად არ მჯერა და, ვფიქრობ, ქურდს ვერ



ვიპოვი, მაგრამ შანსი მაინც არის. ჰოდა, თუკი სასწაული მოხდა და გაგვიმართლა, ჩანთას მოგიტანთ, მაგრამ, ქურდს არ გავცემ. გაწყობთ?

მძღოლის გვერდზე მჯდომს გაეცინა და მითხრა:

– ქურდი ჩვენი ინტერესების სფეროში არ შედის. შენ ოლონდ რადიომიმღებიანი ჩანთა მოიტანე და პატივისცემა ჩვენზე იყოს.

– შევთანხმდით?

– შევთანხმდით, – მომიგო ჩეკისტმა.

– მაშინ, სახლში წამიყვანეთ. ცოტას დავფიქრდები და ჩალიჩს დავიწყებ.

ჩემს ბინაში რომ შევედი, დილის შვიდი საათიც შესრულდა. წამოვწექი და ფიქრი დავიწყე, მაგრამ ხეირიანი არაფერი მომდიოდა თავში. აშკარა იყო, რომ გამოუცდელი, მაგრამ ნიჭიერი პიროვნება იყო ის, ვისაც ვეძებდი. გამოუცდელი იმიტომ, რომ პროფესიონალი ქურდი, კონკრეტულად კი ჯიბგირი, ინტუიციით გრძნობს, რა უნდა მოიპაროს და ასეთ რისკზე ალალბედად არ წავიდოდა. ნიჭიერი კი იმიტომ, რომ ასე ოსტატურად იჩალიჩა... ფიქრში ჩამეძინა, მაგრამ, არც მაშინ შემიწყვეტია ფიქრი და, არ ვიცი, დამესიზმრა თუ რა დამემართა, „აფერისტა“ წარმომიდგა თვალწინ. ოქროსუბნელი აფერისტა ერთი ძველისძველი ჯიბგირი იყო. თვითონ დიდი ხანია, აღარ ჩალიჩობდა, მაგრამ, ყური მქონდა მოკრული, რომ ახალი თაობის აღზრდით იყო დაკავებული. ამიტომ, მასთან მისვლა და დახმარების თხოვნა გადავწყვიტე. ავდექი, ტაქსი გავაჩერე და ოქროსუბნისკენ ავიღე გეზი. მანამდე კი „ციგანსკი პასიოლოკში“ გამოვიარე და ჩემს უფროს კოლეგას ერთი ბლოკი სიგარეტი „სალემი“ ვუყიდე, რომელიც მას ძალიან უყვარდა.

– ვაა, ამას ვის ხედავს ჩემი ბებერი თვალები! – გაუხარდა ჩემი დანახვა აფერისტას და გადამეხვია.

– აი, ეს შენ, – სიგარეტის ბლოკი მივეცი და ვკითხე, – როგორ ხარ? აფერისტჯან?

– ვაჰ, ვაჰ, „სალემი“? – თქვა აფერისტამ და ჩვეული ოსტატობით ჯერ სიგარეტის კოლოფი ამოაცურა ბლოკიდან, შემდეგ კი ჩემთვის აუხსნელი სიმარდით, თან, ცალი ხელით, გახსნა კოლოფი, სიგარეტის ღერი ამოიღო, მოუკიდა, სიამოვნებით გააბოლა და დაამატა, – ვარ, რა, როგორც ბებერ ქურდს შეეფერება.

– ბებრობის არაფერი გეტყობა. ისევ ისეთი მარჯვე ხარ.

– სადღაა ძველებური კლასი. ადრე ნახადუ ვფცქვნიდი კლიენტს, ახლა კი ვაშლის გაფცქვნა მიჭირს. ეჰ, ვბერდები, კობრა, მივდივარ და ძველ დროს ვნატრობ, როცა ახალგაზრდა ვიყავი.

– წასვლა ჯერ ადრეა, ახალი თაობა გყავს გასაზრდელი და მათ ვის უტოვებ?

– ეეჰ, სადღაა თაობა, – ხელი ჩაიქნია ჯიბგირმა, – სულ დურაკები მხვდებიან. თუმცა, ერთი მაგარი ნიჭიერი მყავს, მაგრამ, ისიც დურაკია.

ინტუიციით ვიგრძენი, რომ მიზანთან ახლოს ვიყავი და ვუთხარი:

– რას გულისხმობ?

– ერთი პატარა ბიჭია, რა, „ხვლიკას“ ვეძახით. მართლა მაგრა იპარავს, მაგრამ, დურაკია. ვეუბნები: ბიჭო, ხომ გასწავლი, მაყუთიანი როგორ უნდა გამოიცნო, ყველას ნუ ეჯიბგირები და ხარახურას ნუ ეზიდები-მეთქი, ის კი მეუბნება: მოპარვა მევასება, თან, ხელს ვიწაფავო. ერთხელაც იქნება, იმ ხელებს მოაძრობენ და კარგად მეყოლე. გუშინწინ რადიო არ მომითრია? კინაღამ გავგიჟდი. მან კი – მოუსმინეო და ეს ბარახლო აქ არ დამიტოვა?! არა, რა, დურაკები არიან, დურაკები...

– აფერისტჯან, ეგ რადიო ტყავის პატარა ჩანთაში ხომ არ იდო?

– ჰო. მერე?

– გადააგდე?

– რათა, ვუსმენ, რა!

– შეგიძლია, მანახვო?

– მაიცა, მაიცა, შენ, რა, ამ რადიოს ვაზვრატზე ხომ არა ხარ მოსული?

– მანახვე და გეტყვი.

აფერისტამ ჩანთაში ჩადებული რადიომიმღები მომიტანა და მკითხა:

– ესაა?

– კი, ესაა.

– ვისია?

– რომ გითხრა, არ დაიჯერებ.

– მაინც, ვისია?

– „კაგებესი.“

– ხომ ვამბობ, დურაკია-მეთქი! ასეთი ბარახლო მოათრიო, თანაც, „კაგებესი“?! ეს რა ხათაბალაა. მარტო მოპარვა ხომ არაა საქმე. ხომ უნდა იცოდე, ვის ჰპარავ. ეს მინდოდა ამ სიბერეში?

– ნუ გეშინია, აფერისტ. შენ არავინ შეგეხება და ვერც ვერავინ გაიგებს რამეს.

– „კაგებე“ ვერ გაიგებს?

– ვერა.

– მაიცა, რა, კობრაჯან, მაგათმა ის იციან დედამიწის გულში რა დევს და ამას ვერ გაიგებენ?

– ვერა და არც აინტერესებთ. მაგათ მარტო ეს რადიო უნდათ.

– წაიღე, ძმაო, წაიღე, მომაშორე ეს შარი. რომ ვუყურებ, ასე მგონია, „კაგებეს“ კამერაში ვზივარ, – თქვა აფერისტამ, ოფლი მოიწმინდა და დაამატა,– აი, ხვლიკას კი პანღურით გავაგდებ.

– რათა, პაპაჯან, რას მერჩი, პანღურით რატომ უნდა გამაგდო? – მომესმა ხმა, შევტრიალდი და პატარა ტანის ახალგაზრდა შემრჩა ხელში, რომელსაც თხელი და შეუფერებლად გრძელი თითები ჰქონდა.

– აი, ეს დურაკიც მოსულა, – თქვა აფერისტამ, – ბიჭო, ხომ გითხარი, ჩუმად ნუ შემოდიხარ-მეთქი, გული გინდა გამიხეთქო?

– მე მეგონა, გეძინა და იმიტომ აღარ დავაკაკუნე, – მიუგო ხვლიკამ, რომელსაც ეტყობოდა, რომ თავხედი იყო.

– რა მეძინა, შე დურაკო, რამდენჯერ გითხარი, ტუფტაზე ნუ იპარავ-მეთქი!

– რა მოხდა, რო?!

– რა მოხდა და „კაგებეს“ რადიო მოიპა-

## აკაკი წერეთლის

### ცრემლიანი და ტკივილიანი მონატრების სამი წელი

ჩემო მარადიულო სევდავ და ტკივილო, ჩემო მოურჩეველო დარდო და ბოლომდე დაულევრელო ცრემლო, ჩემო სუნთქვავ, ჩემო უდროოდ და მოულოდნელად გაფრენილო შვილო, აკაკი! ძნელია და გაუსაძლისი უშენოდ ჩვენი სიცოცხლე. ძალიან გვენატრები, შვილო, უკვე სამი წელი შესრულდა და ეს გრძნობა მეტად და მტკივნეულად ღრღნის გულსა და სულს.



შვილო აკაკი, გულის იმ ადგილას, რომელიც შენს სიყვარულს იტევს, ახლა სულის შემძვრელი დარდი და სევდა ბინადრობს, რომელიც მთელ სხეულს ნელ-ნელა შხამავს და ანადგურებს.

ყველას გვაკლია, შვილო, შენი ფიზიკური და სულიერი სილამაზე, შენი ღიმილი, ჯანსაღი იუმორი და ალერსი... და გული გვეწურება, რამეთუ ცხოვრების გზაზე ასე უეცრად და ნაადრევად შემოგაღამდა.

**ახლა მარტო ვართ მე და მამიკო,**
**კარისკენ თვალი გაგვირბის მუდამ.**
**აღარ გვსურს, შვილო, უშენოდ ყოფნა,**
**კიდევ ლოდინი? რამდენ ხანს ნეტა?**
**ისევ შენ უნდა გვიშველო უნდა.**

მაგრამ უფლის ნებაა ყველაფერი და ჩვენც ველოდებით შენთან მოსვლას და ვევედრებით, მალე ინებოს.

ვლოცულობთ შენთვის, ნათელში ამყოფოს ღმერთმა შენი სპეტაკი სული და დაგიმკვიდროს ზეციური სასუფეველი.

**შენი გაუბედურებული მშობლები: ციალა და თენგიზ წერეთლები**

რე.

– ეგ ვინაა?

აფერისტამ თავი გააქნია, შემომხედა და მითხრა:

– ხომ გეუბნები, დურაკია-მეთქი.

ხვლიკამ შემათვალიერა და აფერისტას ჰკითხა:

– პაპაჯან, ეს კაცია „კაგებე"?

აფერისტამ თავში ხელები შემოირტყა და თქვა:

– ვაი, ვაი, რა დურაკი ხარ! ეს კობრაა.

ჩემი სახელის ხსენებაზე ხვლიკამ შიშნარევი მზერით შემომხედა და მითხრა:

– ბოდიში. არ გიცნობიდით.

– ჰოდა, გავიცნოთ ერთმანეთი, – ვუთხარი ბიჭს და ხელი გავუწოდე. მან ხელი ჩამომართვა და მითხრა:

– ხვლიკა.

– კობრა, – ვუთხარი ბიჭს და ვკითხე: – ეს ნივთი გუშინწინ, შუადღეზე ვაგზალზე მოჰპარე ხომ, ვიღაც კაცს?

– კი.

– ძალიან კარგი. ხომ არ გეწყინება, თან რომ წავიღო?

– არა.

– ყველაფერი გაიასნებულია, – ვთქვი მე. მაგიდაზე ხუთი ცალი ასმანეთიანი დავდე და ბიჭს ვუთხარი:

– აი, ძმაო, ეს ფული ამ რადიომიმღების სანაცვლოდ გქონდეს და პაპას დაუჯერე, რასაც გეტყვის. მე კი მეჩქარება, უნდა დაგტოვოთ.

აფერისტამ ბიჭს ოთახში დარჩენა უბრძანა, კარამდე მიმაცილა და მკითხა:

– კობრაჯან, საშიში ხომ არაფერია, ბიჭს ხომ არავინ არაფერს ეტყვის?

– გეკადრება? თავს ვდებ, რომ არა.

– ჰოდა, აგაშენა ღმერთმა. დურაკი კი არის, მაგრამ, ოქროს ხელები აქვს. მაგრად მოვკიდებ ხელს და კაცს გამოვიყვან.

– კარგად, აფერისტჯან, წავედი.

– კარგად, კობრა, ღმერთი შენკენ.

ერთ საათში რადიომიმღები უკვე ჩეკისტებს ჰქონდათ. მათ არაფერი უკითხავთ ჩემთვის, დიდი მადლობა გადამიხადეს, პატარა პაკეტი გამომატანეს და მითხრეს:

– ეს შენ. სოჩში კარგ დროსტარებას გისურვებთ.

სახლში რომ მივედი და პაკეტი გავხსენი, იქ ხუთი ათასი მანეთი და მეორე ღლისთვის აღებული, თბილისი-სოჩის მატარებლის „ესვეს" ბილეთი იდო. აი, ასეთი უჩვეულო ისტორიის მონაწილე გავხდი, ჩემი კაკო და რადიომიმღები ვიპოვე. შენ კი ნერვიულობდი, – ვუთხარი ვერელ კაკოს.

სხვათა შორის, ხვლიკას კვლავ შევხვდი. რამდენიმე წლის შემდეგ მოსკოვში ვიმყოფებოდი. სროკიდან ახალი გამოსული ვიყავი და ერთ ქურდულ მალინას მივაკითხე. მშვიდი, არახალხმრავალი ადგილი იყო და, მაქსიმუმ, ერთი კვირა ვაპირებდი იქ გაჩერებას. ბინის მეპატრონე ძველი ქურდის ცოლი იყო, სამოც წელს გადაცილებული „ბიტი" ქალი, რომელთან ურთიერთობა ძალიან სახალისო იყო და იქ გაჩერება იმიტომ მიყვარდა. დიასახლისმა რომ დამინახა, ძალიან გაუხარდა, ბინაში შემიპატიჟა, გადამკოცნა და მითხრა:

– როგორ ხარ, ძვირფასო? კარგად გამოიყურები, არ შეცვლილხარ.

– შენც კარგად გამოიყურები, ანუშკა და არც შენ შეცვლილხარ.

– გულს მიკეთებ, ხომ კობრა? რაღა დროს ჩემი კარგად ყოფნაა, უკვე სამოცს გადავაბიჯე.

– მართლა? ორმოცსაც ვერ მოგცემს კაცი.

– რა ხართ ეს ქართველები, – თავი გააქნია ანუშკამ, – ქალს კომპლიმენტი რომ არ უთხრათ, სულ მათხოვჯიც რომ იყოს, არ შეგიძლიათ. ერთი ქართველი ცხოვრობს ჩემთან და, უნდა განახა, რა ტიპია.

– ესე იგი, მარტო არ ხარ, ანუშკა? – ვკითხე დიასახლისს.

– მოვთავსდებით, კობრა, ბინა დიდია, – მითხრა ანუშკამ, – ჰოდა, ამ ქართველ ბიჭზე გეუბნებოდი. ისეთი შუსტრია, ისეთი, რომ თვალს ვერ შეავლებ. რომ გგონია, აქაა, იქაა და პირიქით, მოკლედ, ვერცხლისწყალია. იცი, რა სიტყვებს მეუბნება?! ჩემო ლამაზო, ჩემო კეთილო დეიდაო. შენ ჩემთვის მეორე დედა ხარო და ასეთ რაღაც-რუღაცებს. ყოველდღე საჩუქარი მოაქვს ჩემთვის. ერთი სიტყვით, სულში ჩაიძვრენ.

– ჩვენიანია?

– თანაც, როგორი. აი, ასეთი, – ცერი თითი ასწია ანუშკამ, – უმაღლესი კლასის ჯიბგირია.

– რა ჰქვია?

– ცოტნე.

– ცოტნე, ცოტნე... მასეთს, რაღაც, ვერ ვიხსენებ, – ვთქვი მე და ვკითხე: – მეტსახელი არ აქვს?

– აქვს და მითხრა კიდეც, მაგრამ, ისეთი რთული გამოსათქმელია, ვერ დავიმახსოვრე და ცოტნე მირჩევნია, – მითხრა დიასახლისმა და დაამატა: – სადაცაა მოვა. შუადღეზე შემოირბენს ხოლმე, წაისადილებს და ისევ მიდის. წამოდი, სამზარეულოში შევიდეთ. მშიერი იქნები, გაჭმევ რამეს და ამასობაში ცოტნეც მოვა.

ანუშკამ სამ კაცზე გაშალა სუფრა, კონიაკიც გამოიტანა და მითხრა:

– შენ დაიწყე ჭამა და ჩვენც შემოგიერთდებით, ჩემი ბიჭი წუთი-წუთზე მოვა.

ძალიან მშიოდა და, ჩავიდე თუ არა პირში ლუკმა, მომესმა:

– ანუშკა-დედიკო! მე მოვედი, სად ხარ?

– აი, ჩემი მზეც მოვიდა. ხომ ვამბობდი, ამ დროს შემოირბენს-მეთქი, – თქვა ანუშკამ და გასძახა, – სამზარეულოში ვართ, შემოდი, სტუმარი გვყავს!

მე ზურგით ვიჯექი და ვერც მე ვხედავდი ანუშკას „მზეს" და ვერც ის მხედავდა სახით. ის არც კი მომესალმა, ისე მიიჭრა დიასახლისთან, პატარა ხვეული მისცა, აკოცა და უთხრა:

– ეს შენ, დედიკო, საჩუქრად.

– ჩემო მზეო, სტუმარს მიესალმე, – უთხრა ანუშკამ ცოტნეს, რომელმაც შემომხედა და გაქვავდა...

– ხვლიკა, როგორ ხარ? – ვკითხე ბიჭს.

– გამარჯობა, კობრა, – ამოილუღლუღა აფერისტას ყოფილმა შეგირდმა.

– თქვენ რა, ერთმანეთს იცნობთ? – იკითხა ანუშკამ.

ხვლიკა ხმას არ იღებდა, ანუშკას კი ვუთხარი:



– ძველი ნაცნობები ვართ, ჯერ კიდევ თბილისიდან.

– ჩემო მზეო, ხელი ჩამოართვი სტუმარს, რამ დაგაბნია? – უთხრა დიასახლისმა ხვლიკას, რომელიც ადგილიდან არ იძროდა.

– გამარჯობა, ძმაო, – ხელი გავუწოდე ბიჭს. მან ხელი ჩამომართვა და შევთავაზე, – რას უდგახარ, დაჯექი და ვისადილოთ.

ხვლიკა მაგიდას მიუჯდა, მაგრამ, ძალიან თავშეკავებულად იქცეოდა ანუშკამ უთხრა კიდეც:

– რა გჭირს, ჩემო მზეო, რამე უსიამოვნება ხომ არ შეგემთხვა?

– ჩემმა დანახვამ გააოცა. ჩემს აქ ნახვას არ მოელოდა, – ვუთხარი დიასახლისს და ხვლიკას მივუბრუნდი: – თუ ჩემი ნახვა გეწყინა, ავდგები და წავალ. რა ჩუმად ხარ, ბიჭო, ხმა ამოიღე.

– არა, კობრა, სად წახვალ, – ენა ამოიდგა ხვლიკამ. შემდეგ კონიაკი ჩამოასხა, ჭიქა ასწია და თქვა: – ჩვენს შეხვედრას გაუმარჯოს!

– მოიცა, მოიცა, ჯერ არ დალიო, – ვუთხარი ბიჭს, რომელსაც ჭიქა ჰაერში გაუშეშდა, – შეხვედრისა მერე იყოს, პირველი ჭიქით კი ჩვენს ანუშკას, ჩვენს დიასახლისსა და შენს დედობილს გაუმარჯოს...

სამი ჭიქა რომ შევსვით, ხვლიკას ენა აეხსნა და უფრო თავისუფლად იქცეოდა. იცინოდა და ანუშკას თბილ-თბილ სიტყვებს ეუბნებოდა, რაც დიასახლისს ძალიან სიამოვნებდა და იმეორებდა:

– რა ხართ ეს ქართველები, ქალის გულის მოგებას ვერავინ გასწავლით!..

– ხვლიკა, ძმაო, მოსკოვში როგორ მოხვდი? – ვკითხე ბიჭს.

– გამოვიქეცი, „ძაღლებს" მოვუტყდი.

– რატომ?

– ჩემი ბედის დედა რომ ვატირე, ის, – ხელი ჩაიქნია ხვლიკამ.

– მაინც, რა მოხდა?

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

**მიუხედავად იმისა, რომ სამოდელო სახლ „ირაკლეონის" მოდელი მერი ნაფიშვილი ჯერ მხოლოდ 16 წლისაა, უკვე საკმაოდ წარმატებული და საინტერესო სამოდელო ცხოვრება აქვს. ამბობს, რომ მისი ცხოვრებაც და კარიერაც რადიკალურად შეიცვალა მას შემდეგ, რაც დიზაინერი ირაკლი კახნიაშვილი გაიცნო და მისი სამოდელო სახლის, „ირაკლეონის" მოდელი გახდა. სულ რამდენიმე დღეში, მერი ბუქარესტში მიემგზავრება. 5 ივლისს იქ ტარდება სილამაზის კონკურს „მის ევროპა ტურიზმი 2014-ის" ფინალი, სადაც მერი წარსდგება საქართველოს სახელით. ამ კონკურსში 45 ქვეყანა მონაწილეობს. მერი, ნერვიულობს, თუმცა წარმატების იმედი აქვს. ჩვენი მასთან საუბარი, „თბილისელების" სტუდიაში, საკმაოდ ხანგრძლივი ფოტოსესიის შემდეგ შედგა.**

# როგორ მამაკაცებს ვერ იტანს მერი ნაფიშვილი და როგორ ახერხებს ის ფორმაში ყოფნას

მერი ნაფიშვილი: ერთი წელია, რაც საქართველოში ჩამოვედი და მას შემდეგ გადავწყვიტე, პირველი ნაბიჯები გადამედგა, როგორც მოდელს.

**– საიდან ჩამოხვევედი? მოდი, თავიდან მიამბე ყველაფერი.**

– 9 წლის რომ ვიყავი, ჩვენი ოჯახი საბერძნეთში გადავიდა საცხოვრებლად. მაშინ მეოთხე კლასში ვსწავლობდი. მას შემდეგ, სალონიკში დავამთავრე გიმნაზია, მყავს ბევრი ბერძენი მეგობარი. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, ისევ საქართველოში დავბრუნდით.

**– ოჯახთან ერთად თუ მხოლოდ შენ?**

– არა, ოჯახთან ერთად დავბრუნდით საქართველოში. მოგვენატრა ჩვენი სამშობლო.

**– როგორც მოდელს, საბერძნეთში არ მოგისინჯავს ძალები?**

– არა, არ მქონია ასეთი შესაძლებლობა, სამწუხაროდ.

**– რატომ? სურვილი არ გამოთქვი, თუ...**

– არა, სურვილი ბავშვობიდანვე მქონდა, რომ მოდელი გამხდარიყავი, მაგრამ...

**– მაგრამ რა, არ მითხრა ახლა, ფიზიკური მონაცემები არ მიწყობდა ხელსო.**

– არა *(იცინის).* ყველაფერში ჩემი ასაკი იყო დამნაშავე. საბერძნეთში, თუ სრულწლოვანი არ ხარ, უფლება არ გაქვს, სამოდელო სააგენტოში მიხვიდე და მოდელობა მოინდომო. თან, იქ ისეთი ტენდენციაა, გავლენიანი დედიკოს და მამიკოს შვილი თუ არ ხარ, ანუ ვინმემ თუ არ შეგიწყო ხელი და პროტექცია არ გაგიწია, ამ სფეროში ძნელია, საერთოდ მოხვდე. თუ როგორღაც შემთხვევით მოხვდი, წარმატების მიღწევა გაგიჭირდება. ამიტომ, ჩამოვედი თუ არა საქართველოში, მაშინვე გავედი „ელიტ მოდელ ლუქის" ქასთინგზე. მართალია, არ გამიმართლა, მაგრამ ჩემი სამოდელო ცხოვრება სწორედ ამ დღიდან დაიწყო.

**– ამის შემდეგ რა მოხდა?**

– ამის შემდეგ ვსწავლობდი სამოდელო სტუდია „გრაციაში", შემდეგ, უეცრად, გამოჩნდა დიზაინერი ირაკლი კახნიაშვილი – სამოდელო სააგენტო „ირაკლეონის" დამაარსებელი და ხელმძღვანელი. ამის შემდეგ, შეიძლება ითქვას, ჩემი ცხოვრება და კარიერა შეიცვალა. „ირაკლეონში" ტარდებოდა „მის ევროპა ტურიზმის" შესარჩევი ტური, სადაც მონაწილეობა მივიღე და გავიმარჯვე. ახლა, 5 ივლისს, ბუქარესტში ტარდება ფინალი – „მის ევროპა ტურიზმი 2014," სადაც მე წარვსდგები როგორც საქართველოს სახე.

**– რამდენი კონკურენტი გეყოლება ამ კონკურსზე?**

– „მის ევროპა ტურიზმი 2014-ში" 45 ქვეყანა მონაწილეობს.

**– რა მოლოდინი გაქვს?**

– მართალია, ჯერ ჩემს კონკურენტებს არ ვიცნობ, მაგრამ საკუთარი თავის იმედი ნამდვილად მაქვს. სურვილი და მოტივაციაც ძალიან დიდია გამარჯვებისთვის.



იდეალური ქმრისთვის მეც იდეალური ცოლი ვიქნები – არ მოვაკლებ ზრუნვას და საერთოდ არაფერს

**– მერი, შენი პარამეტრები მაინტერესებს.**

– ჩემი პარამეტრებია 82X60X87. სიმაღლემე 175 სანტიმეტრი. გარეგნულად დედას ვგავარ. ისიც მაღალია – 1.82 სანტიმეტრი. ალბათ, გათხოვებამ შეუშალა ხელი, თორემ დარწმუნებული ვარ, ძალიან დიდ წარმატებას მიაღწევდა სამოდელო სფეროში. დედა ადრე გათხოვდა, 13 წლის. 16 წლის იყო, მე რომ დავიბადე. ასე რომ, დაქალებივით ვართ.

**– შენც ხომ არ აპირებ გათხოვებას?**

– არა. რამდენად ამბიციურადაც არ უნდა ჟღერდეს, სანამ სწავლას არ დავამთავრებ და ჩემს სიტყვას არ ვიტყვი სამოდელო სფეროში, მანამდე გათხოვებას არ ვგეგმავ. ამას ბევრის გასაგონად ვამბობ! *(იცინის).*

**დედა ადრე გათხოვდა, 13 წლის. 16 წლის იყო მე რომ დავიბადე. ასე რომ, დაქალებივით ვართ**

**– ჰოდა, მეც იმ „ბევრზე" მიამბე.**

– რა გიამბოთ, მყავს ძალიან ბევრი თაყვანიმცემელი, მაგრამ ჩემს სიმპათიას არც ერთი არ იმსახურებს, ჩემს კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებენ.

**– როგორი უნდა იყოს მამაკაცი, რომელიც შენს კრიტერიუმებს დააკმაყოფილებს?**

– ჩემს კრიტერიუმებს დააკმაყოფილებს ისეთი მამაკაცი, რომელიც იქნება სერიოზული, წარმატებული, სიმპათიური, ჩემზე მაღალი, ჯენტლმენი. მარტყუარა კაცებს ვერ ვიტან და რაც მთავარია, ჩემ გვერდით უნდა იდგეს და ჩემი გულშემატკივარი იყოს სამოდელო სფეროში. ქალი ვიცი „კუხნაშიო", – ეგეთი ქმარი არ მინდა.

**– რომანტიკული უნდა იყოს, და შენი გულისთვის მთებიც უნდა გადადგას?**

– რა თქმა უნდა. არაფრის გაკეთება რომ არ შეუძლიათ და აქეთ შენგან ელიან რაღაცეებს, ეგეთები არ მომწონს.

**– შენ როგორი იქნები მისთვის?**

– იდეალური ქმრისთვის მეც იდეალური ცოლი ვიქნები. არ მოვაკლებ ზრუნვას და საერთოდ არაფერს *(იცინის).* სამზარეულოშიც ვიფუსფუსებ და საყვარელ კერძსაც მოვუმზადებ.

**– ესე იგი, სამზარეულოში ფუსფუსი გეხერხება?**

– კი, რა თქმა უნდა. სხვათა შორის, ძალიან მომწონს სამზარეულოში ფუსფუსი.

**– ხაჭაპურს, ტოლმას, კუჭმაჭს, ჩახოხბილს... ამზადებ?**

– არა, ხორციანი სამჭმელები არ მიყვარს საერთოდ. ხაჭაპურს და ლობიანს ვამზადებ, კიდევ – ბევრნაირ სალათას.

**– „მის ევროპა ტურიზმი 2014-ის" ფინალისთვის როგორ ემზადები?**

– ვცდილობ, ვიყო ფორმაში – ვვარჯიშობ, ვდგამთ ქართულ ნაციონალურ ცეკვა „ზეკარს".

**– როგორი შთამბეჭდავი იქნები, წარმომიდგენია.**

– ჰო, იმედი მაქვს. ასევე „მის ევროპა ტურიზმი 2014-ის" ფინალზე უნდა წარვდგე ქართული ნაციონალური სამოსით.

**– სამომავლოდ რა გეგმები გაქვს?**

– სამომავლოდ, „მის ევროპა ტურიზმის 2014-ის" ფინალის შემდეგ, კვლავ ვაპირებ სამოდელო საქმის გაგრძელებას, „ირაკლეონის" ფარგლებში ჩვენებებში მონაწილეობას მივიღებ. გარდა ამისა, ძალიან მინდა, ჩავაბარო იურიდიულ ფაკულტეტზე და სექტემბრიდან ამ საქმესაც სერიოზულად მივხედავ. აქტიურად დავიწყებ მეცადინეობას, რომ ეს ოცნებაც ვაქციო რეალობად. იმედია, მომავალში როგორც იურისტსაც მექნება გარკვეული წარმატებები.

მიზანს რომ დავისახავ, შრომა არ მეზარება მის მისაღწევად. ვფიქრობ, ეს ის თვისებაა, რომელიც ცხოვრებაში ძალიან გამომადგება და ბევრ საქმეში დამეხმარება. ჯერ ხომ მხოლოდ 16 წლის ვარ.

**ეკა ალბრეხტი**

**დარწმუნებული ვარ, სოფო გელოვანის ნებისმიერი ნამღერი, არავის ტოვებს გულგრილს. სოფო ცხოვრებაშიც საკმაოდ გაწონასწორებული და მშვიდია, ბევრი დადებითი ემოციით, რაც სიმღერის დროსაც კარგად იგრძნობა.**

# რას ნანობს ყველაზე მეტად სოფო გელოვანი და ვისი დახმარებით ისრულებს ის ბავშვობის ოცნებას

სოფო გელოვანი: მინდა გითხრათ, რომ პროექტმა „ორი ვარსკვლავი" ბევრი ადამიანი გამაცნო. მათთან დღემდე ვმეგობრობ და მაქვს ურთიერთობა. რაც შეეხება მიშას, ჩემს პარტნიორს, ბევრი საერთო მეგობარი გვყავს. სწორედ მათგან გავიგე, რომ მღეროდა, მეც მოვუსმინე, მომეწონა, მესიმპათიურა, როგორც მომღერალი და შემდეგ ნოეს ვთხოვე: იქნებ მოუსმინო, ნახო-მეთქი. თავიდან უარობდნენ, რადგან არ იყო ცნობილი სახე, მაგრამ საბოლოოდ, დამთანხმდნენ. ზოგადად, რთულია არაპროფესიონალთან დუეტში სიმღერა, რადგან როგორ პარტნიორობას გაგიწევს არ იცი. ეს კი საკმაოდ რთულია.

**– თუმცა, შენზე სულ ამბობენ, რომ ძალიან კომფორტული მეწყვილე ხარ, პროფესიონალიზმზე აღარაფერს ვამბობ.**

– მაქსიმალურად ვცდილობდი, მისთვის კომფორტი შემექმნა, რადგან ვიცი, ეს რა რთულია. განსაკუთრებით სპორტსმენისთვის, რომელსაც ცხოვრებაში არ უმღერია სცენაზე, ხალხში. ამიტომ, მაქსიმალურად ვცდილობდი, თავი კომფორტულად ეგრძნო. არ ვიცი, ეს რამდენად შევძელი, მაგრამ პროექტში დიდხანს დავრჩით.

**– ცეკვაც მოგიწია სცენზე.**

– ვერ ავცდი ცეკვას. კი ვამბობდი: არ მაცეკვოთ-მეთქი... მიშაც ასე ამბობდა. მაგრამ, როცა სხვა გზა არ გაქვს, ვერაფერს გააკეთებ. მე მინდა, სიმღერით ვთქვა ჩემი სათქმელი, მაგრამ რადგან შოუა, მომიწია ცეკვაც. გავრისკე და აჭარული ვიცეკვე, გენებმაც თავისი ქნა. ვინც კარგად მიცნობს, ყველამ იცის, რომ მიყვარს ცეკვა მეგობრების წრეში. უბრალოდ, სცენაზე აქამდე არ მიცეკვია. რაღაცეები ვცადე. ვიცი, რა მსიამოვნებს, ამიტომ უკვე მინდა, ვაკეთო ჩემი საქმე, ვიდრე სხვა რამ. თან, ყოველთვის ვცდილობ, არ მოვედო ბევრ რაღაცას. მომღერალმა მაინც თავისი გზა უნდა იპოვოს და აკეთოს ის – თავისი ხაზით წავიდეს.

**– ბევრ ჟანრს მღერი ძალიან კარგად, მათ შორის ერთ-ერთი რომანსებია.**

– კი, მაგრამ საქართველოში, სამწუხაროდ, რომანსები არ არის აქტუალური. თუმცა, სამომავლოდ, ვფიქრობ, აუცილებლად გავაკეთო რომანსის საღამო. ახლო მომავალში ახალი სიმღერა უნდა ჩავწერო. ლილიკო ნემსაძემ საოცარი სიმღერა დამიწერა – „ტანგოა". ძალიან ახლოს არის ჩემთან ეს მუსიკა, თან ფრანგულ ენაზეა. ახლა ამ სიმღერაზე ვმუშაობთ, საინტერესო კომპოზიციაა. ერთი სული მაქვს, როდის დავამთავრებ. „ტანგო", ზოგადად, ძალიან მომწონს, დიდ სიამოვნებას ვიღებ.

**– ახლო მომავალში ევროპაშიც ხომ არ გეგმავ კონცერტის ჩატარებას?**

– ოქტომბრისთვის იგეგმება ბერლინში ჩემი კონცერტი. აქამდეც უნდა ყოფილიყო. უბრალოდ, დაკავებული ვიყავი და ამის გამო გადაიდო ოქტომბრისთვის. იმედი მაქვს, აუცილებლად გავაკეთებთ – ეს იქნება ჩემი საღამო, გავაკეთებთ სიმღერებს და ჩავალთ. ამ ეტაპზე ამ საქმეებით ვარ დაკავებული. ვცდილობ, ზაფხულში ცოტა დავისვენო.

**– როგორი დასვენება გიყვარს?**

– ზაფხული ჩემთვის მხოლოდ და მხოლოდ ზღვასთან ასოცირდება. მთა კი მიყვარს, მაგრამ ზღვაზე თუ არ წავედი, ის ჩემთვის დასვენება არ იქნება. იმდენ ენერგიას ვიღებ ამ მცირე დროში, რომ მერე მთელი წელი ვმუშაობ. თუმცა, ვცდილობ, პასიურად დავისვენო, ვიდრე აქტიურად. ამიტომ შევეცდები, ეს ზაფხული მშვიდად, წყნარად გავატარო.

**– გაძლევს ბავშვი ამის საშუალებას?**

– კი, როგორ არა. თან, გაიზრდა, დიდი ბიჭია, 5 წლის. არ არის ძალიან ცელქი – ისეთი, რომ არ დაგსვას და არ მოგასვენოს. ახლა ვაწყობთ გეგმებს.

**– როცა კონკურსში გამოდიოდი, ალბათ, შენი შვილი და მეუღლე ძალიან გგულშემატკივრობდნენ.**

– მე არა, უფრო მიშას. მას იცნობენ და მეგობრობენ – დათას ძალიან უყვარს მიშა. ჩემზე საერთოდ არ ნერვიულობდნენ, სულ ჩემს პარტნიორზე იყვნენ გადართულები: როგორ იმღერებდა, რადგან ეს ჩემს ემოციებზეც მოქმედებდა. ძალიან ვნერვიულობდი.



მჭირდება ადამიანი, რომელიც შემომიძახებს და საბედნიეროდ, გარშემო მყავს ისეთები, ვინც ამ სტიმულს მაძლევენ

**– ოჯახსაც მოაკლებდი ბევრ დროს, არ აპროტესტებდნენ?**

– რა თქმა უნდა, მოვაკელი დრო, მაგრამ სულ იმას ვამბობ, ამ კუთხით ძალიან განებივრებული ვარ-მეთქი. ასეთ დროს არსებობენ ადამიანები, რომლებიც ავსებენ ამ ყველაფერს – შვილთან ურთიერთობაა თუ სხვა დანარჩენი. არანაირი პრეტენზია და პროტესტი არ არის. პირიქით, უხარიათ, რომ დატვირთული ვარ და ჩემს საქმეს ვაკეთებ.

**– ყოველთვის ასეთი მშვიდი ხარ?**

– უფრო ასეთი ვჩანვარ. თუმცა, ზოგადად მშვიდი ვარ, არ მიყვარს კონფლიქტი. არ მიყვარს ყვირილი, აღშფოთების გამოხატვა – ჩემი თავი ასეთი არ მახსოვს. ვცდილობ, ჩემი ემოციები გავაწონასწორო.

**– როგორი ბავშვი იყავი?**

– მიუხედავად იმისა, რომ ახლა მშვიდი ვარ, ბავშვობაში საშინლად აქტიური ვიყავი. დედა ვერ მაჩერებდა სახლში, მეზობლებში გავრბოდი, მერე იქ მეძებდა. სულ რაღაცეებს ვაკეთებდი, ეზოში სპექტაკლებს ვდგამდით. მე ორგანიზატორი ვიყავი, სკოლაშიც ასე იყო. დღემდე განმავლობაში დავმშვიდდი. ხიფათიანიც ვიყავი. 5 წლის ასაკში დიდი ვაზა გადმოვაგდე ისე, რომ ტუჩზე დავიხეთქე. პატარა ნაკერები დამადეს. დღემდე დედაჩემის ყვირილი მესმის ყურებში, იარაც ისევ მაქვს შემორჩენილი. ახლა ნაკლებად ხიფათიანი ვარ. დათა ძალიან ფრთხილია, დაკვირვებული და ეს მახარებს, უფრო მშვიდად ვარ.

**– რა იყო შენთვის პირველი წარმატება, რომელიც დღემდე გახსოვს?**

– პირველი ჩემი წარმატება საერთოდ არ არის დაკავშირებული სიმღერასთან, მაგრამ მაშინდელი ემოციები დღემდე მახსოვს. ხატვის გაკვეთილზე რაღაცეებს ვხატავდით და ჩემი ნახატი ისეთი კარგი გამოვიდა, გამოფენაზე გაიტანეს. ისეთი ბედნიერი ვიყავი, როცა ჩემი ნამუშევარი დავინახე გამოფენაზე. კიდევ მიყვარდა ცეკვა, დღემდე ვნანობ, რატომ არ შევედი ბალეტზე. მიხარია, რომ ჩემი და ასრულებს ჩემს ოცნებას.

**– ბალეტზე დადის?**

– კი, დადის ბალეტზე. ვიზუალურად და ისედაც, ძალიან მგავს. რაც მთავარია, თვითონაც ძალიან მოსწონს ბალეტი და როგორც ამბობენ, კარგი მონაცემები აქვს. ჩემს პატარაობის ოცნებას მასში ვხედავ და მიხარია, ყველანაირად ვუდგევარ მხარში, ვცდილობ, მის გვერდით ვიყო.

**– სხვა ოცნებაც გაქვს?**

– რაც დრო გადის, უფრო მეტად ვნანობ იმას, რატომ არ ავირჩიე კლასიკური მუსიკა და არ წავედი ამ განხრით. მქონდა ამის მონაცემი და ბევრი მირჩევდა წავსულიყავი ამ ხაზით. რაც დრო გადის, ვხვდები, რომ სწორედ ის არის მუსიკა და ძალიან ახლოს არის ჩემთან. დღემდე, რომ ვუყურებ კლასიკური მუსიკის მომღერლებს, ძალიან მაღალ დონეზე რომ არიან, სადღაც გულში გავიფიქრებ ხოლმე: რატომ არ წავედი.

**– რატომ არ წახვედი?**

– მშობლებმა არ დამაძალეს. ხანდახან დედ-მამას საყვედურს ვეუბნები: რატომ არ დამაძალეთ-მეთქი. ბავშვური აკვიატება მქონდა: თან მომწონდა, თან არ მომწონდა. ისეთ ასაკში ვიყავი, მაშინ ამ ყველაფერს სწორად ვერ ვაანალიზებდი. დღესაც ვამბობ, ჩემს შვილებს თუ გამოჰყვებათ ნიჭი, ყველანაირად შევუწყობ ხელს და ვეცდები, იმ მხარეს წაიყვანო. ახლა, რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ იმით, რასაც ვაკეთებ. ჩემი გეგმებიც მომწონს და ვცდილობ, განვახორციელო.

**– ზოგადად, გჭირდება ვინმეს მხრიდან ბიძგი, დაძალება?**

– აუცილებლად. არ ვარ მიზანდასახული. რა თქმა უნდა, ჩემი მიზნები მაქვს: ამას გავაკეთებ, ამას... მაგრამ ვინმე თუ არ მყავს გვერდში და არ მეტყვის: სოფო, აბა ახლა დროზე გააკეთეო, მაინც ვზარმაცობ. მჭირდება ადამიანი, რომელიც შემომიძახებს და საბედნიეროდ, გარშემო მყავნან ისეთები, ამ სტიმულს რომ მაძლევენ. რა თქმა უნდა, მათ შორის მთავარი ნოდია – ისე ვერ იტანს, რაღაცას რომ ვერ ვაკეთებ, წუხდება. საერთოდ, მიმაჩნია, რომ როდესაც არაფერს ვაკეთებ, ძალიან უინტერესო ვხდები, ჩემი თავი ყველაზე უინტერესო მგონია და ვითრგუნები. მერე ვცდილობ, რამე გავაკეთ, დავსაქმდე და ამიტომაც მჭირდება ისეთი ვინმე, ვინც შემომიძახებს. ნოდი რომ არ მყავდეს, არ ვიცი, რა მეშველებოდა. ის უფრო აქტიური, მიზანდასახულია – იცის, რა უნდა ცხოვრებაში და მეც ზუსტად ისეთი ადამიანი მჭირდებოდა, როგორიც მყავს. შემომიძახებს, მეტყვის ხოლმე: აბა, რა, რისკზეც უნდა წახვიდე, ეს უნდა გააკეთო. მე კი სულ ვშიშობ: ამას ვერ გავაკეთებ და ის მეუბნება: კარგი, არ უნდა ამას ამდენი ფიქრიო. თან, ხელოვან ადამიანებს სჭირდებათ ახალი ემოციები, ახალი სიხარული, რომ ამან უკეთესად აამღეროს, სხვანაირად იმღეროს. ბოლო დროს ცოტა უხასიათობა მჭირს – ამაში დავიჭირე თავი. მაგრამ, ის, რაც ჩემს გარშემო ხდება, ამის საშუალებას არ მაძლევს. უბრალოდ, როცა საქმე არ მაქვს, ეს მაშინ მემართება. დასვენებაც არ მიყვარს ათ დღეზე მეტი. როგორც კი ათ დღეს გადასცდება, მაშინვე ვცდილობ, რამე ვაკეთო.

**ნათია უტიაშვილი**

**მანანა აბრამიშვილი რუსთაველის თეატრის ახალგაზრდა, საინტერესო და ძალიან ნიჭიერი მსახიობია. ის ეკრანზეც გინახავთ „რუსთავი 2-ის" „ფარულ კამერაში" პაატა გულიაშვილის მეწყვილედ. წლების წინ მის პირად ცხოვრებაში ყველაფერი უცნაურად განვითარდა და ტრაგედიით დასრულდა. თავისი გარეგნული მონაცემების წყალობით, ხშირად იქცევს გარშემო მყოფების ყურადღებას, მაგრამ, როგორ პასუხობს ის მამაკაცების მომაბეზრებელ, თავბრუდამხვევ შემოთავაზებებს, ამ და სხვა საინტერესო ამბებს მსახიობი თავად მოგიყვებათ.**

# რატომ არ უმართლებს მანანა აბრამიშვილს პირად ცხოვრებაში და რის კოლექციას აგროვებს ის

**– შენი პროფესიიდან გამომდინარე, ხშირად გიწევს მამაკაცების წრეში ტრიალი. შენს თაყვანისმცემელ მამაკაცებს შორის ერთი-ორი ცნობილი სახეც არის, რომელთა დასახელება, ვიცი, არ გინდა. შესაძლებელია, რომ უცებ რომელიმე ცნობილის ცოლი გახდე?**

– თაყვანისმცემლები ბევრი არიან. საერთოდ, ურთიერთობებში ცივი ვარ; კარგი მეგობარი ვარ, მაგრამ, შეყვარებული – ძალიან ცუდი. ყველაზე ცუდი თვისება, რაც მაქვს, არის ის, რომ უყურადღებო ვარ, ამასთან, მკაცრი, მომთხოვნი და ძალიან ჩამოუყალიბებელი გრძნობებში. ვერასდროს ვერ ვწყვეტ ბოლომდე ვერაფერს. ბევრს უთქვამს ჩემთვის, ყველანაირ ურთიერთობას თავისი სახელი უნდა დაარქვაო. არ ვეთანხმები. რას ნიშნავს, თავისი სახელი უნდა ჰქონდეს?! დრო თვითონ დაარქმევს ყველაფერს სახელს. ჯერ სახელი დაარქვა და მერე იურთიერთო – ეს არ მესმის. ყველა უცნაურ ადამიანს მე შევხვდი ცხოვრებაში თუ თვითონ ვარ უცნაური, არ ვიცი. ისე, რამდენადაც უყურადღებო ვარ, იმდენად სხვისგან ვითხოვ ყურადღებას.

**– მამაკაცსაც ზუსტად ისე სჭირდება ყურადღება, როგორც ჩვენ ვითხოვთ მათგან. ასე რომ, ხანდახან უნდა გავაკონტროლოთ თავი, რომ ზედმეტებში არ გადავიდეთ.**

– რომ გითხრა ვგიჟდები „შოკოლად" კაცებზე-მეთქი, არ იქნება მართალი. არც ისეთი მამაკაცები მიყვარს, ძალიან თბილები რომ არიან და ყველაფერს რომ აკეთებენ შენი სიყვარულით – ასეთ მამაკაცებზე ვერასდროს გავგიჟდები. კაცს ყველანაირი ღირსება უნდა ჰქონდეს და არასდროს არ უნდა შეეშალოს, პატარა რამეც კი.

**– მართლაც რა მომთხოვნი ყოფილხარ.**

– ყოფილა, მომწონებია, რაღაც ეტაპზე გვქონია შეხება, მისვლა-მოსვლა; თითქოს ყველაფერი მომწონს და, უცებ, რაღაცას ისეთს გააკეთებს, რომ... ხშირად მეუბნებიან – ხომ ვერავინ მოიგო შენი გული, მაგრამ, როგორ იზიდავ ასე ყველას, ვერ ვხვდებითო. მართლა ასეა, საერთოდ არ მჭირდება წინ დავუჯდე მამაკაცს და თვალი თვალში გავუყარო. ზურგით დავუჯდები და, ვიცი, მაინც მოვეწონები.

**– კაცს ქალი რომ მოეწონება, მერე მის ხელში ჩაგდებაზე ფიქრობს. შენ როგორ „გეჩალიჩებიან?"**

– მე ყველასთან ვმეგობრობ, ოღონდ, რაღაც ურთიერთობების შემდეგ ვუმეგობრდები, თორემ, გუშინ გავიცანი და ხვალ შევხვდი – ასე არ ხდება. პაემანი და რაღაცეები არ შემიძლია. თეატრში ერთი ადამიანია, რომელიც მეუბნება: კოლექციას აგროვებ? ამდენი და, ბოლოს მაინც არც ერთიო. ჰგონიათ, რომ ჩვევაში გადამივიდა. არ მქონია შემთხვევა, მეფიქროს, ეს, რაღაც, ცუდი თვალით მიყურებს, რაღაც სხვა უნდა ჩემგან და არა სერიოზული ურთიერთობა-მეთქი. ყველა, ვინც კი ყოფილა, სუფთა და პატიოსანი გულით ყოფილა ჩემ მიმართ. ასეთ შეურაცხყოფას არც თვითონ მივაყენებ საკუთარ თავს და არც სხვას მივცემ ამის უფლებას.

**– გქონია შემთხვევა, რომ ვილაც არ მოგწონებია, მაგრამ, მოგრიდებია და ვერ მოგიშორებია თავიდან? თუ, პირდაპირ ეუბნები, რომ არანაირი ურთიერთობის სურვილი არ გაქვს?**

– „გაიარე, კარგად იყავი," – ასე არასდროს ვექცევი ადამიანს, ბოლომდე არ ვიშორებ, ყველა ჩემი მეგობარია. იყო მართლა ძალიან კარგი ადამიანი ჩემს ცხოვრებაში. ვერ მოგატყუებ და გეტყვი, რომ, ვეცადე, ის გრძნობა, რაც ჩემ მიმართ გაუჩნდა, მეგობრობაში გადაზრდილიყო. მართლა სხვანაირი სიყვარული გამოამჟღავნა, მაგრამ, მის მიმართ მეც სხვა დამოკიდებულება გამიჩნდა. იმდენად კარგი ადამიანი იყო, რაღაც მომენტში დავფიქრდი: იქნებ, მეც მომეწონოს; კარგი ბიჭია, ყველა თვისება მაკმაყოფილებს, რაც კი შეიძლება მომწონდეს მამაკაცშიმეთქი, მაგრამ, მაინც ბოლომდე რაღაც არ მაკმაყოფილებდა, თუმცა, რა – ამას ვერ ვხვდებოდი. გული რომ არ სტკენოდა, მინდოდა, სხვა გრძნობაში გადასულიყო და ვერ შეძლო. ვუთხარი, თუ ასე არ შეგიძლია, მაშინ ჯობია საერთოდ არ გნახო-მეთქი. მე შენთან მეგობრობა არ შემიძლიაო, – და, წავიდა. გული მწყდება, იმიტომ, რომ მართლა კარგი ადამიანი იყო. ახლა შეყვარებული ვარ, მიყვარს ადამიანი, რომელსაც ვიცი, ასევე ძალიან ვუყვარვარ.



**მე არ ვცემ პატივს ისეთ ქალებს, რომლებიც არ აღიარებენ ოჯახს და ამბობენ, ოჯახის ყოლას, ჯობია, მეგობარი გყავდესო – ეს ნამდვილად არ მიზიდავს**

**– რა გეგმები გაქვს, თუ აპირებ ისევ ოჯახის შექმნას?**

– მე არ ვცემ პატივს ისეთ ქალებს, რომლებიც არ აღიარებენ ოჯახს და ამბობენ, ოჯახის ყოლას, ჯობია, ვინმე მეგობარი გყავდესო, – ეს ნამდვილად არ მიზიდავს. არ მქონია ასეთი ცხოვრება და არც მინდა. ორი ადამიანი რომ ავსებს ერთმანეთს, რა ასაკშიც არ უნდა იყვნენ, ამაზე კარგი არაფერია. ალბათ, ბედის ამბავიც არის – ხომ ამბობენ, შენ თვითონ ქმნი შენს ბედსო. დარწმუნებული ვარ, კარგად ვიქნები ოჯახშიც და ჩემს საქმეშიც, მაგრამ ნაბიჯს ვერ ვდგამ და, რატომ – არ ვიცი. ალბათ, ჩემი წარსულიდან გამომდინარე. თავიდან შიში მქონდა – ოჯახი რომ შევქმნა და კიდევ რაღაც მოხდეს, ველარ გადავიტან-მეთქი. ცოტა სულელური შიში იყო, მაგრამ, რასაც ვგრძნობდი იმას ვამბობ,

**„გაიარე, კარგად იყავი," – ასე არასდროს ვექცევი ადამიანს, ბოლომდე არ ვიშორებ, ყველა ჩემი მეგობარია**

ეს ძალიან ბევრჯერ მიფიქრია. მერე ვფიქრობდი, მისი ერთგული ვარ და მოდი, იქნებ, ასე ვიცხოვრო ბოლომდე-მეთქი. რაც უფრო გადის წლები, მით უფრო ეჩვევი ცხოვრებას, ყველა ეტაპზე სხვადასხვანაირად ფიქრობ. ახლა დარწმუნებული ვარ, რომ მინდა ოჯახი, მაგრამ, არაფერი გამოდის. ამას იმასაც ვუკავშირებ, რომ აქამდე ვერ შევხვდი ისეთ ადამიანს, ვისთანაც ეს ყველაფერი მენდომებოდა. მეთერთმეტე წელია, რაც მარტო ვცხოვრობ, რაც ჩემი მეუღლე გარდაიცვალა. ჩემს წარსულს იმდენად პატივს ვცემ, არ მაქვს შეცდომის დაშვების უფლება.

**– როცა მომავალზე ფიქრობ, ალბათ, თავისთავად, გახსენდება ის წლებიც, რომლებიც გამოიარე. ბევრმა არ იცის შენი სიყვარულის ისტორია. მოდი, მოგვიყევი, როგორ გათხოვდი, ვინ იყო შენი მეუღლე, რა ტრაგედია მოხდა შენს ოჯახში...**

– მაშინ, ხომ იცით, რა პერიოდი იყო – მოტაცებები და მთელი ამბები. უცებ გავთხოვდი ისეთ ადამიანზე, რომელსაც არ ვიცნობდი. ძალიან პატარა ვიყავი, 13 წლის, როცა დამინახა და 17 წლისა მომიტაცა. ბებიასთან ვიყავი სოფელში, ფეხით მივდიოდით და მაშინ დამინახა. გაიკითხა, ვინ ვარ, ვისთან ვარ; გაიგო, თბილისში რომელ სკოლაში ვსწავლობდი. მერე ჩამოდიოდა, ოღონდ, ეს მერე გავიგე, როცა გავთხოვდი. თურმე, მითვალთვალებდა, როგორ მივდიოდი, მოვდიოდი. რამდენჯერმე დამირეკა ტელეფონზე. თუ ვინმე ბიჭი დამელაპარაკებოდა, მეორე დღეს ახლოს ველარ მეკარებოდა. მერე ოჯახში ვთქვი, ამან და ამან დამირეკა-მეთქი და პანიკა ატყდა მეორედ არ გაბედო, დაელაპარაკოო. ეს რომ მითხრეს, უფრო დავინტერესდი – განა ვინ არის ასეთი-მეთქი... ცუდი ოჯახი კი არ ჰქონდა, მაგრამ, იმ პერიოდში ასეთი წესით რომ ცხოვრობდა ადამიანი, ბუნებრივია, გოგოს ოჯახს ეს არ მოეწონებოდა. ახლაც ასეთი ვარ – რაზეც მეწინააღმდეგებიან, მით უფრო მეტად მინდა. მეორედ თუ მესამედ რომ ველაპარაკე ტელეფონით, მივხვდი, რომ მასთან ხუმრობა არ შეიძლებოდა და, ვდილობდი, ძალიან ტკბილი სიტყვებით მომეშორებინა თავიდან, მაგრამ, არაფერი გამომდიოდა. პირდაპირ, დარწმუნებით ამბობდა, რომ მისი ცოლი გავხდებოდი, მხოლოდ იმის საშუალებას მაძლევდა, სკოლა რომ დამემთავრებინა. ისეთი ადამიანი იყო, ბოლომდე მჯეროდა მისი. რომ ეთქვა, ამ მთას გადავდგამო, აუცილებლად გადადგამდა – ჰქონდა ასეთი ძალა და, რა ვქნა!

**– არ გიყვარდა, როცა გაჰყევი და ეს გრძნობა მერე მოვიდა? თქვენ ცოტა ხანს იცხოვრეთ ერთად, როგორ გახსენდება ის პერიოდი?**

– ახლაც ვფიქრობ, რომ სიყვარული კი არ გაქრა, სადღაც არის მიძინებული, მაგრამ, რომ მაწუხებდეს და ვიტანჯებოდე, ვერ მოვიტყუები, ასე მართლა აღარ არის. უბრალოდ, ხანდახან არის მომენტები, წამიერად ისე მომენატრება, ყველაფერი მიახლდება, თვალწინ მიდგება. იცი, რა მაგარი შეგრძნებაა?! ცოცხალი რომ ყოფილიყო, არასდროს დავშორდებოდით. ჯერ ერთი, ისედაც ძალიან ცოტა ხანს ვიყავით ერთად. პირველად რომ დაიჭირეს და გამოვიდა, რვა თვე ვიყავით ერთად და, მეორედ რომ დაიჭირეს და გამოვიდა – წელიწადი და სამი თვე. სულ თითზე ჩამოსათვლელი დღეები გვქონდა ერთად გატარებული და სულ გვენატრებოდა ერთმანეთი. ძალიან დიდი პატივისცემა გვქონდა ერთმანეთის მიმართ და, ამიტომ, მიმაჩნია, რომ არაფ-

**(გაგრძელება 78-ე გვერდზე)**

# რა ზეიმი მოუწყო ბავშვებს ერნა წიფურიამ

*1 ივნისს, ბავშვთა საერთაშორისო დაცვის დღეს ფილარმონიაში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ეგიდით ჩატარდა საქველმოქმედო საბავშვო ფესტივალი.*

*პროექტში ჩართული იყო უამრავი ბავშვი, საზოგადოებისთვის ცნობილი და საყვარელი სახეები: გივი სიხარულიძე, ეთერ კაკულია, ნუგზარ კვაშალი, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის წარმატებული სტუდენტი და სახე – გიორგი თავხელიძე, პაატა თედიაშვილი, მარკუს მეტრეველი. საღამოს უძღვებოდნენ პროექტის ავტორი ნინო ჩიხლაძე, მომღერალი ნუგზარ კვაშალი, მსახიობი გიგო გამთენაძე, ჟურნალისტი გვანცა ლაზარაშვილი და ტელესახე მერსი სულხანი-*




*შვილი. ბავშვებს უამრავი სიურპრიზით გაუხარა გული გენერალურმა სპონსორმა – „ქინდერმა." საქველმოქმედო საღამოს მასპინძელი იყო უგემრიელესი ლიმონათი „ზედაზენი." აღსანიშნავია, რომ ლუდსახარში „ზედაზენი" ხშირად იღებს მონაწილეობას საქვემოქმედო პროექტებში – ის ჭეშმარიტი ქველმოქმედი კომპანიაა. საქველმოქმედო ღონისძიების სპონსორები იყვნენ: „ჰუმანა", „ლოკო მოკო", „ზედაზენი", „სოკარი", გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი, კომპანია „ოქსი".*

**ერნა წიფურია** *(ანსამბლ „გვირილას" ხელმძღვანელი):* ბედნიერი ვარ, რომ ამ საქველმოქმედო პროექტში ამდენი მხარდამჭერი აღმოგვაჩნდა. დიდი მადლობა საქორწილო სალონ „თეოს" (თეა ოთარაშვილს), ყველა მათ, ვინც ჩვენ გვერდით იდგა.

**ნუგზარ კვაშალი** *(მომღერალი):* ფილარმონიაში პატარებმა ნამდვილი ცეცხლი დაანთეს სცენაზე. მინდა, ბავშვებს ვუთხრა, რომ, ყველა დღე, 1 ივნისის ჩათვლით, ბავშვებისაა, ჩვენი შვილებისაა.

**ნინო ჩიხლაძე** *(პროექტის ავტორი):* მინდა, საზოგადოებას ვაუწყო, რომ ჩემი დილა იწყება „ლოკო მოკოს" იოგურტებით. კომპანია „ლოკო მოკო" იყო საქველმოქმედო საბავშვო ღონისძიების სპონსორი და მხარდამჭერი. ფესტივალზე შესრულდა ჰიმნი „ქინდერზე", „ქინდერის" თოჯინა კი აქტიურად იყო ჩაბმული შოუ-პროგრამაში. მუსიკალური ნომრის შემდეგ ღონისძიების გენერალურმა სპონსორმა „ქინდერმა" დაარიგა „ქინდერის" სიურპრიზებით სავსე 16 კალათა, რამაც აღაფრთოვანა პატარები. მე მინდა, მადლიერება გამოვხატო პროექტის თითოეული თანამდგომის მიმართ.

**მარკუს მეტრეველი** *(მომღერალი):* ხშირად მიწევს სტუდია „გვირილასთან" თანამშრომლობა და ახლაც, ამ საქველმოქმედო ფესტივალზე რამდენიმე ახალი მუსიკალური ნომერი გავიტანეთ. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო პატარა გვირილების მონდომება, აქტიურობა და შრომისმოყვარეობა. წარმატებები „გვირილას"!

**ეთერ კაკულია** *(მომღერალი):* გვირილებთან ერთად შევასრულე სიმღერა უგემრიელეს ფაფა „ჰუმანაზე", რომელსაც სიამოვნებით მიირთმევს ჩემი შვილიშვილი – მარიამი.

**პაატა თედიაშვილი** *(მომღერალი):* აღსანიშნვია ის, რომ მაყურებლისგან მოდიოდა დიდი სითბო და სიყვარული. დიდი მადლობა მათ ამისთვის!

ბავშვთა დაცვის საერთშორისო დღე თავისი სიმღერითა და ცეკვით გაალამაზეს ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა: „ოქროს ფარი", „ფრესკა", „ლაშარი", „სამა"; ასევე, 45-ე ბაგა-ბაღის და 160 – ე ბაგა-ბაღის აღსაზრდელებმა, 45 – ე ბაგა-ბაღის სახელით საზოგადოების წინაშე წარდგნენ თამუნა, გიორგი და ლუკა ზითანიშვილები, რომლებმაც შეასრულეს არაჩვეულებრივი უკრაინული სიმღერა გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის წარმომადგენელთან, გიორგი თავხელიძესთან ერთად.

**იზა კვანტიძე** *(45-ე ბაგა-ბაღის დირექტორი):* ძალიან ლამაზი საღამო იყო. კარგი საშუალება მოგვეცა, დაგვეგემოვნებინა „ლოკო მოკოს" გემრიელი იოგურტები, ანუ, ეს იყო არა მხოლოდ მუსიკალური, არამედ, გემრიელი ფესტივალი.

**ციალა კოხოძე** *(160-ე ბაგა-ბაღის დირექტორი):* დიდი მადლობა ყველას, ვინც ჩვენს ბავშვებს ეს ლამაზი დღე აჩუქა!

# ირბინე მაღალი ქუსლებით...

დიახ, აბა, სცადეთ და ირბინეთ... ზოგიერთებმა უკვე სცადეს და, საკმაოდ წარმატებითაც...

სამშაბათს, 24 ივნისს, 12 საათზე რიყის პარკში კავკასიის მსოფლიო რეკორდების ფედერაციამ და სპორტულმა კლუბმა „რეკორდმა", პირველად საქართველოში, წარმოგვიდგინა „მაღალქუსლიანი ფეხსაცმელებით გარბენი" გოგონებს შორის. სულ პირველები კი ამ საქმეში ნიდერლანდელი „მაღალქუსლიანი" გოგონები იყვნენ – ჟურნალ „გლამურის" ორგანიზებით ეს ღონისძიება ამსტერდამში ჩატარდა.

სარბენი მანძილი 100 მეტრია, მაგრამ მონაწილეებს მაინც უჭირთ, ეჯახებიან, ხელს უშლიან და აქცევენ ერთმანეთს...

ქართველი გოგონები კავკასიის მსოფლიო რეკორდების ფედერაციამ დაზოგა და სარბენი მანძილი 50 მეტრამდე შეუმცირა. ასპარეზზე კი მხოლოდ 5-5 მონაწილე იყო. მკაცრად განისაზღვრა ქუსლის ზომა: სიმაღლე – არანაკლე 7 სანტიმეტრი და სისქე – 1,5 სმ.

გენერალური სპონსორიც სურნელოვანი ჰყავდათ – სუნამო „მისტიქალ პარფიუმი".

გაიმარჯვა ანი მგელიაშვილმა, რომელიც სპონსორმა თურქეთში ორადგილიანი საგზურით დააჯილდოვა. მეორე და მესამე ადგილებზე გასულებს, სალ-



ომე გამიაშვილსა და შორენა ყუბანეიშვილს, 500 და 300-ლარიანი ვაუჩერები ერგოთ სუნამო „მისტიქალ პარფიუმისგან".

ღონისძიება გოგონებით უზრუნველყო „ბესთ მოდელსის" ხელმძღვანელმა კახი ხაბეიშვილმა.

# შეკითხვა ექიმს

HAIRLINE INTERNATIONAL



***კითხვებზე პასუხობს „ჰეალაინის" დერმატო-კოსმეტოლოგი მაკა დოლობაშვილი.***

**კითხვა: არ ვიცი, როგორ მოვუარო სახის კანს ზაფხულში. აუცილებლად კონსულტაციაზე უნდა მივიდე, თუ მირჩევთ რამეს?**

**პასუხი:** ზაფხულის განმავლობაში კანის მოვლის შესახებ ზოგადი რჩევებიდან საყურადღებოა:

რომ კანს სჭირდება დამატენიანებელი, შედარებით მსუბუქი ტექსტურის კრემების გამოყენება, ასევე დაცვა მზის მავნე ულტრაიისფერი გამოსხივებისგან, მაღალი SPF-ის შემცველი კრემების საშუალებით. ასევე, აუცილებელია, დღის განმავლობაში დიდი რაოდენობით ჩვეულებრივი ან მინერალური წყალი დალიოთ. რაც შეეხება ინდივიდუალურ რჩევებს, აქ აუცილებელია, კანი დაათვალიეროს დერმატოლოგმა და კანის ტიპის მიხედვით, შეირჩეს საჭირო სამკურნალო თუ მოვლის საშუალებები.

**კითხვა: დასაშვებია თუ არა ზაფხულში სახლის პირობებში პილინგის გაკეთება და რომელი საშუალება გამოვიყენო.**

**პასუხი:** ზაფხულის განმავლობაში მხოლოდ ძალიან მსუბუქი, ზედაპირული პილინგები უნდა გამოიყენოთ, ასევე შესაძლებელია, ეგრეთ წოდებული, სახლში მოვლის პილინგების გამოყენება, რომლებიც იყიდება სააფთიაქო ქსელში და ყველასთვის ხელმისაწვდომია. ის მხოლოდ კანის ძალიან ზედაპირული, რქოვანა შრიდან აშორებს ცხიმს და ასუფთავებს ფორებს. რაც შეეხება ქიმიურ პილინგს, მისი გაკეთება მხოლოდ პროფესიონალი ექიმ-დერმატოკოსმეტოლოგის მიერაა შესაძლებელი. ქიმიური პილინგის დახმარებით მრავალი პრობლემის გადაჭრა ხდება, მათ შორის პიგმენტური ლაქების, აკნეს, ზედაპირული ნაოჭების და ასე შემდეგ. მისი გაკეთება უმჯობესია შემოდგომა-ზამთარის პერიოდში. არსებობს ზაფხულის პერიოდის პილინგებიც, თუმცა პროცედურის შემდეგ აუცილებელია მზის დამცავი კრემების გამოყენება.

**P.S. თქვენთვის საინტერესო შეკითხვით შეგიძლიათ მიმართოთ კლინიკას ტელეფონის ნომერზე: 230-00-30.**

# როგორ განირეს შალვა ახალციხელი და დიდი საქართველო გარნისის ბრძოლაში

17 (ახალი სტილით 30) ივნისს ქართული ეკლესია აღნიშნავს დიდი მხედართმთავრის, სწორუპოვარი გმირის, ქრისტიანობისათვის წამებული რაინდის, წმინდა შალვა ახალციხელის ხსენების დღეს.

1223 წელს ლაშას ანდერძის მიხედვით, გამეფდა რუსუდანი. რუსუდანის აღმზრდელი იყო იოანე მხარგრძელი – ათაბაგი, იმ დროისთვის უკვე კარგა ხნის მართლმადიდებლურად მოქცეული. იოანე მხარგრძელის ხელში დიდი ძალაუფლება იყო თავმოყრილი, ის იყო ამირსპასალარიც – სამხედრო მინისტრი. მის საგამგებლოში შედიოდა ქვემო ქართლის სამხრეთი და ასევე სომხეთის დიდი ნაწილი, რომელიც საქართველოს შემადგენლობაში იყო. გადამწყვეტი სიტყვა სამეფო კარზე ივანე მხარგრძელს ჰქონდა.



როგორც ჩანს, საქართველოს სახელმწიფო დიდ კრიზისს განიცდიდა. უკმაყოფილო იყვნენ სახელმწიფოში შემომავალი სომხები. დაქირავებული ყივჩაღებიც, თურმე, არ ერთგულობდნენ სახელმწიფოს. სახელმწიფოს არ ჰქონდა მკვეთრად ჩამოყალიბებული მოქმედების გეგმა და არც მსოფლიოში მიმდინარე პროცესების შესახებ ჰქონდა ნათელი წარმოდგენა.

ამ დროს საქართველოში მოღვაწეობდნენ დიდი მეომრები თორელთა საგვარეულოდან – ძმები, შალვა და ივანე ახალციხელები.

შალვა ახალციხელი საქართველოს სიმბოლოა. მისი ბედი ძალიან ჰგავს საქართველოისას. ის იყო სწორუპოვარი რაინდი – „არა ყოფილა კაცთა შორის მისებრი ჭაბუკი და მეომარი“. სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, სარდალი, თამარ მეფისა და ლაშა-გიორგის ვაზირი (ჯერ მეჭურჭლეთუხუცესი, შემდგომ მანდატურთუხუცესი), ერისთავთ-ერისთავი.

შალვა ახალციხელი 1195 წელს შამქორის ბრძოლაში პირველი შეიჭრა მაჰმადიანთა კოალიციის სარდლობის ცენტრში და ხელთ იგდო მტრის უმთავრესი სიმბოლო, ხალიფას დროშა, რომლის ქვეშაც გაერთიანებული იყო თითქმის მთელი აღმოსავლეთი ერთი მიზნით – საქართველოს დასაქცევად.

ხალიფას დროშა მოიღო შალვა ახლციხელმა და ფერხთით დაუფინა საქართველოს მნათობს – თამარ მეფეს. ყოვლისა აღმოსავლისა, დასავლისა, სამხრისა და ჩრდილოისა დედოფალმან ეს დროშა გელათის მონასტერს შესწირა.

მას მერეც ყველა ბრძოლაში გამოიჩინა თავი შალვა ახალციხელმა, თავის ძმა ივანესთან ერთად. ბრძოლა კი ბევრი ჰქონდა საქართველოს. ბასიანშიც გმირულად იბრძოდნენ ძმები – შალვა მანდატურთუხეცესი (წესრიგის დამმყარებელი ქვეყანაში) და ივანე კარის (ყარსის) ათაბაგი. მათი გმირობა და სწორუპოვრობა, ხშირ შემთხვევაში, სხვისი სამხედრო მარცხის გამოსწორება, თავდადებული ქართველობა და პატიოსნება, შურის საგანი გახდა ზოგიერთი დიდებულისთვის, განსაკუთრებით, ივანე ათაბაგისთვის.

1225 წელს საქართველოს სამფლობელოებს მოადგა ხვარაზმის დიდი სახელმწიფოს უკანასკნელი შაჰი და სულთანი ჯალალ ად-დინი.

მისი უდიდესი სახელმწიფო დაამარცხეს მონღოლებმა. რამდენიმე წლით ადრე, 1218 წელს, ჯალალედინის მამამ, შაჰმა მუჰამედ მეორემ, რომელიც აღმოსავლეთში მაჰმადიანთა ინტერესების დამცველად ითვლებოდა და თავს „ალაჰის ჩრდილს“ უწოდებდა, უგუნურად, ბარბაროსულად და იმ დროინდელი სამყაროს გასაოცრადაც კი დახოცა მონღოლთა ელჩები და ვაჭრები. ამგვარად გამოიწვია კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთ საშინელ დამპყრობთა შეტევა საკუთარ სახელმწიფოზე. მონღოლებმა ხორეზმი აიკლეს, ისე რომ, შაჰმა პირდაპირი ბრძოლა ვერ გაუბედა მათ და ქალაქებს ამაგრებდა. მუჰამედ შაჰი გაიქცა კასპიის ზღვის ერთ კუნძულზე, სადაც კეთრით დაავადებულებს ასახლებდნენ და იქ მოკვდა სამარცხვინოდ. ხორეზმის შაჰად და სულთნად თავი გამოაცხადა მუჰამედის მემკვიდრე ჯალალედინმა. მან რამდენჯერმე მოახერხა მონღოლთა სარდლების დამარცხება. თუმცა, მერე მის წინააღმდეგ თავად ჩინგიზ ყაენი დაიძრა და და სასტიკად დაამარცხა ჯალალი, 1221 წელს. ამის შემდეგ ჯალალედინი გაიქცა ინდოეთში. იქიდან კი დაბრუნდა და გამოაცხადა საღვთო ომი – თავი მოუყარა თავისი არმიის ნარჩენებს, ასევე ირანში, ავღანეთში, ერაყსა და მიმდებარე მაჰმადიანურ ტერიტორიებზე მომთაბარე ბრბოებს და შექმნა საკმაოდ მრავალრიცხოვანი არმია, რომელიც ზოგი გადმოცემით, 200 000 მეომარს ითვლიდა. რამდენჯერმე თითქოს, მონღოლების წინააღმდეგ საბრძოლველად, ჯალალედინს ქართველებისგან დახმარება უნდოდა. არც მისი ქმედება იყო დიპლომატიური და არც მისი მიზნები – რეალური. ქართველებმა კი, ალბათ, იცოდნენ მისი ფანატიზმი რელიგიურ საკითხებში და მათი ოჯახის წევრების გაუწონასწორებელი ბუნება. გარდა ამისა, მანამდე ქართველები, ლაშას სიცოცხლეში შეხვედრილან მონღოლებს ბრძოლაში – პირველ შეტაკებაში კი დამარცხდნენ, მონღოლების ერთი საომარი ხრიკის გამო, მაგრამ, მეორე ბრძოლა მონღოლებმა ვეღარ გაბედეს განახლებულ და ხელახლა გაწყობილ ქართულ არმიასთან და გაეცალნენ. ქართველებისთვის კი ეს მონღოლთა ძალის არასწორად შეფასების დასაწყისი იყო.

მოკლედ, ქართული სახელმწიფო მოუმზადებელი შეხვდა ჯალალედინის შემოსევას.

მოკლედ, უნდა ითქვას, რომ ქართული სახელმწიფო პოლიტიკური თვალსაზრისით, კრიზისს განიცდიდა. ამას ემატებოდა, როგორც ვთქვით, ზოგიერთი დიდებულის ზედმეტად აღზევება, დიდ არისტოკრატთა პირადი ინტერესები და მოუქნელი სახელმწიფო მანქანა. რაც მთავარია, ქართულ სახელმწიფოს არ ჰყავდა ძლიერი მეთაური – მეფე, მამაკაცი.

1225 წელს ჯალალედინი 150 ათასი (ზოგი გადმოცემით 200 000) მეომრით მოადგა საქართველოს საზღვრებს, სომხურ ქალაქ დვინს. ქართველებმა იჩქარეს და წინ დაახვედრეს დაახლოებით 60-70 ათასი ქართველი, სომეხი და ყივჩაღი. ჩვენ იმ პერიოდში თავისუფლად შეგვეძლო, გამოგვეყვანა 90 ათასამდე მეომარი, მაგრამ, როგორც ჩანს, საქართველოს სამხედრო უწყებამ ძალიან იჩქარა.

**ჯალალედინმა მოახერხა და ყივჩაღები, რომლებიც დაქირავებული ჰყავდა ქართულ სახელმწიფოს (დაახლოებით – 20 000) მოისყიდა და დაარწმუნა, მონაწილეობა არ მიეღოთ ბრძოლაში**

მოწინააღმდეგენი ერთმანეთს შეხვდნენ სოფელ გარნისის ველზე, სომხეთში. ამირსპასალარ ივანე მხარგრძელს გადაწყვეტილი ჰქონდა თავდაცვითი ხაზის დაკავება და ამიტომ, მაღლობზე გამაგრდა. მესხები, შალვა და ივანე ახალციხელების მეთაურობით, წესისამებრ მეწინავედ განაწყეს.

ბრძოლის წინ სომხურ ნაწილებსა და მოსახლეობაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ქართველები აპირებდნენ, იძულებით მოექციათ სომხები მართლმადიდებლურ სარწმუნოებაზე. ანუ, უკმაყოფილებას ვიღაც მიზანმიმართულად თესავდა. გარდა ამისა, ჯალალედინმა მოახერხა და ყივჩაღები, რომლებიც დაქირავებული ჰყავდა ქართულ სახელმწიფოს (დაახლოებით 20 000) მოისყიდა და დაარწმუნა, მონაწილეობა არ მიეღოთ ბრძოლაში. ამაშიც ჩანს ქართული სახელმწიფოს სისუსტე.

როდესაც ჯალალედინის ბრბოები დაიძრნენ, მესხებს, რომელთა რიცხვი 4 000 იყო, სხვა არაფერი დარჩენოდათ, გარდა შეტევისა. პირველ ხანს წარმატებული შეტევაც განახორციელეს. თუმცა, მაჰმადიანთა ძალები გაცილებით მრავალრიცხოვანი იყო, ამიტომ ახალციხელებმა რამდენჯერმე მიმართეს მთავარ შტაბსა და ამირსპასალარს, დამხმარე ძალების მიშველების მოთხოვნით, მაგრამ უშედეგოდ. ქართველი ისტორიკოსი ამას შურს აბრალებს, რომელიც აღძრული იყო ივანე ათაბაგის გულში ახალციხელებისადმი...

ძირითადმა ძალებმა ისე არაორგანიზებულად დაიხიეს უკან, რომ ბრძოლაში მონაწილეობა არც მიუღიათ. ამაში, ალბათ, თავისი წვლილი ყივჩაღების პოზიციამაც შეიტანა, უკანდახევისას კი, მსხვერპლიც განიცადეს ადგილობრივი ტერიტორიის არცოდნის გამო.

სანამ შეეძლოთ, გაუძლეს მესხებმა ჭარბი ძალების შემოტევას. ივანე ახალციხელი და მისი ნაწილების მცირე ნარჩენი უკანდახევისას კლდიდან დაგორებულმა ქვებმა იმსხვერპლა. შალვა ახალციხელი კი ხელში ხმალგატეხილი ტყვედ ჩაუვარდათ მაჰმადიანებს.

სწორუპოვარი რაინდი და უნიჭიერესი მხედართმთავარი შალვა ახალციხელი დაუმარცხებელი სარდალი და მეომარი იყო, მაგრამ რა უნდა ექნა 4 000 მესხს 150 000 ბარბაროსის წინააღმდეგ. მით უმეტეს, როცა მისი მოძმეები, შურიანი ივანე ათაბაგის ხელმძღვანელობით, 60 000 ქართველზე მეტი (დავუშვათ, მინუს 20 000 ყივჩაღი), ჯერ გულგრილად (გულგრილად თუ არა, ფაქტობრივად, უმოქმედოდ) უყურებდნენ მესხთა განადგურებას, მერე კი უომრად გაეცალნენ ბრძოლის ველს და იქვე დამარხეს დიდი საქართველოს უძლეველი სახელი.

ისიც უნდა განვმარტოთ, რომ უბრალო მეომრები და დაბალი რანგის სარდლები, შალვას გამოსარჩლებას ვერ შეძლებდნენ, ჯარის დისციპლინა ამის უფლებას არ აძლევდათ. მათ არც იცოდნენ რა ხდებოდა – უბრძანა უმაღლესმა მთავარსარდლობამ და უბრძოლველად უკან დაიხიეს. გაკვირვებულები და გაოგნებულები კი იქნებოდნენ.

ივანე ახალციხელი ბიჯნისის ციხეს შეეხიზნა და იქვე მოკვდა მალე.

კარგა ხანს ჯალალედინი არ წამოსულა ტფილისისკენ. მერე კი ისე მიადგა დიდი, უძლეველი სახელმწიფოს დედაქალაქს, წინ არავინ დახვედრია. მხოლოდ მცირერიცხოვანი გარნიზონი გამაგრებულიყო ქალაქში და ტფილისელი და მიმდებარე მიდამოების მოსახლეობა...

საოცარია პირდაპირ, სად გაქრა უძლეველი სახელმწიფო, სად გაქრნენ დიდებულები, როგორ ვერ მოხერხდა არმიის მობილიზება, სახელმწიფოს ამუშავება...

... ტფილისთანაც ღალატი იყო – საქართველოს სრულუფლებიანმა მოქალაქეებმა, არანაკლები შეღავათებით რომ სარგებლობდნენ, ვიდრე ქართველები და მათ ლუკმა პურსა და სრულ სამოქალაქო უფლებებს, მეგობრობასა და სიყვარულს უზიარებდნენ, კარები გაუღეს მხეც ჯალალედინს, რომელსაც გამარჯვება მხოლოდ დაქსაქსულ და ღალატით გატეხილ არმიასთან შეეძლო. მონღოლებს კი დაუგდო სამშობლო და გამოექცა. ის მხოლოდ სასტიკი იყო,

**კოლექციონერობა მოულოდნელად და ზრდასრულ ასაკში დაიწყო. როცა სამეცნიერო ხარისხებისა თუ პროფესიულ გამოცდილების საკმაოდ დიდი „კოლექცია“ უკვე ჰქონდა...**

**მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, კანისა და ვენსნეულებათა ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი, საქართველოს დერმატოლოგ-ვენეროლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი გიორგი გალდავა საკმაოდ უცნაური, შეიძლება ითქვას, პიკანტური ნივთების შეგროვებით არის გატაცებული, რომლებიც მის პროფესიასთან არის კავშირში და, თქვენ წარმოიდგინეთ, საქართველოს კანონმდებლობასაც კი ეწინააღმდეგება...**

# რატომ უმალავს ცოლს უცხოეთიდან ჩამოტანილ სუვენირებს პროფესორი გიორგი გალდავა და ეწინააღმდეგება თუ არა მისი კოლექცია საქართველოს კანონმდებლობას

**გიორგი გალდავა**: 2003 წელს ვიყავი სანკტ-პეტერბურგში და იქ შევიძინე ამ ქალაქის სიმბოლო, ძალიან ორიგინალური ნივთი, რომელიც იმდენად ლამაზი იყო, რომ ჩემმა მეუღლემ წამართვა და სახლში დაიტოვა. გულში გავიფიქრე, ნახავთ, თქვენ რას გიზამთ, იმდენ სუვენირს შევიძენ უცხოეთში, რომ დიდი კოლექცია მექნება-მეთქი და, ასე დაიწყო ეს ყველაფერი... ბავშვობაშიც, სტუდენტობის პერიოდშიც, სულ სწავლით ვიყავი დაკავებული. ასეთ რაღაცეებზე ფიქრის არც დრო იყო და არც შესაძლებლობა. უკვე მერე, როცა ხარისხი დავიცავი, კონგრესებზე, სიმპოზიუმებზე დავიწყე სიარული და თითქმის ორ თვეში ერთხელ მიწევდა უცხოეთში წასვლა. გადავწყვიტე, ყველა ქვეყნიდან თუ ქალაქიდან ჩამომეტანა იქაურობისთვის დამახასიათებელი, ორიგინალური და სამახსოვრო ნივთი. თან, ვაღიარებ, ვცდილობდი, რომ ჩემს პროფილთან შესაბამისობაში ყოფილიყო ***(იცინის).***

**– ეს უკვე საინტერესოა...**

– რა თქმა უნდა. აღმოვაჩინე, რომ თურმე, შეიძლება, ამ ტიპის ნივთების, სუვენირების შეძენა და შეგროვება. თემატური კუთხე შევქმენი და დარწმუნებულიც ვიყავი, რომ ამ პიკანტურ ეგზემპლარებს, ჩემი ოჯახის წევრები უკვე აღარ წამართმევდნენ.

**– მოდით, გავხსნათ კვანძი და ვთქვათ, რა ნივთებია ეს...**

– ***(იღიმება)*** ესენია სხვადასხვა ფორმისა და შეფერილობის, ორიგინალური პრეზერვატივები. სწორედ ისინი, რომელთა შესახებ საქართველოს პარლამენტმა კანონი მიიღო და აკრძალა. მაგრამ, ჩემი სუვენირი-პრეზერვატივები ამ კანონის მიღებამდე ბევრად ადრეა შეძენილი და სრულიად ლეგალურად არის ქვეყანაში შემოტანილი. ბევრი არ არის, სულ რამდენიმე ცალია, მაგრამ, ასეთ ორიგინალურებს სხვაგან ვერსად ნახავთ. შეძენილია ამსტერდამში, აბსოლუტურად ოფიციალურად, არა აფთიაქში, არამედ, სუვენირების მაღაზიაში და, დღეს თუ მათ ვინმე კონფისკაციას გაუკეთებს, ძალიან დამწყდება გული. თან, ვადაგასულებიც არის და არავის გამოადგება.

კიდევ კოლექციაში მაქვს ნივთები, რომლებიც დაკავშირებულია ვენერასთან და სქესობრივ ცხოვრებასთან, ასევე, სასქესო ორგანოებთან. მაგალითად, ფალოსი-სასმისი; სანთებელა, რომლიდანაც მამაკაცის სასქესო ორგანო ამოხტება; თურქეთში შევიძინე მითოლოგიური, სკანდალური გმირები, რომლებმაც სახელი პიკანტური ისტორიებით გაითქვეს... ჩემს კოლექციაში ვერ ნახავთ მაცივარზე მისაკრავ მაგნიტ-სუვენირებს – მეტად პოპულარულებს საქართველოში. ისეთი ნივთები მაქვს, ყველას აოცებს. ყოველი მათგანი პირადად ჩემი შეძენილია. აქ ვერ ნახავთ ვერც ერთ ნაჩუქარ ნივთს. ასეთი პრინციპი მაქვს: არ მინდა, მქონდეს ისეთი ქვეყნის ან ქალაქის სამახსოვრო სუვენირი, სადაც მე თავად არ ვარ ნამყოფი. ეს კოლექცია უკვე თორმეტი წელია, გროვდება და მისმა სიმრავლემ ერთხელ პრობლემაც კი შეიქმნა, როცა ჩვენი – კანისა და ვენსნეულებათა ინსტიტუტი ნინოშვილის ქუჩიდან დიღომში, ლუბლიანას ქუჩაზე, ახალ შენობაში გადმოდიოდა. ძალიან გამიჭირდა მისი ტრანსპორტირება... სპეციალურ ყუთებში სათითაოდ ჩავაწყვე და საკმაოდ ვიწვალე.



კოლექციაში მაქვს სუვენირები, რომლებიც დაკავშირებულია ვენერასთან და სქესობრივ ცხოვრებასთან

**– ანუ, უცხოეთში ოჯახის წევრებისთვის საჩუქრების მაგივრად ინტიმურ სუვენირებს იძენთ? მეუღლე როგორ ხვდება ამ გატაცებას?**

– ჩემს მეუღლეს სხვა გატაცება აქვს – „ბრელოკებს” აგროვებს. უკვე ძალიან დიდი რაოდენობით აქვს, ქვეყნების მიხედვით და, ერთ გრძელ, სქელ ჯაჭვზე აქვს აცმული.

**– თქვენს კოლექციაში ვნახე საკმაოდ ორიგინალური, ინტიმური „ბრელოკი”. დაგიწუნათ მეუღლემ?**

– ვინ აჩვენა?! ჯიბეში მედო და პირდაპირ ჩემს კაბინეტში მივიტანე. ჩემი თემატიკაა და, თანაც, ძალიან იშვიათი, ვერსად ნახავთ მსგავსს – მშვენიერი, მინიატურული კასრია, რომლის მიღმაც მამაკაცის სასქესო ორგანოები იმალება. ჩემი კოლექცია ხელშეუხებელია. არ იცვლება, არ იყიდება და, გაჩუქებაზე ხომ, საერთოდ ზედმეტია საუბარი.

**– ესე იგი, დადიხართ უცხოეთში და ინტიმურ სუვენირებს ეძებთ?**

– მივლინებებში ყოფნისას სპეციალურად მაქვს დრო გამოყოფილი ამ საქმისთვის, თუმცა, ჩემს კოლექციაში მხოლოდ ინტიმური სუვენირები არ არის, ბევრი იშვიათი და ორიგინალური ნივთია: ქალაქების სიმბოლოები, დიდი ადამიანების მინიატურული სტატუეტები, უცნაური ნივთები... აი, ამ პომადა-სანთებელათი მეუღლე ვაეჭვიანე ***(იღიმება).*** მანქანაში ჩავდე და ვითომ გავიოცე – უი, ეს აქ როგორ აღმოჩნდა-მეთქი... ფალოსიანი სანთებელათი ჩემს მეგობრებს გავხუმრებივარ. ისეთი სახეები აქვთ ხოლმე... ერთი შეხედვით ხომ ჩვეულებრივი სანთებელაა. ოღონდ, უნდა იცოდე, ვის ეხუმრო ამ ფორმით, თორემ, თუ ვერ გაგიგო, ცუდად იქნება საქმე...

**– როგორ აღმოჩნდა თქვენს კოლექციაში ეს შუშის ფალოსი-სასმისი?**

– საკმაოდ უცნაურად. არსად შემიძენია. როცა ჩვენი ინსტიტუტი ჯერ კიდევ ნინოშვილის ქუჩაზე მდებარეობდა, არქივში, დოკუმენტებს შორის აღმოვაჩინეთ. მოვიკითხეთ და ვიღაცამ გაიხსენა, რომ ეს ყოფილა საჩუქარი ჩვენი ორგანიზაციისთვის. ძალიან ვუფრთხილდებით.

**– და, რის სადღეგრძელოს სვამთ ამით?**

– ჯანმრთელი პაციენტების. ღმერთმა არ მოგვაკლოს ჯანმრთელი პაციენტები-მეთქი, ვამბობ.

**– ძირითადად რომელი ქვეყნებიდან არის ეს პიკანტური სუვენირები?**

– ძირითადად, ეგზოტიკური ქვეყნებიდან, როგორებიცაა ინდონეზია, ტაილანდი, თურქეთი... იქ მრავლად არის ამ ტიპის პიკანტური სუვენირები. ევროპაში პიკანტური სუვენირებით ამსტერდამია მდიდარი. ჩემდა გასაოცრად, მსგავსი ვერაფერი ვიპოვე ბრაზილიაში. რაც შეეხება კასრში დამალულ ფალოსს – ესპანურია. ინდოეთშიც ვერ ნახავ ეროტიკული შინაარსის ან პიკანტური ხასიათის სუვენირებს – იქ ძირითადად რელიგიური თემატიკის, ბუდასთან დაკავშირებული ნივთები იყიდება. ძალიან ბევრია ტაჯმაჰალის მინიატურული მოდელები.

**– ვენეროლოგი რომ არ ყოფილიყავით, დაინტერესდებოდით ასეთი შინაარსის სუვენირებით?**

– ალბათ, არა ***(იცინის).*** მაშინ, ავად უნდა ვყოფილიყავი რაღაც გადახრით, მაგრამ, ახლა ეს არის პროფესიული და არავის გაუჩნდება შეკითხვა – „რატომ?”

**ნინო წულუკიძე**

---

გონიერება და ადამიანობა არ გააჩნდა.

თუ აზიაში უტვინობა და არაკაცობა, არაადამიანობა შეიძლება დაინახო, ეს ჯალალედინზე, მის იდიოტ, მკვლელ მამასა და მათ „მეომრებზე“ შეიძლება, ითქვას. მხდალებმა დახოცეს მონღოლთა ვაჭრები, ასობით კაცი და გამოიწვიეს მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი დაპყრობითი ომები. თვითონ კი მერე გადაკარგულ ჯურღმულებში ამოხდათ სული. ტფილისის მაჰმადიან მოქალაქეებსაც არ დაადგათ კარგი დღე. ქრისტიანთა ძარცვისა და ხოცვის მერე, მათაც მისდგნენ ჯალალის ბრბოები. ღალატი დასჯადია, თუ სახელმწფოს მხრიდან არა, ღვთისგან მაინც...

თუმცა, სხვას რას ვერჩით, ჩვენ თუ სასტიკები და დაუნდობლები არ გვყავდნენ ხორეზმ შაჰებივით, მოღალატეები მაინც ბოლომად „მოგვეპოვებოდა”.

დიდი საქართველოსავით განწირული დიდი შალვა ახალციხელი ტყვედ ჩავარდა. მისი გმირობის ამბავი ყველას სმენოდა და სისხლისმსმელმა ჯალალმა გადაწყვიტა, თავის არმიაში მიეღო სწორუპოვარი რაინდი და საპატიო ტყვედ დაიტოვა. ქალაქებს შეჰპირდა სამართავად, დიდი პატივისცემით ეპყრობოდა და თავის ერთ-ერთ მხედართმთავრობას სთავაზობდა.

მაგრამ, შალვა ახალციხელი წერილებს აგზავნიდა სამშობლოში და ქვეყნის თავდასაცავად ჯარის შეყრას ითხოვდა.

გაუგეს.

სულთანმა ჯალალედინმა გადაწყვიტა, ეპატიებინა, მაგრამ, ერთი პირობით. ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა სისხლისმსმელი, ბოროტების მსახური სულთანი ოდნავ „გონივრულად” მოიქცა, ან იქნებ გაუტეხელი ქართველის გატეხვა სურდა – შალვას გამაჰმადიანება მოსთხოვა.

აქ კი გაეცინა ახალციხელს...

ზემოთ ვთქვით, შალვა ახალციხელი საქართველოს სიმბოლოა – რომ არა შინა ღალატი, მას ვერავინ მოერეოდა. როგორც ჩვენი სამშობლო მუდამ ღალატის გამო ვარდებოდა სხვათა ტყვეობაში, ასევე, სამხედრო სარდლობის ღალატისა თუ უვარგისობის, სახელმწიფო მანქანის მოშლის გამო, ჩავარდა შალვა ახალციხელი მტრის ხელში, მისი ძმა კი მოკლეს.

ჯალალედინმა მოაკვლევინა ქვეყნისა და სარწმუნოების ერთგული შალვა ახალციხელი.

ასე ეწამა შალვა ახალციხელი ქრისტიანობისათვის, როგორც ეწამებოდა ხოლმე ჩვენი სამშობლო ქრისტეს სარწმუნოებისთვის.

**გიორგი მახობეშვილი**

**ის, რომ ლენუკა ყიფშიძეს ცხოველები ძალიან უყვარს, გასაკვირი არ არის, რადგან, რაც დაიბადა, მას მერე მათ გვერდით უწევს ყოფნა. ზრუნავს მათზე და განიცდის. როგორც თავად ამბობს, მამას, ზურა ყიფშიძეს ყოველთვის ჰყავდა ძაღლი სახლში და ეს სიყვარული, შეიძლება ითქვას გენეტიკურად დაჰყვა. მოკლედ, ყიფშიძეებს ოთხფეხა, ერთგული მეგობრის გარეშე ცხოვრება ვერც კი წარმოუდგენიათ. თუ რა განცდების გადატანა უწევთ მათ გამო, როგორ დაგლიჯა ქუჩაში „ავჩარკამ" ლენუკა და ვის გამო ეჭვიანობენ შვილები ზურა ყიფშიძეზე, ამაზე, თავად ლენუკა მოგიყვებათ.**

# რატომ ელოდებოდა ზურა ყიფშიძე ქალიშვილის გაცოფება-დაღრენას და ვისი სიყვარული დაჰყვებათ ლენუკა და გიორგი ყიფშიძეებს გენეტიკურად

**ლენუკა ყიფშიძე**: ბავშვობიდან დღემდე, იმდენი ცხოველი გვყავდა ოჯახში, მათი ჩამოთვლა, ცოტა არ იყოს გამიჭირდება. ძალიან მიყვარს და მიმაჩნია, რომ ერთგულები და მეგობრულები არიან. დაბადებიდანვე მათ გვერდით ვიზრდებოდი და რა ჯიშის ძაღლი არ გვყოლია – მეძებარი, „ავჩარკა", ჩინური ჯიშის უბეწვო, კოკერ-სპანიელი, პუდელი, კანეკორსო. სხვათა შორის, თუთიყუშებიც გვყავდა და სიამის კატაც. ამიტომაც ვამბობ, ცხოველების სიყვარული ყიფშიძეებს გენეტიკურად მოგვყვება-მეთქი ***(იცინის).*** ახლა გვყავს, 4 წლის, იტალიური კანეკორსო – ბაგი, ულამაზესი და უჭკვიანესი. მამაჩემი აფანატებს მასზე. დილით ადგება თუ არა, მისი პირველი სიტყვებია: ჭამა ბაგიმ საჭმელი? გაიყვანეთ სასეირნოდ? მგონი, შვილებზე მეტად ბაგი უყვარს ზურას. ვეუბნები, ეს შენი მესამე შვილია-მეთქი. სულ შავია და ამიტომ დავარქვით ბაგირა, შემოკლებით და მოფერებით კი, ბაგის ვეძახით. ბაგირა ყიფშიძედ არის გაფორმებული პასპორტში და ზურას „უკანონო შვილია," თუმცა ოჯახში აღიარებული ***(იცინის).*** ზურასთან ერთად სეირნობა უყვარს, ჩემს ოთახში კი – ძილი. სანამ მე არ გავიღვიძებ, მიყურებს თავისი საწოლიდან და ითმენს, ჩემ თვალის გახელამდე.



**ბაგირა ყიფშიძედ არის გაფორმებული პასპორტში და ზურას „უკანონო შვილია," თუმცა ოჯახში აღიარებული**

**– ოთხი წელია, ბაგი თქვენი ოჯახის წევრია. საიდან მოხვდა ის ყიფშიძეების დიდ ოჯახში?**

– ზურას აჩუქა თავისმა ვეტერინარმა ახლო მეგობარმა, ნათიამ. დედალია და ამ მხრივ ცოტა რთულია მისი კრიტიკული დღეების გადატანა თავისი პამპერსებით. მაგრამ, რას ვიზამთ. სამაგიეროდ, ძალიან ჭკვიანია და მშვიდი. არასდროს გაგიჟებულა და ადამიანივით მეტყველი თვალები აქვს. ზოგადად, კანეკორსოს ჯიშის ძაღლები ოჯახის მცველებად ითვლებიან. ასე რომ, ყიფშიძეებს მცველი გვყავს ***(იცინის).*** პატარა რომ ვიყავი, „ავჩარკა" გვყავდა, მამას ძალიან უყვარდა და როცა დრო ჰქონდა, სულ მასთან ერთად სეირნობდა. ხილიანზე ვცხოვრობდით და, იქვე, საავადმყოფოს ეზოში, გალიაში ჰყავდათ „ავჩარკა", რომელიც ტერიტორიას იცავდა. ბავშვებს გვეცოდებოდა და ვაჭმევდით ხოლმე. ერთ დღეს, ეზოში, მეგობრებთან ერთად ვთამაშობდი, მამა ჩვენს ძაღლს ასეირნებდა. ვიფიქრე, იმ დაცვის ძაღლს ვაჭმევ-მეთქი. მივუახლოვდი, მაუგლივით ავძვერი გალიაზე და უცბად, არ გამოექანა და დამგლიჯა? წარმოიდგინეთ, ასეთი სისხლიანი „მაუგლი" რომ დამინახა ზურამ, რა დაემართებოდა? გამაქანეს საავადმყოფოში და მთელი ორი კვირა ოჯახი ჩემს დაღრენას ელოდა ***(იცინის).*** დღესაც კი მემჩნევა ის ნაკბენი „შრამად". ჩემი „ავჩარკა" კი გაოცებული თვალებით მიყურებდა – ეს რა მოხდა, როგორ გაგიმეტა ჩემმა თანამეჯიშემო ***(იცინის).*** ზურა ორი კვირა აკვირდებოდა იმ ძაღლს: ხომ არ კვდება, არ დავილუპოო და გადავრჩით. ღრენას რას ვჩივით, ცოცხალიც არ ვიქნებოდი.

**– პირად საუბარში მითხარი, კატაც გვყავდა, მაგრამ კატები დიდად არ მიყვარსო. გაგაბრაზეს, თუ რაშია საქმე?**

– მართალია, გვყავდა, მაგრამ არ მიყვარს კატა. სიამის კატა გვყავდა, ფანჯრის რაფაზე იჯდა, ჩიტმა შეაშინა, დაფრთხა, მეხუთე სართულიდან გადავარდა და მოკვდა. ძალიან ვინერვიულე და ვიდარდე.

**– აბა, კატებს შვიდი სიცოცხლე აქვთო?**

– ჰო, ეს მეც გამიგია, მაგრამ ფაქტია, ჩვენმა კატამ, ისკუპა ფანჯრიდან და მოკვდა. ამ სიამის კატას იცი, რატომ ვერ ვიტანდი? გააჩინა კნუტები და მერე შეჭამა. შვილების შეჭმა ვერ ვაპატიე და იმიტომაც ავითვალწუნე. სხვათა შორის, დიდ ბებიასაც ჰყავდა სიამის კატა და რომ ავადმყოფობდა, ჩვენთან იყო. მთელი ავადმყოფობის პერიოდში, სულ ფეხებთან ეჯდა, არ სცილდებოდა და ზუსტად, ახალი წლის 12 საათზე მოკვდა. ჩემმა ძმამ წაიღო და დამარხა. ამბობენ, ახალი წლის 12 საათზე კატის სიკვდილი სახლში ცუდიაო და მართლაც არ გვქონია კარგი წელი. სხვათა შორის, თუთიყუში და იადონიც გვყავდა, მაგრამ მათი მოვლაც არ მიყვარდა. აი, ძაღლები სულ სხვა საქმეა.

**– ბაგიმდე რომ ძაღლები გყავდათ, ისინი სად წაიყვანეთ?**

**სისხლიანი მაუგლი რომ დამინახა ზურამ, კინაღამ გადაირია. მთელი ორი კვირა ოჯახი ჩემს დაღრენას ელოდა**

– „ავჩარკა" მაქსი რომ გვყავდა, ულამაზესი, მე და მამაჩემი მასზე სერიოზულად ვგიჟდებოდით. წლინახევრისას, ბავშვივით ვზრდიდით და ვანებივრებდით. ზურა ისე იყო მასზე გადაფოფრილი, გეფიცებით, მაშინ ვიეჭვიანე პირველად მამაზე, მეგონა, ის უფრო უყვარდა, ვიდრე მე ***(იცინის).*** ზურა გასტროლებზე წავიდა. მაქსიმ კი, რაღაც ჭამა და მოიწამლა. გადასხმებიც გავუკეთეთ, წამლებიც დავალევინეთ, ნემსებიც მივაყარეთ, მაგრამ ვერ გადარჩა. ზურა კი, ყოველდღე რეკავდა და კითხულობდა. ჩვენ მის ავადმყოფობას ვუმალავდით. იმ დღეს კი, როცა მოკვდა და ზურამ დარეკა: როგორ არისო, თავი ველარ შევიკავე და ტირილი ამივარდა. ზურა იქით ტიროდა, ვერ ვაწყნარებდით. სკოლაშიც კი მაქსის ჯაჭვი დამქონდა და სულ ვტიროდი. კარგა ხანს სტრესიდან ვერ გამოვედი. საფლავიც გავუკეთეთ მე და გიორგიმ და ყოველდღე, ყვავილებით დავდიოდი. არ გეგონოთ, სულ გავრეკე – მივდიოდი მაღაზიაში და სპეციალურად ვყიდულობდი ყვავილებს შავი ლენტით ***(იცინის).*** იქვე, ვკრეფდი. მერე იქ ტრასა გადააგეს და ასე დავკარგე მისი საფლავი. სანამ გავთხოვდებოდი, პუდელი მაჩუქეს – ბიბი დავარქვი. ორსულად რომ ვიყავი, სულ მუცელთან მეჯდა და მიყურებდა. ნიკუშა რომ გაჩნდა, ძალიან იეჭვიანა და საჭმელს არ ჭამდა. ეზოში რომ ველარ ვახერხებდი მის გასეირნებას, გავუღებდი კარებს, ვუშვებდი და თვითონ სეირნობდა. ერთ დღესაც, გავუშვი ბიბი სასეირნოდ და მანქანამ დაარტყა. დამირეკეს, ბიბის მანქანამ დაარტყაო და სანამ მე მივედი, გიომ იფიქრა, ექიმთან წავიყვანო. მანქანაში ჩასვა და იქ მოუკვდა. ჩემს ძმას ჩააკვდა საწყალი ხელებში, ვერ მოასწრო მისი გადარჩენა. ახლა რომ ვფიქრობ, სულ სტრესში ვარ ამ ცხოველების გადამკიდე და მაინც როგორ ვერ ველევი და მიყვარს ***(იცინის).***

**– წარმომიდგენია, მათი რეაქცია, როცა დიდხანს ვერ გნახავენ და შინ ბრუნდები.**

– ნამდვილი სიგიჟე ემართებათ ***(იცინის).*** ერთხელ, დაბადების დღეზე მივდიოდი, ქუსლებზე ვარ შემდგარი, გადაპრანჭული და გამოვედი სადარბაზოდან ზემოწესრიგებული. ნაწვიმარი და ატალახებული იყო ეზოს ტერიტორია. ზურა ეზოში ასეირნებდა ბაგის. დამინახა და გადაირია, ზურას გამოექცა და გამოვარდა ჩემსკენ. ერთი კი მოვასწარი: ბაგი, სტოპ-მეთქი და ტალახიანი თათებით შემომახტა. მხარზე რომ დამკრა თათები, თავი ვერ შევიკავე, გავგორდი ძირს, ზემოდან ბაგი დამეცა და გადამიარა თავისი ტალახიანი ფეხებით. მეზობლები იყურებოდნენ – რა ხდება, ეს ქუსლიანი ქალი რას გორაობს ძირსო ***(იცინის).***

**– დავიჯერო, მეზობლების დასაცინი გახადა, ტალახში გაგორავა და არ გაუჯავრდი ბაგის?**

– სიყვარულით მოუვიდა და რა მექნა? კი ვუსაყვედრე, მაგრამ რაღა დროს. დამიჯერეთ, ისეთი ერთგული მეგობარი არ არსებობს, როგორიც ბაგია. სახლში მარტო დარჩენის მეშინია და მასთან ერთად თავს მშვიდად ვგრძნობ. ბაგისთან ერთად გვყავდა ადრე, ლაიკის ჯიშის ლეკვი, სახელად მობი და ის ნამდვილი სასწაული იყო. ეს წყნარია, მაგრამ ის აგიჟებდა და ერთად იმდენი ლეიბი დაგლიჯეს და გადაჭამეს. ლამის ფეხზე მოგვიწია დაძინება ***(იცინის).*** ერთი ლამაზი ფეხსაცმელი მქონდა, ძალიან მიყვარდა და ისიც შეჭამა. ულამაზესი, სპორტული შლოპანციც დაგლიჯა და შეჭამა. აი, ის კი ვცემე ამის გამო. ბოლოს გავაჩუქეთ და ბოლო მოვუღეთ ბაგის ეჭვიანობასაც.

**ნონა დათეშიძე**

**იშვიათად შევხვედრივარ ადამიანს, რომელიც თავს გადახდენილ უარყოფით მოვლენებს ასე ხალისიანად და იუმორით იხსენებდეს. ძნელია, არ გაგეცინოს. სწორედ ასეთია ნიკა არაბიძე და მისი ცხოვრებისეული ისტორიებიც ისეთივე სასიამოვნო მოსასმენია, როგორც მისი ყურება ტელეეკრანზე. ნიკა ახლახან დაბრუნდა წმინდა მიწიდან, სადაც კონცერტები იყო დაგეგმილი და ჯერ კიდევ შთაბეჭდილებების ქვეშაა.**

# როგორ გადაურჩა ისრაელის ციხეში ექვსი წლით პატიმრობას ნიკა არაბიძე და როგორ გადარია მისმა ნამღერმა თბილისში სტუმრად ჩამოსული ლეონიდ აგუტინი

**ნიკა არაბიძე**: მოგზაურობა, როგორც ყველა ადამიანს, მეც მიყვარს. ამ დროს ბევრ საინტერესო რამეს ნახულობ, მოსაყოლიც გიგროვდება და გასახსენებელიც გაქვს კაცს. თუმცა, რაც ასაკში შევდივარ, ფრენის მეშინია – მგონია, თუ აფრინდა თვითმფრინავი, აღარ დაფრინდება; თუ დაფრინდა – აღარ აფრინდება და ასე ***(იცინის)...***

**– ფრენის დროს ეს შიში ქრება?**

– ჰაერში თუ ავფრინდი, მერე ვწყნარდები, აღარ მეშინია, მაგრამ, როგორც კი დაფრენას იწყებს თვითმფრინავი, გულიც მეპარება ***(იცინის).*** სხვათა შორის, მგზავრობის დროს სასმელის „ჩარტყმა" არ მიყვარს, ზოგი შიშის გამო რომ ითხლიშება. მარტო წყალქვეშა ნავით არ ვარ ნამგზავრი, თორემ, სხვა ყველა ტრანსპორტი ათვისებული მაქვს. არც ერთი ტრანსპორტი არ მწყენს და ყველაში კომფორტულად ვგრძნობ თავს. თუმცა, თუ უსაფრთხოებაზე მიდგა საქმე, მირჩევნია, მიწაზე ვიდგე მყარად და არა ჰაერში ვიყო გამოკიდებული. ვირითა და ცხენითაც მიმგზავრია, მაგრამ, რომ დამინახეს ამხელა წონის ადამიანი, ისეთი გამომეტყველება ჰქონდათ, ფიქრობდნენ, ვაი, ჩვენ ბედს რა ვუთხარიო ***(იცინის).*** რა ვიცი, კი მზიდეს ეს ასოცკილოიანი კაცი და... ერთი ისტორია გამახსენდა ცხენზე: ჩემი მეგობარი მოდიოდა მაგარი მთვრალი (თან, დიდი თავი აქვს) და დაინახა ტაჩკაზე შებმული ჯაგლაგი ცხენი. პატრონს სთხოვა, ველარ მივდივარ, შემოვჯდები და წამწიე ცოტა წინო. პატრონმა უთხრა: კი შემოჯექი, ბიძია, მაგრამ, ცხენმა არ დაგინახოს ამხელა თავით, თორემ, არ წავაო ***(იცინის).*** ასე რომ, დამინახა თუ არა ცხენმა, კი იფიქრა, ახლა რა სიკვდილი ვქნა, ამის წათრევა არ გინდაო? მაგრამ, თავს ზემოთ ქონდა ძალა?!

**– ახლახან დაბრუნდი ისრაელიდან. დასასვენებლად იყავი წმინდა მიწაზე თუ მიწვევა გქონდა?**

– მიწვევით ვიყავით ბიჭები ისრაელში – კონცერტი ჩავატარეთ ქალაქ აშდოთში, რომელიც ქართველი ებრაელების ცენტრად ითვლება და ყველაზე მეტი ქართველი ებრაელი ცხოვრობს. ისრაელის მიწაზე რომ ფეხი დადგა, ეს უდიდესი მადლია და, იმ განცდის გადმოცემა, რასაც იერუსალიმის ნახვისას განიცდი, შეუძლებელია. წარმოიდგინეთ, საკუთარი ხელით ეხები იმას, რისიც გწამს და გჯერა – ნამდვილი ხილული სასწაულია. ეს ჩემი მეორე ვიზიტი იყო, მაგრამ, პირველად რომ მივდიოდი ისრაელში, მაგარი კურიოზი დამემართა. მოკლედ, დამირეკეს ისრაელიდან და მითხრეს, მიდი საკონსულოში და აიღე ვიზაო. მივედი და დამხვდა წარწერა: „საკონსულო გაფიცულია". დაცვას ვეუბნები, ვიზა მინდა და რა გავაკეთო-მეთქი. მიპასუხა: აბა, რა გიქნა, მეც ქე მინდა ვიზა, საიდან მოგცე, დადექი ჩემს გვერდით და ვიდგეთ ასე დილამდე, სხვა რა გითხრაო. არადა, აშდოთის მერის მიწვევით მივდიოდი და ორ დღეში მივფრინავ. დავურეკე და ვუთხარი: მოშე, მიშველეთ, კაცო, არ მიშვებენ-მეთქი. ის იქ გადაირია, რაღაცას მოვიფიქრებო. მეორე დღეს დამირეკა და მითხრა, ფაქსით გამოგიგზავნეთ საბუთი, მიდი და ამობეჭდეო. ვიფიქრე: ა, ისრაელის მთავრობა, შევაწუხე და როგორ დამეხმარნენ-მეთქი (***იცინის).*** მოკლედ, ამოვბეჭდე ის „დეპეშა", მიჭირავს ხელში, ვაფრიალებ და ჩავედი ისრაელში. საპასპორტო კონტროლს რომ გავდიოდი აეროპორტში, მებაჟეს მივეცი ის ფურცელი, ატრიალა ხელში, მიყურა და ბოლოს მითხრა: ვისი ხარ, შვილო, საიდან მოხვედი, ეს რა „დეპეშააო". დავიბენი. ბევრი რომ არ გავაგრძელო, მიკრეს თავი აეროპოტრის პოლიციაში. მერე გაარკვიეს, რომ ეს იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი, სადაც ეწერა, შემოუშვით ჩვენი კაციაო. სანამ გაარკვევდნენ, რაში იყო საქმე, ვფიქრობდი, თუ დამიჭირეს ახლა და ჩამსვეს ისრაელის ციხეში განაბი ნიკასავით, რაღა მეშველება, სახლში ვთქვი, ქართულ-ებრაულ დღეებზე მივდივარ და, ექვსი წლით რანაირად-მეთქი ***(იცინის).*** მადლობა ღმერთს, გადავრჩი. ზოგადად, გეოგრაფიულად ვიცი, სადაც არის ისრაელი და რომ ირგვლივ მტერი – არაბული ქვეყნები ჰყავს



**მივედი საკონსულოში და დამხვდა წარწერა: „საკონსულო გაფიცულია". დაცვას ვეუბნები, ვიზა მინდა-მეთქი, მან კი მიპასუხა, რა გიქნა, მეც ქე მინდა ვიზა, საიდან მოგცე, დადექი ჩემ გვერდით და ვიდგეთ ასე დილამდეო**

**წყალქვეშა ნავით არ ვარ ნამგზავრი, თორემ, სხვა ყველა ტრანსპორტი ათვისებული მაქვს**

შემორტყმული, მაგრამ, რას წარმოვიდგენდი, თუ მათი სამიზნე მე გავხდებოდი?! ***(იცინის)*** მოკლედ, ორი დღის ჩასული რომ ვიყავი, ქალაქ აშკერონის სასტუმროში ყოველ დილით ბასეინში ვნებივრობდი, გამქონდა „გუგუნი" და, მესამე დღეს არ გავიგე, რომ, თურმე, ღაზას სექტორი ათ კილომეტრშია?! დამცხა, მაგრამ რა დამცხა. აივანზე დავდგი საწოლი, იქ მეძინა და ცალი ფეხი აივნის გარეთ მქონდა გაყოფილი – ვიფიქრე, თუ დამცხეს თვითნაკეთი ბომბი, ბასეინში გადახტომას მაინც მოვასწრებ-მეთქი. სამი დღე ასე, ცალთვალდახუჭულს მეძინა. თან, ჩემი იღბალი რომ ვიცი, კი არ ამცდებოდა, პირდაპირ შუბლში დამეჭედებოდა ბომბა, მაგრამ, გადავრჩი.

**– ამერიკაშიც ხომ იყავი? როგორც გავიგე, არც კაზინოებში ვიზიტები დაგიკლია. სიმართლე თქვი, რამდენი წააგე?**

– დიახ, ამერიკაშიც გახლდით. მე საბჭოთა კავშირის ბავშვი ვარ და, სულ მესმოდა, ამერიკელები ბოროტები არიან, აქ სექსი არ არის, იქ არისო. მერე დაიშალა საბჭოთა კავშირი და მესმოდა: ამერიკა მაგარია, იქ რომ არის სექსი, აქაც არისო ***(იცინის).*** სულ მაინტერესებდა ტიპური ამერიკელის ნახვა, მაგრამ, იქ რომ მოვხვდი, ორი დღე თვალით ვერ ვიხილე იქაური ადამიანი კი არა, მანჰეტენიც კი. რომ ჩავედი, ზანგი მძღოლი დამხვდა; სასტუმროში – მექსიკური ცხვირ-პირის მქონე ადამიანი, უკნიდან კი მომესმა ხმა: ბოზიშვილი ვიყო, ეგი ვინ დავინახეო. გავიხედე – ქუთაისელები არ არიან? მტაცეს ხელი და წამიყვანეს რესტორან „ბაქოში", სადაც ზიზინობდნენ რუსები. მოკლედ, ის დღე დაღამდა, გათენდა მეორე დღე და, ისევ მოცვივდნენ ქართველები სასტუმროში, მტაცეს ხელი, გამაქანეს ქართულ რესტონან „ფიროსმანში" და მოაყარეს, მწვადი, ხინკალი და ქაბაბი. გადავირიე: ხალხი არა ხართ? ამერიკაში ვარ და ტიპური ამერიკელი მანახვეთ და ჰამბურგერი გამასიჯეთ-მეთქი ***(იცინის).*** ვიფიქრე, მე თუ არ ვუშველე ჩემს თავს, რა მოვყვე საქართველოში ჩასულმა ამერიკაზე-მეთქი და, დილის ოთხ საათზე გავიპარე მანჰეტენზე. ატლანტიკ-სითიში ჩასული კაზინოში რომ არ შეხვიდე, ცოტა სირცხვილია. იქ რომ შეხვალ, წაგება-მოგებას რომ თავი დავანებოთ, ფულიანის „ვიდი" მაინც უნდა გქონდეს ადამიანს. სად მქონდა იქ დასაკარგავი ფული, მაგრამ, ერთი ასი დოლარი „მოვიძულე" და მოვიგე ას ოთხმოცი დოლარი. ჩავიკუჭე ჯიბეში და წამოვედი. აზარტული კი ვარ, მაგრამ, „სტოპიც" ვიცი კაზინოში შესულმა.

**– გურმანი რომ ხარ, გარეგნობაზეც გეტყობა. ყველაზე მეტად რომელი ქვეყნის ტრადიციული კერძებით მოიხიბლე?**

– ძალიან მიყვარს საბერძნეთში ჩასულს იქაური ზღვის პროდუქტების დაგემოვნება. სასმელიც კარგი აქვთ და, ასე მგონია, სამოთხეში ვარ. ორ ღამეში სულ ორი საათი მეძინა, დილის ექვსი საათიდან სულ გადარბენ-გადმორბენა, სმაჭამა გამიდიოდა.

**– ერთი, ეს მითხარი, როგორ გადარიეთ მთაწმინდაზე ლეონიდ აგუტინი შენ და ვახო ბიჭიკაშვილმა დუეტში შესრულებული სიმღერებით?**

– ჩვენმა ქუთაისელმა მეგობარმა ბექამ ქორწილი მთაწმინდაზე გადაიხადა. ის უკრაინაში ცხოვრობს და ისეთ „სასტავშია", რომ ბევრ ცნობილ ადამიანთან მეგობრობს, მათ შორის, ლეონიდ აგუტინთან და ისიც დაპატიჟებული იყო. მაგრად გავერთეთ და, რომ დავლიეთ მე და ვახანხალამ და რომ მივცვივდით მიკროფონს და ბუთქუნა და თამაზას დუეტი „გავუშვით", სულ გადაირია აგუტინი – ეს რეები მესმისო ***(იცინის).*** ჩვენ შემდეგ მას აღარც უმღერია – ეტყობა, ისე დავაკომპლექსეთ, შერცხვა ჩვენ მერე სიმღერა ***(იცინის).***

**ნონა დათეშიძე**

# ბრძნული აზრები

**ფორდი**: ძალიან კარგია, რომ ხალხი ვერ ერკვევა საბანკო და მონეტარულ სისტემაში. რომ გარკვეულიყვნენ, ვფიქრობ, რევოლუცია ხვალ დილამდე მოხდებოდა.

**კეინზი**: თუ თქვენ ვალად ბანკის ასი დოლარი გადევთ, ეს თქვენი პრობლემაა, ხოლო თუ მილიონი – ბანკის.

**დემოკრიტე**: საკუთარი ცოდვის დავიწყება უსირცხვილობას ბადებს.

**პოლინზი**: ვნებები, რომლებიც სიამოვნებას არ იძლევიან, არის შური და შიში.

**შვებერი**: თუ რას წარმოადგენს ადამიანი, კარგად ჩანს მისი შეცდომების მიხედვით და მისი ამ შეცდომების მიმართ დამოკიდებულებაში.

**ჰერბარტი**: ზნეობრივი აღზრდის გამომუშავება მხოლოდ თავისუფლებით შეიძლება.

**არისტოტელე**: ვინც წინ მიდის სწავლაში, მაგრამ უკან რჩება ზნეობაში, ის უფრო უკან მიდის, ვიდრე წინ.

**ბერნე**: აზროვნების პატიოსნება უფრო იშვიათი მოვლენაა, ვიდრე ყოფაცხოვრების პატიოსნება.

**ეპიკური**: არ არსებობს სასიამოვნო ცხოვრება გონივრული, ზნეობრივი და სამართლიანი ცხოვრების გარეშე და, არც გონივრული, ზნეობრივი და სამართლიანი ცხოვრება არსებობს სასიამოვნო ცხოვრების გარეშე.

**ბეკონი**: არაფერია ისეთი მავნებელი ხელისუფლებისთვის, როცა ეშმაკობას სიბრძნედ მიიღებს.

**ვიტმენშტაინი**: წინადადება ჭეშმარიტია მაშინ, როცა არსებობს ის, რასაც წინადადება აღწერს.

**ბუასტი**: გემოვნების საკითხში მტკიცებულებები არ არსებობს.

**პუბლიუსი**: უჩინარი ბოროტება ყველაზე საგანგაშოა.

**ციცერონი**: ჩვენ ბუნებამ რაღაც უფრო დიდი და მეტად მნიშვნელოვანი საქმეებისთვის გვშობა და შეგვქმნა.

**მაკოლეი**: ბუნების ადვილად დამორჩილება შეიძლება მისადმი დამორჩილებით.

**ცზირენი**: ის, ვინც განსჯის გარეშე სწავლობს, დაბნეულობაში ვარდება; ხოლო ის, ვისაც განსჯისა და სწავლის სურვილი არ აქვს – გართულებებში.

**სვიფტი**: გენია ყოველთვის ჩანს, რადგან მის წინააღმდეგ ყველა ბრიყვი და უნიჭო ერთიანდება.

**ლაიბნიცი**: ჩვენ მით უფრო თავისუფლები ვართ, რამდენადაც გონებრივად გააზრებულად ვმოქმედებთ და, იმდენად დამონებული, რამდენადაც ვნებებს ვემორჩილებით.

**როსტანი**: ქალები ერთადერთი ექსპლუატირებული სოციალური ჯგუფია კაცობრიობის ისტორიაში, რომელსაც თავისი სისუსტის გამო აიდეალებენ.

**შოუ**: ადრე ქალში ბედნიერების ცოცხალ წყაროს ხედავდნენ, რომლისთვისაც ფიზიკურ სიამოვნებას ივიწყებდნენ. ახლა კი მასში ფიზიკური ტკბობის ფიზიოლოგიურ საშუალებას ხედავენ და მის გამო ბედნიერებას არ დაგიდევენ.

# თუ გამოიცნობთ

1. თითქმის რვა წლის განმავლობაში ტარდებოდა საფრანგეთის, ესპანეთის, პორტუგალიისა და იტალიის ჩემპიონი გუნდების ტურნირი, რაც, ფაქტობრივად, ევროპის თასის გათამაშების წინამორბედი იყო. **რა ეწოდებოდა ამ ტურნირს?**

2. არსებობდა 4 მომაკვდინებელი ცოდვა, რისთვისაც ბუდისტი ღვთისმსახური შეეძლოთ მოეკვეთათ: სიამაყე, ქურდობა, მკვლელობა... **რა იყო ყველაზე საშინელი ცოდვა?**

3. 1974 წლის ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩის დაწყება მიუნჰენში რამდენიმე წუთით შეყოვნდა, რადგან, დაავგიანეს მათი მომზადება. **რისი?**

4. „ნარინჯისფერი რევოლუცია“ თანამედროვე მსოფლიოსთვის უკრაინის 7 წლის წინანდელ რევოლუციად აღიქმება, თუმცა, 40 წლის წინ ასე სულ სხვა რამეს უწოდეს. **რას?**

5. სხვადასხვა დროს სხვადასხვა ქვეყანა ერთნაირი დამაჯერებლობით ყვებოდა ლეღვზე, ლიმონზე, ფორთოხალზე, ბროწეულზე, მსხალზე, კომშზე... ჩვენთვის მისაღები კი სულ სხვა ხილია. **რომელი?**

6. 1988 წელს სამხრეთ კორეაში გამოუშვეს მედალი, რომლის ერთ მხარეზე გამოსახული იყო პაგოდა, მეორე მხარეს – ქალღმერთი ნიკე. **რა დანიშნულებით დამზადდა ეს მედლები?**

7. 1530 წელს ჰოლანდიელმა ასტრონომმა გემა ფრიზიმ გამოაქვეყნა გრძედის, ანუ მერიდიანის საათის მეშვეობით განსაზღვრის მეთოდი. მას შემდეგ ამ მეთოდს, ზუსტი ქრონომეტრების საშუალებით, ზღვაზეც იყენებდნენ და ხმელეთზეც. თუმცა მოგვიანებით ხმელეთზე ასეთი ქრონომეტრები საჭირო აღარ იყო. **რამ გამოიწვია ეს?**

8. ძველი რომაელები იუმორის თავისებური, განსაკუთრებული გრძნობით გამოირჩეოდნენ. დაასახელეთ, **რომელი სიუჟეტი ითვლებოდა ყველაზე პოპულარულად იატაკის მოზაიკისთვის?**

9. 2004 წელს საფრანგეთში ასეთი ექსპერიმენტი ჩაატარეს: სამედიცინო ჯგუფისთვის მოედანზე გამოსვლის უფლების მისაცემად რეფერებს დაურიგეს... **რა?**

10. 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე საბჭოთა კავშირის ნაკრების ოფიციალურ მწვრთნელად კონსტანტინ ბესკოვი ჩაიწერა, თუმცა, სინამდვილეში, გუნდს ხელმძღვანელობდა ის, რომლის ყველაზე ცნობილი ვარიანტი ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველ საუკუნეში იყო. **დაასახელეთ, ვინ ხელმძღვანელობდა საბჭოთა ნაკრებს.**

*პასუხები იხილეთ 58-ე გვერდზე*

# პოპულარულ ცდომილებათა ლექსიკონი

### ალკოჰოლი გვათბობს

მას შემდეგ, რაც მოულოდნელად აღმოვაჩინეთ ალკოჰოლის დადებითი თვისებები, დადგა დრო, ყურადღება მივაპყროთ მის იმ თვისებას, რომელსაც ხალისით მიაწერენ კეთილმოსურნენი და რომელიც, სინამდვილეში, მას არ გააჩნია. თუ იანვრის ცივ საღამოს ერთი ჭიქა ცხელი გროგის (მაგარი სასმელი – შაქრიანი წყლით შეზავებული რომი, კონიაკი ან არაყი) მიღების შემდეგ ვიწყებთ იმის დაჯერებას, რომ სპირტს გათბობის უნარი აქვს, ღრმად ვცდებით – ალკოჰოლი არ ათბობს სხეულს. მართალია, ჩვენ სუბიექტურად შევიგრძნობთ სითბოს, რომელიც სასიამოვნოდ ვრცელდება კუჭიდან მთელ სხეულზე, მაგრამ, სინამდვილეში, აქ სულ სხვა რამ ხდება: ალკოჰოლი აფართოებს სხეულის ზედაპირის სახლოვეს განთავსებულ სისხლძარღვებს, სისხლიც იქითკენ მიემართება და გრილდება, რის შედეგადაც, სხეულის ტემპერატურა დაბლა ეცემა. ამგვარად, ძლიერ ყინვიან ამინდში, შეიძლება, სწორედ ალკოჰოლი გახდეს სხეულის მოყინვის მიზეზი.

### საკეისრო კვეთა მომდინარეობს სიტყვიდან – „კეისარი“ (ცეზარი)

უფრო დანამდვილებით, სიტყვათა წყობა „საკეისრო კვეთა“ მოდის ეგრეთ წოდებული Lex reqia და Lex caesarea-დან (caedare-დან – „დასერვა”). ძველ რომში არსებობდა კანონი, რომლის თანახმადაც, თუ მშობიარობის დროს ქალი მოკვდებოდა, ნაყოფი (ბავშვი) უნდა ამოეყვანათ მუცლიდან და, არა მარტო იმის იმედით, რომ, შეიძლებოდა, ბავშვი გადაერჩინათ, არამედ იმიტომაც, რომ ის ცალკე დაემარხათ. რომაელ ისტორიკოს პლინიუსს მიაჩნდა, რომ სიტყვა „ცეზარიც“ „დედის სხეულიდან ამოკვეთილს“ ნიშნავდა. ეს შეცდომაა. ცეზარი სულაც არ არის პირველი ახალშობილი, რომელიც რომაელმა ექიმებმა გაკვეთის გზით ამოაცალეს მშობიარეს მუცლიდან. ცეზარის დედამ, სხვათა შორის, კიდევ დიდხანს იცოცხლა ამ ხერხით მშობიარობის შემდეგ.

ახალი წელთაღრიცხვით, ცოცხალი მშობიარისთვის საკეისრო გაკვეთა პირველად დაიწყეს მეთხუთმეტე საუკუნის ბოლოსა და მეთექვსმეტე საუკუნის დასაწყისში. ცნობილია, მაგალითად, რომ ვინმე მწყემსმა ნუფერიმ, შვეიცარიის კანტონ ტურგაუში ცოლისთვის რომ ეშველა, საკეისრო კვეთა გაუკეთა მას და ორივე გადაარჩინა – ცოლიც და ვაჟიშვილიც. ეს დაახლოებით 1500 წელს მოხდა. გერმანიაში საკეისრო კვეთა პირველად 1610 წელს იქნა ჩატარებული ვიტენბერგში.

## შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. ლg1-c5!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**




– ალო, გიას სთხოვეთ...
– აქ გია არავინ არის...
ხუთი წუთის შემდეგ.
– ალო, გია ხომ არ მოსულა?
– ხომ გითხარით, გია აქ არ ცხოვრობს.
ხუთი წუთის შემდეგ.
– ალო, უკაცრავად, გია კიდევ არ არის?
– ხომ გითხარით, აქ გია არავის ჰქვია! ვა...
ხუთი წუთის შემდეგ.
– ალო, გია ვარ, ჩემთან ხომ არავის დაურეკავს?!

***

ერთ არაბ ნავთობმაგნატს სისხლი დასჭირდა. შესაბამისი სისხლი ვერსად იშოვეს, ბოლოს ერთ ებრაელს აღმოაჩნდა. გადაუსხეს. არაბი გამომჯობინდა და ებრაელს სახლი და ძვირფასი მანქანა აჩუქა. ერთი წლის შემდეგ, ისევ დასჭირდა არაბს სისხლი. ებრაელმა სიხარულით მიირბინა და გადაუსხა, რისთვისაც შეიხმა ყუთით ნამცხვარი გადასცა.




– კი მაგრამ, მაშინ სახლი და მანქანა მაჩუქეთ...
– ჰო, მაშინ ებრაული სისხლი არ მქონდა...

***

ადვოკატი სასამართლო პროცესზე გამოდის:
– რომ დაგიმტკიცოთ, რომ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფ ეჭვმიტანილს, დანაშაულის მომენტში არანაირად არ შეეძლო მკვლელობის ადგილზე ყოფნა, გაჩვენებთ მისი ინტერნეტსაიტებზე ყოფნის ისტორიას.
– არ გინდათ! მე გადავწყვიტე, ვაღიარო დანაშაული! – წამოხტა ეჭვმიტანილი.

***

სამსახური ვერ ვიშოვე, სამაგიეროდ, 20 ენაზე ვისწავლე ფრაზა „საჭმლის ფული არ მაქვს“... ყოველი შემთხვევისთვის.

***

– ჩემს შეყვარებულს ახალ წელს საჩუქარი ნაძვის ხის ქვეშ დავუდე...
– და მოეწონა?
– რა ვიცი, დღემდე ეძებს... ტყე ხომ დიდია.

***

60-იან წლებში ბირთვული ფიზიკის მოღვაწეები შავ ზღვაზე დასასვენებლად ჩამოვიდნენ. იყიდეს ლუდი და სანაპიროზე ჩამოსხდნენ. ლუდის ბოთლები პლასტმასის სახურავებიანია. მათ გასახსნელი არ აქვთ და დალევას ვერ ახერხებენ. იქვე, მამაკაცს სძინავს, მიმართეს, იქნებ გაგვიხსნაო. იმან გაახურა სახურავი, თავისუფლად მოხადა ბოთლს თავი და დააყოლა:
– ფიზიკა უნდა იცოდეთ!
და ფიზიკაში მიღწეული წარმატებისთვის ერთი ბოთლი ლუდიც მიიღო.

***

– მამი, როდესმე სკოლის მასწავლებელი თუ შეგყვარებია...
– ჰო, შვილო...
– და მერე?
– რა და... დედაშენმა გაიგო ყველაფერი და... ორშაბათიდან სხვა სკოლაში ივლი...

***

– ცოლი მეჩხუბა და მიმატოვა... არადა, ისეთი არაფერი ყოფილა – ვიწექით, სიგარეტს ვეწეოდი და ახალგაზრდობის ამბებს ვიგონებდით... და უცბად ცოლი შემოვიდა...

***

ავტობუსში მამაკაცი ილანძღება:
– რა ახალგაზრდობა წამოვიდა?! უზრდელები, არავის პატივს არ სცემენ... თვითონ კარგად მოკალათებულან და ადგილს უფროსს არ დაუთმობენ...
– ბატონო, რატომ ბრაზობთ, თქვენ ხომ ზიხართ? – შენიშნა ერთმა მგზავრმა.
– ჩემი ცოლი რომ ფეხზეა?!

***

– ექიმო, ძალიან მტკივა ხელი...
– მხედველობა როგორი გაქვთ, თვალი ხომ არ გაწუხებთ?
– არა, ხელი მტკივა.




– შარდსასქესო ორგანოები წესრიგში არ გაქვთ?
– არა, ხომ გითხარით, ხელი მტკივა-მეთქი, რა კითხვებს მაძლევთ?
– იმიტომ, რომ კარზე დიდი ასოებით აწერია – უროლოგი.

***

– სარკევ, სარკევ, ვინ არის ყველაზე ლამაზი და მშვენიერი?
– ე, გამოფხიზლდი! პლანშეტი ვარ, პლანშეტი...

***

შეკითხვა ექიმს:
– ჩემმა ცოლმა ხმა დაკარგა... ყველაფერი ვცადეთ, მაგრამ უშედეგოდ. რას მირჩევთ?
– სცადეთ: შინ ღამის 3 საათზე დაბრუნდით, თუ მოახერხებთ ქალის სუნამოს სურნელით...

## ცნობილ ადამიანთა ენამახვილური გამონათქვამები

შამილი რომ დაიჭირეს, ბარიატინსკისთან მისი ნაიბები და ლეკები მოდიოდნენ დამორჩილების ნიშნად. ერთმა ნაიბმა ძლიერ დააგვიანა – მთელი ორი დღე აცდევინა თურმე ბარიატინსკის; ბოლოს მაინც ეახლა.
– შენ რად დაიგვიანე ასე? – ჰკითხა წყრომით სარდალმა.
ნაიბმა აუჩქარებლად და ღირსეულად ჯერ თათრული სალამი მისცა „ნამესტნიკს“ და მერე მოახსენა დინჯად:
– სარდალო, ვინც გვიან მოვა, ის გვიანაც წავაო.

***

ფერშალმა პეტრე ა-შვილმა სოფლის ყრილობაზე თავი იქო:
– კაცი არ არის, რომ ჩემის ხელობის გამო მემდურებოდესო.
– ცოცხალი რომ აღარავინ გადაგრჩა, ვიღა დაგემდურებაო, – უპასუხა მამასახლისმა.

***

ერთმა აკაკისგან ათვალწუნებულმა ახალგაზრდა კაცმა საყმაწვილო წიგნების ბეჭდვას მიჰყო ხელი.
– აი, ეს მომწონს! საყმაწვილო წიგნი ბავშვმა უნდა გამოსცესო, – თქვა შეუბრალებელმა აკაკიმ.

***

ერთმა ქალმა უსაყვედურა აკაკის:
– შენი სიტყვები ლოდივით მაწევს გულზეო!
– რა ვქნა, ბატონო... მე მაინც ვერ დავიმუნჯებ თავს. ნეტავი, სულაც, ჩემს სიტყვებად გადამაქციაო, – მიუგო აკაკიმ.

***

ერთ-ერთ შეხვედრაში თბილისის „დინამო“ დიდი ანგარიშით მარცხდებოდა. დინამოელთა საჯარიმოსთან მსაჯმა ჯარიმა დანიშნა. ქართველმა ფეხბურთელებმა, წესისამებრ, „ცოცხალი კედელი“ აღმართეს. ეროსი მანჯგალაძემ, რომელიც „დინამოს“ თამაშით უკმაყოფილო იყო, თავისი განწყობილების შესაფერისი ფრაზა რადიოეთერში პირდაპირ თქვა: „აღმართეს მკვდრებმა ცოცხალი კედელი“.



# ქართულ-გერმანული მოლხენა და ექვსი საათით გადადებული რეისი

სამოციან წლებში საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში ვთამაშობდი. მწვრთნელი გახლდათ ვლადიმერ ელოშვილი – ფეხბურთის უდიდესი სპეციალისტი და შესანიშნავი პიროვნება. სასიამოვნო მოგონებად დამრჩა, რომ ორჯერ ვითამაშე ფინალში საბჭოთა კავშირის პირველობაზე. ის უსიამოვნო ფაქტი, დონეცკში რომ მოსკოვის „სპარტაკთან“ ფინალში 1:2 წავაგეთ, მე მაინც სასიამოვნოდ მახსენდება. ამას მხოლოდ ის თუ გაიგებს, ვისაც ფინალში თამაშის სიამოვნება ერთხელ მაინც განუცდია.

მერე მოხდა ისე, რომ ფეხბურთის ფორმა გავიხადე და მილიციის გენერლის ფორმა ჩავიცვი, თუმცა ფეხბურთს ცოცხალი თავით როგორ ჩამოვცილდებოდი. ყველა უმნიშვნელოვანესი მატჩის დროს სტადიონზე წესრიგს ვიცავდი, ჩემს „არწივებთან“ ერთად. ის ეპიზოდი, რომელზეც უნდა გიამბოთ, „დინამოს“ „ლივერპულთან“ თამაშს უკავშირდება.

ფეხბურთის ფანებს ემახსოვრებათ (ან რა დაავიწყებთ), ის მატჩი ბრწყინვალედ ჩავატარეთ. „ნისლიანი ალბიონის“ ფეხბურთელები გამანადგურებელი ანგარიშით 3:0 დავამარცხეთ.

როგორც მოგახსენეთ, წესრიგის დაცვა ჩემს მოვალეობაში შედიოდა. ეს იყო ორმაგი პატივი. ორმაგი იმიტომ, რომ ეს იყო სამსახური, რომელშიც შედიოდა როგორც სტადიონზე წესრიგის დაცვა, ასევე სტუმრად მყოფი ფეხბურთელებისა და მსაჯთა ბრიგადის უსაფრთხოების ასპროცენტიანი გარანტია; მეორე – ქართული ტრადიციებისა და სტუმარმასპინძლობის განუხრელი დაცვა.

მოკლედ, უშესანიშნავეს ხასიათზე ვართ. მოვიგეთ! მთავარი მსაჯი (ეშვაილერი – გერმანიიდან) და მისი ბრიგადა პირადად მე უნდა გავაცილო აეროპორტში.

თვითმფრინავი ღამის 12 საათზე მიფრინავს.

ერთი საათით ადრე მივაცილე სტუმრები აეროპორტში. იქვე, რესტორანში დავიწყე „მეორე მოვალეობის“ შესრულება. სადღეგრძელოს სადღეგრძელო მოჰყვა, ერთ ჭიქას – მეორე, მესამე... მსაჯები უთხარი შენ და – წვეთს არ იკლებენ. მალე აუჟუჟუნდათ თვალები, ვარდის კოკორივით გაიფურჩქნენ. თარჯიმნობა ჩვენმა საამაყო სპორტსმენმა ალექსანდრე მეტრეველმა იკისრა.

– არ უნდათ წასვლა, – მითარგმნა ღიმილით.

– როგორ თუ არ უნდათ, რას ჰქვია, არ უნდათ? – გამიკვირდა ქართულად.




– ამბობენ, „იქნებ რეისი ერთი საათით მაინც შეაყოვნოთო“! – მითარგმნა ისევ.

რაღა ვქნათ ახლა?! ისეთი პუნქტუალური ერის წარმომადგენელი – გერმანელი მსაჯი ეშვაილერი, მე – ქართველ კაცს, დემურ მიქაძეს მთხოვს – ერთი საათი კიდევ მამყოფე თქვენს დალოცვილ მიწაზეო. შენ გენაცვალე და შენი ჭირი მე, ჩემო ტკბილო გერმანელო, მაგრამ ვინ, ვინ და მე – მილიციის გენერალმა წესრიგი როგორ დავარღვიო? არადა, ქართველი რომ ვარ? – ვფიქრობ გამწარებული, – სტუმარს როგორ ვუთხრა: გინდა, არ გინდა, წადიო?!

მაინც ქართულმა გენმა იმძლავრა. ყველაფერი რიგზე იქნება-მეთქი და გამოვედი.

ფეხის ათრევით შევედი აეროპორტის უფროსთან. სიმწრის ოფლში ვიწურები – როგორი საქმეა, აეროპორტის უფროსს მე, წესრიგის უზადო დამცველმა, ვუთხრა: წესრიგი დაარღვიე და რეისი შეაყოვნე-მეთქი (თუნდაც ერთი საათით).

– მოკლედ, საქმე ასეა, დავიწყე მძიმედ, – ჩვენებმა ხომ მოიგეს დღეს?

– აბა, კაცო, აბა! მაგათ ვენაცვალე! – ამყვა ისიც, რაც კარგები ვართ, ქართველები ვართო, ტყუილად კი არ უთქვამს ბრძენს...

– ჰოდაა, – განგებ ვწელავ სათქმელს, – იმ მატჩის მსაჯები ქეიფობენ... რესტორანში.

– მაგათაც ვენაცვალე, უნდა იქეიფონ, აბა, რა!

– არ უნდათ ჯერ წასვლა... – მივადექი მთავარს.

– ნუ წავლენ მერე... ბიჯოს! იყვნენ და იქეიფონ.

გულში იმედი გამიღვივდა... რაც არის, არის... უნდა ვუთხრა.

– კი მაგრამ, – რეისი რომ თხუთმეტ წუთშია?

– რომელი, კაცო?

– მაგათი, – ვანიშნე თავის გადაქნევით რესტორნისკენ.

– კი მაგრამ, საქმის კურსში არ ხართ თქვენ, ბატონო დემურ? – აქეთ მეკითხება.

– ვერ გავიგე?

– რა და უამინდობის გამო მაგათი რეისი დილის 6 საათამდე გადაიდო.

– რაა? – არ ვუჯერებ ყურებს.

– კი, ასეა, – ისხდნენ და იგრიალონ დილამდე.

თვალებში ათასი მზე ერთბაშად გამიბრწყინდა.

– ესე იგი – გადაიდო?

– კი, ასეა, ბატონო.

– არიქა, თუ ძმა ხარ, არავის უთხრა! – „დავუბარე“ და გახარებული „მივფრინდი“ რესტორანში ჩვენს მსაჯებთან.

– ყველაფერი რიგზეა! – ვანიშნე ცერა თითის აწევით. აი, ახლა კი ჩვენს ბრწყინვალე – „დინამოს“ ფეხბურთელებს გაუმარჯოთ! – ავწიე ჭიქა, – ეს ერთი და სხვა მრავალი! – უთარგმნე! – გადავხედე მეტრეველს.

დილარიჟრაჟზე „ღვინის ქურდებში“ როა, ზუსტად ისე მივაცილეთ პატივცემული მსაჯები ტრაპთან.

დღესაც სჯერათ, რომ რეისი მე შევაყოვნე.

**ყოფილი ფეხბურთელის, გენერალ დემურ მიქაძის ნაამბობის მიხედვით მოამზადა
მურმან მერკვილიშვილმა**

(70-ე გვერდიდან)

რით არ შეიძლება, ასეთი ადამიანის ცოლი ცუდად მოიქცეს. ყველას გვეშლება ცხოვრებაში, იმას არ ვამბობ, რომ განსაკუთრებული და ერთადერთი ვარ და ასე იქნება ბოლომდე, მაგრამ, დღეს ასეა. ჩვენ არც ხელმოწერილები და არც ჯვარდაწერილები არ ვყოფილვართ, მაგრამ, ცოლ-ქმარი ვიყავით. მე რომ შემირთო, ძმა ახალი დაღუპული ჰყავდა, ამიტომ, ქორწილი არ გვქონია, მერე გვინდოდა და გადაიდო. ბავშვი რომ გაგვიჩნდა, გვინდოდა, ნათლობა და ჯვრისწერა ერთად გვქონოდა, მაგრამ, ესეც ვერ მოხერხდა. დღეს, რომ ვუფიქრდები, ნუთუ ეს ყველაფერი მე გავიარე-მეთქი, ვერ ვიჯერებ. ამას დაემატა ის, რომ მეორე ბავშვზე დავრჩი ორსულად. მერე იმას ვფიქრობდი, ეს ბავშვი რომ გაჩნდება, რა იქნება-მეთქი. ერთადერთი, მთელი ცხრა თვის განმავლობაში იმას განვიცდიდი – მშობიარობას როგორ გადავიტან, მეუღლე რომ არ მომაკითხავს-მეთქი. ყველაზე მეტად მაშინ სჭირდება ქალს ქმარი, მაგრამ, ამასაც გავუძელი; არ ვიცი, ქვა ვარ თუ რკინა, მაგრამ, გავუძელი. ოჯახში ქალიც ვარ და კაციც. ჩემმა შვილებმა ისე უნდა იცხოვრონ, როგორც ჩვენ ორივეს გვინდოდა.

# რატომ არ უმართლებს მანანა აბრამიშვილს პირად ცხოვრებაში და რის კოლექციას აგროვებს ის

ისე ვიღლები ხოლმე, ღამით მეღვიძება და თავისით მეფიქრება ყველაფერზე – რომ დილით რამდენი საქმე მაქვს გასაკეთებელი... სინამდვილეში, არ შეგიძლია, მაგრამ, გიწევს და რა უნდა ქნა?! არაფერი ჯობია იმას, როცა სახლში ხარ, უვლი ქმარ-შვილს და ცხოვრობ ქალური ცხოვრებით.

**– როგორი წარმოგედგინა შენი ცხოვრება გათხოვების შემდეგ? ალბათ, სულ სხვანაირი...**

– ვფიქრობდი, რომ მეყოლებოდა გვერდით ქმარი, შვილები; მექნებოდა ჩემი საქმე, თუმცა, წინათგრძნობაც მქონდა ბავშობიდან – რომ გავთხოვდები, დავქვრივდები-მეთქი, მაგრამ, ეს ისეთი ნათქვამი იყო, ხომ იცი, რაღაც რომ გათქმევინებს. ახლა უფრო მეტად მაქვს განვითარებული ინტუიცია – მგონი, „კირჩხიბებზე” მეტად „მერწყულებს” აქვთ ეს გრძნობა განვითარებული. სიზმარში სულ ვხედავ, რომ სადღაც ვართ, ხალხმრავლობაში, არ მაქცევს ყურადღებას და ეს მაგიჟებს, ვტირი და უბედური ვარ. რომ მეღვიძება, ვხვდები, რომ, ალბათ, ასე უნდა იყოს-მეთქი. შენი ცხოვრება მაინც შენი ცხოვრებაა. ბოლოს და ბოლოს, ადამიანი მარტო იბადები და მარტო კვდები.

**– როცა მოგიტაცა, ალბათ, კარგა ხანს ვერ აცნობიერებდი, რა ხდებოდა შენს თავს, განიცდიდი, ტიროდი...**

– თავიდანვე მითხრა: სანამ არ შეგიყვარდები, ხელს არ დაგაკარებო. იმიტომ ვამბობ, რომ ღირსებებით სავსე ადამიანი იყო. ნელ-ნელა მომწონდა. აი, რომ დაიჭირეს და ველარ ვნახე რამდენმე თვე, მაშინ მივხვდი, რომ მიყვარდა. ვცხოვრობდით ჩემი მეუღლის ოჯახში, ჩვენთან ერთად ცხოვრობდა დედამთილი; მაზლი და მამამთილი უკვე გარდაცლილები იყვნენ, როცა მათ ოჯახში შევედი. ახლაც ფანტასტიკური ურთიერთობა მაქვს ჩემს დედამთილთან; გოგო მასთან იზრდება, ბიჭი – ჩემთან.

**ეკა პატარაია**




მოწევა კლავს
მოწევა იწვევს კანის
ნაადრევ დაბერებას



გვ. 70

რატომ არ უმართლებს მანანა აბრამიშვილს პირად ცხოვრებაში და რის კოლექციას აგროვებს ის



გვ. 71

რა ზეიმი მოუწყო ბავშვებს ერნა წიფურიამ



როგორ მამაკაცებს ვერ იტანს მერი ნაფიშვილი და როგორ ახერხებს ის ფორმაში ყოფნას

გვ. 68


ISSN 1987-569X

საქართველო ბეჭედია ბაჟალღ ბილისი – შიგ ჩ ბადახში

# თბილი ელ ბი®

ყოველკვირეული ჟურნალი * გამოდის ორშაბათობით ვნისი – 6 ივლისი * №26 (705) ფასი 1,50 ლარი

www.tbiliselebi.ge